

# ალექსანდრე ახატნელი



# აფხაზები

ალექსანდრე  
ასატნელი

# აფსაზები

(ლოგოკური ისტორიის სკიზისები)

თბილისი  
2017

ხედაქსოვი:

კობა ბედოიძე



წიგნი ანუ და დაჯაბდონდა

<http://bedoidze.site.ge>

კომპიუტერული უზენვეცოდა:  
მან ბოცაძე



©ალექსანდრე ახატნელი

## რედაქტორისგან

აფხაზების ისტორიის შესახებ ბევრი ურთიერთსაწინააღმდეგო აზრია გამოთქმული. დიდი რაოდენობის ლიტერატურაა გამოცემული. ყოველი მკვლევარი მიიჩნევს, რომ მისი თვალსაზრისია სიმართლის შემცველი.

ქეშმარიტების დადგენა არსებულის კრიტიკული განხილვის გზითაა შესაძლებელი. ეს კი დიდ შრომას და მიუკერძოებლობას მოითხოვს.

ავტორი შეეცადა ჯერ თავისთვის და შემდეგ სხვებისთვისაც აეხსნა ობიექტური რეალობა. რამდენად შეძლო მიზნის მიღწევა, ეს მიუკერძოებელი მკითხველის შესაფასებელია.

კობა ბელოძე



მეფე არჩილ II (მეფობდა 738-762 წწ),  
რომელმაც ძმის, შირის ანდერძის თანახმად,  
ძმისწული გურანდუხტი პატრიკიოს ღეონს  
შიათხოვა.

## სარჩევნი

რედაქტორისგან . . . . .	3
მე . . . . .	7
აფხაზი . . . . .	9
ქართველი . . . . .	12
აფხაზ-ქართველი . . . . .	14
რუსი . . . . .	19
ადილები . . . . .	29
აბაზები . . . . .	37
ისტორიის ძიება . . . . .	42
შერისხული მროველი . . . . .	47
ვეროსელები . . . . .	53
ტროას ომი . . . . .	58
ზღვის ხალხები . . . . .	61
კულხა . . . . .	66
კიმერიელები . . . . .	70
ტომები . . . . .	73
ბერძნებს მიმხრობილები . . . . .	82
მითრიდატე . . . . .	86
ტომები . . . . .	88

ეგრისი . . . . .	91
აფხაზ-ქართთა სამეფო . . . . .	105
საბჭოთა სამოთხე . . . . .	174
თავისუფლების ილუზია . . . . .	184
აფხაზ-ქართველთა რესპუბლიკა . . . . .	192



## მე

კავკასია ეთნოსთა მრავალფეროვნებით მდიდარია. არავინ იცის რამდენ ტომს, ტომთა გაერთიანებას უცხოვრია მის არეალში, რამდენი რამაა დაეიწეებული. ვინც ისტორიულ ჟამთა ცვლილებას გაუძლო, მათი წარსულიც ბევრ საიდუმლოს ინახავს. ბევრსაც ადამიანები აბუნდოვნებენ.

ერთი ცხადია, ძველ დროში, ეთნოსის განსახლების გეოგრაფიულ არეალს, ხშირად გადამწვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა.

კავკასიელ ეთნოსთა შორის, გამორჩეული გეოგრაფიული მდებარეობა აფხაზებს ხვდათ წილად. შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს და კავკასიონის დასავლეთი ნაწილის ფლობა მათ გარკვეულ უპირატესობას აძლევდა. ძველ პელაზგიურ-ბერძნულ ცივილიზაციასთან სიახლოვე, და აღმოსავლეთიდან წამოსული ტომთა გაერთიანებისაგან შედარებით დაცულობა, მათ განვითარების უკეთეს პირობებს უქმნიდა.

აფხაზთა წინაპრები დამაკავშირებელ ფუნქციას ასრულებდნენ დასავლეთ და აღმოსავლეთ ცივილიზაციებს შორის. სავაჭრო-ეკონომიკურ და სულიერ-კულტურულ შეხვედრებს აფხაზეთის ტერიტორიაზე ჰქონდა ადგილი. ამიტომაცაა შემორჩენილი ცნობები დიოსკურიასში (ახლა სოხუმში) 70 ტომის წარმომადგენელთა თავმოყრის შესახებ. დიოსკურიასთან ერთად პიტიუნტი (ახლა ბიჭვინთა, პიცუნდა) წარმოდგენდა საზღვაო-სავაჭრო ცენტრს. ამიტომაც ცდილობდნენ ძველი ბერძნები ამ მხარეში ფეხის მოკიდებას და სავაჭრო-სახელოსნო ცენტრების შექმნას.





აფხაზების წინაპრები, ურთიერთობდნენ რა ცივილიზაციის ცენტრებთან, უეჭველად ბევრ მატერიალურ თუ სულიერ სიმდიდრეს ეცნობოდნენ, იძენდნენ და გასცემდნენ. ურთიერთობანი უპირველესად მეზობლებიდან იწყებოდა და ფართოვდებოდა შეძლების ფარგლებში.

ვინ მოთვლის რამდენი, რომელი მხარის და რომელი ეთნოსის წარმომადგენელი მოხვედრილა აფხაზთა შორის. ერთი რამ შეიძლება ითქვას დანამდვილებით. ვინც იხილავდა ამ ღვთითკურთხეულ მხარეს, მის სიმშვენიერეს, ისევე, როგორც აფხაზთა სტუმარ-მასპინძლობის ფილოსოფიას ვერ დაივიწყებდა.

ვინც დიდხანს დარჩებოდა, ვინც შრომის ფერხულში ჩაებმებოდა, ვინც აფხაზთა სულში ჩაწვდომას შეძლებდა, ის უეჭველად დაავადებოდა აფხაზეთისა და აფხაზის სიყვარულით.

ავტორი იმათგანია, ვისაც განგებამ მისცა საშუალება მშობლიურ მხარედ შეეცნო აფხაზეთი, შეესწავლა მისი განვითარების თავისებურებანი და რაც მთავარია გაეგო რიგით მშრომლთა ავ-კარგი. როცა აღადმიანი ახლოს გაეცნობა დადებით და უარყოფით შედეგებს, ანალიზი და სინთეზიც უნდა შეიძლოს.


ბრძნული ნათქვამია: სხვისი ცოდნა მაშინ გახდება შენი, როცა მას კრიტიკულად შეაფასებ და ისე მიხვალ ჭეშმარიტებამდე. მთავარია არ დაკარგო რეალობის გრძნობა და სიმართლეს არ უღალატო.

ზომა – ფილოსოფიური კატეგორიაა. ვინც ზომას გადაუხვია, XX ს. ბოლოს და XXI ს. დასაწყისში, გონება დაბინდულმა ისეთი რამ თქვა – რაც არ ეკადრებოდა, ისეთი რამ ჩაიდინა – ცოდვებს რომ ვერ გამოისყიდის.

უამრავი რამ დაიწერა აფხაზეთში განვითარებულ მოვლენებზე. უაღრესად შეიცვალა საშინაო და საგარეო მდგომარეობა, ყოველივეს გაცნობიერება და ანალიზი საკმაო დროის ამბავია.

დღევანდელი რეალობა: აფხაზი, რუსს ამოფარებული, ქართველს არა ცნობს, მასთან ურთიერთობა არ სურს, სრული გაუცხოების გზით მიდის, ქართველი აფხაზს ძმას ეძახის, მაგრამ ახლოს ვერ ეკარება.

რას და რატომ ვერ პატიობენ ერთი-მეორეს?



## აფხაზი

აფხაზს ისტორიულად და გეოგრაფიულად მეზობლობა, სიახლოვე, გაცვლა, ურთიერთდახმარება და აგრეთვე დავა, ყველაზე მეტად ქართველთან ჰქონდა. ხატოვანი გამოთქმაა: ვერც ერთი ეთნოსი მთვარეზე ვერ გაფრინდებოდა. იძულებულნი იყვნენ გვერდი-გვერდ ეცხოვრათ, მიეღოთ მეზობლისგან და გაეცათ სანაცვლო. ასე მოვიდნენ XX საუკუნემდე და საუკუნის ბოლოს მტრულად დაშორდნენ. დღეს აფხაზი ყველაზე მეტ მტრობას ამჟღავნებს ქართველის მიმართ და გარკვეულ პრეტენზიებსაც ეფუძნება.

(წინასწარ უნდა ითქვას, რომ მტრობაც, პრეტენზიებიც, გაუცხოებაც, მოდის ეთნოსის ელიტარული ნაწილიდან და რიგით წარმომადგენლებს არ ეხებათ).

აფხაზის პრეტენზიებია:

— ქართველობა არა ცნობდა აფხაზებს სრულფასოვან ერად, უწოდებდა ეროვნებას და ცდილობდა მის დამცირებას;

— ქართველობა არა ცნობდა აფხაზების სახელმწიფოებრივ უფლებას, მის სწრაფვას სრული დამოუკიდებლობისაკენ და ამყოფებდა დაჩაგრულის მდგომარეობაში, ავტონომიის სტატუსით;

— ეროვნულ და პოლიტიკურ – სახელმწიფოებრივ უფლებებთან ერთად დამცირებული, განძარცული იყო აფხაზთა სულიერ-კულტურული თვითმყოფადობა. აფხაზებს წართმეული ჰქონდათ მათ მიერ შექმნილი დამწერლობა და ისტორიულ-კულტურული წარსული: რაც თვალნათლივ დაადასტურეს ცნობილმა რუსმა მეცნიერებმა. (იგუ-



ლისხმებიან ვორონოვები, ტურჩანინოვები და სხვა).

— ქართველები ყოფენ აფხაზ ეთნოსს, ძველ ქართველების მონათესავე ნაწილად და ახალ აფხაზებად. მიიჩნევენ, რომ ადიღეველებმა დაიპყრეს აფხაზები, გააბატონეს თავისი ენა, მიითვისეს აფხაზთა თვითსახელი და ახლა ცდილობენ ისტორიული აფხაზი ეთნოსის ადიღეურ ყოფაზე გადაყვანას;

— ქართველები უარყოფენ აფხაზებისა და ადიღეველების უძველეს ერთობლიობას, მათ გენეზისს. არ ცნობენ აფხაზ მკვლევართა მტკიცებულობის მეცნიერებულობას და ამით ტენდენციურად ამახინჯებენ ეთნოსის წარსულს;

— ქართველები აკინებენ აფხაზი ეთნოსის მიღწევებს. მათ მიერ სამეფოს შექმნას, ქართული მხარეების დაპყრობას, ბრწყინვალე აფხაზურ სახელმწიფო მოღვაწეობას წარმოადგენენ, როგორც ქართული სამთავრო-სამეფოების ლტოლვას ერთიანი ქართული სამეფოს დასაფუძნებლად. ერთი სიტყვით, დიდ აფხაზეთს საქართველოდ მიიჩნევენ და ამით ამაყ ეთნოსს სამშობლოს ართმევენ;

— ქართველებმა დაიპყრეს რა აფხაზეთი, დაანაწევრეს მათი ტერიტორია და დარჩენილ ნაწილსაც საქართველოს ისტორიულ მხარეს უწოდებენ. უსახლებენ ქართველობას და დემოგრაფიული სურათის შეცვლით ცდილობენ ეთნოსის სრულ ასიმილაციას.

— ქართველები აფხაზებს არ აძლევენ ცივილიზაციის მიღწევების დაუფლების საშუალებას, ბლოკავენ მის კადრებს, ცდილობენ ქათულ დამწერლობაზე აფხაზური დამწერლობის გადაყვანას, გასაქანს არ აძლევენ უმაღლესი განათლების განვითარებას. აფხაზური ტოპონიმები, ჰიდრონიმები და სხვა. გამოცხადებული აქვთ ქართული წარმოშობის სახელწოდებებად;

— ქართველმა სტალინმა და ბერიაშ მოაწყეს ეროვნული კადრების გენოციდი. რეპრესიებმა შეიწირეს ერის ინტელექტუალური ელიტა. ახლა კი უმაღლეს სასწავლებლებში აფხაზებს ლიმიტებს არ აძლევენ. მათი მცდელობით აფხაზური სულიერი მიღწევები დამცირებულია; მათ მოახერხეს ბევრი აფხაზი მერყევი მოაზროვნის გადაბირება, ეთნოსის გათიშვა და იმპერიული პრინციპის (გათიშე და იბატონე) ხორცშესხმა. ტყუილად როდი უწოდა აკად. ა. სახაროვმა საქართველოს პატარა იმპერია;




— ქართველები ბუნებით შოვინისტები არიან, მიესწრაფიან აფხაზთა სრულ გადაშენებას. ცნობილია რომ 1918 წ. ქართველებმა მოახდინეს აფხაზეთის ანექსია. 1921 წ. აფხაზებმა გმირული ბრძოლით მიაღწიეს სრულ დამოუკიდებლობას. ქართველებმა ი. სტალინის დახმარებით ეთნოსს თავისუფლება წაართვეს. ცხადია მათ სხვადასხვა დამოკიდებულება აქვთ თავისუფლების, დამოუკიდებლობის, ერთა თვითგამორკვევის და სხვა აღიარებული პრინციპებისადმი. მათი ერთად ყოფნა, ერთ სახელმწიფოში გაერთიანება გამორიცხება. მტრებმა უნდა იომონ ან გაშორდნენ ერთი-მეორეს. აფხაზებმა გმირულად იომეს, სრულ თავისუფლებას მიაღწიეს და ახლა მისი დამონება გამორიცხებულია.

\*\*\*

ეს პრეტენზიები, მხოლოდ ნაწილია აფხაზთა მტკიცე პოზიციისა და ცხადია, აქედან გამომდინარე, შერიგებაზე, მით უფრო გაერთიანებაზე საუბარი ზედმეტია ან ნაადრევი.

ადამიანურ ურთიერთობებში ისე არა ხდება, რომ ერთი მხარე ყველაფერში მართალია, მეორე კი ასევე ყველაფერში მტყუანი. ჭეშმარიტების დადგენის მიზნით, მოკლედ უნდა დაფიქსირდეს ქართველის დამოკიდებულებაც სადაო საკითხებისადმი.



## ქართველი

ქართველები აფხაზებს კავკასიის და საქართველოს ისეთსავე ავტოქტონურ ეთნოსად მიიჩნევენ, როგორც თავის თავს. ეთნიკური სხვაობის მიუხედავად, ისინი ისტორიულად, სულიერად მონათესავენია. ამ მხრივ აფხაზი ქართველია და ქართველი აფხაზი;

— ქართველები აღნიშნავენ აფხაზ ეთნოსში მომხდარ ცვლილებას, მაგრამ არ თიშავენ და ერთი-მეორეს არ უპირისპირებენ ძველ და ახალ აფხაზებს;

— ქართველები არ აერთიანებენ, არ ურევენ აფხაზ და ადიღელ ეთნოსებს. მათი სამეტყველო ენის ახლანდელ ნათესაობას არ მიიჩნევენ უძველეს ისტორიულ მოვლენად;

— ქართველთა მტკიცებით, საუკუნეთა მანძილზე აფხაზებთან ერთად გამოიმუშავეს ერთობის გრძნობა, ერთნაირი ტრადიციები, ადათ-წესები, ხასიათი, გაგება. ამდენად შეიძლება მსჯელობა მათ ნათესაობაზე, თანაცხოვრების სიკეთეზე;

— არიან მკვლევარები, რომელნიც აფხაზთა წინაპრებს იბერიულ-კავკასიური მოდგმის და ამდენად ქართველების წინაპრების განაყარ ტომებად მიიჩნევენ;

— ქართველები მიიჩნევენ, რომ შუა საუკუნეების მძლავრი სახლემწიფო, აფხაზებთან კავშირში შექმნეს. ეს პროცესი იყო ბრძოლა გაერთიანებისათვის და არა ერთი პოლიტიკური ერთეულის მიერ მეორის დაპყრობა.

ქართველები ირწმუნებიან, რომ აფხაზები, ცალკეული ტომების, შემდეგ ეთნოსის, ცალკეული სამთავროების თუ სამეფოს სახით



საერთო ისტორიას ქმნიდნენ და საქართველოს ისტორია, აფხაზეთის ისტორიაცაა;

— ქართველები მიიჩნევენ, რომ ქართული დამწერლობა, კულტურა, მიღწევები აფხაზეტან საერთო თანაცხოვრების, შრომის, ბრძოლის შედეგია და მისი მხოლოდ აფხაზურად გამოცხადება სინამდვილის დამახინჯებაა. მით უფრო მძიმეა და მიუღებელი კულტურის ძეგლებზე განხორციელებული ძალადობა;

— ქართველები ამტკიცებენ, როცა რუსეთმა აფხაზეთი დაიპყრო, მას წინ საქართველოს სხვა კუთხეების დაპყრობა უძლოდა და აფხაზეთიც ამ ერთეულებში მოიაზრებოდა. ამას ამტკიცებს აფხაზთა არაერთი წერილობითი დოკუმენტი და ბრძოლა საერთო მომავლისათვის;

ქართველთა აზრით, როცა რუსეთმა დაპყრობილი საქართველო თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებად გაჰყო, აფხაზეთი, მაზრის სახით, ქუთაისის გუბერნიაში შეიყვანა, როგორც ყოფილი იმერეთის სამეფოს ნაწილი;

— ქართველთა მტკიცებით, 1918წ. როდესაც რუსეთის იმპერია დაიშალა და საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა, აფხაზეთი დარჩა იმპერიაში არ აღიარებულ ერთეულად. მას არა ჰქონდა არც სამთავროს, არც მაზრის, არც გუბერნიის სტატუსი. საქართველომ იგი დაიბრუნა, როგორც ადრე ჩამორთმეული ნაწილი, მას მიუერთა უკვე აფხაზეთისაგან დაცლილი, დაკარგული ტერიტორია ტუაფსემდე და ამ სახით კონსტიტუციურად მიანიჭა ავტონომიური ერთეულის სტატუსი, ერთიანი დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში;

— 1921 წელს, ანექსირებული საქართველოს პირობებში, რუსეთის ოკუპანტი ძალების ხელშეწყობით, აფხაზეთს მისცეს საშუალება გამოეცხადებინა დამოუკიდებელი რესპუბლიკის შექმნა, რომელიც იმავე ძალების გადაწყვეტილებით, ხელშეკრულებით დაუკავშირეს საქართველოს რესპუბლიკას. ამის შემდეგ ყოველი ცვლილება აფხაზეთისა და ქართველების ურთიერთობაში წყდებოდა რუსების მიერ და ქართველების დაუკითხავად.

სოციალისტური გარდაქმნები აფხაზეთში, მათ შორის ცნობილი რეპრესიები, იყო ბოლშევიკური პარტიის სტრატეგიული და ტაქტიკური გადაწყვეტილებების შედეგი და ამდენად მისი გადაბრალება ქართველებზე არასამართლიანია.



## აფხაზ-ქართველი

XX ს. ბოლოს უაღრესად გართულდა და ანტაგონისტური ხასიათი შეიძინა აფხაზ-ქართველთა ურთიერთობამ. უხსოვარი დროიდან მეზობლურად და ხშირად ერთ ოჯახად მაცხოვრებელი ეთნოსები სამტროდ დაპირისპირდნენ.

დაპირისპირების საგანი პრინციპულია: მართალია ეს ორი ეთნოსი საუკუნეთა მანძილზე კავკასიელებად იწოდებიან, მაგრამ ვის მხარესაა ისტორიული პრიორიტეტი, ვინ ავტოქთონია და ვინ გვიან მოსული?

ორივე მხარეს გააჩნია თავისი არგუმენტები და ორივე გრძნობს თავის უპირატესობას. ორივე ავითარებს ეთნოგენეზის მომგებიან ვარიანტებს.

აფხაზებმა, თავისი „წმინდა“ აფხაზური ვარიანტების დამუშავება XX ს. დაიწყეს. ისტორიულად ამ დრომდე მათ რაიმეს დასაბუთების აუცილებლობა არ ჰქონდათ. რამ გამოიწვია ასე გვიან რაიმეს მტკიცების საჭიროება. ამ შემთხვევაში უნდა ითქვას, რომ ხანგრძლივი, მტკივნეული, წინააღმდეგობრივი პროცესის დაწყება ბატონ ღიმიტრი გულიას ენერგიულ ისტორიულ-ლიტერატურულ მოღვაწეობას უკავშირდება.

მკვლევარმა წამოაყენა აზრი, რომ აფხაზები წარმომავლობით ეგვიპტიდან არიან და კავკასიაში მოსულები ძვ.წ. XI საუკუნეში.

იუმორით და ადამიანური სითბოთი უნდა ითქვას, რომ მიმდობი, პატიოსანი კაცი, ცნობილმა ჰეროდოტემ (ძვ.წ. 484-425წწ.) აცთუნა. ბატონი ღიმიტრი ისე გაიტაცა გაგონილმა, რომ ცხოვრების საუკეთესო პერიოდი საკითხის დამუშავებას შეაღია.



გაგონილი, მართლაც უცხოდ ჟღერდა. 31 საუკუნის წინ, კავკასიის მხარეს ლაშქრობის დროს, ეგვიპტის ფარაონმა სესოსტრისმა, თავისი ჯარის გარკვეული რაოდენობა კოლხეთში ჩაასახლა. ამიტომ ჰევანან ბევრი ნიშნით კოლხები და ეგვიპტელები (ეთიოპელები) ერთი-მეორეს. (თ. ყაუხნიშვილი. ჰეროდოტეს ცნობები საქართველოს შესახებ. თბ. 1960 წ. გვ. 71-2-3).

კოლხები ეგვიპტელებივით შავგვრემანები და ხუჭუჭთმიანები არიან, ერთნაირად ამუშავებენ სელს, ერთნაირად იციან წინდაცვეთა და სხვ.

უადრესად მაცთუნებელი ინფორმაციაა. ჯერ ერთი, ხანგრძლივი ლაშქრობების დროს მოხუცი და დაჭრილი მეომრების სადმე დასახლება უცხო მოვლენა არ იყო. თავად ალექსანდრე მაკედონელმა, ამ გზით, რამდენიმე ქალაქი ალექსანდრია დააფუძნა. მათ შორის ეგვიპტეში. მეორე, იმ დროს ჯერ კიდევ არ იყო საბოლოოდ (თუ შეიძლება იყოს საბოლოოდ) მეცნიერულად დასაბუთებული, რომელი ეთნოსი საიდან მოვიდა და დაესახლა კავკასიის არეალში. მესამე, აფხაზი ეთნოსის წარმომავლობის დაკავშირება მსოფლიო ცივილიზაციის ერთ-ერთ შემქმნელ ეგვიპტელებთან (თუ დასაბუთებას მოახერხებდა), საკუთარი ისტორიის გამობრწყინებას უდრიდა. მით უფრო, რომ ეგვიპტელები დიდი ხნის გადაშენებულები იყვნენ.

ბატონ დიმიტრი გულიას თავდადების მიუხედავად, აღნიშნულმა აზრმა საყოველთაო აღიარება ვერ მოიპოვა.

ჰეროდოტე ჰალიკარნასელი, ისტორიის მამა, თავად წარმოშობით კარიიდან იყო. შეიძლება ეროვნულობითაც კარიელი. შესაბამისად, კარგად ერკვეოდა კავკასიისა და მცირე აზიის ერთნოსთა რაობაში. მით უფრო, რომ იმოგზაურა იმ მხარეებში, რომელთა აღწერასაც მიუძღვნა ნაშრომები. იგი არ იყო დაუღვინებელი მოაზროვნე. არც ბატონი დიმიტრი გულია იყო ისეთი მიაბიტი, რომ ვერ შეეფასებინა ისტორიული ცნობა. არაა გამორიცხული, მომავალში კვლავ მიუბრუნდენ ეგვიპტელებისა და კოლხების ნათესაობის საკითხს.

XX ს. მეორე ნახევარში, დ. გულიას მტკიცებულებანი უარყვეს და დღის წესრიგში დადგა, აფხაზი ეთნოსის წარმომავლობის ახალი ვარიანტის შემუშავება.





მრავალთა შორის ყველაზე მისაღებად მიიჩნეის ბატონ ზურაბ ანჩაბაძის თვალსაზრისი. ბატონმა ზ. ანჩაბაძემ ბევრად წინ წასწია საკითხის კვლევა, ბევრად მიუახლოვა ჭეშმარიტებას, მაგრამ ვერ შეძლო გვერდი აეველო გადაუჭრელი (აფხაზურ-ადიღური უძველესი ეთნიკური ერთობის) პრობლემისათვის. მისი დებულება, ძვ. წ. 40-30 ათასი წლებისათვის ეთნოსის ნიშნების ჩამოყალიბების სასარგებლოდ გაზიარებული არ იქნა. მკვლევართა დასკვნით, ეთნოსები ძვ.წ. VI ათასწლეულიდან ყალიბდებიან. ბატონმა ზ. ანჩაბაძემ ასევე გვერდი ვერ აუარა, მისი მოღვაწეობის პერიოდში, აქსიომად ქცეულ აზრს ადიღელ და აფხაზ ეთნოსთა ისტორიული ერთობის შესახებ. უძველესი ისტორიული წერილობითი ცნობების ასეთი მრუდე გაგება კი მის ავტორიტეტს ვერაფერს მატებდა, გაუთვითცნობიერებელ ხალხში პოპულარობის გარდა. მის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ცთუნების მიუხედავად არ გაიზიარა აფხაზთა შორეული მხარეებიდან ჩამოსახლების ვერსია.

აფხაზი ეთნოსის სამხრეთიდან, ჩრდილოეთიდან, ბალკანეთიდან მიგრაციული გზით მოსვლის ვარიანტებს ბევრი მომხრე ჰყავდა. თვით ცნობილი ი. დიაკონოვი დაბეჯითებით აცხადებდა, რომ ძვ.წ. XIII ს. ბალკანეთიდან მცირე აზიაში მიგრანტთა ორი ტალღა შემოვიდა. პირველი იყო ადიღ-აფხაზთა ერთობა. მეორე, თრაკიელ-ბრიგებისა. იგი არაფრის დასაბუთებას არ მიმართავდა. მთავარი იყო მისი ავტორიტეტი.

ბევრმა ირწმუნა ი. დიაკონოვის მტკიცების მართებულობა. შესაბამისად, სარწმუნო ხდებოდა ადიღ-აფხაზთა ეთნიკური ერთობის იდეა. ასევე სარწმუნოდ მიიჩნეის ბალკანეთიდან ბრიგების მცირე აზიაში გადმოსახლების, აქ მათი ფრიგიელებად გადანათვლის და შემდეგ სომეხი ეთნოსის ფორმირებაში გადამწვევტი როლის შესრულების იდეა. დიდია ძალა ავტორიტეტისა.

დაწვრილებით მოყოლას და ი. დიაკონოვის შრომებიდან ციტატების დემონსტრირებას აზრი არა აქვს. ითქმება მხოლოდ ის, რომ უსაფუძვლოდ ნათქვამი სიცრუეა.

სიცრუეში ი. დიაკონოვი, მეორე, არა ნაკლები ავტორიტეტის მქონე, ბ. პიოტროვსკიმ ამხილა. მან დაბეჯითებით უარყო დასავლეთიდან (ბალკანეთის ნახევარკუნძულიდან) მიგრაციების შესაძლებლობა.



ი. დიკონოვი ძალზე სერიოზულად მსჯელობდა იმის შესახებ, რომ მიგრანტთა პირველი ადიღურ-აფხაზური ტალღის მონაწილე ადიღებმა (ქაშქებმა), თავისი ენა ისე დაამკვიდრეს მცირე აზიაში, რომ როდესაც, დროთა ვითარებაში, ისინი კავკასიისაკენ წავიდნენ, ყველა დარჩენილები განაგრძობდნენ ამ ენაზე მეტყველებას. ადიღური კულტურის გავლენა მცირე აზიასა და კავკასიის სამხრეთში საგრძნობი იყო. რაც შეეხება ბრიგიულ-ფრიგიულ-სომხურს, ამაზე მსჯელობაც ზედმეტია.

აკად. ბ. პიოტროვსკის გავლენით დაძლეული იქნა ადიღ-აფხაზთა და სომხების წინაპრების ბალკანეთიდან გადმოსახლების ვარიანტები.

წინაპრების გარეთ ძიების პროცესი ამით არ დასრულებულა. გარკვეული როლი გ. მელიქიშვილმაც შეასრულა. მისი ფრთხილი ვარაუდი, მცირე აზიაში დაფიქსირებული სიტყვა (თუ ის მართებულად იქნა ამოკითხული) აბეშლა, აფხაზთა უშუალო წინაპრებს აფშილებს ხომ არ ნიშნავს და სიტყვა ქაშქა, ხომ არ მიუთითებს ადიღთა ერთ სახელ – ქაშაგზე, ბევრის მიერ მიჩნეული იქნა მეცნიერულ დასკვნად. აქედან უკვე იოლი იყო აზრის განვრცობა: ადიღ-აფხაზები თავდაპირველად მცირე აზიის აღმოსავლეთ ნაწილში მოსახლეობდნენ, შემდეგ ჩრდილოეთით გადაინაცვლეს. ბევრმა მკვლევარმა იწვალა სამხრეთში შესაბამისი ადიღური დაბოლოების მქონე სიტყვების დაძებნაზე. მეცნიერება კი მიიღწევა ძიების გზით, მაგრამ ყოველგვარი ძიება არაა მეცნიერება.

მძებნელ – მაძიებლებმა წინაპრების კვალს ტიბეტამდე სდიეს, უშედეგოდ, მაგრამ მთავარია, რომ ქართველებს გვერდს უვლიდნენ.

ამ ძიება – ხმაურში ადიღ-აფხაზთა მოვყარულებს ზურგს რუსეთის მძლავრი „პროპაგანდისტული – მეცნიერება“ უმაგრებდა. ამიტომ მოკლედ, ამ „სპეციალისტ-მეცნიერებზეც“ უნდა ითქვას.

მანამდე, დასკვნა ქართველ მკვლევართა მცდელობის შესახებ: ქართველთა თვალსაზრისი აფხაზთა წარმომავლობისა და აფხაზ-ადიღების ერთობის შესახებ მრავალჯერ და მრავალის მიერ იქნა გახმოვანებული. აქ მხოლოდ რამდენიმე ნაშრომის სათაური დაფიქსირდება და შინაარსი ცხადი გახდება: „ქართველთა გააფხაზება“, „ქვემო იბერიის, ანუ აფხაზეთის საკათალიკოსო“ „მთიული ტომების ჩამოსახლება აფხაზეთში“, „აფსილ-აბაზგთა ეთნიკური ვინაობის



საკითხისათვის“, „აფხაზეთი ისტორიული საქართველო“, „აფხაზეთი: ძველი და ახალი აფხაზეთი“, „ძირძველი ქართული მხარის-აფხაზეთის ისტორიისათვის“, „აფხაზეთი საქართველო“, „აფხაზი ერი არ არსებობს, აფხაზი – ქართველია“ და ა.შ.

მოტანილი სათაურები ასახავენ არა სრულიად ქართველ მკვლევართა თვალსაზრისს. თქმა არ უნდა - არა. არც საზოგადოების დამოკიდებულებას პრობლემისადმი. ვითარებაში, როცა აფხაზ-ქართველთა დაპირისპირება გამწვავდა და ახლაც, როცა დაიწყო ურთიერთგაუცხოება, ამ სახის შინაარსის ნაშრომების შექმნა-გამოცემა არ გამოირიცხება.

თქმა არ უნდა, დაპირისპირებულთა შორის (მხედველობაშია არა მშრომელთა ფართო მასები ორივე მხარეს, რომელნიც გამოდნენ ვაი პატრიოტთა და ვაი პოლიტიკოსთა ქმედებებს), მრავლად არიან საღად მოაზროვნენი, რომელთა ვალია ხელი შეუწყონ კონფლიქტის დარეგულირებას. უფრო მეტი, დარწმუნებით ითქმება, რომ წინააღმდეგობა არ გაჩნდებოდა და მათი გადალახვაც საჭირო არ იქნებოდა, რომ არა რუსეთის ხელისუფალთა იმპერიული მცდელობანი.

აღნიშნული საკითხის განხილვამდე უნდა ითქვას, რომ საბჭოთა პერიოდში არც ერთი ეთნოსის ისტორია არ დაწერილა მოსკოვის ხელისუფლების ჩარევისა და კარნაზის გარეშე. პერიოდულად იმპერიის ცენტრი რესპუბლიკებს აძლევდა მითითებას, ვის როგორ უნდა გაეშუქებინა ესა თუ ის საკითხი.

ბუნებრივია, სხვა ეთნოსების ისტორიასთან ერთად აფხაზეთისა და ქართველების წარსულიც მახინჯდებოდა.

ახალ რეალობაში საჭიროა ყოველმა ეთნოსმა ობიექტურად გააშუქოს საკუთარი წარსული და სხვა ეთნოსებთან ურთიერთობის პრობლემები. ამ რთულ საქმეში შეცდომები ვერ გამოირიცხება. მთავარია დაცული იქნეს პრინციპი: ჭეშმარიტება უფრო მაღლა დგას, ვიდრე პატრიოტიზმი. ჭეშმარიტება კი ძნელად მიიღწევა.

რაც შეეხება რუსეთის იმპერიის პოლიტიკას აფხაზთა და ქართველთა მიმართებით.



## რუსი

შეუძლებელია აფხაზმა ეთნოსმა დაივიწყოს, რუსეთის იმ მხარეში დამკვიდრების ისტორია. მაჰაჯირობის დროს და ამ მოტივით უამრავი (ფიქრობენ 50 ათასი) ადამიანი გადაასახლეს თურქეთში. რუსეთმა აფხაზეთის ტერიტორია დაცალა ადგილობრივი მაცხოვრებლებისაგან და სანაცვლოდ დაიწყო სხვათა ჩასახლება. პარალელურად ყველაფერი კეთდებოდა აფხაზთა და ქართველთა ურთიერთ დასაპირისპირებლად. რომ არ გამოვიდეს ზეპირი ნათქვამი, მხოლოდ ერთი მცირე ამონარიდი იქნება საკმარისი.

“...Царские власти всегда стремились разжечь в Абхазии межнациональную рознь, в частности восстановить колонистов против абхазов и особенно сеяли вражду между абхазцами и грузинами (менгрелами).” (Г. А. Дзидзария. Махаджирство и проблемы истории Абхазии XIX столетия. 1962. стр448). “

ღიახ. რუსეთის ხელისუფლების მიზანმიმართულ, გამთიშველ პოლიტიკაზე აფხაზებსა და კავკასიელებს შორის, წერს ცნობილი აფხაზი მეცნიერი. ამით ბევრია ნათქვამი. იმის მტკიცება არ შეიძლება, რომ აფხაზთა და ქართველთა შორის წინააღმდეგობა არასდროს არსებობდა. ფეოდალური დაქსაქსულობის პირობებში, ვითარებაში, როცა მეკობრეობა, სხვისი ქონების, ყმების მითვისება, ადამიანთა მონად გაყიდვა ფართედ იყო გავრცელებული, წინააღმდეგობა, დაპირისპირება არ გამოირიცხებოდა. როცა ერთი სამთავრო მეორეს ებრძოდა იქ ეროვნული შუღლი კი არა სოციალ-პოლიტიკური მოტივები დომინირებდნენ.



სხვა სურათი იხატებოდა ვითარებაში, როცა თავადი — თავადს, მთავარი — მთავარს ებრძოდა თურქების, ყირიმელი თათრების, აფსარების დახმარებით. ამ შემთხვევაში ეროვნულობაც იჩენდა თავს. ხოლო, როცა უცხო ელემენტები დამოუკიდებლად ესწმოდნენ ამა თუ იმ სამთავროს, ეს უკვე ეროვნული თვითმყობადობისათვის ბრძოლა იყო. ასე ხდებოდა, როცა ვთქვათ, აფსართა რაზმები მიდიოდნენ გურიის სამთავროს დასარბევად, ან ახალციხის ფაშა ცდილობდა რომელიმე სამთავროს „დასჯას“.

რუსეთის მიერ ჯერ ქართლ-კახეთის სამეფოს, შემდეგ იმერეთის სამეფოს დაპყრობის შემდეგ, წინააღმდეგობა მეტროპოლიასა და კოლონიებს შორის არსებობდა. მეფის ხელისუფლება მიზანმიმართულად ცდილობდა მოწინააღმდეგე ძალა გაეთიშა, ერთი-მეორესთვის დაეპირისპირებინა...

აფხაზეთ-ქართველთა მიმართ რუსეთის დამოკიდებულება ჩვეული იმპერიული სქემით წარიმართა. რუსეთის ძალები, აფხაზეთს ქართული ელემენტების მონაწილეობით უტევდნენ. ამავე დროს შეტევა წარმოებდა სამხრეთიდან — ქართველთა მხარეიდან. მართალია ამას აფხაზ-ქართველთა ანტაგონიზმი არ გამოუწვევია, მაგრამ ფაქტის მორალურ მხარესაც ვერავინ უარყოფს.

იმ დროს რუსეთი ჩრდილოეთ კავკასიას ჯერ კიდევ მტკიცედ ვერ ფლობდა, იყო წინააღმდეგობის კერები. კვლავ მოქმედებდა მთიელებს შორის თურქეთის ფაქტორი. ასეთ დროს რუსეთის შედარებით საიმედო დასაყრდენი ქართული მხარეები იყო. სამხრეთი მხრიდან აფხაზეთის ჩაკეტვა სამთავროს საბოლოო დამორჩილებას აადვილებდა. ამ საკითხებზე შესანიშნავად აქვს მოთხრობილი ბატონ გიორგი ძიძარიას და შეიძლება მის ნაშრომებზე (განსაკუთრებით თ. ტორნაუს შესახებ) მითითებით დაკმაყოფილება.

რუსეთის იმპერიის გამოცდილი მეთოდი იყო დაპყრობილი ეთნოსის გათიშვა, უშუალო მოწინააღმდეგის აყრა-გასახლება, გამოთავისუფლებულ მიწებზე სასურველი ელემენტების (პირველ რიგში კახაკების) დასახლება. ეს ამოცანა რუსეთის სასარგებლოდ წარმატებით შესრულდა. ითქვამს, რომ აფხაზი ეთნოსის ნახევარი აიძულეს თურქეთში გადასახლებულიყო.

არა ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდა დაპყრობილი მხარეების ისეთ



ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ მოწყობას, სადაც ეთნოსთა სიჭრელე იქნებოდა და ძველი სახელწოდების ერთეულები წაიშლებოდა. ამიტომ იყო, რომ ქართლ-კახეთის სამეფო თბილისის გუბერნიად გადანათლეს, იმერეთის სამეფო კი ქუთაისის გუბერნიად.

აფხაზეთის სამთავრო ავტონომიას 1864 წლამდე ინარჩუნებდა. ამ წელს ეს ერთეული გააუქმეს, უწოდეს სოხუმის (და არა აფხაზეთის) ჯერ სამხედრო განყოფილება, შემდეგ მაზრა და ქუთაისის გუბერნიას დაუქვემდებარეს. ამასთან, აფხაზეთის მთავარი, იმ პერიოდისათვის, ჩრდილოეთის მხარეს ხოსტამდე აკონტროლებდა.

ჯერ სოხუმის სამხედრო განყოფილებად, შემდეგ მაზრად გარდაქმნილ ერთეულს გაგრის ჩრდილოეთი ნაწილი ჩამოაჭრეს, ტერიტორიულად გაანახევრეს და დასუსტებული გუბერნიაში გააერთიანეს... გუბერნიაში კი, სხვებთან ერთად, ქართველებიც მსახურობდნენ, განსაკუთრებით დაბალ რეგოლებში. სწორედ მათი გამოყენებით მიმდინარობდა აფხაზეთის სახეცვლილება. ეს კი პიროვნულ თუ ეთნიკურ ნაიდაგზე შუღლის დამკვიდრებას უწყობდა ხელს.

მუჭაჯირობის დროს განხორციელებული ეთნოწმენდის გზით აფხაზეთში მიწები განთავისუფლდა. დაიწყეს იქ რუსების, სომხების, ბერძნების ჩასახლება. ყველას უფლება ჰქონდა აფხაზეთში დასახლებისა ეგრისელებისა და ქართველების გარდა.

რუსული სახელისუფლებო პოლიტიკის თანახმად ქართველები უნდა გამოსულიყვნენ აფხაზთა თავს დატეხილი ყველა უბედურების მოთავედ და შემსრულებლად. პარალელურად ხაზი უნდა გასმოდა მათ შორის არსებულ ეთნიურ სხვაობას. ამ მიზნით იქმნებოდა ლიტერატურა მტკიცებულებებით: აფხაზეთი საქართველო არაა. აფხაზებს არასოდეს არაფერი საერთო საქართველოსთან არ ჰქონიათ. ქართველი ჩაგრავეს აფხაზს და ა.შ.

იგივე მეთოდი იქნა მიმართული მეგრელების, სვანების, თუშებისაკენ, მაგრამ მათი საბოლოო „განათლება-გათვითცნობიერება – დაჯერება“ ვერ მოხერხდა.

საუკუნეთა მანძილზე, რუსეთის ხელისუფლებამ შეისწავლა, შეითვისა და წარმატებით განახორციელა, ყოველი დროის დამპყრობთა პოლიტიკური, სამხედრო, ეკონომიკური, სულიერი ზემოქმედების მეთოდები. საბჭოთა კავშირმა მემკვიდრეობით მიიღო და დახვეწილი



ფორმებით განახორციელა რუსეთის იმპერიული პრინციპი: ერთი მეფე, ერთი ენა, ერთი რელიგია. მხოლოდ მეფე შეიცვალა კომპარტიის გენერალური მდივნის სახელწოდებით. ახლა კი პრეზიდენტის სახელით იცვლება.

არარუს ეთნოსებთან მიმართებაში არაფერი შეცვლილა 1917წ. თებერვლის რევოლუციის და ოქტომბრის სამხედრო გადატრიალების შემდეგ.

ვინც ოდნავ მაინც ახლოს იცნობს რუსეთის მეფის იმპერიის, საბჭოთა იმპერიად გარდაქმნის ისტორიას, გაიხსენებს სამხედრო კომუნიზმის დამყარებასთან, სამოქალაქო ომის წარმოებასთან, უცხოეთის ქვეყნების ინტერვენციასთან დაკავშირებულ მოვლენებს. თუ ამას დაემატება ეროვნებათმორისი ურთიერთობების ლენინური კონცეფციისა და საბჭოთა კავშირის შექმნის ღონისძიებათა ცოდნა, გასაგები გახდება აფხაზ და ქართველ ეთნოსთა ურთიერთობებში განვითარებული წინააღმდეგობების ხასიათი.

ორიოდე სიტყვით: რუსეთში მწიფდებოდა რევოლუცია, რომელსაც ფეოდალური ქვეყანა კაპიტალისტურად უნდა გარდაექმნა. ვ. ლენინი ვარაუდობდა ამ რევოლუციისათვის მიეცა სოციალისტური ხასიათი და იგი მსოფლიო სოციალისტურ რევოლუციად გადაეზარდა. მსოფლიო სოციალისტური პერმანენტული რევოლუცია, შედეგად დიდი ქვეყნების მსოფლიო ფედერაციული რესპუბლიკის შექმნას გამოიწვევდა. ფედერაციის წევრი, დიდი ქვეყნის შიგნით მცხოვრები პატარა ეთნოსები, დიდი ეთნოსის რიგებში გაითქვიფებოდნენ, მოხდებოდა მათი სრული ასიმილაცია. აქედან გამომდინარე, რევოლუციის პროცესში, მცირე ღონის ეთნოსებს მიეცემოდათ კულტურული ავტონომია. მათ არ ექნებოდათ არც სახელმწიფოებრიობა და არც გამოკვეთილი საზღვრები.

რუსეთის იმპერიაში მაცხოვრებელი ეთნოსები შედუღებდებოდნენ, შეერწყმოდნენ დიდ რუს ხალხს და შეწყვეტდნენ არსებობას, როგორც განსხვავებული ერთეულები.

ე. წ. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, რუსეთის იმპერია დაიშალა. საქართველოში (უფრო ზუსტად, თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში) სოციალ-დემოკრატიული პარტია არა ფიქრობდა რუსეთისაგან გამოყოფას და რაიმე თეორიული გაანგარიშება დამოუკიდებელი მოქმედებისა არ გააჩნდა. 1918 წ. 26 მაისს, სურვილის საწინააღმდეგოდ და ობიექტური აუცილებლობიდან გამომდინარე



გამოაცხადეს დამოუკიდებლობა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა.

რას წარმოადგენდა ამ დროს აფხაზეთი? რისთვის შეიძლებოდა ებრძოლათ ამ დროს აფხაზ სოციალ-დემოკრატებს?

თუ მყვირალა პროპაგანდისტებსა და მრუდხელიან მეკალმეებს არ აპყვებიან, რეალურ ვითარებას გაითვალისწინებენ, მივლენ დასკვნამდე, რომ აფხაზ-ქართველებმა ისტორიულად პროგრესული ნაბიჯები გადადგეს. შეინარჩუნეს დამოუკიდებლობა და დაიბრუნეს ჩამორთმეული ტერიტორიები, მათ შორის აფხაზეთმა დაიბრუნეს ჩრდილოეთი მხარე ტუაფსემდე.

1864 წ. როდესაც რუსეთმა აფხაზეთის სამთავრო გააუქმა, მთავარი მიზეზი შარვაშიძე ხოსტამდე ტერიტორიას ფლობდა და აკონტროლებდა. მეფის ხელისუფლებამ აფხაზეთა მახრას (არა სამთავროს) გაგრამდე ტერიტორიები ჩამოაჭრა, იქ რუსები ჩაასახლა და ერთიან რუსულ კალაპოტში მოაქცია. ქართველებმა აფხაზეთს წართმეული მხარე დაუბრუნეს, დაიბრუნეს იმერეთის სამეფოს კუთვნილი მიწები და ამით ორივე ეთნოსის ისტორიული სამართლიანობა აღადგინეს. (მართალია არა ანაპის კონცხის ჩათვლით, არა მდინარემდე მცირისა ხაზარეთისა, მაგრამ შესაძლებლობის ფარგლებში).

რომ არა ქართველთა მიერ დამოუკიდებელი რესპუბლიკის შექმნა, სადაც აფხაზ ეთნოსს მიეცემოდა კუთვნილი პოლიტიკურ-სამართლებრივი სივრცე, რა შეეძლო და რას მოიმოქმედებდა აფხაზი? დღეს გარდასულ დროთა მოვლენებზე მსჯელობა ბევრს ხელეწიფება. რეალურად კი გაკეთდა შესაძლებლობის მაქსიმუმი.

კავკასიელ ეთნოსთა იძულებითი თავისუფლება და დამოუკიდებლობა იმპერიის ცენტრისაგან იყო ხანმოკლე. ეს დრო მათ ერთი-მეორესთან ურთიერთობის გარკვევას მონაწილემს. საშინაო პოლიტიკურ-სამართლებრივი საკითხებისათვის დროულად ვერ მოიცალეს.

სანაცვლოდ მოიცალეს ძველი და ახალი იმპერიის ძალებმა, ჯერ კიდევ 1919წ. გენერალმა დენიკინმა ჩამოაჭრა ახალ რესპუბლიკას მდ. ფსოუს ჩრდილოეთი აფხაზეთი. შემდეგ ვ. ლენინმა 1920 წ. 7მაისს გაუფორმა ქართველებს დამოუკიდებლობის ცნობა. ამით აფხაზეთი ცნო საქართველოს შემადგენლობაში. იცრუა. ზავის დადებას, ზედანექსიის გადაწყვეტილება მიაყოლა.





მანამდე 1920 წ. რუსეთმა ჯერ აზერბაიჯანის მხარე დაიკავა, ხოლო იმავე წლის 29 ნოემბერს სომხეთი.

დიდი „მარქსისტი“ ს. ორჯონიკიძე ამაყად აცხადებდა, რომ მან, პარტიამ და წითელმა არმიამ, ერთ კვირაში მოამწიფეს და გაამარჯვებინეს სოციალისტურ რევოლუციას აზერბაიჯანში. ამ პროცესს სომხეთში ერთი დღე დასჭირდა. მერე რა, რომ სომხეთში არც მატერიალური პირობები სოციალიზმისათვის არ იყო, არც პროლეტარიატი არ არსებობდა, მთავარია იყო წითელი არმია. ს. ორჯონიკიძე ჯერ კიდევ 1920 წ. აპრილში ითხოვდა ლენინისაგან ნებართვას, მოეხდინა ასთივე წარმატებული რევოლუცია საქართველოში. ვ. ლენინი ფრთხილობდა და ამიტომ „სოციალისტური რევოლუციის“ თარიღმა 1921 წ. თებერვალისაკენ გადაიწია.

მანამდე, დიდი ბელადი ს. ორჯონიკიძესა და ს. კიროვს, რომელთაც ებარათ სოციალისტური რევოლუციების „მომწიფების“ საკითხი კავკასიაში, მოძღვრავდა მთიელ ეთნოსთა ლიდერებთან დაძმობილების, მათთვის სრული დამოუკიდებლობის შეპირების აუცილებლობაზე. ოღონდ მათ ქართველი აგრესორების, ექსპლუატატორების, მსოფლიო იმპერიალიზმის ფორპოსტის, წინააღმდეგ ებრძოლათ.

ობიექტური ინფორმაციით ირკვევა, რომ საკუთრივ საქართველოში ნაცად ბოლშევიკთა რიცხვი 85 კაცისაგან შედგებოდა. რა რაოდენობისა იყო აფხაზი პროლეტარების რიცხვი და რა თეორიული გაქანებისა მათი ბელადები?

აფხაზმა და ოსმა ბოლშევიკებმა იბრძოლეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ და გარჯა დაუფასდათ. საბჭოთა რუსეთის არმიის დახმარებით აფხაზეთში სოციალისტური რესპუბლიკის შექმნა გამოცხადდა. ასეთი დამოუკიდებელი რესპუბლიკები მხოლოდ აზერბაიჯანში სამი შეიქმნა.

ვ. ლენინის გეგმით საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკები უნდა ერთ სახელმწიფოდ გაერთიანებულიყვნენ. ამიერკავკასიის სამ რესპუბლიკას (აზერბაიჯანი, სომხეთი, საქართველო) უნდა შეექმნა ფედერაციული გაერთიანება და როგორც ერთი ერთეული შესულიყო რუსეთის შემადგენლობაში. (1929 წ. საიღუმლო მოხსენებაში ს. კიროვი ამბობდა, რომ მოსკოვს ასე ურჩევია ამიერკავკასიის მართვა.).

ქართველები გაერთიანების წინააღმდეგნი იყვნენ. ისინი ასევე წი-



ნაადმდეგნი იყვნენ აზერბაიჯანს გადასცემოდა რესპუბლიკის აღმოსავლეთი რაიონები, ხოლო სომხეთს ოცი კილომეტრის სიგანის ზოლი საქართველო-სომხეთის საზღვრის გასწვრივ. ვ.ლენინმა ქართველები „ნაციონალ-უკლონიზმში“ ეჭვიმიტანილებად გამოაცხადა, ხოლო „დიდა მარქსისტმა“ ს. ორჯონიკიძემ მაუზერის ტარით დააკვალანა.

ქართველებს ჰკითხეს რაიმე? 1922 წ. 30 დეკემბერს შერეკეს ახალი გაერთიანების, საბჭოთა სოციალისტური კავშირის, შემადგენლობაში. ქართველებმა თავს ვერ უშველეს და აფხაზებს უშველიდნენ? დღეს იოლია აფხაზთა ყველა უბედრეება, რუსეთის საბჭოთა ხელისუფლებას კი არა, ქართველებს დაბრალდეთ. მაგრამ ხომ არის სიმართლეც?

მცირე განმარტება: საბჭოთა კავშირის შექმნის მთავარ ავტორად ი. სტალინს წარმოიდგენენ. ასე აწყობდათ რეალურ ავტორებს. იმ პერიოდში სტალინი არ იყო ისეთი გავლენის მქონე, რომ გადამწყვეტი როლი შეესრულებინა. (საილუსტრაციოდ: მიეთითება, რომ მან 1923 წ. საბჭოთა კავშირს ფედერაციული გაერთიანება უწოდა და ეს აღარ გაუმეორებია. რატომ?). რაც შეეხება 30-იანი წლების რეპრესიებს, ერთმა ბრძენმა რუსმა ბრძანა: რა, 6,5 მილიონი დაბეზღების და ტროცკიზმის დაბრალების წერილი სტალინმა დაწერა?

მტკიცება იმისა, რომ ე.წ. სოციალისტური გარდაქმნების პერიოდში ადგილი არა ქჰონდა ბოროტებას, შეცდომებს, გადახვევებს და ა.შ., არამართებული იქნება. მათ შორის ეროვნებათ შორისი ურთიერთობის საკითხებში. გასახსენებელია, რა ზემოთ შეიქმნა კარელია-ფინეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, როგორ ჩამოაქვეითეს ავტონომიურ რესპუბლიკად და თუ ახსოვს ვისმე მისი არსებობა? დღეს ეს მურმანსკისა და პეტროზავოდსკის რუსული მხარეა. თუ იციან კავკასიელებმა (აფხაზ-ქართველებმა), რომ ყოველ წელს ათასობით ფინელი ჩადის, რათა კოლის ნახევარკუნძულზე ფინური ატმოსფერო შენარჩუნდეს. დღეს იმ მხარეში, კოლას უბეში, მურმანში, მინჩეგორსკში, ოლენოგოსკში და ა.შ. ფინელს ვედარავინ ნახავს ისევე, როგორც ვერ ნახავენ აფხაზებს მდ. ფსოუდან მოყოლებული ანაპის კონცხის ჩათვლით. არა და ეს გრძელი სამოთხე არის ისტორიული ჩრდილოეტი აფხაზეთი.

საბჭოთა რუსეთის ხელისუფლება მიზანმიმართულად არუხებდა აფხაზეთის ჩრდილოეთ მხარეს, ამწვაებდა ვითარებას სამხრეთ აფ-



ხაზეთში (ავტონომიურ რესპუბლიკაში) და ყოველგვარ ნეგატიურ მოვლენას ქართველობას მიაწერდა.

განსაკუთრებით გააქტიურდა აფხაზეთში ანტიქართული პოლიტიკა ჭეშმარიტად გენიოსი ავანტიურისტის ნ. ხრუშჩოვის იმპერატორობის დროს. 1956 წ. მიიღო კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დოკუმენტი საქართველოში ნეგატიური მოვლენების აღმოფხვრის მიზნით. შემუშავებული იქნა პროგრამა რომელიც „მოვინისტი, აგრესორი“ ქართველებისაგან რუსეთის ერთგული (ე.ი. ინტერნაციონალისტი) აფხაზების დაცვას ისახავდა მიზნად. პროგრამა, აუცილებლობის შემთხვევაში, ქართველების გაციმბირებას არ გამორიცხავდა.

აბა რა. როდესაც რუსეთმა მდ. დონი გადალახა და იქიდან ადიღ-ჩერქეზების აყრა მოახდინა, ხომ ჩაასახლა იქ ზაპოროჟიელი კახაკები. შექმნა დონის კახაკთა მხარე. როდესაც მდ. ყუბანის მიდამოები დაიკავა, ხომ ჩაასახლა რუსები და ყუბანის კახაკთა მხარე ჩამოაყალიბა. როდესაც მაჰაჯირობის მოტივით, ჩრდილო აფხაზეთიდან კავკასიელები განდევნა, ხომ წარმატებით გაარუსა მდ. ფსოუდან მდ. ყუბანამდე? საერთოდაც, მოჯანყე ეთნოსი უნდა ჩაკეტო, ალყაში მოაქციო და თუ არ დაგემორჩილება, გაასახლო ან მოსპო. პირველ რიგში, ურჩ ქართველებს ზღვაზე გასასვლელი უნდა ჩამორთმეოდათ. ამ ამოცანას ემსახურებოდა მეგრელების, გურულების, აჭარლების „ეროვნული“ მეობის გაღვიძების ღონისძიებანი. აფხაზებზე აღარაა მსჯელობა. ადვილად მოხერხდა მიმდობი, თავმოყვარე აფხაზების აყოლიება. შედარებით იოლად გადაიტანეს ეთნოსის ყურადღება მდ. ფსოუს ჩრდილოეთის ტერიტორიებიდან ე.წ. სამურზაყანოზე. ხედავთ? აგრესორი ქართველები (მეგრელები) მასობრივად უსახლდებიან აფხაზებს, იკავებენ კარგ ადგილებს, ცდილობენ მმართველობის სფეროშიც შემოსავლიანი და პრესტიჟული ადგილების დაკავებას. ჭეშმარიტმა აფხაზებმა თავი უნდა დაიცვან უტიფარი მეგრელებისაგან. (მართალია მეფის რუსეთის დროს მეგრელები სხვა ეთნოსად ითვლებოდნენ, ქართველები სულ სხვა, მაგრამ საბჭოთა პერიოდში ხომ მოხდა მათი გაერთიანება, აფხაზთა დამონების მიზნით).

აფხაზები არ უნდა შედრკნენ. მათ გვერდით ჰუმანური რუსეთია. რუსები არ მისცემენ აფხაზების დაჩაგვრის უფლებას. მთავარი მონდომებაა. საბაბი მუდამ გამოინახება. ასე გეგმიურად წარიმართა აფ-



ზაზთა ქართველებთან დაპირისპირების საქმე. 1957-8 წლები, 1967-8 წლები, 1977-8 წლები, 1987-8 წლები. შედეგად 1992-1993 წწ. საომარი მოქმედებანი აფხაზეთის ტერიტორიაზე, რომლის შედეგად მოგებული რუსეთი გამოვიდა.

დამატებით, მცირე დეტალი, საიდანაც დიდი დასკვნა გამომდინარეობს: საბჭოთა კავშირის არსებობის დროს მოსკოვში, კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში, წარმატებით ფუნქციონირებდა აგიტაცია-პროპაგანდის სექტორი, იგი სწავლობდა სახელმწიფოში მოსახლე ეთნოსების მეობას, ისტორიულად ჩამოყალიბებულ ურთიერთობებს, არსებულ წინააღმდეგობებს და შესაბამის რეკომენდაციას აწვდიდა იდეოლოგიური დარგის მდივანს.

საკითხების შესწავლა ხდებოდა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ინსტიტუტების მეშვეობით. მოსკოვში ფუნქციონირებდა სამი, ურთიერთდამოუკიდებელი, სპეციალური კომისია. თვალის ასახვევად მათ მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდის კომისიები ერქვათ. სინამდვილეში, ამ ცენტრებში თავს უყრიდნენ და ანალიზს უკეთებდნენ საკითხებს, თუ როდის, რომელი ეთნოსი ან მისი ნაწილი უნდა შეჯახებოდა სხვას, რა მოტივით, რით უნდა დასრულებულიყო ყოველივე და ა.შ.

ერთი ასეთი კომისია ფუნქციონირებდა საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემიასთან, მეორე, მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტთან და მესამე ისტორიის ინსტიტუტთან. ისინი თავის დასკვნებს აგზავნიდნენ აგიტაცია-პროპაგანდის სექტორში, ის ცკ-ის მდივანთან, ეს უკანასკნელი მოახსენებდა პოლიტბიუროს და მიიღებოდა გადაწყვეტილება.

ავტორს, ერთი კომისიის თავჯდომარე, ცნობილმა გ. ტრაპეზნიკოვმა, გაანდო თავისი მიღწევის შესახებ: საკითხი შეეხებოდა XX ს. ოთხმოციან წლებში ინგუშთა და ოსთა კონფლიქტს, ოსების მიერ მიტაცებული ტერიტორიის ირგვლივ. თავი მოიწონა მისი დაგეგმვისა და დარეგულირების შედეგების სიზუსტით. არ დაუმაღლავს შუა აზიამში (თავად ქ. ტაშკენტიდან იყო) დაგეგმილი ვარიანტების არსებობა. არც ის, რომ 1985 წ. თებერვალში დაგეგმა ტოპონიმების ირგვლივ აფხაზ „უკმაყოფილოთა“ გამოსვლები მაისის თვეში. (ეს გამოსვლები მაისში მართლაც დაიწყო, მაგრამ ივნისში ე. შევარდნაძის პოლიტბიუროს წევრად გადაყვანის, შემდეგ საგარეო საქმეთა მინისტრად დანიშვნის



გამო, დროებით შეწდა). გ. ტრაპეზნიკოვს არც ის დაუმაღლავს, რომ მან შეადგინა აფხაზთა სახელით, მიმართვა მოსკოვში ცენტრალური კომიტეტში. მიმართვის ეს ტექსტი მან ჩააბარა აფხაზ ი. მარხოლიას. (ი. მარხოლია მოგვიანებით ცნობილი გახდა, როგორც ამ მიმართვის ავტორი ი. მარიხუბა).

ალარაა საჭირო გახსენება, რომ ეს წერილი, როგორც აფხაზი მოსახლეობის პროტესტის გამოხატულება, გაიგზავნა მოსკოვში, ხოლო 1989წ. მარტში საფუძვლად დაედო აფხაზთა ლიხნის სახალხო შეკრებას. წერილმა ბიძგი მისცა აფხაზთა და ქართველთა შეურიგებელ დაპირისპირებას, რაც ბოლოს სისხლისღვრაში გადაიზარდა.

გ. ტრაპეზნიკოვმა მტკიცედ დაიცვა აფხაზი ძმები აგრესორი ქართველებისაგან. და ასე რამდენი?

აფხაზებსა და ქართველებს, ათასწლეულების მანძილზე, ბევრი საერთო ახსოვთ. გ.ვ. ჰეგელის დიალექტის კანონის თანახმად, ასე წარიმართა ცხოვრება:

დაპირისპირებულთა ერთობისა და ბრძოლის კანონის მოქმედებისას აფხაზ-ქართველთა შორის ერთობა იყო არსებითი, წინააღმდეგობრივი ჰქონდა ფორმა. მხოლოდ XX ს. შეიცვალა გაორებული ერთის მხარეთა მნიშვნელობა. წინა პლანზე წინააღმდეგობამ და ბრძოლამ წამოიწია. საუკუნის ბოლოს შედეგიც შესაბამისი დადგა.

რაში ვერ შეთანხმდნენ (რუსეთის ჩარევის შედეგად) აფხაზ-ქართველები? რა იყო მათი შეურიგებლობის ძირითადი?

— აფხაზებს მიაჩნდათ (და მიაჩნიათ), რომ მათი ადიღურ-აფხაზური ეთნიური ერთობა უძველესი დროიდან მოდის და ქართველები ამას არ აღიარებენ. ამით აფხაზთა ისტორიას აკნინებენ. ისტორიას ართმევენ, ჰყოფენ ორ ეთნოსად ადიღებად და აფხაზებად.

— ქართველები მიიჩნევენ (და მიიჩნევენ), რომ აფხაზები მონათესავე ეთნოსია, საჭიროა მათთან მჭიდრო ურთიერთობა და საერთო მომავლის შენება. თუნდაც ადიღ-აფხაზებთან ერთად!

ჰუმმარიტების დადგენა, მოკლე ისტორიულ კვლევას მოითხოვს.



## ადიღები

ისტორია არა მხოლოდ წარსულია, აწმყოზე ზემოქმედების ძალაცაა. როცა აწმყოს განხილვას არ ახლავს წარსულის ჭეშმარიტი ცოდნა, შედეგი ნაკლოვანია.

საბჭოთა პერიოდში კიდევ ერთი ფაქტორი მოქმედებდა: ხელისუფლების მიერ დადგენილი თვალსაზრისის გაზიარების აუცილებლობა. არა წარსულის განქიქების მიზნით, არამედ გასათვალისწინებლად, რატომაა გარდაუვალი წინა თაობების სამეცნიერო პროდუქციის კრიტიკული გააზრება.

ითქვა ცნობილი მეცნიერი ი. დიაკონოვის დებულებაზე, ბალკანეთის ნახევარკუნძულიდან მცირე აზიასა და შემდეგ კავკასიაში ადიღ-აფხაზთა მასობრივი მიგრაციის შესახებ. ამ დებულებას, აფხაზ-ქართველთა შორის, ბევრმა მკვლევარმა აუბა მხარი.

XX ს. პირველ ნახევარში პოპულარული და გავრცელებული იყო ბატონი დ. გულიას კონცეფცია. იგი არა ცნობდა ადიღთა და აფხაზთა ეთნიკური ერთობის იდეას.

დ. გულიას კონცეფციის უკუგდების კვალობაზე დაიწყო ადიღ-აფხაზთა ერთობის შესახებ დასკვნის პოპულარიზაცია. დღეს, აფხაზ მკვლევართა შორის კამათს არ იწვევს აზრი, რომ ადიღები და აფხაზები ერთი ეთნოსის ორი ნაწილია. დასტურად ისიც კმარა, რომ აფხაზების ენა ადიღურის ერთი შტოა, ორი, გუდაუთური და ოჩამჩირული დიალექტის სახით. სხვანაირად ფიქრიც მკრეხელობაა და აფხაზი ეთნოსის შეურაცხყოფის ცდაა.



თვითგამორკვევისა და სხვათა გარკვევის (და არა ვინმეს დამცირება, შეურაცხყოფის) მიზნით საჭიროა საკითხის, ოღნავ მაინც ობიექტური კვლევა.

ანალიზის აუცილებლობა განაპირობა ერთმა უცნაურობამ: აფხაზი მკვლევარები დაბეჯითებით უსვამენ ხაზს მათ ენობრივ, ეთნიურ და ისტორიულ კავშირებს ადიღებთან. ადიღი და ადიღებთან დაკავშირებული პრობლემატიკის მკვლევარები, გვერდს უვლიან მათი აფხაზებთან ერთობის საკითხს. (მხედველობაშია ტენდენცია და არა ერთეული ცნობები).

საერთოდ, როგორია ადიღთა ისტორიის მონაცემები? აფხაზთა შესახებ ზღვა ლიტერატურა არსებობს. იგივე არ ითქმის ადიღებზე. ამავე დროს ეს ორი ლიტერატურა წინააღმდეგობრივია.

როგორ უნდა იქნეს გაგებელი ასეთი ვითარება: ადიღებზე, ავტორთა კოლექტივის შექმნილ, ფუნდამენტურ-აკადემიურ გამოცემაში აღნიშნულია, რომ “Самые ранние сведения об адыгах в документах относится к XIII веку...” (Очерки истории Адыгеи, Майкон, 1959 стр 6).

ნაშრომის ავტორები აღნიშნავენ, რომ მთელი ოცი წლის მანძილზე მიმდინარეობდა ფუნდამენტურ გამოკვლევაზე მუშაობა, მასალების მოძიება და XIII საუკუნეზე ადრეული დოკუმენტებს ვერ მიაკვლიეს. შედარებით ფართოდაა ეთნოსის ისტორია წარმოდგენილი XVI საუკუნის შემდეგ. ადიღთა რეალური ისტორიის შექმნა-გადმოცემა XIX ს. კუთვნილებაა.

ამ შემთხვევისათვის, არსებითი მნიშვნელობა არა აქვს ავტორთა ამ კოლექტივის ნაყოფიერი შრომის შედეგს, სადაც გადმოცემულია ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის არქეოლოგიური შესწავლის შედეგები. მხოლოდ დასამახსოვრებელია, რომ შედეგები მართლაც შთამბეჭდავია. კვლევა მოიცავს პერიოდს უძველესი დროიდან მოყოლებული, ადიღეველების რუსეთთან შეერთებამდე.

ამ მხარეში მდიდარი არქეოლოგიური მასალის მოძიება მნიშვნელოვანია, დასამახსოვრებელია, მაგრამ საკითხავია: ვისი, რომელი ტომების, რომელი ეთნოსების შემოქმედების ნაყოფია ეს მასალა?

მოვა დრო და მასზე ითქმება ობიექტური მონაცემების საფუძველ-



ზე, მაგრამ მტკიცება, რომ ეს გსურთ თუ არა ადილთა დანატოვარია, — არ შეიძლება. თუ არ იცი ამ ტერიტორიაზე როდის, რომელი ეთნოსი ცხოვრობდა, მტკიცება უსაფუძვლოა.

ერთი აზრიც გასათვალისწინებელია: ბევრი მიიჩნევს, რომ ძვ.წ.ა. VIII ს. არსებული სინდებისა და მეოტების ტომები, შეიძლება დაუკავშირონ ადილებს, ადილების წიანპრებად მოიაზრონ. დაუსაბუთებელი მოაზრება კი მეცნიერულ დასაბუთებად არ გამოდგება.

დასაბუთებული მხოლოდ ისაა, რომ XVIII ს. ბოლომდე ადილები ნახევრად მომთაბარე ცხოვრებას მისდევდნენ.

დასამახსოვრებელია დასკვნა: ავტორთა კოლექტივის ოცწლიანი შრომა-ძიებით დადგინდა, რომ ადილთა შესახებ უძველესი ცნობები განეკუთვნება XIII საუკუნეს. რატომ არა უფრო ადრეულ პერიდს?

ბერძნულ-რომაული წყაროები ძვ. წ. ა. VI საუკუნიდან მოყოლებული არსებულ და ცნობილ ტომებს ასახელებენ, ადილებს კი არა. როგორ მოხდა რომ ყველაზე უფრო ძლიერი ეთნოსი აზოვისა და შავი ზღვების აღმოსავლეთ პირეთში ცნობილ მოგზაურებს, გეოგრაფ-ისტორიკოსებს გამოეჩინათ. იყვნენ თუ არა ძველ პეიროლში ადილები იმ მხარეში?

მკვლევართა რეალური დასკვნა ასეთია: XVI საუკუნეში “...адыги еще считали степи по правому берегу Кубани своими землями...” (გვ. 147).

საკითხავია, თუ ადილეველები XVI საუკუნეში ჯერ კიდევ მდ. ყუბანის მარჯვენა მხარის სტეპებს მიიჩნევდნენ თავიანთ მშობლიურ მიდამოდ და ამის შემდეგ გადადიან მდინარის მარცხენა მხარეს და თანდათანობით ითვისებენ მას, კავკასიონის ჩრდილოეთი კალთების ჩათვლით, სად ცხოვრობდნენ ისინი ამ დრომდე? საიდან და როდის მივიდნენ ისინი ყუბანისპირეთში? კითხვები ბევრია.

აკადემიური ხასიათის ნაშრომი დაწვრილებით ჩამოთვლის ადილეური წარმოშობის ტომებს, მათი გეოგრაფიული განსახლების საზღვრებს 19-20 საუკუნეებში, ახასიათებს არსებულ დიალექტებს, მაგრამ არაფერს ამბობს აფხაზების ადილობაზე, მათ საერთო წარმომავლობაზე, თანაცხოვრებაზე. საუბარი ადილთა სამხრეთ კავკასიაში, მცირე აზიაში სახლობისა და აქედან ჩრდილოეთ კავკასიაში გადასვლის





შესახებ, მინიშნებითაც არაა, რეალური საფუძველი რომ ჰქონოდა ამ ვერსიას, ეჭვი არაა ავტორთა კოლექტივი მას ყურადღების გარეშე არ დატოვებდა.

და მაინც, როდის და საიდან ჩნდებიან ადიღები მდ. ყუბანის მარჯვენა მხარის სტეპებში? ამ კითხვაზე თუ მოიძებნა პასუხი, ნათელი მოეფინება ადიღთა აფხაზებთან ერთობის ძირითად საკითხს.

სამწუხაროდ, მწირია ლიტერატურა ადიღების შესახებ. რაც არის, ძირითადად 16-18 საუკუნეებს და მომდევნო ხანას მოიცავს. ერთადერთი გამონაკლისს წარმოადგენს მ. პოკროვსკის ნაშრომი, რომელიც ამბობს, რომ ადიღები პირველად 965 წ. მოიხსენიებიან. უფრო ზუსტად, რუსულ ანალებში ამ წელს ნახსენებია ე.წ. „კასოგები“ (касоги). საინტერესოა, კასოგები ადიღებია თუ არა, ესაც არ იცის ავტორმა. ისე წერს, ადიღები მოხსენიებული არიან „კასოგების“ სახელით. იქვე აგრძელებს, რომ ადიღები სინამდვილეში 18 ს. ბოლოდან ხდებიან ცნობილები. (Покровский М. Б. Из истории Адыгов в конце XVIII – первой половины XIX века. Краснодар, 1989, стр 13.)

საკითხავია, 18 ს. ბოლოს თუ კავკასიის ჩრდილო-დასავლეთი და მდ. ყუბანის პირეთის დაბლობი ადიღებს ეკავათ, განა ეს გამოდგება იმის მტკიცებულებად, რომ ამ მხარეში ადრე მაცხოვრებელი ტომი იგივეა?

მეტი სიცხადე შეაქვს საკითხში ა. ნეკრასოვს. მისი მტკიცებით, ადიღების განსახლების, ტომობრივი დაყოფის, სოციალურ-ეკონომიკური წყობის შესახებ 15 ს. ბოლოდან მოყოლებული, ცალკეული ცნობები არსებობს. მათზე დაყრდნობით შეიძლება მტკიცება, რომ 16 ს. დასაწყისისათვის ადიღები ჯერ კიდევ სახლობდნენ მდ. დონის ზღვასთან შესართავის მიდამოებში, აზოვის ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროსთან. ამის შემდეგ, სავარაუდოდ ყირიმის თათრების მხრივ ძალდატანების გამო მიგრირებენ სამხრეთით. გადასახლების შემდეგ ადიღები იკავებენ ტერიტორიებს სავარაუდოდ ტუაფსემდე სამხრეთით და ხუთგორამდე (პიატიგორსკამდე) აღმოსავლეთით. (“В последней четверти XV – первой половине XVI в. адыги населяли обширную территорию. С запада она ограничивалась черноморским побережьем и приблизительно до начала XVI в. включала



восточное побережье Азовского моря к юго-западу от устья Дона. В первой половине XVI в. адиги, вероятно под давлением крымских ханов, уходят из приазовья на юг...” Некрасов А. М. Международные отношения и народы Заладного Кавказа М. 1990, стр27.)

იმ პერიოდში აფხაზეთი ჯერ კიდევ ანაპის კონცხამდე და მდ. ყუბანის მარხცენა ტოტის ზღვასთან შესართავამდე ვრცელდება. ანაპის მიდამოებს ტუაფსემდე ადილები 16 ს. ბოლოს იკავებენ და ამყარებენ ურთიერთობას აფხაზებთან.

ამავე დროიდან ხდება საქართველო, თურქეთის ექსპანსიის ობიექტი.

ცნობილია, რომ თურქეთმა ბიზანტიის იმპერიის განთქმული დედაქალაქი კონსტანტინეპოლი 1453 წ. დაიკავა. ამის შემდეგ მათი აგრესია ძირითადად ევროპისკენაა მიმართული, მაგრამ არც კავკასიის ეთნოსებია ყურადღების გარეშე. 1461 წ. ტრაპეზუნტის იმპერიის დაპყრობის შემდეგ, თურქები საქართველოს უშუალოდ დაემუქრნენ. მით უფრო, რომ ირანთან გამარჯვების შემდეგ მთელი მცირე აზია მათ დარჩათ და შესაძლებლობა მიეცათ შეტევა ჩრდილოეთით განევითარებინათ.

თურქეთის გავლენის სფეროს მალე ყირიმის სახანო დაექვემდებარა. ამის შემდეგ თურქები და ყირიმელი თათრები ერთად უტევენ ჩრდილოეთით მოლდავეთ-პოლონეთს, იკავებენ უკრაინის სამხრეთ მიწებს და აზოვის ზღვას აქცევენ იმპერიის ფარგლებში. 1475 წ. თურქეთმა დაიკავა და გაამაგრა ყოფილი ადილების ციხე ტანა (აზოვად წოდებული ციხე-სიმაგრე), დონის ზღვასთან შესართავის მხარე და ადილები აიძულა სამხრეთით გადასახლებულიყვნენ.

თურქეთის ძლიერებით ზურგამაგრებული ყირიმის ხანი, კავშირს ამყარებს რუსეთთან და ცდილობს მათთან ერთად ოქროს ურდოს დამარცხებას.

1479 წ. თურქებმა აზოვის და შავი ზღვის აღმოსავლეთ მხარეს შეუტეეს. სწორედ ამ ლაშქრობის დროს, ადილების მიწებთან ერთად, თურქებმა ანაპის მიდამოები დალაშქრეს, პლაცდარში შექმნეს, აქედან აღმოსავლეთის გზის გასაკვალად შუა აზიისაკენ. შუა აზიის ეთნოსთა



შორის უძლიერესნი, უზბეკები, ტადიციულად თურქების მოკავშირენი იყვნენ ირანის იმპერიასთან ბრძოლის დროს.

თურქების აგრესიის ძირითადი მიმართულება ევროპაა, მაგრამ არც კავკასიის ჩრდილოეთია დავიწყებული. ამიტომ ჩრდილო კავკასიის დასავლეთი მხარე ამ დროიდან მოყოლებული ყირიმის თათრებისა და თურქების საასპარეზო ხდება.

თავის მხრივ, ადიღები, პერიოდულად, ყირიმელი თათრების და თურქების მოკავშირეობასაც თანხმდებიან. ასე, მაგალითად, 1516 წ. მათი გაძლიერებული რაზმი, ზღვით გადადის თურქების დასახმარებლად. ბრძოლები წარმოებდა ირანთან სამცხე-საათაბაგოს დასაუფლებლად.

ადიღებისათვის ძირითადი საზრუნავი მაინც თავდაცვაა. აღმოსავლეთიდან ასტრახანის სახანო და ნოღაელთა ურდო, დასავლეთიდან თურქეთი და ყირიმის სახანო მუდმივად ცდილობენ კავკასიის ჩრდილოეთის დაბლობების დაკავებას. ადიღები თავის მხრივ იძულებულნი არიან ეძიონ ახალი მოკავშირენი. ისტორიული ცნობის თანახმად, 1523 წ. მუჰამედ გირეის სარდლობით ყირიმელთა შესვვის დროს, ადიღელთა მოკავშირედ ეგრისელები ჩანან. მათი წინამძღოლია დადიანი. არ უნდა იყოს შემთხვევითი მოვლენა დადიანების და ეგრისელების ჩრდილოეთით ლაშქრობა. მართალია მათ თურქეთმა წაართვა სტრატეგიული დანიშნულების კონცხი, ანაპის მიდამოები, ტუაფსემდე უკან დაახევინა, მაგრამ ეგრისის (აფხაზეთის) ჩრდილოეთს დაცვა სჭირდებოდა.

კავკასიის ჩრდილოეთისათვის ბრძოლაში გაძლიერებული ირანი იწყებს აქტიურ მოქმედებას. 1538 წ. ირანმა დაიპყრო შირვანი, დაიკავა დარუბანდის (ადრე ალბანეთის) გასასვლელი, შექმნა საფუძველი დაღესტანზე და იქიდან ადიღებზე შეტევისათვის.

საპასუხოდ, ყირიმის ხანი სახიბ გირეი, იწყებს დიდ ლაშქრობას ასტრახანის მიმართულებით. გზად მან ადიღები დაიმორჩილა და 1546 წ. ასტრახანის აიღო. თურქეთმა და ყირიმის ხანმა არ მისცეს საშუალება ირანს, გადაეჭრა თურქეთ-უზბეკეთის დამაკავშირებელი გზა.

ადიღები იძულებული გახდნენ დახმარება და მეგობრობა ძლიერების გზაზე დამდგარი რუსეთისათვის ეთხოვათ. მათმა ნაწილმა მიიღო რუსეთის მფარველობა. 1557 წ. ადიღების მთავარი თემრიუყ



იდაროვი, მოყვრობით დაუკავშირდა ივანე მრისხანეს, მისით გაძლიერდა და თამამად შეუტია მეზობლებს. მათ შორის სამხრეთით მცხოვრებ ეგროსელებს. რაჭველები, სვანები, აფხაზები იმ დროისათვის ჯერ კიდევ დიდ ტერიტორიებს ფლობდნენ ჩრდილოეთ კავკასიაში.

თავად რუსეთი, ხანგრძლივი დროის განმავლობაში განიცდიდა მომხდურთა მხრივ ჩაგვრას. ცნობილია, რომ მონღოლების ავანგარდმა სუბუდაისა და ჯებეს სარდლობით, საქართველოს ჯარების დამარცხების შემდეგ, დერბენტის გასასვლელით ჩრდილოეთში ილაშქრა. 1223 წ. მათ რუსები დაამარცხეს მდ. კალკასთან, მაგრამ გამარჯვებით არ უსარგებლიათ, კასპიის ზღვას შემოუარეს და შუა აზიაში შეუერთდნენ ძირითად ძალებს. რუსეთის და ევროპის დასაპყრობად დიდი ლაშქრობა მონღოლებმა 1237 წ. დაიწყეს ბათო ყაენის დროს.

მონღოლების მორჩილი რუსეთი თანდათან ძალას იკრებს და 1380 წ. უკვე კულიკოვის ველზე ცდილობს ისტორიული ბედის შეტრიალებას. 1382 წ. თოხთამიშ ხანი ლაშქრობს რუსეთზე. მან აიღო და გადაწვა მოსკოვი. რუსების სასახელო გმირი დიმიტრი დონელი იძულებული ხდება ხარკის გადახდაზე დათანხმდეს.

რუსეთი თავის მხრივ ცდილობს გაერთიანებას და მონღოლთა გავლენისაგან გათავისუფლებას. ამ მხრივ ძალზე წარმატებული ივანე III (1462-1505 წწ.). მან მოახერხა მეზობელი მხარეების შემოერთება და სამეფოს საზღვარმა ქვემო ნოვგოროდს და იაროსლავს უწია.

იმავე პერიოდში ოქროს ურდო დაიშალა. ცალკე ერთეულებად ჩამოყალიბდა დიდი ურდო. მალე მას ასტრახანის სახანო გამოეყო. ცალკე შეიქმნა ციმბირის სახანო. კასპიისპირეთი ნოღაელების ურდოს დარჩა.

ისტორიულად ცნობილია, რომ რუსეთისათვის და პირველობისათვის ბრძოლაში აქტიურ მონაწილეობას ლიტვის დიდი სამთავრო და პოლონეთის სამეფო ღებულობდნენ.

ამდენ მტაცებელთან ბრძოლებში რუსეთი გამოიწრთო. თუ 1470 წ. მტრებმა მოსკოვი გადაწვეს, ხუთი წლის შემდეგ რუსეთი თავად იწყეს შეტევას. ივანე მრისხანეს პერიოდიდან მოყოლებული მისი გავლენა ყაზანისა და ასტრახანის სახანოებზე ვრცელდება. მათი შეერთების შემდეგ, რუსეთმა ყურადღება თბილ მხარეს, ჩრდილოეთ კავკასიას



მიპყრო. მალე მისი გავლენით ადილები სარგებლობენ და მოკავშირის უფლებით გათამამებული იწყებენ მეზობლების, მათ შორის აფხაზეთის მხარის აკლება-დაკავებას.

მიზანი არაა ადილების ტომთა შემადგენლობის, ტერიტორიული განფენის (გადაადგილებების), ცხოვრების ხასიათის, ადამიანების და სხვა მაჩვენებლების განხილვა.

თავად ადილები, ჩრდილოეთ კავკასიის ეთნოსებს შორის, ადილელებად მიიჩნევენ ყაბარდოელებს, ბესლენელებს, თემირგოელებს, ხატუკაელებს და ხეგაიკებს. ბჟედუგებს, მახოშეველებს, ჟანელებს ჰქონდათ საერთო სახელი აბაზა. აბაზები ერთ ადგილს არა მკვიდრობდნენ... რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში ყოფნისას მოხერხდა მათი მყარად დასახლება.

ადილთა მძლავრი ტომები თავის მხრივ წვრილ ერთეულებად იყოფოდნენ და ხშირად ერთი-მეორესაც მტრობდნენ. ვითარებაში, როდესაც მეკობრეობა, დატაცება, ტყვეების მოპოვება და გაყიდვა შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენდა, ადილები განცალკევებულ კარჩაკეტილ ცხოვრებას მისდევდნენ.

მრავალ ტომთა შორის აფხაზებთან ახლოს აბაზები (აბაზები) სახლობდნენ. ამიტომ საჭიროა ორიოდე წინადადებით მათი დახასიათება.



## აბაზები\*

ადილებთან დაკავშირებით, მწირი მიმოხილვის მიზანი იყო იმის დაზუსტება, ისინი რამდენად არიან აფხაზები, რამდენად სანდოა მტკიცება მათი სამხრეთიდან ჩრდილოეთ კავკასიაში მიგრაციის შესახებ. ნათელი გახდა რომ ადილები არ შეიძლება ჩაითვალოს კავკასიის უძველეს მოსახლეებად. ისინი არც ბალკანეთიდან არ მოსულან მცირე აზიაში, აფხაზებთან ერთად და ასეთი ვერსია საერთოდ საფუძველს მოკლებულია.

არსებული წერილობითი მასალა ადასტურებს ადილთა შორის გავრცელებულ აზრს, მათი შავი და აზოვის ზღვების ჩრდილოეთი მხრიდან ყუბანისპირეთში XV ს. ბოლოს და XVI ს. პირველ ნახევარში გადმოსახლების შესახებ.

როდის და საიდან მოხვდნენ ადილები შავი და აზოვის ზღვების ჩრდილოეთ მხარეში. მომავალი კვლევების საკითხია. ამ შემთხვევაში საჭიროა აბაზას ტომის (აბაზების) აფხაზებთან ურთიერთობის გარკვევა.

წერილობითი წყაროების არ არსებობა ართულებს აბაზების შესახებ ჭეშმარიტების დადგენას. არსებული ლიტერატურა კარგ განხილვას საჭიროებს. ერთი რამაა უდავოდ აღიარებული: აბაზები, როდესაც ცნობილნი ხდებიან ისტორიისათვის, სახლობენ აფხაზების ჩრდილოეთით. მე-16 საუკუნემდე იცვლიან საცხოვრებელს, გადადიან

---

\* რუსულ სამეცნიერო ლიტერატურაში მოიხსენებიან აბაზინებად.



კავკასიონის ჩრდილოეთ მხარეს და იკავებენ მდ. კეფარა, ურუპის, ბეჟგონა, ლაბას აუზების მიდამოებს. მათი წარმომავლობა უცნობია, მტკიცება მხოლოდ იმისი შეიძლება, რომ დიდი მონაწილეობა მიიღეს ადიღი ეთნოსის ფორმირებაში. ადიღების შესახებ ფუნდამენტური გამოკვლევის შედეგად დადასტურდა, რომ „...абазынцы сыграли видную роль в формировании адыгов,“ (Очерки истории Адыгеи... майкоп 1952. стр.154)

საინტერესოა, რომ აბაზებს „აბხაზური ხალხების“ საერთო სახელწოდებად მიიჩნევენ. მხოლოდ ეგაა, ვერ განმარტავენ, რას ან ვის გულისხმობენ გაერთიანებულ „აფხაზურ ხალხებში“. ამ ხაზით ვერაფერს ამბობენ, სანაცვლოდ ხაზს უსვამენ, რომ აბაზებს წეს-ჩვეულებები და ცხოვრების ნირი ადიღური აქვთ. ისმის კითხვა, თუ აბაზები აფხაზ ხალხთა საერთო სახელია, მაშინ მათ საერთო აფხაზებთან უნდა ჰქონდეთ თუ ადიღებთან? მით უფრო, რომ არც ერთის ენა აფხაზური არაა.

აბაზების მიკუთვნება აფხაზებისადმი ისევე არ შეიძლება, როგორც ადიღებისა. თუმცა ჩრდილო კავკასიაში აბაზები ცხოვრობენ ადიღთა გარემოცვის პირობებში. ისინი იკავებენ მდ. ლაბის, ურუპის, ყუბანის ხეობებს. აქ ისინი სახლობენ, თემურ ლენგის თარემის შემდეგ, დაცლილ ტერიტორიებზე. თუ ადიღები აქ ჩამოდიან აზოვის ზღვის აღმოსავლეთი ტერიტორიებიდან, აბაზიანები მოდიან შავი ზღვის აღმოსავლეთის მხრიდან.

ავტორთა ნაწილის აზრით ყაბარდოელები (ადიღების ყველაზე ძლიერი ჯგუფი) ყირიმიდან გადასახლდნენ მდ. ყუბანის პირეთის დაბლობში, ხოლო აბაზიანები შავი ზღვის პირეთში.

“...существуют предания которые гласят, что племена “адыге”, как называют сами себя черкесы, переселилось с северных берегов Черного и Азовского морей и заняли восточный берег, значительную часть обоих склонов Кавказского хребта и Кубанскую равнину”. ( Ф. С. Краснльников Кавказ и его обитатели. М. 1919, стр. 55).

აბაზები, მკვლევართა მიერ არ მიიჩნევიან ადიღთა შორის. ამავე დროს ისინი არც აფხაზთა ახლობლებს არ მიეკუთვნებიან. თავის თავს ისინი უწოდებენ „აბაზა“. გარშემო სხვა ტომებიც იცნობენ მათ



ამ სახელით. გამონაკლისს წრმოადგენენ აფხაზები. ისინი აბაზებს უწოდებენ „აში“. შეიძლება მომავალში ამ სახელმა მეტი სიცხადე შეიტანოს აბაზთა ისტორიაში. თანამედროვე ეტაპზე კი მიჩნეულია, რომ ისინი თავს „აფსუა“-დ არ აღიარებენ.

“Сообщение... что абазинцы... себе называют также “апсуа”, то есть абхазцы... не соответствует действительности”( Народы Карачаево-Черкесии. Ставрополь, 1957, стр. 84).

საკითხში სიცხადე შეიძლება ცნობილმა რუსმა ისტორიკოსმა ვ. ტატიშჩევმა შეიტანოს. იგი ამბობს: “Абазы, есть народ татарской по Куме и в горах до вершин Кубани” (Таттщов Б. Н. История Российская т 1., м – л, 1962, стр. 240)

ყოველ შემთხვევაში მათი აფხაზობა ჯერ კიდევ დასამტკიცებელია, რაც მომავალში ღრმა კვლევას მოითხოვს, დამტკიცებული ისაა, რომ სავარაუდოდ XVI ს, ადიღთა გამორჩეული თავადი (მთავარი) ინალი, როდესაც იგი ჩრდილოეთ აფხაზეთის დაპყრობას გეგმავდა, წინასწარ შეუთანხმდა აბაზთა თავადებს (მთავრებს) აშეს და შაშეს და მათი მხარდაჭერით ილაშქრა წარმატებით. (ზოგი მკვლევარი აშე-შაშეში შარვაშიძეებს მოიაზრებს, რაც არასწორია). ადიღ-აბაზებმა აფხაზეთი დალაშქრეს მდ. ბზიფის მიდამოებამდე.

ლოგიკურია, რომ აბაზებს თავი აფხაზებად რომ მიეჩნიათ, ისინი ადიღების მხარეს არ დაიჭერდნენ და სამშობლოს მტერს არ გააქე-ლინებდნენ.

ბევრი დღესაც ფიქრობს, რომ შარვაშიძე წარმომავლობით ჩაჩბაა, ხოლო ანჩაბაძე – აჩბა. თქმა ბევრი რაიმესი შეიძლება, მთავარია მას მართებული მტკიცებულება ახლდეს.

დღევანდლამდე შექმნილი სამეცნიერო ლიტერატურა თუ სინამდ-ვილეს ასახავს, მაშინ უნდა ითქვას, რომ არ არსებობს მტკიცებულება აფხაზ-ადიღთა და აფხაზ-აბაზთა ისტორიული ერთობის შესახებ.

რაც შეეხებათ აბაზებს, მათი აფხაზობის მოსურნეთ აქვთ ერთი ცნობა, რომ ტომი ოზდემირის მეთაურობით აჯანყებულა, სავარაუდოდ აშეს და შაშეს წინააღმდეგ. გმირმა ინალმა გაილაშქრა მოკავშირეთა დაცვის მიზნით. დამარცხებული ოზდემირი, მტერს გაერიდა და აფ-ხაზეთში ჰპოვა თავშესაფარი. მაშინ უნდა დაეპყროთ ადიღ-აბაზებს





(აბაზებს) ჩრდილოეთი აფხაზეთი და დაეფუძნებინათ ე.წ. ბზიფის აფხაზთა დასახლება.

არც იმ ცნობის უარყოფა ივარგებს, რომლის თანახმად, ადილ-აბაზთა არეალში ე.წ. სამხრეთის თათრები დასახლდნენ. რომელთა ბელადები გირეის გვარს ატარებდნენ. ეს გვარი კი ყირიმის თათართა ხანების დინასტიის კუთვნილებაა.

სიმართლესთან შეიძლება ახლოს იყოს ასეთი ვარაუდი, თუ გათვალისწინებული იქნება ცნობა: “*Племя чегреев... более известно под именем “шахгиреевцев”... перешла на то место, где и теперь расположено их селение Апсуа (Б.Чегрей или Шахгиреевское)*” (Народы Карачаево-Черкесии, Ставропол, 1957, стр. 102-103).

ნათქვამიდან ცხადი ხდება, რომ მომთაბარე ცხოვრებას მიჩვეული ჩეგრეელების ტომი, გვიან დასახლებულა იმ სოფელში, რომელსაც ადრე ერქვა ჩეგრეი, რაც იგივეა „შახგირეევსკოე“.

უფრო საინტერესო ის ფაქტია, რომ XX ს. 30-იან წლებში, როდესაც ინტენსიურად მიმდინარეობდა ბრძოლა ძველის (თავადები, კულაკები, რელიგიის მსახურები და ა.შ.) წინააღმდეგ, რათა წაეშალათ ყირიმის ხანების გირეების კვალი, აიღეს და სოფელ „შახგირეევსკოეს“ დაარქვეს აფსუა.

ამ სახელცვლილებას მეკალმეებმა შესაბამისი განმარტება მისცეს: „აფსუას“ დარქმევა სოფლის და ალბათ მოსახლეობის აფხაზობის დამადასტურებელი ხდებოდა. სხვანაირად შინაარსის განმარტება ძნელია:

“В 30-х годах абазинские населенные пункты... вместо прежних названий... получили новые, так, бывшее сел. Шахгиреевское стало (Апсуа то есть “Абхвзы”)” (იყვე, გვ. 113).

კიდევ ერთი დამაფიქრებელი ცნობა. ცნობილი რუსი ისტორიკოსი ვ. ტატიშჩევი, რომლის მიხედვითაც ნ. მ. კარამზინმა 19 ს. დასაწყისში შექმნა რუსეთის სახელმწიფოს ისტორია, როცა ეხება კავკასიის ეთნოსებს, სწერს: “*Почте же мною, часть Мингрелии северная, которую турки и кабардинцы имянуют Авхазос, наши древные именовали Обезы... Ныне оной большую часть Кубанцы населяют*” (Татищев Б. Н. История Российская. 1962. стр. 171)



ყურადსადებია, რომ აფხაზეთი მოხსენიებულია სამეგრელოს ჩრდილოეთ ნაწილად, სადაც მნიშვნელოვან ტერიტორიებს უკვე არა მეგრელები, არა აფხაზები, არამედ გადამთიელები ფლობენ.

თუ დავუჯერებთ ავტორებს, რომელნიც თავგამოდებით ამტკიცებენ, რომ ადილ-აფხაზები სამხრეთიდან მცირე აზიიდან მოვიდნენ და დასახლდნენ ე.წ. ჩრდილოეთ სამეგრელოში, მაშინ საგანგაშო არაფერია. მაგრამ თუ დავუჯერებთ საწინააღმდეგო თვალსაზრისის მქონე ავტორებს, მაშინ აუცილებელი ხდება საკითხის საგულდაგულო კვლევა. მაშინ საჭიროა პირველ რიგში ე.წ. „ბზიფის აფხაზთა“ რაობისა და ბრძოლების ცოდნა. ამ მხრივ, არ შეიძლება ანალიზის გარეშე დარჩეს ა. დიაჩკოვ-ტარასოვის დასკვნა: „Абхазы не всегда проживали там где они сейчас обитают, их предания, многие исторические данные и обычаи показывают, что они прибыли с севера и до того притеснили грузинские племена, пока не остановились около Ингури“ (А. Н. Дьячков-Тарасов, „Бзыбская Абхазия“. Известия Кавказского отдела Имп. русск. геогр. об-ва, XVIII, Тифл. 1905, стр.65).

ავტორი, ამ შემთხვევაში, აფხაზებს უწოდებს იმ ადილ-აბაზებს, რომელთაც დაიპყრეს სამთავროს ჩრდილოეთი ნაწილი, დაესახლნენ ბზიფის მიდამოებში, გახლნენ მთავარ შარვაშიძეთა დამრტყმელი სამხედრო ძალა და წარმატებით განაგრძეს ჩვეული ხელობა — მეკობრეობა. (ასევე განმარტებას საჭიროებს ავტორის მიერ ნათქვამი ქართული ტომების შევიწორების შესახებ).

ადილ-აფხაზთა ეთნიკური ერთობის მოსურნე მკვლევარებმა დიდი ძალისხმევა მოახდინეს ანტიკური პერიოდის ისტორიული ცნობების თანამედროვეობასთან დაკავშირებას. თუ მოხერხდებოდა ადილთა წინაპრების მოძიება უძველეს ხანაში, მაშინ მათი თვალსაზრისი მტკიცებულების ხასიათს შეიძენდა.

ჭეშმარიტება ეგებ წარსულშია?



## ისტორიის ძიება

მსოფლიოში ბევრ ეთნოსს ახასიათებს ლტოლვა საკუთარი ისტორიის გაუმჯობესებული სახით წარმოდგენის მიზნით. წმინდა ადამიანური გაგებით, საამაყოა როცა ეთნოსს გრძელი და სასახელო წარსული აქვს. მაგრამ რა ქნან არახლგაზრდა ეთნოსებმა? არ შეეცადონ საკუთარი ისტორიის დაძველებას? საბჭოთა კავშირის არსებობის დროს, გროტესკულ ფორმასღებულობდა ეთნოსის მისწრაფება, ეჯობნა სხვებისათვის. ვითარებაში, როცა მეცნიერება იღგა პოლიტიკის მზრებზე და არა პირიქით, მსგავსი მოვლენები მეორდებოდა.

ცნობილი გამოთქმის მიხედვით: სატირალი იქნებოდა მკვლევართა დაჟინებული ცდა ადიღების ისტორიის დაძველებისა, სასაცილო რომ არ ყოფილიყო. არაა აუცილებლობა აწ წასული მკვლევარების მოხსენიება, მაგრამ როგორი იყო მათი სულისკვეთება, როცა ერთი მზრივადიარებდნენ, რომ ადიღების შესახებ XIII საუკუნემდე არავითარი ცნობა არ არსებობს და იმავე დროს ასეულობით ფურცლებს ავსებდნენ ამ ეთნოსის „წარსულის“ აღწერის გზით.

ბევრის მიერ ადიარებულ ადიღ-აფხაზების ერთობის, ერთი მზარის, ადიღების წარსულს ბევრი მკვლევარი შეეჭიდა და საკმოდ „დიდი წარმატებით“. ბუნებრივია, აზრი არა აქვს იმის მაგალითების გახსენებას, თუ როგორ იზილებოდა ესა თუ ის საკითხი, „ნაშრომიდან ნაშრომში,“ წლიდან-წლამდე, როგორ მაზინჯდებოდა სინამდვილე.

განყენებული მსჯელობა რომ არ გამოვიდეს, მოკლედ ადიღთა ისტორიის შესახებ. ჯერ ერთი, რაკი ადიღები ჩრდილო-დასავლეთ



კავკასიას იკვებდნენ, მთელი ისტორიულ-არქეოლოგიური მასალა ადილთა მემკვიდრეობად საღებოდა. რაკი იმ ადგილებში ადილები სახლობენ, პირველყოფილ საზოგადოებიდან მოყოლებული ყოველი ფაქტი, ცნობა, მათ მიეწერებოდათ. იუმორით, მაგალითისთვის, თუ დღეს ეგვიპტის ტერიტორიაზე არაბები სახლობენ, ვალიართ, რომ ეგვიპტის ცივილიზაცია არაბების შემოქმედებაა?

ცნობილი რუსი მკვლევარი ლ. ლავროვი მართებულად აკრიტიკებს საბჭოთა სახელმწიფოში დამკვიდრებულ ტენდენციას, რომლის თანახმად, მთელი წარსული და არქეოლოგიური მასალა, იმ ეთნოსის ისტორიად მიიჩნევა, რომელიც ამჟამად იკავებს მოცემულ ტერიტორიას. ასევე მცდარია ტენდენცია, რომ კავკასიელ ეთნოსთა გენეტიკური კვლევის დროს, ცდილობენ ამა თუ იმ ტერიტორიაზე მაცხოვრებელი ხალხი, აბორიგენად წარმოადგინონ. ვთქვათ, კავკასიის ჩრდილო-დასავლეთით დასახლებული ადილები, დასახონ ანტიკურ პერიოდში იქ მაცხოვრებელი სინდების ტომის ჩამომავლად.

“...по установившейся традиции синды признаются предками адыгов”... Лавров Л. И. “Историко-этнографические очерки Кавказа”. (Л. 1978, стр. 16.)

ავტორთა კოლექტივი ცოტა განსხვავებულ დასკვნას აკეთებს მათი აზრით, ადილები უძველესი დროიდან სახლობდნენ ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში და მათი წინაპრები იყვნენ „კერკეტები“, „ზიხები“, „მეოტები“. ხედავთ? რა კარგია, როცა წინაპართა წრე ფართოვდება. აი როგორ ამბობენ მკვლევარები: „Адыги обитали с древнейших времен на северо-западном Кавказе. Предки адыгов в далёком прошлом назывались “керкетами” “зихами” “меотами” (“Народы Карачаи-Черкесии” Ставрополь, 1957, стр. 58.)

ადილი ხალხის სასიქადულო შვილი შორი ნოგმა (როგორც მოფერებით უწოდებენ), არ ჰქონდა რა სხვა წყარო ეთნოსის ისტორიის შესაქმნელად, იმეორებდა მიღებულ თვალსაზრისს და ზომიერად, ადილთა წინაპარ ტომად, მხოლოდ „კერკეტებს“ ასახელებდა. ის ამბობდა: “Греки, занимающие восточный берег Черного моря... передали сведения о наших предках, которых они называют вообще зюкими, а иногда керкетами” (Ногмов Шора Бекмурзович, “История Адыгейского народа”, Нальчик, 1982, стр. 39.)



საინტერესოა როცა შორი ნოგმა ეთნოსში გავერცელებულ გადმოცემებს მიმოიხილავს. ბევრად განსხვავებულ და უნდა ითქვას, უფრო რეალისტურ სურათს ხატავს. გადმოცემის თანახმად ადიღური ტომები მდ. ვოლგა-დონს შორის მომთაბარეობდნენ და სახლდებოდნენ რა აზოვის ზღვის ჩრდილოეთში, ყირიმის სტეპებს უწევდნენ. “Сохранившиеся у нас предания утверждают (не означая эпохи), что этот народ обитал от. р. Терека до рек Волги и Дона на север и продолжая селиться по обе стороны Азовского моря, доходил до Крымских степей на западе”. (იქვე, გვ. 40-41).

როდესაც არ არსებობს დაზუსტებული ინფორმაციის წყარო, როდესაც მკვლევარები რაღაცა მიგნებებით ან განწყობით ხელმძღვანელობენ, აზრთა შეუთანხმებლობა და ხშირად დაპირისპირება არ გამოირიცხება.

კავკასიის ეთნოსთა შესახებ ფუნდამენტური კვლევის ავტორები აღიარებენ, რომ ჩრდილო კავკასიაში უძველეს მოსახლედ მიიჩნევიან კიმერიელები, რომლებსაც ძვ.წ.ა. VIII ს. ენაცვლებიან სკვითები. წერილობითი წყაროები არაფერს ამბობენ ადიღების შესახებ, მაგრამ „ისედაც ნათელია“, რომ ბევრი დასახელებული ტომი უეჭველად მათი წინაპრებია... “...указывают на Северо-Западном Кавказе большое число племен, часть которых (синды, псессы, фагей, доски, и...) была известна под собирательным именем “меоты” а другая часть (обитавшая в горах зихи, ахеи, тореты, керкеты и др.) представлялись грекам отдельными народами” ( Народы Кавказа. т 1., м., 1960, стр .66.)

ზოგი მკვლევარი ადიღთა წინაპრად „სინდებს“ მიიჩნევს, ზოგი „მეოტებს“, არიან „კერკეტების“, „ზიხების“ და ა.შ. მომხრეები, მაგრამ ყველა ცნობილი ტომის ერთად შეკრება და ერთი ეთნოსის წინაპრად გამოცხადება, მაინც „დიდი გაბედულების“ შედეგია. მით უფრო, რომ ამ ტომებში მოხსენიებულია აქაველთა (ახეელთა) ტომი, რომელიც აღიარებულია ბალკანეთიდან (საბერძნეთიდან) გვიან გადმოსახლებულად.

კარგია, რომ ავტორებს ასეთი სირთულე არ აშინებთ. ამიტომ თამამად (მაგრამ დაუსაბუთებლად) მიუთითებენ არა ორი-სამი ადიღო-აფხაზური ენის არსებობაზე, არამედ უფრო მრავალზე. (იქვე, გვ. 66).



სხვისი ნაშრომების ავ-კარგის განხილვა მიზანი არაა. ამიტომ მხოლოდ მითითებაა, რომ ადიღების წინაპრებს, ბევრი ავტორი, ანტიკურ ხანაში პოულობს. თქმა არ უნდა, ისინი ახსნით თავს არ იწუხებენ, როგორ მოხდა, რომ ანტიკური პერიოდიდან მოყოლებული ადიღების შესახებ არავითარი ცნობა არ არსებობს და აი XIII ს. ისინი კვლავ ჩნდებიან, უკვე აზოვისა და შავი ზღვების ჩრდილოეთში. (შეიძლება წყალქვეშა ნაგებობები გადავიდნენ?).

ბევრი მკვლევარი უდაო ფაქტად მიიჩნევს ადიღთა კონტაქტების არსებობას უკრაინელებთან. ამ კონტაქტებს კი მაშინ ეწეობოდა ადგილი, თუ ადიღები მართლაც ჩრდილოეთში იქნებოდნენ და იქიდან გადმოსახლდებოდნენ მდ. ყუბანის მიდამოებში. ეგებ უფრო ახლოა ჭეშმარიტებასთან ფ. კრასილნიკოვი, რომელიც ამტკიცებს, რომ ადიღები სამხრეთიდან კი არ გადავიდნენ ჩრდილოეთში, არამედ ყირიმიდან გადმოსახლდნენ კავკასიის ჩრდილოეთში. მისი დასკვნა ასეთია: “В XIV веке из Крыма пришли кабардинцы и поселились в назовьях р. Кубани” (მითითებული წიგნის გვ. 26).

(ცოდვა გამხელილი სჯობს. ადიღთა ეთნოსის ისტორიის ასეთი არაერთნაირი გაშუქების დროს, გაურკვეველობის განცდას იწვევს ქართველი მეცნიერის მოსაზრება, XVI ს. აფხაზების ადიღური ეთნიკური ერთობისაკენ დაბრუნების შესახებ. I-II სს. ადიღ-აბაზგები გაქართლდნენ და ბოლოს ისევ ძველ ენას დაუბრუნდნენო. როგორია?

მაშინ, როგორ უნდა იქნეს გაგებელი ფ.ფ. გამბას მოწმობა, რომ აფხაზური ენა განსხვავებულია ჩერქეზულისაგან. „ამ ხალხის სალაპარაკო დიალექტს... არავითარი კავშირი არა აქვს მეზობელი ჩერქეზების დიალექტთან“ (ყაკ ფრანსუა გამბა. „მოგზაურობა ამიერკავკასიაში“ თბ, 1987, გვ. 91)).

როცა არსებობს მრავალი და მათ შორის ურთიერთგამომრიცხი თვალსაზრისი, აუცილებელი ხდება ათასჯერ განხილული და დასაბუთებული, ღრმად შესწავლილი, ისტორიის (მხედველობაშია აფხაზების ისტორია) თუნდაც მოკლე გახსენება.

მანამდე კი ნიშანდობლივია, იმის აღიარება, რომ ეთნოსების წარსულის შესახებ საბოლოო ინსტანციის ჭეშმარიტება არავის დაუდგენია.



ადილების ისტორია ბევრჯერ იქნა შესწავლილ-შეჯერებული, სანამ მათ შორეულ წარსულს დაადგენდნენ. მკვლევარებმა ბევრი იმ-რომეს სინდების, მეოტების, კერკეტების, ახიელების და ა.შ. ადილთა წინაპრებად გამოცხადებამდე. ამ მხრივ დიდი იყო ლ.ი. ლავროვის ღვაწლი. იგი ითვლებოდა ადილთა ისტორიის საუკეთესო მცოდნედ და აი საოცრებავ, ცნობილმა მეცნიერმა აღიარა საკუთარი მტკიცებულების მცდარობა. (ეს კი მხოლოდ ჭეშმარიტ მეცნიერს ხელეწიფება). ლ. ლავროვმა ბრძანა: “Принято считать, что адыги произошли от смешения ахеев, зихов, торетов, керкетов, синдов и меотских племен правобережья Кубани в античное время. Внастоящее время... все это безнадежно устарело”. (Лавров Л. И. Историко-этнографические очерки Кавказа, Л. 1978, стр 38).

როგორც ჩანს, დიდი მცდელობის მიუხედავად, არ ხერხდება იმის დადასტურება, რომ ადილების წინაპრები კავკასიის ჩრდილო-დასავლეთში სახლობდნენ, აქ შექმნეს თავისი კულტურა და აქედან გავრცელდნენ აღმოსავლეთით. არ ხერხდება არც იმის დადასტურება, რომ ადილო-აფხაზები ერთ ეთნოსს (გნებავთ ტომთა ერთ გაერთიანებას) შეადგენდნენ, ერთად მოსახლეობდნენ მცირე აზიის ჩრდილო-აღმოსავლეთში (აღარაა საჭირო მათი ბალკანეთიდან გადმოსახლების ვარიანტის გახსენება) და აქედან გადავიდნენ კავკასიის ჩრდილოეთში.

ზოგიერთი მკვლევარი ადილებს (ყაბარდოელებს), აბაზას (აბაზიანებს), თათრული წარმომავლობისად მიიჩნევს. შეიძლება ეს უფროა ჭეშმარიტებასთან ახლო. ცნობილია, რომ მონღოლებმა, XIII საუკუნეში, ევროპისკენ დიდი ლაშქრობის დროს ბევრი ეთნოსი აამოძრავეს. მათ შორის, მოსახლეობა მრავალი, თათრული ტომები. თათრებმა მონღოლებთან ერთად გაიარეს ციმბირის მხარე, შუა აზია, ევროპის სამხრეთი ადრიატიკის ზღვამდე. ამიტომაც ეწოდა ამ ლაშქრობას თათარ-მონღოლთა შემოსევა. მონღოლების სამშობლოში დაბრუნების დროს, მათგან დაცლილ ტერიტორიებს თათრების ტომები იკავებდნენ. ამ გზით გაჩნდა ყირიმის, ასტრახანის, ყაზანის, ციმბირის სახანოები. კავკასიის ჩრდილოეთი მხარეც მათი საბატონო-სათარეშო იყო.

იყვნენ ადილები მათ შემადგენლობაში თუ არა? რამდენადაა აფხაზების წარსული ადიღურ-აფხაზური?



## შერისხული მროველი

ეთნოსისათვის, საკუთარი და სხვათა წარსულის ცოდნა ის იარაღია, რომელსაც მუდმივად მიმართავს. ბედნიერია ეთნოსი, თუ მას წარსულის პირუთვნელი აღმწერელი ყავს.

ასეთთა რიცხვს მიეკუთვნება ლეონტი მროველი. ასე მიიჩნევა ნიკო მარი.

შორეული წარსულის დახასიათების დროს იგი სარგებლობს იმ ცოდნით, რაც შემოინახეს ადამიანებმა ზეპირსიტყვიერების თუ წერილობითი გზით. უძველესი ისტორია „ბიბლიაშია“ ასახული. იქაა აღრიცხული ცნობები ტომებისა და ტომთა გაერთიანებათა შესახებ. მათ შორისაა თხრობა თუბალთა და მეშეხებზე. ისინი იყვნენ მრავალ ეთნოსთა წინაპრები. აფხაზებისაც.

ბევრ მკვლევარს (სპეციალისტს თუ მოყვარულს) მროველის მონათხრობი სანდოდ არ მიაჩნია. ეს გემოვნების კი არა, გაგების საკითხია. ქართველებიდან ზოგიერთი მაინც, მას პროსოპოზურ ჟამთა ამწერლად მიიჩნევს. აფხაზებიდან ზოგი პროქართველობაში „ამხელს“.

ასეთნი ნაწილობრივ მაინც უნდობლობას უცხადებენ ბრძენ წინაპარს და ცდილობენ სხვა გზით მიაღწიონ ობიექტურ ჭეშმარიტებას. რამდენადაც ერთ საკითხში ერთია ჭეშმარიტება, წვალობენ, იგონებენ წარსულის ვარიანტებს და შედეგს ვერ აღწევენ.

ზოგიერთ ქართველს არ მოსწონს, როცა მროველი სომეხთა მამამთავრად მიჩნეულ ჰაიკს (ჰაოსს ქართულად) განადიდებს და თუბალთა სამფლობელოს ნახევარს მას „მიაკუთვნებს“. ზოგიერთ აფხაზსაც არ მოსწონს, როცა მროველი აფხაზებს არ ასახელებს.





ერთნიც და მეორენიც თანამედროვეობიდან გამოდიან და ისე აფასებენ წარსულს. არა და, იმ პერიოდში, რომელსაც მროველი აღწერს, არ იყვნენ სომხები, ქართველები, აფხაზები, იყო ძველი წელთა აღრიცხვის მესამე ათასწლეული და იყვნენ იაფეტიდი თუბალები და მეშენები. იყო თუბაღთა მამამთავარი თარგამოსი (თოგორმა სომხებისათვის). მის ხელქვეით იყო მრავალ ტომთა რვა გაერთიანება, მისული განცალკევების აუცილებლობამდე.

მროველის აღწერით, თარგამოსის ტომთა არეალი დიდ სივრცეს მოიცავდა: აღმოსავლეთით „ზღუა გურგენისა“ ანუ კასპიის ზღვა, დასავლეთით „ზღუა პონტოსა“ ანუ შავი ზღვა, სამხრეთით „ზღუა ორეთისა“, ანუ ხმელთაშუა ზღვა და ჩრდილოეთით კავკასიონის მთაგრეხილი ანაპის კონცხიდან მოყოლებული, აფშერონის ნახევარკუნძულამდე.

თარგამოსის გავლენის (მმართველობის) ქვეშ მყოფ ტომთა გაერთიანებებს დიდი ტერიტორია ეკავათ და ერთობა რღვევას განიცდიდა. მოსახლეობის სიმრავლის გამო, აუცილებელი იყო ყოველ გაერთიანებას სცოდნოდა თავისი საცხოვრისი.

ძვ. წ. ა. III ათასწლეული. საიდან ჩანს, რომ ასეა? „ბიბლიიდან“. „ბიბლია“ მთლიანობაში რწმენის სფეროს განეკუთვნება. ამავე დროს იქ არის ისტორიული ნაწილი, ჩამოთვლილი არიან ტომები, ეთნარქები. ყველაზე სრულად მოცემულია სემიტების ხაზი. ამავე დროს უდაოდ დადგენილია ებრაელთა მამამთავრის აბრაამის დაბადების თარიღი. ძვ.წ.ა. 1813 წელი. თუ ვიანგარიშებთ აბრაამიდან სემამდე თაობათა რაოდენობას, თითოეულის ზეობის სიდიდეს, ადვილად დავადგენთ, რომელი როდის ცხოვრობდა. ასევე არაა რთული პარალელის გავლება, სემის შთამომავლობის მერამდენე თაობას შეესაბამება იაფეტის შთამომავლობის ესა თუ ის თაობა. გასაგებია, დაბადებისა თუ გარდაცვალების წლების ზუსტი დამთხვევა არ იქნება, მაგრამ მიახლოებით პერიოდის გაანგარიშება შესაძლებელია. ამ გზით შეიძლება თუბაღთა გაერთიანებათა დაყოფის, განცალკევების მიახლოებითი დრონის გამოთვლა. ესაა ძვ.წ.ა. III ათასწლეული.

აფხაზი ეთნოსის წინაპრები თუბაღთა შორის იგულისხმებიან. შესაბამისად, იმ ტომებში შედიან, რომელთაც კავკასიის შავი ზღვის პირის მხარე დაიკავეს.



მცირე შეხსენება. მკვლევართა დასკვნის თანახმად, ეთნოსთა ნიშნები ძვ.წ.ა. VI-V ათასწლეულებში ჩნდება და ეთნოსებზე დაახლოებით ამ პერიოდიდან შეიძლება მსჯელობა. აფხაზი მკვლევარების ის ნაწილი, რომელნიც მსჯელობენ ადიღ-აფხაზთა ერთობაზე ძვ.წ.ა. ოცდამეათე ათასწლეულში, ცხადია მიღებულ თარიღს არ დაეთანხმებიან. ისინი არც მროველის ნათქვამს მოიწონებენ, რადგან მსჯელობაა არა ადიღ-აფხაზებზე, არა კოლხებზე, არამედ ეგროსელებზე. აი დასკვნაჰ, ხოლო ეგროსს მისცა ქუეყანა ზღვის ყურისა და უჩინა საზღვარი: აღმოსავლით მთა მცირე, რომელსა აწ ჰქვიან ლიხი, დასავლეთი ზღუა; ჩრდილოთ მდინარე მცირისა ხაზარეთისა, სადა წარსწუთების წყური კავკასიისა. ხოლო ამან ეგორს აღაშენა ქალაქი და უწოდა სახელი თვისი ეგრისი. აწ მას ადგილსა ჰქვიან ბედია“ (ქართლის ცხოვრება, თბ., 1955 ტ.1, გვ. 5).

ვინც შედავებას მოისურვებს, მან ჯერ სხვა წყარო უნდა დაასახელოს და ამას გარდა, დაამტკიცოს, რომ ბედია არაა აფხაზეთის მხარეში.

ცხადია, დღევანდელი სახელები, გნებავთ კუთვნილება და ა.შ. ზუსტად ვერ დაემთხვევა ხუთი ათასი წლის ამბებს. ეგრისს აღარ ჰქვია ეგრისი. ეგრისის კუთვნილი მხარის მოცულობა და შინაარსიც შეცვლილია. მაგრამ, როდესაც აღწერენ ხუთიათასი წლის წინანდელ მოვლენებს, ან სხვა წყარო უნდა დაასახელონ ან არსებულის ლოგიკური უარყოფა მოახდინონ.

შერისხული მროველის კიდევ ერთი ინფორმაცია პრინციპული მნიშვნელობის. ჩამოთვლილია რა თუბალთა ტომების რვა გაერთიანებიდან, რომელს რომელი მხარე ერგო, ნათქვამია, რომ კავკასის (კავკასიანებს) ერგოთ თერგის (დერგის, „ლომეკის“) მდინართგან ვიდრე დასასრულამდე კავკასიისა, დასავლით“. (იქვე.) შესაბამისად, თუ ეგროსს (ეგროსელთა ტომთა გაერთიანებას) ერგო ჩრდილოეთით მდინარემდე მცირე ხაზარეთისა და აღმოსავლეთი ლიხის მთამდე, მისგან ჩრდილოეთით ერგოთ კავკასიანებს. მროველის მიხედვით, იმ დროს კავკასიონის ჩრდილოეთით, მუდმივი (მკვიდრი), მოსახლეობა არ არსებობდა და თუბალების ამ ნაწილს შეეძლო დაეკავებინა რამდენსაც შეეძლებდა. აქვე უნდა დაემატოს, რომ მროველი ტომთა რვავე გაერთიანებას თუბალებად მიიჩნევს და მსჯელობა არაა სხვა, არა თუბალური წარმომავლობის ტომებზე.



ამ შემთხვევაში მროველის მისამართით საყვედურის გამოთქმა არამართებულია, რადგან იმ დროს ჯერ კიდევ არ არსებობდნენ, უფრო ზუსტად არ ჩანდნენ ტომები, რომელნიც ბევრად გვიან გახდებიან ცნობადნი.

იმათი მისამართით კი, ვინც კრიტიკულადაა განწყობილი მრევლის მიმართ მიეთითება ცნობილი მკვლევარის ვ.ნ. კოვალევსკაიას გამონათქვამზე. მისი დახასიათებით მროველის ანალიზის მიხედვით, როგორც წყლის წვეთში შეკუმშულადაა მოცემული ძველი ისტორიული მოვლენები. სხვა წყაროების ცნობები, საცნაური ხდება მროველის დახმარებით.

მკვლევარის მიერ მოცემული მროველის დეაწლის ფართე შეფასება (В. Ковалевская. Кавказ и Алани. м. 1984, стр. 71). დამაფიქრებელი უნდა იყოს იმათთვის, ვინც ამა თუ იმ მოტივით ცდილობს ისტორიული წყაროს უმართებულო დაკნინებას. ამ შემთხვევაში კი არსებითია ორი დებულების გათვალისწინება.: 1. ტერიტორია ლიხის მთიდან ზღვამდე და ტრაპეზუნდიდან მდ. ყუბანამდე ძვ.წ.ა. III ათასწლეულში ეკავათ თუბალ-ეგროსელებს. სხვა ვინმე ამ არეალში არ ფიქსირდებოდა; 2. ტერიტორია მდ. თერგიდან დასავლეთით ზღვამდე და მდ. ყუბანის მარჯვენა მხარე ეკავათ თუბალ-კავკასიანებს. სხვა ვინმე ამ არეალში იმ პერიოდისათვის არ ფიქსირდებოდა.

მროველის ისტორიული ხასიათის ნაშრომი ერთადერთი წყაროა, რომელიც ძვ. წ. ა. III ათასწლეულის (სულ მცირე) მოვლენებს ეხება და მისმა დამწუნებლებმა მას რაიმე რეალური უნდა დაუპირისპირონ.

არქეოლოგიური კვლევების მიღწევები ადასტურებენ მროველის მონათხრობის ობიექტურობას. ჯერ ხანობით მაინც, არავის უარყვია ძვ.წ.ა. IV-III ათასწლეულებში, ცივილიზაციის კერების არსებობა ეგვიპტე, შუამდინარეთი, მტკვარ-არაქსის აუზი, კრეტა-მიკენში. ეს ცივილიზაციები პარალელურად არსებობდა და სავარაუდოდ კონტაქტებიც ჰქონდათ. ძვ.წ.ა. III ათასწლეულის ბოლოსათვის მიმდინარეობდა მათი დაცემა-დაშლა. იგივეს ამტკიცებენ სპეციალისტები მტკვარ-არაქსის კულტურის მისამართით.

ლოგიკურად შეიძლება ვარაუდი, რომ თუბალ-მეშენთა ტომები ადრეულ პერიოდში შედარებით მცირე ტერიტორიას იკავებდნენ.



შეიძლება სამხრეთი კავკასია იყო მათი თანაცხოვრების არეალი. დროთა ვითარებაში გამრავლდნენ, გაიფანტნენ, ვრცელი სივრცე დაიკავეს. შეიძლება კავკასიის რეგიონი ადრე მეშეხებეს ეკუთვნოდათ, შემდეგ დასავლეთით გადაინაცვლეს, დაფარეს მცირე აზია, დასახლდნენ ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, ეგეოსის ზღვის კუნძულებზე და იქ პელაზგების სახელით შექმნეს მაღალგანვითარებული ცხოვრება. შეიძლება მათი რაღაც ნაწილი კიდევ დარჩა კავკასიაში და აქ განაგრძეს მოღვაწეობა. როცა ზუსტი ცნობები არ არსებობს, არის რაღაც ელემენტები, ლოგიკის ძალით შეიძლება სავარაუდო სინამდვილის წარმოდგენა.

მროველის ცნობით, მდ. ტიგრისა და ევფრატის ზედა წელი, ვანისა და ურმიის ტბებიდან მოყოლებული ხმელთაშუა და შავ ზღვამდე თუბალ ტომთა გაერთიანებას ეკუთვნოდა. მათ შექმნეს მტკვარ-არაქსის სახელწოდებით არსებული კულტურა. ძვ.წ.ა. III ათასწლეულის ბოლოს, ეს კულტურა რღვევას, დაცემას განიცდის და იმავე პერიოდში ამ კულტურის გაგრძელება ჩნდება კავკასიის ჩრდილოეთში. კერძოდ, კოლხურის სახელი ცნობილი კულტურის ელემენტები მკვიდრდება კავკასიის ჩრდილო-დასავლეთ მხარეში. ეს ელემენტები უნდა მიეჭანათ და დაემკვიდრებინათ ეგროსულ ტომებს (და არა ადიღებს).

ეთნარქ ეგროსის სახელით ცნობილ ტომებს დიდი ტერიტორია „ერგოთ“ ტრაპეზუნდიან ანაპის კონცხამდე და მდ. ყუბანის ზღვასთან შესართავამდე. იმ დრონისათვის ეს ტომები ინარჩუნებდნენ ერთობას და მათი ცალკე აღნიშვნა აუცილებლობას არ წარმოადგენდა. მხოლოდ ეგაა, მროველი მიუთითებს სვანთა გაერთიანების არსებობაზე.

განმარტების სახით უნდა ითქვას, რომ მროველი მიმართავს მის დროს დამკვიდრებულ სახელწოდებას. ძვ.წ.ა. III ათასწლეულში რა ერქვათ ამ ტომებს, როგორ იწოდებოდნენ უცნობია. შეიძლება სანიგები, შეიძლება ჰენიოხები. მთავარია, რომ ისინი თუბალთა ეგროსულ გაერთიანებაში შედიოდნენ. ცალკეული ტომების ცნობადობის გამხელა ისტორიულ აუცილებლობას უნდა გამოეწვივა.

მიზანი არაა მროველის ქება. მიზანია იმ ინფორმაციის გაჟღერება, რომელსაც მისი შრომა შეიცავს. ორი მომენტია გასახსენებელი: 1. ეხება ცნობას სამხრეთიდან წამოსული საფრთხის აღკვეთის შესახებ.



საფრთხე კი ისეთი დიდი ყოფილა, რომ ჰაოსიანი თუბალები ვერ გაუძევედნენ. საჭირო გამხდარა თუბალთა ყველა გაერთიანების მოხმობა. დამხმარედ „ვინმე ნათესავნი დასავლეთისანი“ მიუწვევიათ. სავარაუდოდ მეშეხური ტომები. საერთო ძალით სამხრეთიდან საშიშროება აურიდებიათ. ცხადია, ამ საერთო თავდაცვით ომში ეგროსელები (მათ შორის აფხაზთა წინაპრები) მიიღებდნენ აქტიურ მონაწილეობას; 2. მროველი ასევე მიუთითებს კავკასიის ჩრდილოეთში მაცხოვრებელი თუბალების მიერ გადახდილ დიდ ომებზე. თუ ძვ. წ. ა. III ათასწლეულში მდ. ვოლგა-დონამდე მკვიდრი მოსახლეობა არ იყო და ლეკოს-კავკასოსის თუბალ ტომებს შეეძლოთ იმ სივრცის დაკავება, ათასი წლის შემდეგ მათ არსებობას საფრთხე დაემუქრა. კავკასიის ჩრდილოეთით განსახლებული თუბალები უძღუნნი, აერიდებინათ განადგურება, დახმარებისათვის სამხრეთში მცხოვრებელ თუბალებს უხმობენ. საერთო ძალით შეძლეს მტრის მოგერიება.

როდის მოხდა ეს?

მროველი ბრძანებს: ამ ბრძოლების შემდეგ „...შემდგომად ამისა რამდენთამე წელიწადთა მოვიდა ამბავი, ვითარმედ მოსე გავნლო ზღუა ისრაელთა“ (ქართლის ცხოვრება. ტ.1 თბ. 1955, გვ. 14).

ეს ცნობა საორიენტაციო ხასიათისაა. სხვა კი არ არსებობს. იზრაელის ისტორიის მკვლევარები ორ თარიღს ასახელებენ ეგვიპტედან ებრაელთა გამოსვლის აღსანიშნავად: ძვ.წ.ა. 1445 წ. და ძვ. წ. ა. 1227 წ. რამდენადაც მიზანი არაა ებრაელთა ისტორიის განხილვა, ორივე თარიღია აღნიშნული. მიზანი კი იმის დაფიქსირებაა, რომ თუბალური წარმომავლობის ტომები იმ დრონისათვის ჯერ კიდევ ინარჩუნებდნენ ნათესაურ ერთობას. ამ ბრძოლებში ეგროსელები უეჭველად იქნებოდნენ ჩართულნი, მათ შორის აფხაზების უშუალო წინაპრები.



## ეგროსელები

მტკვარ-არაქსის კულტურა თუბალთა შემოქმედებაა. არ გამოირიცხება მეშეხთა გარკვეული მონაწილეობა.

თუბალთა ტომების, რვა დამოუკიდებელ ნაწილად დაყოფის დროს, რვა სამეფო ჩამოყალიბდა. ისინი ერთი წარმომავლობის, მაგრამ სავარაუდოდ განსხვავებული მეტყველების ტომები იქნებოდნენ.

ეგროსელების დამკვიდრება ლიხს დასავლეთ, ტრაპეზუნდიდან მდ. ყუბანამდე სივრცეში არც ერთბაშად მოხდებოდა და მხოლოდ არც მიგრაციული გზით. ლოგიკურია, რომ ეგროსელები დროთა განმავლობაში ფლობდნენ ამ არეალს და ერთიანი მტკვარ-არაქსის ცივილიზაციის დაქვეითების დროს, გამოეყვნენ რა საერთო მასას, მტკიცედ დაიკავეს სივრცე, რომელიც მათი გავლენის სფეროს წარმოადგენდა. ამ სივრცის შენარჩუნებისათვის მათ მოუწევდათ არა ერთი ომის გადახდა. თუბალთა საერთო ბრძოლების შესახებ ითქვა. ეს არ გამოირიცხავს ცალკე მხოლოდ ეგროსელთა ბრძოლას. ერთი ასეთი მომხდურის შესახებ აღნიშნავდა ჰეროდოტე, როცა მიუთითებდა ძვ.წ.ა. XI საუკუნეში, ეგვიპტელთა მოსვლის და დასახლების შესაძლებლობას. (სწორედ ამ მოვლენასთან დაკავშირებით შექმნა ეგვიპტელთა გადმოსახლების, აფხაზთა ეგვიპტელობის კონცეფცია ბატომა დ. გულიამ).

ამ შემთხვევაში სხვა პრობლემაა საინტერესო. ეგროსელები არა მხოლოდ ენათესავებოდნენ თუბალ ტომთა სხვა გაერთიანებებს, არამედ განსხვავდებოდნენ კიდევ. თუ ეგროსელთა შორის დაწყებული იყო სვანური ენის დანარჩენთა მეტყველებისაგან გამოყოფის პროცესი, მით უფრო დიდი სხვაობა იქნებოდა ქართველთა, ჰერებთან, კავკასიანებთან



მიმართებაში. ეგროსელებს ისევე ექნებოდათ ეგრული ენა, როგორც ლეკოსელებს ლეკური, ჰაოსელებს თავისი და ა.შ. ენაც და საერთო კულტურაც გაუცხოებას დაიწეებდა, თუმცა საფუძვლად ყველას თუბალური ექნებოდა. უფრო მეტი. რამდენადაც ჰაოსიანებს, ქართვეს და ეგროსელებს დასავლეთით მეშეხები ემეზობლებოდნენ, მათი შერევა არ გამოირიცხება.

ცალკე უნდა ითქვას ეგრისელთა კულტურაზე.

მეშეხებმა ბალკანეთის ნახევარკუნძულზე და ეგეოსის ზღვის კუნძულებზე შექმნეს ე.წ. კრეტა-მიკენის კულტურა. ამავე დროს მათი გავლენა ვრცელდებოდა მცირე აზიის მხარეს დასახლებულ თანამომეებზე. უფრო ზუსტად, ისინი ერთად ქმნიდნენ ამ ცივილიზაციას. პელაზგურ-ლახური ტომები დიდი ხნის მანძილზე, ბოსფორ-დარდანელის სრუტეების აქეთ-იქეთ, ინარჩუნებდნენ ნათესაობის გრძნობას. თუ ვერწმუნებით ძველი ბერძნების მიერ შემონახულ პელაზგურ მითებსა და ლეგენდებს, შექმნილ ეპოსს, პელაზგები ნათესაობას ინარჩუნებდნენ ეგროსელებთანაც, რომელთაც ისინი კოლხების სახელით იცნობოდნენ.

ძნელია იმის მტკიცება, რომ კოლხების შესახებ არსებული ინფორმაცია, ზღაპარია და მხედველობაში არ უნდა იქნეს მიღებული. ასევე ძნელად დასაჯერებელია, რომ ყველაფერი ისე იყო, როგორც ძველი ბერძნები გადმოსცემდნენ. ყოველ შემთხვევაში შლიმანის მიერ ტროას აღმოჩენა, მიკენის გამომზეურება, ცხადყოფს, რომ არა მხოლოდ ეპოსი, არამედ მითები და ლეგენდები რაღაც რეალურ მოვლენებს ასახავენ. შესაბამისად, თუ ობიექტურად, კრიტიკულად იქნება შეფასებული მდიდარი მასალა, ჭეშმარიტების დადგენაც მოხერხდება.

მხოლოდ დანანებით უნდა ითქვას, რომ შლიმანს, რუსეთის იმპერიის ხელისუფლებამ, ნება არ დართო არქეოლოგიური გათხრები ეწარმოებინა კოლხეთში. გენიალური შლიმანი დარწმუნებული იყო, რომ ლეგენდარული აიეტის სამეფო რეზიდენციას მიაკვლევდა. რამდენადაც სხვა შლიმანი არ გამოჩნდა, აიეტის სამეფოს, არგონავტთა ლაშქრობის და სხვათა შესახებ მოკლედ მაინც უნდა ითქვას.

აიეტის კოლხიდის სამეფო სრულად მოიცავდა მომავალი აფხაზების ტომებს და მათ საცხოვრის არეალს.

შეუძლებელია გვერდი აველოს ერთ საერთო მახასიათებელს. ესაა



რელიგიურობის საკითხი. თუბალთა დაყოფისა და ცალკე რვა სამეფოს დაარსების დრონისათვის. ტომობრივი ღმერთების გარდა, საერთოც რომ ჰყოლოდათ, ლოგიკურად დასაშვებია. ყოველ შემთხვევაში ნიშანდობლივია, რომ ქართვები თავიანთსა სცემდნენ შხეს, მთვარეს და ხუთ ვარსკვლავს. შხეს, ასევე აღმერთებდნენ ეგროსელები. შეიძლება მასთან ერთად, მთვარის და ხუთი ვარსკვლავის თავიანთსცემა, მათშიც იყო მიღებული. დასაფიქრებელია, რომ კოლხიდის მრისხანე მეფე აიეტი, შხის შვილად ითვლებოდა. მიწიერი მამაც ჰყავდა აიეტს, მერმერო ილის-ძე, მაგრამ მეფეს „ეკუთვნოდა“ ღმერთის შვილობა და ასეთად შხის ღმერთი ჰელიოსი ბრძანდებოდა. ეგროსელებს, იმჟამად გამოყოფილ სვანებს თუ შემორჩათ ცეცხლის ალის აღმნიშვნელ ტერმინი – ჰელიო, თუ ქართვებს შემორჩათ ჰალი, ალი, ალიონი (ჰ – ბგერა დროთა განმავლობაში „გაუფერულდა“) მაშინ, ვარაუდის დონეზე, შეიძლება ითქვას, რომ შხის ელვარების გამოსახატავად, ცეცხლის ალის ბურთისათვის, მთლიანად თუბალებს ჰქონდათ ჰელიოსის მსგავსი ტერმინი. დასაშვებია, რომ ჰელიოსი თუბალებისა და მეშეხების საერთო ღმერთიც ყოფილიყო. შხის კულტი იმ დრონის ტომებში პირველი თავიანთსცემის საგანი იქნებოდა.

მცირე გადახვევა, ძველი კოლხეთის სამეფოსა და მისი უპირველესი ლეგენდარული მეფის აიეტის დახასიათებამ მოითხოვა.

თუ ჩამოცილდება მხატვრული, ზღაპრული ჩენჩო ინფორმაცია აიეტის, კოლხიდის, არგონავტთა ლაშქრობის, მედეას შესახებ, რჩება სრულიად რეალურად შესაძლებელი ისტორია.

აქვე, წინასწარ უნდა ითქვას, რომ ზოგიერთი მკვლევარი კოლხეთს, კოლხიდის სამეფოს წარმოადგენს სამხრეთში, მდ. ჭოროხის აუზში. იგივე შეიძლება ითქვას მდ. ჰალისზე. მკვლევართა ძირითადი აზრი კი დიდი კოლხეთის ჩრდილოეთ ნაწილს უკავშირებს, ძველი ბერძნების მიერ შემონახულ ლამაზ ისტორიას.

ამ ისტორიის თანახმად, ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, მეშეხების პელაზგური ტომები ქალაქ-სახელმწიფოებად ცხოვრობდნენ. ქალაქ კორინთოს მეფე იყო დარდანი. (პრომეთეს ჩამომავალი). მტრებმა, იგი აიძულეს მიეტოვებინა კორინთო და მომხრეებთან ერთად, სრუტით რომელსაც მისი სახელი ეწოდა, მცირე აზიაში გადასახლებულიყო.





(დარდან, დარდინი ეტყობა ეგროსელებში პოპულარული სახელი გახდა. ცნობილია XIII ს. მონღოლების წინააღმდეგ მებრძოლი სარდალი დარდინ აფხაზი). დარდანის ერთი შთამომავალი ილი, ბედისწერამ კოლხეთში მოახვედრა. აქ ადგილობრივ მეფეს ჩაესიდა და ეყოლა ვაჟი მერმერო.

ილიმ თავისი მცდელობით მოახერხა ბალკანეთში, ქალაქ კორინთოში მეფობა დაებრუნებინა. იგი და მისი ვაჟი მერმერო ითვლებოდნენ და განაგებდნენ როგორც კოლხეთის, ასევე კორინთოს სამეფოებს. მათ შთამომავალ აიეტს, ბედმა უმტყუნა. მტრებმა აიძულეს მიეტოვებინა კორინთო და კოლხეთში დამკვიდრებულყო. მისი მეთაურობით კოლხიდის სამეფო უძლიერესად ითვლებოდა. იქვე, ზღვის მეორე, ტავრიდის მხარეში (ყირიმის ნახევარკუნძულზე), მისი ძმა პერსი მეფობდა. აიეტის ერთი და პასიფაე კრეტის მრისხანე მეფე მინოსის მეუღლე გახლდათ. მეორე და ცირცეა (კირკეა) რომაელთა მამამთავრების ბეზიად მიიჩნევა.

აიეტს, მის შვილებს, ცხადია, სურდათ კორინთოში, დაკარგული მეფობის დაბრუნება. გადიოდა დრო და ისეთი შესაძლებლობა გაჩნდა.

მოვლენები ასე განვითარდა:

ბალკანეთში, საპელაზგიოს ქალაქ ორქომენში მეფობდა ათამანტი. როცა ცოლმა მიატოვა, დაობლებულ შვილებს, ფრიქსეს და ჰელეს, დედინაცვალი მოუყვანა. ქალმა გერების თავიდან მოშორება მოინდომა. მიზანსაც მიაღწევდა, მაგრამ ახლობლებმა ბავშვები გააპარეს და თან ოქროს საწმისიანი ვერძი გააყოლეს.

ოქროს საწმისი ძალაუფლების სიმბოლო და რელიგიური დანიშნულების საგანი იყო. პელაზგი მეფეები საწმისგადაფარებულ ვერძს მორიგეობით ზრდიდნენ და დათქმულ დროს ერთად სწირავდნენ დელფოს სამისნოში. საწმისიანი ვერძის დაკარგვა, მიცვალებულთა სულებს საიქიოს გზას უბნევდა. ამიტომ პელაზგების ვალი იყო მისი უკან დაბრუნება.

მეფე ათამანტის გაქცეული შვილებიდან, ჰელე ზღვაში დაიდრჩო, ფრიქსემ კოლხეთში ჩააღწია და მეფე აიეტს მიეკედლა. კოლხეთში ფრიქსე დავაჟაკცდა, აიეტის უფროსი ქალიშვილი ქალკიოპე ცოლად შეირთო და ოთხი ვაჟიც ეყოლა: არგო, ფრონტისი, მელასი და კიტისორე.



როცა ფრიქსე დაიღუპა და შვილები დავაჟაკცდნენ, მონდომეს მამის კუთვნილი სამეფო ტახტის დაბრუნება. ჩავიდნენ ორქომენში. მათ პირობა წაუყენეს: ტახტს მას მისცემდნენ, ვინც ოქროს საწმისს დააბრუნებდა.


უფროსმა, არგომ, ააგო გრძელი გემი და თავისი სახელი უწოდა. შეიკრიბა 50 პელაზგი ვაჟკაცი და გაცურეს კოლხიდისაკენ, საწმისის მოსაპოვებლად. აიეტი, როგორც ყოფილი კორინთოს მეფე, „კანონიერად“ ფლობდა საწმისს და იოლად არ დათმობდა.

არგონავტების ბელადი იაზონი, შეუთანხმდა აიეტის უმცროს ქალიშვილს, გრძნეულ-მკურნალ მედეას და მისი დახმარებით საწმისი გაიტაცა. დახმარების სანაცვლოდ, მედეას შეპირდნენ კორინთოში სამეფო ტახტის დაბრუნებას. დიდი თავგადასავლის შემდეგ, მედეამ მოახერხა და ერთი შვილი კორინთოში გამეფდა, მეორე კი ორქომენში.

რა არის ზღაპრული და შეუძლებელი ამ ისტორიაში? ეგროსელები-სათვის (კოლხებისათვის) და კერძოდ აფხაზებისათვის, ამ საამაყო ისტორიაში რა არის შეუძლებელი?

(აიეტი, ისევე როგორც დარდანი, ეგროსელებში გავრცელებული სახელი ყოფილა. ისტორიას შემორჩა აიეტის შთამბეჭდავი სიტყვა, VI., გუბაზ მეფის მკვლელობასთან დაკავშირებით).

ასევე, შემორჩენილია ცნობა, რომ კოლხეთში, ასეული წლების შემდეგაც, აიეტის შთამომავლები მეფობდნენ. არც ის უნდა იქნეს დავიწყებული, რომ არგონავტებმა, როცა ზღვიდან მდ. ფაზისში შეცურეს, იხილეს ქალღმერთი ფასიანეს ქანდაკება, ტახტზე მჯდომარე, წინწილებით ხელში და მის ფეხთით ლომები. ზუსტად ისეთი ქანდაკება, როგორიც ბალკანეთში, ქ. ათენში ჰქონდათ. ეს ხომ ბევრ საერთოზე (კულტურის დონე, ღმერთთა პანთეონი) მინიშნებაა. ამავე ლაშქრობასთან კავშირში მოხსენიებულია, რომ კოლხებს ჰქონდათ თავისი დამწერლობა და რაც მნიშვნელოვანია რუკა, რომელზეც ზღვები, მდინარეები და არსებული გზები ყოფილა გამოსახული. უკულტურო ეთნოსს მსგავსი მიღწევები არ ექნებოდა. ალბათ ამიტომაც სწამდათ საპელაზგოში, რომ ღმერთების მეფე ზევსის „აღზრდა-განათლებაში“ კრეტელებთან ერთად კოლხებიც მონაწილეობდნენ. კოლხეთის სამეფოს ცენტრი კი ქალაქი ეგროსი ანუ ბედია მუდამ აფხაზეთის ტერიტორიაზე მდებარეობდა.



## ტროას ომი

დღევანდელ ვითარებაში ტროას ომის ისტორია დადასტურებულად ითვლება. მას შემდეგ, რაც შლიმანმა, ჰომეროსის „ილიადა“-ს მიხედვით, იდის მთების მიდამოებში დარღანიდი პრიამეს სასახლე აღმოაჩინა, პოემაში აღწერილი მოვლენები წარსულის რეალობად წარმოსდგა.

გამოვიდა, რომ თუ „ილიადაში“ ძველი ცივილიზაციების შეჯახებაა აღწერილი, მაშინ არგონავტების კოლხეთში ლაშქრობაც ისტორიულ ფაქტად უნდა ჩაითვალოს.

ცნობილი ტროას ომი სულაც არ იყო ისეთი რომანტიული და გმირული, როგორც ეს ჰომეროსმა აღწერა. საბოლოო ანგარიშით, ეს იყო ბრძოლა სხვისი სიმდიდრის მითვისებისათვის: 1. საპელაზგოდან საომრად მოსულთა მეფეთამეფე აგამემნონი იცავდა ძმის, მენელაეს ქონებას. საქმე იმაშია, რომ მენელაე მეფე გახდა ელენეს (მეფის ქალიშვილის) ქმრად გახდომის გზით. როცა ელენემ მას უღალატა და ზღვის გადაღმელ, ტროას მეფის წულ პარისს (ალექსანდრეს) გაჰყვა ცოლად, ამით მენელაეს მოუსპო კანონიერი უფლება დარჩენილიყო მეფედ. ხოლო თუ მეფობას დაკარგავდა, იგი ძმას, აგამემნონს დაუწყებდა მეფობაში შეცდილებას. ამიტომ ძმები მონდომებულები იყვნენ, გაქცეული ქალი, ერთის ცოლი და მეორის ძმის ცოლი, უკან მამის სამეფოში დაებრუნებინათ; 2. გაჰყვა რა ტროელს ცოლად, ელენემ, კუთვნილი მამის სამეფო განძი თან გაიყოლა. მენელაემ, დაკარგა რა ცოლი, დაკარგა სამეფო ტახტზე ჯდომის უფლება და დაკარგა ასევე, სამეფო განძი.

ამდენად, პელაზგებს ჰქონდათ ტროელების წინააღმდეგ ომის



საფუძველი. მართალია ტროელებიც და პელაზგებიც მეშეხური (იაფე-ტური) წარმომავლობის ტომები იყვნენ, მაგრამ არა მოკავშირენი.

ტროელები, თავის მხრივ, იმ ათწლიან ომს სამაგიეროს გადახდის აუცილებლობით ამართლებდნენ. ჰომეროსი ასე ხსნის ტროელების პოზიციას: სანამ პარიის (ალექსანდრე) მშვენიერ ელენეს მოიტაცებდა, თავად პელაზგებმა ორჯერ დაამცირეს და შეურაცხვეს ტროელები. ერთი იყო, ათენის მეფისწული თეზეის მიერ კრეტელი მინოსისა და პასიფაეს ქალიშვილის არიადნას მოტაცება და მიტოვება. მეროე იყო, იაზონისა და არგონავტების მიერ აიეტის ქალიშვილი მედეას მოტაცება. ორივე სამეფო დინასტია და მათი ქალიშვილები ტროელების ახლობლებად ითვლებოდნენ. ამ ორი სამეფოს შეურაცხყოფა ტროელებისაგან სამაგიეროს გადახდას მოითხოვდა და ელენეს მოტაცებით იქნა შური ნაძიები.

მედეა კოლხი ქალწული იყო. თანაც სასახელო მეფის ასული. შესაბამისად, კოლხები, მედეას გატაცებით იყვნენ დამცირებულნი. როცა ითქმება კოლხები, იგულისხმებიან ეგროსელები. იმ პერიოდისათვის ეგროსელები მხოლოდ ორ ნაწილად იყოფოდნენ. საერთო მასას ენობრივად გამოყოფილი სვანები და ეგრები. თქმა არ უნდა თითოეული ნაწილი ტომთა სიმრავლეს შეიცავდა, მაგრამ ენობრივად თითოეული ნაწილი ერთიანი იყო. ასეთ ვითარებაში, ტროას ომი კოლხ-ეგროსელებსაც ეხებდოდათ. ამიტომაც იყო, რომ ტროელების მხარეს იბრძოდნენ სამხრეთელი კოლხები ) ჰალიძონები.

როდის უნდა მომხდარიყო ეს ომი? უბრალო მნიშვნელობის ფაქტი როდია. ცნობილია, რომ არგონავტების შვილები ტროას ომში მონაწილეობდნენ. თუ დაგენილი იქნა ტროას ომის თარიღი, მიახლოებით შეიძლება არგონავტთა ლაშქრობის და რაც მთავარია აიეტის მეფობის პერიოდის განსაზღვრა.

ტროას ომის თარიღად მკვლევარები სხვადასხვა წლებს ასახელებდნენ. როცა ცნობილი ავტორიტეტი აკეთებს დასკვნას, ძნელია არ დაეთანხმო. ამის მიუხედავად, ასევე ძნელია დაეთანხმო და აი რატომ: 1. ბერძენთა წინაპრები, დორიელები ბალკანეთში ძვ.წ.ა. XIII-XII საუკუნეთა მიჯნაზე ჩნდებიან. ჰომეროსი, „ილიადაში“ როცა ჩამოთვლის ტროას ომში მონაწილე ტომებს და მათ გემებს, არაფერს



ამბობს დორიელების შესახებ. უნდა ვივარაუდოთ, რომ ომის დროს, ისინი ჯერ კიდევ არ იყვნენ ბალკანეთში; 2. ჰომეროსი მართალია ასახელებს აქაველთა (ახეელთა) ტომს მირმიდონელებს (ჭიანჭველებს), მათ ბელადს აქილევსს, მაგრამ ისინი მხოლოდ ჩრდილოეთ ბალკანეთში ჩანან. ცნობილია, რომ აქაველებმა პელოპონესი მხოლოდ XV ს. ბოლოს დაიკავეს; 3. რაც მთავარია, ჰომეროსის მიხედვით ტროას ომი ბრინჯაოს იარაღებით წარმოებდა. რკინა არსადაა ნახსენები. რკინა მხოლოდ XV ს. ბოლოდან ხდება ცნობილი. შესაბამისად, ტროას ომი სულ ცოტა XV ს. შუა ხანებამდე უნდა წარმოებულყო.

აქედან ერთი თაობით იქით პერიოდი, XV ს. დასაწყისს უნდა განეკუთვნებოდეს აწ XVI ს. ბოლოს ე.ი. არგონავტების კოლხეთში ლაშქრობის თარიღად მიღებული უნდა იქნეს XVI ს. ბოლო ან XV ს. პირველი ნახევარი.

ის, ვინც უპირატესობას მიღებულ XII ს. დაუჭერს მხარს, იძულებული იქნება შეათავსოს ტროას ომის ათ წლიანი პერიოდი, დორიელების შეჭრა ბალკანეთში და ზღვის ხალხების შესევა მცირე აზიაში. ყველა ეს მოვლენა დაკავშირებულია ეგროსელ (კოლხ) ტომებთან და საკვლევ პრობლემას უშუალოდ ეხება. ამიტომ, ორიოდ წინადადება ზღვის ხალხების მიგრაციულ პროცესებზე.



## ზღვის ხალხები

ძვ. წ. ა. XIII-XII საუკუნეები ძველ ცივილიზაციების განვითარებაში მნიშვნელოვანი ცვლილებებით ხასიათდება. გარკვეული ძირეული ცვლილებები მოამწიფეს წინა და მცირე აზიის ხალხებში მიმდინარე პროცესებმა. ამას დაერთო დორიელთა მძლავრი ტომების შეჭრა კრეტა-მიკენის სახელწოდებით არსებულ ცივილიზაციის არეალში.

დორიელებმა დაიკავეს ბალკანეთი და აიძულეს იქ მცხოვრები ტომები დამორჩილებოდნენ ან ლტოლვილებად ქცეულები მცირე აზიას შესეოდნენ.

ბალკანეთის ნახევარკუნძულზე პელაზგი ტომები ქალაქ სახელმწიფოებად ცხოვრობდნენ და არც ერთი-მეორის ხელყოფას ერიდებოდნენ. ძნელი არაა იმის წარმოდგენა, რომ დაქსაქსული, მცირე სიძლიერის ერთეულების დაპყრობა მომხდურებს არ გაუმძელებოდათ.

მცირე აზიის ტერიტორიაზე გადასული ლტოლვილთა ნაკადი აღმოსავლეთით დაიძრა. მკვლევართა საერთო დასკვნის თანახმად, მათ დაასამარეს ხეთებად წოდებული სამეფო და განაგრძეს წინსვლა. დადგენილი ფაქტების თანახმად, მათ ზღვით ეგვიპტესაც უწიეს. მცირე აზიაში შეავიწროეს თუბალთა სამფლობელო, მოწყვიტეს ხმელთაშუა ზღვის სანაპიროს, შეუერთდნენ ადგილობრივ მოსახლეობას, განიმტკიცეს პოზიცია და შეეცადნენ სამხრეთით სირიის ტერიტორიის დაკავებას.

ასურეთის მეფე ტიგლად-პილესარის ცნობის თანახმად, მეშეხმა ტომებმა (ასურელები მათ მუსკებს უწოდებდნენ) სცადეს ფინიკიისაკენ გაჭრა. ძვ.წ.ა. 1165 წ. მუსკ-მეშეხებმა მესოპოტამიის ალზის და ფუ-



რულუმზის ტერიტორიები დაიკავეს. 1115წ. ხუთი მეფის (თუ ტომთა ბელადების) სარდლობით კუმუხის მხარე დალაშქრეს.

ყველაზე მნიშვნელოვანი ცნობა, დამწერლობას შეეხება. იმ დროს ფინიკიელებს უკვე ჰქონდათ ასო-ბგერითი დამწერლობა. ლაშქრობისას მუშქებს გადაუღიათ დამწერლობის ეს სახე და შემდეგ უკვე ძველი ბერძნებისათვის უსწავლებიათ. მანამდე პელაზგებს ჰქონდათ დამწერლობის სხვა სახე. ცნობის თანახმად, პელაზგური მეტყველება და დამწერლობა ძვ.წ.ა. IV საუკუნემდე იყო გავრცელებული ბალკანეთში.

ისტორიულ ფაქტად რჩება, რომ მუშქ-მეშხ-პელაზგებმა ასურეთის დამორჩილება ვერ შეძლეს. ისინი იძულებულნი შეჩერდნენ მცირე აზიაში და იქ ორი სამეფო დაარსეს: დიდი და მცირე ფრიგია. ეს სამეფოები ცვალებადი წარმატებით ფუნქციონირებდნენ ჩრდილოელი ტომების, კიმერიელების შემოსევამდე.

როცა მკვლევარები მსჯელობენ ზღვის ხალხების მიერ მცირე აზიის, წინა აზიის ტერიტორიების დაკავებაზე, ყურადღების გარეშე ტოვებენ მცირე აზიის ჩრდილოეთი ნაწილის, კავკასიის არეალს. რატომ გამორიცხავენ ზღვის ხალხების მიერ შავი ზღვის პირეთის და საერთოდ კავკასიის მიმართულებას? ისტორიული ფაქტების არქონის გამო? არა და, გარკვეული ინფორმაცია ამ ხაზით არსებობს.

ისტორიული ცნობების თანახმად თუბალთა ტომების მიერ ცალკე სამეფოების შექმნის დროს, დღევანდელი აზერბაიჯანის ტერიტორია მოვაკნელებისა და ნაწილობრივ ბარდოსელების კუთვნილება გახდა. ბევრად გვიან, ამ ტერიტორიას ალბანეთი ეწოდა და მოსახლეობასაც ალბანელები.

საინტერესო გარდაქმნაა, რომლის ახსნა არ მომხდარა. ისიც აუხსნელია, აზერბაიჯანის ტერიტორიაზე, არქეოლოგები მოიპოვებენ მცირე აზიისა და ეგეოსის ზღვის აუზის ცივილიზაციებთან კავშირის არსებობის არქიფაქტებს. ამას ემატება ცნობილი რომაელი მოაზროვნის კორნელი ტაციტის მიერ გაჟღერებული მტკიცება, რომლის მიხედვით ალბანელები (უკვე ალბანელები და არა მოვაკნელები) და იბერები (უკვე არა ქართვები) თავის ისტორიულ წარმომავლობას ბალკანეთიდან, კერძოდ თესალიიდან მიითვლიან. აი, მისი აზრი: "Ибо ибери и альбаны обитая в лесистых горах, привыкли к тяжелым



условиям существования и поэтому гораздо выносливее парфян; они утверждают, что происходят от фессалийцев, возводя свое происхождение к тому времени"... (Корнелий Тацит Соч. в двух томах, Т. II, м 1969 стр. 170.)

ამ ცნობას თუ დაემატება მარკ იუსტინეს და პომპეი ტროგას ნათქვამი, იტალიის ალბანიასა და კავკასიის ალბანიას შორის კავშირის შესახებ, დასაფიქრებელი საკითხი იკვეთება. აღარაა საუბარი პირინეის იბერიასა და კავკასიის იბერიაზე, პირინეის ბასკებსა და ეგროსულ (აფხაზურ) ტომ აბასკებზე.

დღემდე არის მსჯელობა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ლაზებისა და ძველი ლაზიკის შესახებ. ლაზებისა და ეგროსელების ურთიერთობის საკითხი კი გასარკვევია. საერთოდაც ეგროსის კუთვნილ არეალში ტომების რაობა დიდ ყრადღებას საჭიროებს.

არა ნაკლები ინტერესის საგანია ჰალოძონთა (ხალიბთა) წარმომავლობის, ძველი ისტორიის და აღმოსავლეთით განფენის საკითხი. ძველ წყაროთა თქმა, რომ ხალიბთა მხარე უსაზღვროა, რომ იგი ურარტუმდე და კავკასიამდე ვრცელდებოდა, რომ ურარტუელთა მთავარი ღმერთი, რომელსაც რელიგიურ ცენტრ მუსასირში (მუცაცირში) თაყვანს სცემდნენ და რომელსაც ხალდი ეწოდებოდა, ბევრად გარკვეულ ახსნას მოითხოვს.

(მხოლოდ დანახებით უნდა ითქვას: სავალალოა, როცა ხეთური ენა მკვდარია, ამ ენაზე არსებულ წერილობით ძეგლებს კი „კითხულობენ“. იგი რუსულის მსგავსად მიაჩნდათ და ამავე დროს ამტკიცებენ, რომ ხეთური, ხურიტულის მსგავსიც არის, ხათურისაც და ქართულისაც).

ამ შემთხვევაში კი სავარაუდოა, რომ „ზღვის ხალხების“ მოძრაობა არ იქნებოდა მიმართული მხოლოდ სამხრეთ-აღმოსავლეთით. კავკასიის არეალს იგი უეჭველად შეეხებოდა და ეგროსის მხარეს უფრო, ვიდრე იბერიასა (ქართებსა) და ალბანელებს (მოვანელებს).

„ზღვის ხალხების“ გადაადგილება სულაც არ ნიშნავდა ბალკანეთიდან წამოსული ტომების შეჭრას ეგროსის მხარეში. თუ ეს ძალა აღმოსავლეთით წასწევდა და აამოძრავებდა ადგილობრივ ტომებს, უკვე დიდ ცვლილებას განაპირობებდა არსებულ ვითარებაში. მით უფრო, რომ თუბალების დასავლეთით მეშეხი ტომების ანუ მონათესავე ადა-





მიანების სამოსახლო იყო. საკმარისია მიეთითოს მაკრონების მძლავრ ტომზე. ცნობილია, რომ ბალკანეთის ნახევარკუნძული, აღმოსავლეთიდან, სიგრძეზე კუნძული ევბეა გასდევს. ადრე ამ კუნძულს მაკრისი ერქვა. მაკრონები მაკრისელების განაყარი ტომი უნდა იყოს. ასევეა ჰალიძონები (ხალიბები) თავს კუნძულის სოფელ ხალიბეადან გადმოსახლებულებად მიიჩნევდნენ. დასაფიქრებელია თავად ბალკანეთის უძველესი მოსახლეობის საერთო სახელი პელაზგები (პე-ლაზ-ები) და მცირე აზიის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის სახელი – ლაზები. დამთხვევაა?

საერთოდაც, სახელწოდების ცვლილება, ან დამთხვევა შემთხვევით არ ხდება. „ბიბლიაში“ მოხსენიებულ თუბალს (თუბალებს), ახლო მეზობლები და მუდმივი მოწინააღმდეგე ასურელები, ტაბალებს ეძახდნენ, შეიცვალა დროება და ებრაელი ისტორიკოსი იოსებ ფლავიოსის (ფლავიუსი) თქმით იბერები ეწოდათ. დღეს იბერებს ქართველებს ეძახიან. ასევე, „ბიბლიაში“ მოხსენიებული მეშეხი, გახდა მუსკი, მუშქი, მესხი.

„ზღვის ხალხების“ აღმოსავლეთით გადაადგილება, თუბალ-ტაბალთა არეალში შეჭრას ნიშნავდა. თუ შედეგად თუბალთა სივრცე დაპატარავდა, შიგნითაც რომ გარკვეული ცვლილება მომხდარიყო, გამორიცხული არაა. თუ თესალიიდან წამოსულმა ჯგუფებმა ალბანეთს უწიეს, არც ის უნდა გამოირიცხოს, რომ ჰალიძონ-ხალიბებმა ეგროსის კუთვნილი მხარის სამხრეთი ნაწილის დაკავება შეძლეს და ქართლოსის სამეფოს სამხრეთ-დასავლეთის მისაკუთრებაც მოახერხეს.

(ამ მდგომარეობიდან გამომდინარე, ანალიზმა უნდა ცხადყოს, სომეხი მკვლევარების მონდომებით ცნობლი, ტრაპიზონის მიდამოებში აღმოცენებული სახელმწიფო ერთეული აია-სა აცცი (როგორც ისინი უწოდებენ), ან აია-სა, (როგორც ქართველები იტყვიან), სინამდვილეში რომელ ტომთა საცხოვრისი იქნებოდა: ლაზ ეგროსელების, ლაზ-ქართველის თუ ლაზ-ურარტელების. ყოველ შემთხვევაში, სომეხი მკვლევარების სამწუხაროდ, იმ დროს სომეხი ეთნოსი ჯერ არ არსებობდა და არ არსებულს, არსებულის მიკუთვნება არ შეუძლია. ცნობილი ფილოსოფიური გამოთქმაა: ძნელია ბნელ ოთახში შავი კატის დაჭერა, განსაკუთრებით, როცა ის იქ არ არის. ამას გარდა



აუცილებელი გახდება აქაველთა (ახეელთა) ეგროსის კუთვნილ მხარეში მოხვედრის ვარიანტების დასაბუთებული ანალიზი. აქაველები კავკასიის ჩრდილოეთიდან არიან ბალკანეთის ნახევარკუნძულზე შეჭრილები თუ პირიქით. არის აზრი ასევე ძვ. წ. ა. VI ს. უკვე ძველი საბერძნეთიდან მათი გადმოსახლების შესახებ. შემორჩენილია სტრაბონის მითითებაც, რომ აქაველები (ახეელები) ტროას ომის შემდეგ, ე.ი. ზღვის ხალხების შემოსევების დროს მისული კოლონისტები არიან. თან ისინიც თესალიიდან, ისევე როგორც აზერბაიჯანისა და ქართების ტერიტორიებზე.

უფრო დიდი თავსატეხია, როცა დიონისე პერიეგეტი (I-II საუკუნე), თავის გეოგრაფიულ აღწერილობაში, აღნიშნავს, რომ ძიგები და რაც ორმაგად საინტერესოა ჰენიოხები, პელაზგური წარმომავლობისანი არიან.

ორი მნიშვნელოვანი დასკვნა გამომდინარეობს ყოველივედან: 1. სამეცნიერო სამყაროსათვის კარგად ცნობილი „ზღვის ხალხების“ მოძრაობის ისტორია საჭიროებს ახლებულ განხილვას. არ შეიძლება გვერდი აეკლოს კავკასიის მიმართულებით მათი გადაადგილების შესაძლებლობას; 2. აფხაზეთის და აფხაზების ისტორიის მკვლევარები, ვერ პოულობენ რა ახსნას, გვერდს უვლიან აფხაზთა წარმომავლობის (გენეზისის) საკითხს და მას ან ზღაპრულ ჩენჩოში ხვევენ ან ძვ.წ.ა. VI საუკუნიდან არსებული ინფორმაციით იფარგლებიან.

ცნობილ მკვლევართა შორის გამონაკლისია ნიკო მარი, რომელიც აფხაზთა ისტორიას თუბალებს უკავშირებს. ეგება ეს გზაა მართებული?

თქმა არ უნდა, ანტიკურობიდან შემორჩენილ ყველა ინფორმაციის უკრიტიკოდ მიღება ისევე არ შეიძლება, როგორც თანამედროვეთა დასკვნების. გასაგებია, რომ წერილობითი წყაროების სიმწირე მწყობრი ისტორიის შექმნის საშუალებას არ იძლევა, მაგრამ პრობლემების გვერდის ავლას, ლოგიკური თვალსაზრისის გადმოცემა სჯობს.



## კულსა

არსებული მწირი ინფორმაცია ცხადყოფს, რომ „ზღვის ხალხების“ ამოდრავებამ მცირე აზიის აღმოსავლეთში დიდი ცვლილებები გამოიწვია. ითქვა, რომ „ბიბლიაში“ მოხსენებული მეშეხები, უფრო გვიან მუშქებად იწოდებოდნენ. მუშქებმა მცირე აზიაში შექმნეს ორი სამეფო: დიდი და მცირე ფრიგია. მცირე აზიის სამხრეთ აღმოსავლეთში შეერივნენ და შეავიწროვეს თუბალები. შეიქმნა ე.წ. ბიტ-ბირუტას სამეფო, დედაქალაქით ტულგარიმი.

ამ შემთხვევაში საინტერესოა მცირე აზიის ჩრდილო-აღმოსავლეთი. პელაზგური ელემენტების აზერბაიჯანისა და ქართთა ტერიტორიებზე დაფიქსირებაზე უფრო მნიშვნელოვანია, ეგროსის მხარის ჩრდილოეთში, აქაველების (ახეელების) დიდი ნაკადის ფაქტი. ზღვის ნაპირას 50 კმ სიგანის ზოლის დაკავება მოსახლეობის დიდ ოდენობას შეეძლო. ბერძენთა სავაჭრო კოლონიების დაარსება ძვ.წ.ა. I ათასწლეულში, ამ მამტაბით როგორ მოხდებოდა, — ამას ახსნა სჭირდება...

რამდენადაც იმ პერიოდისათვის ეგროსის „კუთვნილ“ მხარეში ადრე არაეინ სახლობდა, გარდა ეგროსელებისა, ხოლო „ზღვის ხალხების“ შესევათა პერიოდის შემდეგ, ჩრდილოეთში, სტრაბონის მოწმობით. (მას კი მეტად დაეჯერება, როგორც იმ მხარეში, ქ. ამა-სიაში, დაბადებულ-აღზრდილს და დასაშვებია, წარმოშობით ლაზს) სახლდებიან აქაველები (ახეელები), ხოლო სამხრეთში ლაზ-ხალიბები, რომელნიც, მკვლევართა ნაწილის მტკიცებით, ქმნიან აიასას სახელმწიფოს (სომხებისათვის სასურველ აიასა-აცცის), ყოველივეს ახსნა უნდა.



თავად ეგროსელები იმ დროს უკვე ორ ენაზე საუბრობდნენ: ეგრი-სულზე და სვანურზე. სვანური თავის მხრივ, არა პირდაპირი მოწმობით, მოიცავდა სანიგურს, ისტორიული ფაქტები არავითარ სხვა ენაზე, გადა ეგროსულია, არ მიანიშნებენ. (ადილური, რომლის მიმართაც ბევრი თანამედროვე მკვლევარი რევერანსებით საუბრობს, იმ პერიოდიდან მოყოლებული 25 საუკუნის შემდეგ გახდება ცნობილი). ისიც უნდა ითქვას, რომ ეგროსული თავის მხრივ სრულებითაც არ ჩაითვლება ქართველურად. ორივე ეგრიულიც (ეგროსულიც) და ქართულიც მოდიან საერთო ძირიდან — თუბალურიდან. თუბალური იყო მათთან ერთად ჰაოსური, ლეკოსური, კავკასიანური და სხვა ენებიც. ამ ნიადაგზე შეიძლება იყო და არის ბევრი საერთო სამეტყველო ელემენტი, მაგრამ ერთის გამოცხადება მეორეს, ფუძე-ენად, დაუსაბუთებელია. ამას ემატება „ზღვის ხალხების“ შემოსევების დროს განხორციელებული შესაძლო ცვლილებები და თუბალური ენები ალბათ კიდევ უფრო გაუცხოვდნენ. (შესაძლოა ტოპონიმების, ჰიდრონიმების ძირითადი ბაზა უცვლელი რჩებოდა. ე.ი. თუბალური და არა ქართული).

თავად სვანური ენა და აქედან გამომდინარე ეგროსული, ცნობილი ნიკო მარის აზრით, უფრო მესხურის განაყარი უნდა იყოს. ესაც მეტ ახნა-მტკიცებულებას საჭიროებს.

იყო ნათქვამი, რომ ეგროსის მხარეს, დროთა ვითარებაში კოლხიდის სამეფო და მოსახლეობასაც კოლხები ეწოდა. ასე იყო აიეტიის მეფობის აღმწერელთა მიხედვით.

მოვიდა დრო და „ზღვის ხალხების“ შემოსევათა პერიოდის შემდეგ კოლხებს უკვე ლაზები უწოდეს. ცნობილი პროკოპი კესარიული და აგათი მირინელი (VI ს.) ხასგასმით აღნიშნავენ, რომ კოლხები იგივე ლაზებია. გამოდის, ეგრიელები ხდებიან კოლხები, ხოლო უკანასკნელნი, შემდეგ ლაზები.

იგივეს ამტკიცებს აპოლონიოს როდოსელი.

ძველ ავტორთა საერთო აზრით, დიოსკურიიდან აფსაროსამდე, ანუ სოხუმიდან მდ. ჭოროხამდე ცხოვრობდნენ კოლხები, შემდეგ მათ ლაზები ეწოდათ.

ეთნოსის სახელის შეცვლა შინაგან გარკვეულ ცვლილებებთან უნდა იყოს დაკავშირებული.



„ზღვის ხალხების“ შემოსევის შემდეგ, ცვლილებები პე-ლაზ-გებისა და ლაზ-ების აღმოსავლეთ მიგრაციასთან უნდა იყოს კავშირში. მათი ნაწილი ეგრისის (კოლხიდის) ჩრდილო დასავლეთში ფიქსირდება. მათი უმრავლესობა კი სამხრეთ დასავლეთში. შეიძლება შერევის შედეგად ჩამოყალიბდა ე.წ. შავი ზღვის პირისათვის დამახასიათებელი ტიპი. ესენია: აჭარლები, გურულები, მეგრელები და თანამედროვე აფხაზების უმეტესობა... ამიტომაც ამტკიცებდა ცნობილი ანთროპოლოგი ვ. ალექსეევი, რომ აფხაზების მიკუთვნება სხვა ეგროსულ ტომებისადმი უფრო მართებულია, ვიდრე ჩრდილო კავკასიელი ტომებისადმი. მხოლოდ ეგაა, მეცნიერი ეგროსულ ტომებს უწოდებს ქართველურს (რასაც შეიძლება არ დაეთანხმო), ხოლო ჩრდილო კავკასიელებში ადილებს მოიაზრებს (რაც დიდ კვლევა-დასაბუთებას საჭიროებს. აი, მისი დასკვნა: „Антропологические данные как будто свидетельствуют об исторических связях абхазов в большей мере с грузинским миром, чем с адыгским. Вхождение абхазов в состав народов адыгской языковой семьи осуществилось поздно и, во всяком случае, представляет собой вторичное явление в их этнической истории” (В. М. Алленсеев, Происхождение народов Кавказа, М, 1974, стр. 194).

ცნობილი ავტორიტეტის დასკვნა საფუძველს იძლევა მტკიცებისათვის, რომ როდესაც მოხდა ეგრისელების, კოლხიდელებად სახელწოდება, ხოლო შემდეგ უკანასკნელებისა ლაზებად, ეს შეეხებოდა არა მხოლოდ ეგრისელთა ნაწილს, არამედ ეთნოსს მთლიანად.

გრძელი მსჯელობა მოითხოვა იმის დასაბუთებამ, რომ რაც შეეხება ეთნოსს, შეეხება მის ყველა ნაწილს. ამ წინასწარი დასკვნის შემდეგ, უშუალოდ იმ მოვლენებზე, რაც ეგროსის არეალის სამხრეთში განვითარდა.

ისტორიულად ცნობლია რომ ძვ.წ.ა. XII-X საუკუნეებში თუბალ-ეგროსელთა სამხრეთ ნაწილის თაოსნობით ყალიბდება „ტომთა ახალი გაერთიანება „კილხა“ (კოლხა, კოლხეთი). მისგან აღმოსავლეთით, ასევე, თუბალ-ქართ-მეშხეთა გაერთიანება დიაოხი (ტაოხი იმიურ და ამიურ ტაოს ტერიტორიაზე). უფრო აღმოსავლეთით, ჯერ კიდევ ძვ. წ. ა. XVI საუკუნიდან იწყებს ჩამოყალიბებას თუბალ-ჰაოსიან ტომთა ერთობა ბიანილი (ფართედ ცნობილი ურარტუს სახელით).



ძვ. წ. ა. XII საუკუნიდან მოყოლებული თუბალ ეთნოსთა არეალს ამ სამი ერთეულის ურთიერთბრძოლა ავსებს. მკვლევარების დასკვნების თანახმად, თავდაპირველად სიძლიერით დიაოხი (ტაოხი) სჭარბობდა და შემორჩენილი წერილობით ცნობები სწორედ მის მეფეებს წარმოაჩენენ. ამავე პერიოდში ხდება „კილხას“ (კოლხურ ტომთა) გაერთიანების გაძლიერება. უკვე მაშინ იწყება მისი ბრძოლები სამხრეთის უძლიერეს ასურეთის იმპერიასთან. მხოლოდ ეგაა. წყაროები მიანიშნებენ არა ერთ ცენტრალიზებულ სამეფოზე, არამედ მეფეთა სიმრავლეზე, რომელსაც ხშირად ერთი მეფე მართავს (მეფეთა-მეფე?).


ძვ. წ. ა. IX საუკუნიდან ძლიერდება ურარტუს სამეფო. იგი საბოლოო ანგარიშით, ამარცხებს დიაუხის სამეფოს, და მის ტერიტორიას იყოფს „კილხის“ სამეფოსთან ერთად. ამის შემდეგ ბრძოლები უკვე მიმდინარეობს გამარჯვებულებს (დიაოხის ძირითადი ტერიტორიების დამპყრობლებს) შორის.

საკარაუდოდ, გაერთიანდნენ რა „კილხას“ ტომთა მეფეები, იგი ისეთ მძლავრ ერთეულად ჩამოყალიბდა, ერთი მეფით, ერთიანი სამხედრო ძალით, რომ არც ასურეთს და არც ურარტუს არ ჩამოუვარდებოდა. ეს ძლიერება აფიქრებინებს რიგ მკვლევარებს, არგონავტთა ლაშქრობისა და აიეტის სამეფოს ისტორია ამ პერიოდს დაუკავშირონ. ამასთან, აიეტის სამეფოს ცენტრი სადღაცა სამხრეთით იგულისხმონ და ბერძნების მიერ შემონახულ ძველ მითებსა და ლეგენდებს, ახალი, საკუთარი მიუმატონ.

არსებითი, ამ შემთხვევაში ისაა, რომ ძვ.წ.ა. VIII საუკუნის ბოლომდე „კილხას“ (კოლხიდის) ეს სახელმწიფო ინარჩუნებდა გაკლენას და ვინ იცის როგორ წავიდოდა ისტორიული სვლის გეზი, რომ არა კაკასიის ჩრდილოეთში ჩამოყალიბებული კიმერიელებისა და სკვითების დამანგრეელი თავდასხმა.

ამ ტომების შემოსევებმა ძირეულად შეცვალეს მცირე აზიის მემუხ-მუშქ ტომთა სახელმწიფოებისა და თუბალ-ტაბალ ტომთა სახელმწიფოების ისტორია.

რამდენადაც აფხაზთა ეგროსელი წინაპრები, მოყოლებული ძვ.წ.ა. III ათასწლეულიდან ურყევად და უცვლელად ფლობდნენ გაერთიანების არეალის ჩრდილო დასავლეთს, ამდენად, ყველა ცვლილებებთან ერთად, კიმერიელთა შემოსევებიც აისახა მათ ცხოვრებაზე.



## კიმერიელები

მკვლევარები თანხმდებიან, რომ პირველი, ისტორიისათვის ცნობილი, მოთარეშე ძალა კავკასიის ჩრდილოეთში კიმერიელები იყვნენ. ხალხმრავალი იყო ეს მოდგმა, მაგრამ ბედის უკუდმართობით ისე გადაიარა, რომ ძალზე მცირე ინფორმაცია დაუტოვა შთამომავლობას.

უცნაურები იყვნენ მძლავრი კიმერიელები. შავი ზღვისა და აზოვის ჩრდილოეთით მომთაბარეობდნენ. არის აზრი, რომ ყირიმის ნახევარკუნძულის ჩრდილოეთი სტეპები იყო მათი სამშობლო. ცხოვრება კი ძირითადად ცხენზე მიმდინარეობდა. ბავშვი, სამი წლის ასაკიდან მოყოლებული, დამოუკიდებლად მართავდა ცხენს. თაობიდან-თაობაზე ასეთმა ყოფამ თავისი დალი დაასვა ადამიანებს. წელზევით გოლიათური აღნაგობის, წელსქვევით განუვითარებელი რჩებოდნენ. დიდი ტანი და მოკლე ქვედა კიდურები დამახასიათებელი იყო მათთვის. ამავე დროს იყვნენ შესანიშნავი მოისარნი და გაბედული მებრძოლები.

უცნობია. რამდენი წელი თუ საუკუნე მომთაბარეობდნენ კიმერიელები დღევანდელი უკრაინისა და რუსეთის სტეპებში. დადგენილად მხოლოდ ის ითვლება, რომ მათ მახლობლად სკვითები სახლობდნენ. გრძელდება სამეცნიერო დავა, სკვითები ვისი წინაპრები იყვნენ. (დღეს შეიძლება არასერიოზულად ჟღერდეს ცნობილი მკვლევარის, ბატონ ვასო აბაევის, მოსკოვიდან გამომქვების ამბავი, იმის გამო, რომ სხვა საკითხებთან ერთად უარყოფდა რუსების სკვითურ წარმომავლობას).

ცნობილია, რომ კიმერიები სამშობლოდ აღიარებული ტერიტორიებიდან, სკვითებმა გამოდევნეს.

ოტებული კიმერიელები აზოვის (მეოტიდის) ზღვის აღმოსავლეთ



მხარეს შეესივნენ, გადაქელეს, მდ. ყუბანი გადალახეს, კავკასიის მთაგრეხილი გადაიარეს, კოლხ-ეგროსელთა სამეფო დაამარცხეს და მცირე აზიაში შეიჭრნენ. იყო ძვ.წ.ა. VIII ს. ბოლო მეოთხედი.

ძვ.წ.ა. III ათასწლეულიდან მოყოლებული, მდ. ყუბანის მარჯვენა მხარეს, კავკასიანები ფლობდნენ. მროველის თანახმად მდ. თერგიდან (ლომეკიდან) ზღვამდე მათი „კუთვნილი“ სამოსახლო იყო. ერთადერთი წყარო იმ ძველი პერიოდის შესახებ იუწყება, რომ კავკასიანებმა, უცხო ძელებისაგან, ეს მხარე სხვა თუბალურ გაერთიანებათა დახმარებით დაიცივეს. კიმერიელების წინააღმდეგ ბრძოლისას კი ასეთი თანადგომა არა ყოფილა (შეიძლება თავდასხმის მოულოდნელობის გამო). კავკასიანები დამარცხდნენ და გაიფანტნენ. არის ცნობა მათი ნაწილის, აზოვის ზღვის ჭაობიან მხარეში და ტამანის (ქერჩის) ნახევარკუნძულზე შერეკვის შესახებ.

კიმერიელებს კვალში სკვითები მიჰყვნენ. მათაც თავისი წილი დაიდეს კავკასიის ჩრდილოეთი მხარის დარბევის საქმეში. ერთი ვგაა. კიმერიელები მთაგრეხილს გადავიდნენ და ეგროსის მხარეს მოედნენ. სკვითებმა მთებთან მათი დევნა შეწყვიტეს და აღმოსავლეთით აიღეს გეზი. იმ მხარეს, სადაც კავკასიანთა და ლეკოსიანთა მამულები იყო. სკვითებმა წარმატებით დალახეს დარუბანდის (ალბანეთის) კარი და ურარტუს იმპერიას ჩრდილო-აღმოსავლეთიდან დაემუქრნენ.

კიმერიელებმა კოლხეთის (კილხას) სამეფო გაანადგურეს და მცირე აზიას შეესივნენ. არის ცნობა, რომ ფრიგიის ორივე სამეფო ურარტუსთან კავშირით დაამარცხეს და მოსპეს. თავად ურარტუმაც ვერ გაუძლო ორ-სამ მხარეს ბრძოლებს და სასტიკად დამარცხდა. ბოლოს, ირანის ჩრდილო-დასავლეთში აღზევებულმა მიდიელებმა ძვ. წ. ა. 590 წ. ურარტუ გაანადგურეს. ურარტუს მეფეებმა მიატოვეს ვანისა და ურმიის ტბებს შორის ტერიტორია, გადაინაცვლეს დიაოზ (ტაოხისათვის) ჩამორთმეულ მხარეში, გამაგრდნენ მტკვარ-არაქსის სათავეებში და აქედან განაგრძეს ბრძოლა ძველი დიდების აღდგენისათვის.

მიდიელებმა სკვითების ჩრდილოეთში განდევნაც მოახერხეს. ასე იყო, სანამ სპარსეთის სამეფოს შემქმნელმა კიროსმა (ძვ.წ.ა. 558-529 წწ.) მიდია არ დაიპყრო და დიდი იმპერია არ შექმნა.

რაც შეეხებათ კიმერიელებს, მათ ჩრდილოეთში დაბრუნება არ





ეწერათ. ასურეთთან ბრძოლაში დამარცხდნენ, დაიშალნენ, ადგილობრივ მოსახლეობას შეერივნენ. მათი ძირითადი ბირთვი შეერწყა ბიტ-ბურუტას ტერიტორიაზე მცხოვრებ ჰაოსიან თუბალ-მუშქებს და ამ გზით სომეხი ეთნოსის ფორმირებაში მიიღო მონაწილეობა. როგორც დამპყრობმა ძალამ, მათ თავიანთი ენა გააბატონეს, თუმცა ადგილობრივი, ბევრად ცივილიზებული მოსახლეობისაგან ბევრი რამ შეითვისეს. მათ შორის თვით სახელი.

დიდ ცვლილებებს ვერც ეგროსელ-კოლხები აცდნენ. მძლავრი სამეფოს დაქცევას უკვალოდ არ ჩაუვლია. მათ საცხოვრებელ არეალში ცალკეული ტომები ხდებიან ცნობადნი.



## ტომები

წარსულის ამსახველი ინფორმაციის ნაკლებობა განაპირობებს ძირითადად, ამა თუ იმ ეთნოსის ან ტომის შესახებ წარმოდგენათა სიმრავლეს. ითქვა რომ ძვ. წ. ა. VIII — VII ს.ს. კიმერიელებმა გადაქელეს კავკასიის ჩრდილო-დასავლეთი მხარე და კოლხეთის (ეგროსის მხარის) გავლით მცირე აზიას უწიეს. მათ მიჰყვნენ სკვითები, რომელთაც შეძლეს დარუბანდის გზით სამხრეთ კავკასიაში შეჭრა.

ისტორიულ ცნობათა თანახმად, იყო კიდევ მომხდურთა მესამე ტალღა — სავრომატები\*. სავრომატები, კავკასიის ჩრდილოეთს, ზღვის ნაპირის გასწვრივ კი არა, ცენტრალური მხარედან დაესხნენ. ამასთან, წინამორბედებისაგან სხვაობით, ისინი დამხვდურთა რბევით არ დაკმაყოფილებულან და დაიწყეს ჩასახლება.

სავრომატები ორ ნაკადად შეიჭრნენ: სირაკთა და აორსთა სატომო გაერთიანებები. სწორედ მათ სახელს უკავშირდება ადგილობრივი მოსახლეობის ხოცვა-ტყვევნა-განდევნა.

მკვლევართა დასკვნის თანახმად, ძვ. წ. ა. VI-VII ს. კავკასიის ჩრდილოეთში ფიქსირდება რიგ ტომთა სახელები, რომელთა განსაზღვრა-კუთვნილება, დაუდგენელ ფაქტად ითვლება. უკვე იყო საუბარი მეოტებისა და სინდების შესახებ. ბევრს სურდა ისინი ადიღეველთა ისტორიულ წინაპრებად გამოეცხადებინათ. დიდი მცდელობის მიუხედავად, ასეთი დასკვნა არამეცნიერულად იქნა ცნობილი: ვინ უნდა ყოფილიყვნენ ისინი?

ერთადერთი, (ზოგისთვის ზღაპრული) წყარო ინფორმაციისა,

---

\*\* იგივე სარმატები.



ისევ (ბევრისთვის მიუღებელი) მროველია. იგი გარკვევით ამბობს, რომ ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი კავკასიისა, მდ. ლომეკიდან (თერგიდან) მოყოლებული, მდ. მცირე ხაზარეთის (მდ. ყუბანი) მარჯვენა მხარე, კავკასიის დასასრულამდე, ზღვამდე გახდა კავკასის მოდგმის ტომების სამოსახლო. რამდენადაც ჩრდილოეთში იმ დროს (ძვ. წ. ა. III ათასწლეულში), იმ მხარეში მკვიდრი მოსახლეობა არ არსებობდა, კავკასიანებს შეეძლოთ დაეკავებინათ უსახლვრო ტერიტორიები. არავინ იცის, რამდენი შეიძლეს მათ, სავარაუდოდ ბევრი. რის საფუძველზე ვარაუდი? 1. კავკასიანები, რომ არ ყოფილიყვნენ ტომთა დიდი გაერთიანება, ძველი ბერძნები არ იტყოდნენ მათი დასახლების არსებობაზე პაფლაგონიაში (დასავლეთი მცირე აზია) და ულუმბოს მთის (ოლიმპოს მთის) მახლობლად (ბალკანეთში). მხოლოდ ეგაა, ძველი ბერძნები კავკასიანებს ეძახდნენ კავკონებს; 2. კავკასიანები (კავკონები) მონაწილეობდნენ თუბალთა ყველა გადამწყვეტ ბრძოლებში; 3. ვერც ერთი ისტორიული წყარო, კავკასისა და ლეკოსის ტომთა გაერთიანებების გარდა, ჩრდილოეთ კავკასიაში მოსახლე ეთნოსებს ვერ ასახელებს.

ლოგიკურია ვივარაუდოთ, რომ კიმერიელების, სკვითების და სავრომატების მიერ „გალახული“ ტომები, ეგროსელები, კავკასიანები და ნაწილობრივ ლეკოსელები იქნებოდნენ.

მკვლევართათვის ცნობილია: კავკასიის ჩრდილოეთში, მის დასავლეთ ნაწილში, ეგროსელების მეზობლად, სახლობდნენ: მეოტები, სინდები, თორეტები, კერკეტები, ფატეები, დოსხები. შეიძლება სხვა ტომებიც. ცენტრალურ ნაწილში ყვნენ: ღარღარები, ისადეკები (სოდები), ჰამიკეთები, ტალები. აღმოსავლეთ ნაწილში: ლეგები, გელები, კასპიები, დიდურები, ანდაკები და სხვ.

შემოჭრილი მტრების სიძლიერემ აიძულა ეს ტომები თავი უსაფრთხო (შედარებით), ადგილისთვის შეეფარებინათ. ამ შემთხვევაში საინტერესო კერკეტები და ზიგებ-ძიგები-ჯიქებია. არ წყდება მსჯელობა-კამათი მათი ეთნიკური კუთვნილების შესახებ. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს მათი ადიღური წარმომავლობის საკითხი. შეიძლება თუ არა მათი ადიღეველებად წარმოდგენა?

ძალზე მოკლედ. თუ ადიღები ისტორიისათვის. ცნობადნი ხდებიან XIII საუკუნეში, ამასთან ისინი მეოტიის (აზოვის) ზღვის ჩრდილოეთიდან XV ს. იწყებენ ყუბანისპირეთში შეჭრას, როგორი უნდა იყოს



მეკალმის ფანტაზია, რომ ეს ტომები ორი ათასი წლით ადრე „დაამკვიდროს“ კავკასიის რომელიმე მხარეში. მით უფრო, რომ ეს მხარე დასახლებულია სხვა ტომებით მთელი ორი ათასი წლის მანძილზე. ისიც საინტერესოა, რომ მკვლევარებს არც უცდიათ ეს მხარე და იქ დაფიქსირებული ძველი ტომები კავკასიანებისათვის დაეკავშირებინათ.. რატომ? მხოლოდ იმიტომ, რომ ამ მხარეში ახლა ადიღები და მათ უკმაყოფილებას მოერიდნენ? შეიძლება იმიტომ, რომ კავკასიანები ამჟამად მცირერიცხოვანი დვალები და ჩეჩენ-ინგუშებია და თანაც სხვა არეალში მაცხოვრებელი? ვინ იცის.

ყოველ შემთხვევაში, ძვ. წ. ა. VII-VI საუკუნეებში, მდ ყუბანის (მდინარე მცირისა ხაზარეთისა) მარცხენა მხარის ტერიტორიები მტკიცედ ეპყრათ თუბალ-ვეროსელებს (მათ შორის აფხაზების წინაპრებს), ხოლო მარჯვენა მხარეში თუბალ-კავკასიანები სახლობდნენ.

კიმერიელების, სკვითების, სავრომატების შემოსევების დროს, ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასიაში მხოლოდ თუბალ-მეშეხებია. შესაბამისად, მტრისგან დარბეულ-დაჩაგრული თუბალური მოდგმის ეთნოსები იქნებოდნენ.

თავად სახელწოდებანი, კერკეტები-კერკეტი-კირკიტი, და ჯიქი-ზიხი, თუბალური წარმოშობისაა. აქვს ამას მნიშვნელობა?

საინტერესოა. ერთმა მკვლევარმა წყაროში ამოიკითხა ქაშქი. სხვებმა სიტყვა ჟღერადობის სიახლოვის გამო ქაშაგებს დაუკავშირეს. რომელიდაც ეთნოსი ადიღზე იტყვის ქაშაგი. ჯერ ერთი, ქაშქი რამდენად სწორადაა ამოკითხული? მეორე, რატომ უნდა დაუკავშირონ ამოკითხული ადიღს? თუ პირინეის იბერია კავკასიურ იბერიას არ უკავშირდება, თუ კავკასიის ალბანეთი იტალიის ალბანეთს არ უკავშირდება. ძვ.წ.ა. II ათასწლეულის, ვთქვათ და სწორად წაკითხული ქაშქი, სამი ათასი წლის შემდეგ მონათლულ ქაშაგს როგორ უნდა დაუკავშირდეს? არა და ძალზე შორს მიმავალი დასკვნებია ამ ვარაუდთან დაკავშირებული. ამიტომ, ბევრს აწყობს მცირე აზია, იმ დროს არ არსებული ეთნოსით დაასახლოს.

ამავე საკითხთანაა დაკავშირებული კერკეტებისა და ჯიქებ-ზიხების ტომთა განმარტება. როცა დადასტურდა, რომ მეოტები და სინდები ადიღთა წინაპრებად ვერ ჩაითვლებოდნენ, მეკალმენი კერკეტებზე და ჯიქ-ზიხებზე გადაერთნენ. რა იქნება მომავალში?



სკვითი მეომრები



სავრომატებმა თუბალ-კავკასიანები არა მხოლოდ დაამარცხეს, არამედ აიძულეს კიდევ თავი მიუვალი ადგილებისათვის შეეფარებინათ. მომხდურებმა ეტყობა თუბალ-ქართებიც დალაშქრეს. აქედან წაყვანილი ტყვეები კავკასიანების მიერ დაცლილ ტერიტორიაზე დაასახლეს. მომხდურთა მეფემ (თუ ბელადმა) „... მისცა ძესა თვისსა... ქუეყანა კავკასის ნაწილი, ლომეკის მდინარის დასავლით, დასავლეთამდე მთისა“ (ქართლის ცხოვრება, თბ. 1955, ტ. 1, გვ. 12.)

ცნობილია, რომ კავკასიის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი სირაკების ტომთა გაერთიანებამ დაიკავა: ცენტრალური აორსების კუთვნილ მხარედ იქცა. რამდენადაც ვაინახები (ჩეჩენ-ინგუშები) მდ. ლომეკის (თერგის) აღმოსავლეთით სახლობენ, უნდა ვივარაუდოთ, რომ ახალი სამოსახლო მათ სირაკ-აორსების შემოსევების შემდეგ დაიკავეს. ტალები (დვალეები) სამხრეთით მთებს შეეფარნენ. მეოტები და სინდები აზოვის ზღვის ჭაობიან ნაპირებში შეიკეტნენ. შეიძლება იმ დროს მოხვდნენ კერკეტები თუბალ-ეგროსელთა შორის?

ლოგიკურია ვიფიქროთ, რომ კერკეტები ეგროსული მოდგმის ტომია და არა კავკასიანური. სხვანაირად ძნელი ასახსნელია მათი განლაგების ადგილი ეგროსულ ტომთა ჩამონათვალში. თავად სახელწოდებაა-კერ-კეტი დამაფიქრებელი. შეიძლება თუ არა მათი დაკავშირება მითოლოგიურ კერთან, მტერ-თან? კერ ხომ მტერ-ობის ღვთაებად ითვლებოდა. როცა დრონის ღმერთმა კრონმა ადამიანური ცხოვრების მოწესრიგება მოინდომა, სხვა ადამიანურ გრძნობებთან ერთად (ვთქვათ შურის ღმერთად ერიდა, ტყუილისა — ატა) კერ-იც დაადგინა, როგორც მტერობის ღვთაება.

ძვ. წ. ა. VII-VI საუკუნეების ქართველების შედეგად მნიშვნელოვნად იცვლება ეგროსისა და ქართოსის მხარეები. თუ კავკასიის ჩრდილოეთში კავკასიის მოდგმის ტომები მარცხდებიან და იფანტებიან, არც სამხრეთი რჩება გარდაქმნების გარეშე.

ურარტუს იმპერიის განადგურების შემდეგ, მისი ტერიტორია და იქ არსებული ტომები სამ ნაწილად იყოფიან.

პირველ რიგში უნდა ითქვას, რომ ურარტუს მხარეს, მეზობელი სპარსელები არიანას, ხოლო ელამელები არმიანას უწოდებდნენ. აქედან დამკვიდრდა ბერძნული არმენია, არმიანები. ამ სახელწოდების ქვეშ მოიაზრებოდა ურარტუს იმპერიაში გაერთიანებული ტერიტორია, იქ მაცხოვრებელი ტომებით, პირველ რიგში თავად ურარტელები.



კიროსმა შექმნა რა სპარსეთის მძლავრი სამეფო, მას არიანას (ურარტუს) მხარეც დაუქვემდებარა. მის იმპერიაში შევიდა ყოფილი ამრის სამეფო (ტილ-გარიმის მიდამოები), სადაც თუბალურ-სუხმეს ტომი სახლობდა. ამ მოსახლეობას „ზღვის ხალხების“ შემოსევის შემდეგ, ჩაუსახლდა მუშქების გარკვეული ნაწილი. კიმერიელებმა ეს მხარე დალაშქრეს, ბოლოს შეერივნენ დაპყრობილებს და სათავე დაუდეს მომავალი არმიანი (სომეხი) ეთნოსის ფორმირებას. ეს მხარე და იქ მაცხოვრებელი ტომები უშუალოდ გაერთიანდნენ სპარსეთის იმპერიაში.

სპარსეთის იმპერიაში ცალკე ერთეულის სახით შევიდა საკუთრივ ურარტუს ტერიტორია.

რჩებოდა ურარტუს მიერ მიტაცებული დიაოხის (ტაოხის) მხარე, როემლსაც არიან-ქართი ეწოდებოდა. არიან-ქართი გახდა ურარტუს ლტოლვილი მეფეებისა და არისტოკრატის თავშესაფარი. ეს მხარე განაგრძობდა დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას და სპარსეთს არ ემორჩილებოდა.

საინტერესო მოვლენაა. ისტორიისათვის ცნობლია, რომ ამ მხარეს, იმ პერიოდისათვის ხალდეა ეწოდა. ხალდეების ანუ ხალიბების ტომთა გაერთიანება ხომ არ ატარებდა ურარტუელთა მთავარი ღმერთის ხალდეს სახელს? თავად ტომთა გაერთიანება ხომ არ მოხდა რელიგიურ ნიადაგზე? ამიტომ ხომ არ იყო, რომ როცა ქრისტიანული მოძრაობა განვითარდა ხალდეელები აღარ იხსენიებიან? ხალდეელები თუ ღმერთ ხალდეს მიმდევრები იყვნენ, და რელიგიურ ნიადაგზე აღმოცენდა ტომთა ერთობა, მაშინ ბევრად ლოგიკური ახსნა ექნება მათ გამოჩენას და გაქრობას ისტორიის ასპარეზიდან.

დაახლოებით ამდაგვარ მოვლენას აქვს ადგილი ეგროსის მხარეში, ისტორიულად ცნობილი ჰენიოხები სახლობდნენ დღევანდელი აჭარის ტერიტორიაზე, ერთი პერიოდი მდ. რიონის (ფაზისის) მიდამოებში და რაც მთავარია დღევანდელი აფხაზეთის უდიდეს ნაწილში. ამის გამო არ წყდება მკვლევართა კამათი მათი ეთნიკური კუთვნილების საკითხზე, ჰენიოხებს ბევრი სვანურ ტომად მიიჩნევს. არა ნაკლებანი ლაზ-კოლხებად. ასევე მრავალნი აფხაზური წარმომავლობისად. იმის გამო, რომ ჰენიოხები გაფანტულად მოსახლეობდნენ ზოგნი მათ ტვირთის მზიდავეებს არქმევენ, თვალსაზრისი მრავალია, ერთიანი ეგრისია არ არსებობს.



ძველი მეკალმენი მიუთითებენ ჰენიოხთა მრავალსახელიანობაზე. მართლაც დამაფიქრებელი ფენომენია. ვთქვათ დიონისე ჰერიეგეტი (I-II სს.) ჰენიოხებს პელაზგური წარმომავლობისად მიიჩნევს. ჰელანიკე მიტილენელი (ძვ.წ.ა. V-IVსს.) იძლევა ცნობას, რომლის მიხედვით ჰენიოხები ადრე ქ. ფაზისში მოსახლეობდნენ, შემდეგ ჩრდილოეთით წაიწიეს და მათ ნაცვლად მილეთელები ჩასახლდნენ. ფლავიუს არიანე (95-175 წწ.) ერთი მხრივ მიუთითებს, რომ კოლხები სახლობენ ტრაპეზუნტიდან ჩრდილოეთით ძველ ლაზიკამდე და იქვე აღნიშნავს რომ ჰენიოხები არიან ტრაპეზუნტსა და ჭოროხს შორის. თავად სტრაბონი განასხვავებს ჰენიოხებსა და კოლხებს. ამავე დროს მიიჩნევს, რომ ჰენიოხები სახლობენ დღევანდელ გაგრასა და ტუაფსეს შორის. ცნობილი პტოლემიოსი გაგრიის მიმდებარე ტერიტორიაზე სუანო-კოლხებს ასახელებს.

ყოველივეს დამატებით ბევრი ისტორიული წყარო ხაზს უსვამს კოლხების ლაზობას. აგათია სქოლასტიკოსი ამიტომ ამბობს: „ლაზებს რომ ძველად კოლხები ეწოდებოდათ და სწორედ ისინი არიან, ამაში ეჭვი არ შეეპარება არავის“.

დამაფიქრებელია. ჰენიოხები კოლხების არეალში სახლობენ, მაგრამ მათგან მაინც განსხვავდებიან. ჰენიოხები ზოგისთვის კოლხებია. კოლხები კი უკვე ლაზებად იწოდებიან. სადაა ჭეშმარიტება?

გამოსავალი საკითხისადმი მიდგომაშია. ძვ.წ.ა. III ათასწლეულიდან მოყოლებული ეგროსელები მტკიცედ ფლობდნენ ტრაპეზუნტიდან მდინარემდე მცირე ხაზარეთისა (მდ. ყუბანამდე) და ლიხის მთიდან ზღვამდე. მათ შორის მონათესავე, მაგრამ უცხო ტომელები გამოჩნდნენ „ზღვის ხალხების“ შემოსევების დროს. მათ ალბათ მოიტანეს ენობრივ, კულტურული და შეიძლება რელიგიური ელემენტები. ამიტომ მიაჩნდათ ბევრი ტომი თესალიიდან წამოსულებად. მათ შორის სომხებში, ალბანელებში, იბერებში, ეგროსელებში.

ეგროსელთა შორის პე-ლაზ-გისიდან გადმოსახლებულად ითვლებოდნენ აქაველები (ახვეელები), რომლებიც 89 კილომეტრის ზღვის პირეთს იკავებდნენ დღევანდელ ტუაფსესა და სოჭს შორის. ჰენიოხებს უფრო მეტი, 178 კმ. სიგრძის სანაპირო ზოლი ეკუთვნოდათ. ეს ჩრდილოეთის ჰენიოხებს. სამხრეთით ტრაპეზუნტსა და მდ. ჭოროხს შორის ასევე საკმაო სიდიდის სანაპირო ზოლი გამოდის.

ჩრდილოელ და სამხრეთელ ჰენიოხებს შორის ბევრი სხვა ტომი





ფიქსირდება. მაშ რა შეიძლებოდა ყოფილიყო საერთო მათ შორის? კითხვა რიტორიკისთვის როდია. თ. მიბჩუნმა ჰენიოხობა რელიგიურ წარმოდგენებს დაუკავშირა და ამ ნიადაგზე ისინი სვანებად მიიჩნია. ჰენიოხების (ჰელიოხების) ჰელი-ოსთან, ეოსთან დაკავშირება შეიძლება, ოღონდ მათი მხოლოდ სვანებისათვის მიკუთვნება, არალოგიკურია. ასეთ დროს უნდა დადასტურდეს სვანების სახლობა მდ. ჭოროხის აუზში, მდ. რიონის (ფაზისი) აუზში და დასკვნა ისე გაკეთდეს.

სულ სხვა მდგომარეობა წარმოსდგება თუ ისეთი ისტორიული ფაქტიდან გამოვალთ, როგორცაა ეგროსელობა. ტომთა სიმრავლის მიუხედავად ყველას საფუძვლად თუბალ-ეგროსელობა ჰქონდათ. შეიძლება ენობრივად სვანები განსხვავდებოდნენ ეგროსელებისაგან, მაგრამ ორივე განშტოება თუბალებიდან მოდიოდა და ამდენად საერთოც ბევრი იკვეთებოდა. ამიტომ, სრულიად საფუძვლიანად მიიჩნევენ ჰენიოხებს თავის წინაპრებად სვანი ეგროსელები, ეგრი (აფხაზი) ეგროსელები და მეგრი (მეგრელი) ეგროსელები.

უფრო მეტი. იყო ბევრი საერთო, განმასხვავებელ ნიშნებთან ერთად, თუბალებსა და მეშეხებს შორის... სხვანაირად არ იქნებოდა პარალელები ჰე-ლაზ-გურ და ლაზურ (კოლხურ) მითებსა და ლეგენდებს შორის ეს თავის მხრივ, თუბალ-მეშეხების საერთო, იაფეტურ წარმომავლობაზე მითითებაა.

სავარაუდოდ შეიძლება ლოგიკური იყოს დასკვნა ჰენიოხების, ჰელი-ოხების, ჰელი-ოსის, ასევე ჰალიოს (ჰ – დაკარგული არის), მასთან დაკავშირებული, ეო-სის, აი-სის, ალი-ონის ურთიერთმიმართების შესახებ.

ამ შემთხვევაში კი არსებითია, რომ ჰენიოხები მრავალ ტომს აერთიანებდნენ, ამასთან ტერიტორიულად სხვადასხვა მხარეს მაცხოვრებლებს და არ ჩანს სხვა მახასიათებელი მათი ერთობის გამამართლებელი, თვინიერ რელიგიურობისა.

კიდევ ერთი ფაქტი, რომელიც შემთხვევითობად ვერ აღიქმება. ჰენიოხობა ქრება და იმ მიდამოებში ბევრი ტომის სახელი ჩნდება. ეს მოვლენა შეიძლება ქრისტიანობის გავრცელებასაც მიეწეროს. ფაქტია, რომ I-II საუკუნეებში კოლხეთის (ეგრისის) და საკუთრივ აფხაზეთს არეალში, ადრე ჩრდილში მყოფი ტომები ხდებიან ცნობადნი.

ცხადია ეს ტომები ძველთაგანვე იქვე სახლობდნენ, არასერ-



იოზუელია მტკიცება მათი „მთიდან ჩამოწოლის“ შესახებ. წყაროთა სიმწირეა ყოველივეს მიზეზი. როდესაც ძველი ავტორები ამტკიცებენ დიოსკურიაში 70 ტომის წარმომადგენლთა თავშეყრის შესახებ, არ იძლევიან მათ დასახელებას, მაგრამ უეჭველად იგულისხმებიან გვიან დახასიათებულნი.

ძვ. წ. ა. VII-VI სს. ეგროსელთა ზღვის სანაპირო ზოლში ჩნდება ბერძნული დასახლებები. ეს ხელს უწყობს ადგილობრივი მოსახლეობის შესახებ ინფორმაციის მატებას. ამის მიუხედავად არაა საკმარისი ცნობები ეგროსული ტომების, მათ შორის აფხაზების უშუალო წინაპრების, დასახასიათებლად ძველი დროიდან მოყოლებული.

ლოგიკური ვარაუდით შეიძლება თქმა, რომ კიმერიელების მიერ ერთიანი სამეფოს დამარცხების შემდეგ, ჩნდება ცალკეული ტომების ან ტომთა ერთობით წარმოქმნილი მცირე სიძლიერის სამთავროები. ძვ. წ. ა. IV ს. ქუჯის მეთაურობით ეგროსის სამთავროს არსებობა გამონაკლისი მოვლენა არ იქნებოდა. უკვე იმ დროს, თუ არა მანამდე, შეიქმნებოდა სამთავროები (პოლიტიკური გაერთიანებები), რომელთა შესახებ ცნობები არ შემოინახა ისტორიამ, იგულისხმება, რომ თუ ფარნავაზის მეფობისას ეგროსის მხარე გაიყო ქართს მიმხრობილ და ბერძნებს მიმხრობილ ნაწილებად, ნიშნავს უკანასკნელებსაც ეყოლებოდათ თავიანთი მთავრები (პოლიტიკური ლიდერები).

რამდენი, რომელი ტომებისაგან შედგებოდა ბერძნებს მიმხრობილი მხარე, ეს უკვე ახალი წელთაღრიცხვიდან ხდება ცნობილი.

საორიენტაციოდ უნდა მიეთითოს ბერძენ მხედარმთავარ და ისტორიკოს ქსენოფონტეზე, რომელმაც ძვ. წ. ა. 401 წ. ჯართან ერთად გაიარა კოლხეთის სამხრეთი საზღვარი. შემორჩენილი ცნობის თანახმად, ჯარში იყო აზრი ზღვით კოლხეთის დალაშქვრაზე, სადაც ცნობილი აიეტის ჩამომავლები მეფობდნენ. არაა გამორიცხული, მცირე მხარის ან ცალკეული ტომის მეფე-მთავრები, კავშირის რაღაცა ფორმას ინარჩუნებდნენ.

სამწუხაროდ უცნობია რამდენი წვრილი სამეფო-სამთავრო არსებობდა ეგროსის (კოლხების) მხარეში. ის რაც შედარებით ცნობილია უკავშირდება I-II საუკუნეს.. მათ შორის არიან მომავალი აფხაზების წინაპარი ტომები. სწორედ მათი მისამართით არის აზრი ბერძნებს მიმხრობილებად.



## ბერძნებს მიმხრობილები

ყოველი საუკუნე ბევრის შემცველია ეთნოსის ცხოვრებაში. არის მოვლენები, რომელნიც ბევრი ეთნოსის ცხოვრებას ცვლიან. ასეთი იყო ძვ.წ.ა. IV ს. მეორე ნახევარი.

კავკასიის ჩრდილოეთში გამოიკვეთა აორსების ტომთა ჰეგემონობა. მათ ქართული ისტორიოგრაფია ოვსებს უწოდებს. ოსური აკადემიური მეცნიერება ოვსთა დამკვიდრება – სიმლიერის პერიოდს ძვ.წ.ა. III-II სს. ვარაუდობს, მათგან სხვაობით ა. ცაგაევა ლოგიკურად ასკვნის, რომ ოვსების წინაპრების (აორსების) დამკვიდრება VI-V სს. უნდა განხორციელებულიყო.

აორსებმა შეავიწროვეს კავკასიანური ტომები დურძუკები, დვალლები, დიგორელები, ბასიანები, ირონები და ეგროსის ტომებს გაუმეზობლდნენ.

სამხრეთში სპარსეთის იმპერიას მკვიდრად ეპყრა თუბალ-მეშხთა მხარე და ბალკანეთში (უკვე საბერძნეთში) შეჭრას დამობდა. ყოფილი ურარტუს (არიანას სპარსულად, არმიანას-ელამურად, არმენიას-ბერძნულად) იმპერიის ტერიტორია სამ ნაწილად იყო გაყოფილი. სამხრეთში (ყოფილი ტილ-გარიმის) თოგორმის მიდამოებში უკვე სომეხი ეთნოსი (ჰაოსიანები სომხურად, არმიანები ბერძნულად) იყო ფორმირებული. იმ პერიოდში ამ მხარეს შაჰის ახლობელი მართავდა. ძვ. წ. ა. 336 წ. იგი სპარსეთის შაჰი გახდა დარიოს კოდომანის სახელით. ურარტუს (არმიანას) შუა ნაწილს, როგორც სპარსეთის ცალკე სატრაპოს, მეფე მითრიდატე (დარიოსის დის ქმარი) ედგა სათავეში, მესამე ნაწილი იყო არიან-ქართი (ურარტუს მიერ მიტაცებული ქარ-



თის ტერიტორია). მისი მეფე იარედოსი სპარსეთს არ მორჩილებდა. პირიქით, ცდილობდა ძველი ძლიერების აღდგენას. ის და მისი მემკვიდრე აზონი ესწრაფოდნენ დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარებას.

ეგროსის აღმოსავლეთი მეზობელი, ქართლოსის ყოფილი სამეფო, ქალაქ-სახელმწიფოებად იყოფოდა მამასახლისებით სათავეში.

ეგროსელთა სამხრეთით ყალიბდებოდა ხალიბ-ტიბარენელთა მითრიდატების სამეფო და ცდილობდა სპარსეთის ბატონობის გადაგდებას.

ცოტა შორს, საბერძნეთში (ყოფილ საპელაზგოში) ქალაქ-სახელმწიფოების ეპოქა სულს ღაფავდა. საუკუნის მეორე ნახევარში ფილიპე მაკედონელმა შექმნა მძლავრი სამეფო და მოახერხა ბერძნული ქალაქ-სახელმწიფოების დაქვემდებარება, სპარსეთის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებით.

მრავალრიცხოვანი ბერძნული მოსახლეობა საზრდოს მცირე აზიიდან ღებულა. სპარსეთის მიერ ამ მხარის დაპყრობა, ბერძნებს საომრად განაწყობდა.

ფილიპე მაკედონელმა შექმნა მეტროპოლი არმია და მცირე აზიის ტერიტორიაზე განალაგა. ომის დაწყება ვერ მოასწრო. ძვ.წ.ა. 336 წ. იგი მოკლეს ღალატით. გამეფდა მისი ენერგიული ვაჟი ალექსანდრე.

უკვე ითქვა, რომ თავად ეგროსის ქვეყანა, კოლხიდის მხარე, დაყოფილი იყო მცირე სამთავროებად, რომელთაც სათავეში მეფე ან სკეპტუხი (მამასახლისი მთავარი) ედგა.

ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობამ აზიაში, შეცვალა იქ მცხოვრებელ ეთნოსთა ცხოვრება. ცვლილება კავკასიის ხალხებსაც შეეხო.

აზონ იარედოსის ძემ ისარგებლა სპარსეთის განადგურებით, ამ მხრივ საფრთხის მოხსნით და ჩრდილოეთს შეუტია. მან ადვილად დაამარცხა მცხეთის უფალი მამასახლისი სამარა და ქართლს დაეუფლა. შექმნა ძლიერი სამეფო და ეგრისს, ოვსებს, ღურძუკებს ხარკი დაადო.

აზონმა საფუძველი დაუდო ქართლის (იბერიის) სამეფოს, მაგრამ ზეობა დიდხანს არ გაგრძელებულა. მცხეთის მამასახლისის ძმის წულმა ფარნავაზმა, ეგრისის მთავარ ქუჯისტან კავშირში, ოვსებისა და ღურძუკების დახმარებით, შეძლო მისი დამარცხება და სამეფო ტახტის დაუფლება.



ფარნავაზმა ქუჯის და მიათხოვა. როცა ვრცელი სამეფო საერი-სთაობად დაჰყო, იგი ეგრისის ერისთავად დაადგინა. ქუჯის დროს, ეგრისის საერისთაოს ჩრდილოეთი საზღვარი ეგრის წყალზე (მდ. ღალ-იძგა) გადიოდა. ეგრისი გაყოფილი აღმოჩნდა მდინარის გაღმა-გამოღმა მხარეებად. ეს იყო ეთნოსის პოლიტიკური დანაწევრება ეგრებად და მე-გრებად. ეთნოსი ერთი იყო, მაგრამ იყო მის ორ ნაწილს შორის კედლის აღმართვის პირველი მცდელობა. რამდენად მნიშვნელოვანი გაუცხოება გამოიწვია ამ გახლეჩამ, უცნობია. სავარაუდოდ არა, რადგან ადგილი არა ჰქონია უცხო ტომელების ჩასახლებას. მოსახლეობა რჩებოდა ეგრული და ენა ეგრული.

მემატიანე ძუნწი სიტყვებით მოხსენიებს ეგრისელთა ორ პოლი-ტიკურ ერთეულად გაყოფის ფაქტს. იგი ამბობს: „ხოლო ეგრის წყალს ქვემოთ დარჩა ბერძენთა, რამეთუ მკვიდრთა მის ადგილისათა არა ინებეს განდგომა ბერძენთა... და მისცა ქუჯის ქუეყანა ეგრის წყალსა და რიონს შუა, ზღვთგან მთამდე, რომელსა შინა არს ეგრისი და სუანეთი, და დაამტკიცა იგი ერისთავად მუნ. და მან ქუჯი აღაშენა ციხე-გოჯი“ (ქართლის ცხოვრება, თბ., 1955, ტ. 1. გვ 24.)

თუ გონების ძალით წარმოდგენილი იქნება იმ მხარის რუქა და გათვალისწინებული, რომ ეგრისის ქვევით ისედაც ქართთა მხარე იყო, მაშინ ცხადია ჯერ აზონს, შემდეგ ფარნავაზს ეგრისი დაუკავებიათ მდ. ღალიძგამდე (ეგრის წყლამდე).

ცხადია ეგრისის წილი ქვეყნის შუაზე გახლეჩა უმტკივნეულო ვერ იქნებოდა ადგილობრივი მოსახლეობისათვის. მაგრამ თუ გათ-ვალისწინებული იქნა იმ დრონის საზღვრების პირობითობა, შეიძლება ითქვას, რომ მოსახლეობის ენობრივ-კულტურულ-ეკონომიკურ ცხოვრებაში დიდ ცვლილებებს ვერ გამოიწვევდა.

უფრო დიდი ცვლილება, უნდა მოჰყოლოდა კოლხიდის დიდი სამეფოს შექმნას მითრიდადე პონტოელის მიერ.

ეგრისის ზღვისპირა ქალაქები ბერძნების ფაქტორიებით იყო გა-ჯერებული. თუ ფაზისის მიდამოები ქუჯის სამეფოებლოში მოექცა, დიოსკურია (ძველი ცხუმი) და პიტიუნტი (ბიჭვინთა) ბერძნების გავლენის სფეროში დარჩა. სწორედ აქ იყრიდნენ თავს 70 ტომის წარმომადგენლები. იყო საქონელ გაცვლა, ვაჭრობა, რასაც იდეურ-პოლიტიკური და კულტურული ელემენტები ახლდა.



ძნელია მკითხაობა, სინამდვილეში რამდენი ტომის წარმომადგენლები ხვდებოდნენ ერთი-მეორეს ან რამდენად ინტენსიური იყო გაცვლის პროცესი, მაგრამ რაღაცა განსხვავებული, რომ გამოიკვეთებოდა, ცხადია.

კიდევ ერთი ფაქტორი. ეგრისის მხარის ნაწილი აზონ იარედოსის ტემ დაიქვემდებარა. იმდენად მკაცრი იყო მისი მმართველობის მეთოდები, რომ ქუჯი და ეგრისელები დაინტერესებულები ჩაებნენ მის წინააღმდეგ ბრძოლაში. რა შეიცვალა ფარნავაზის მეფობისას? უნდა ივარაუდებოდეს, რომ დისა და სიძის, ერთგული მოკავშირე-მოყვრების მიმართ, მეფის პოლიტიკა დამთმობლური თუ არა, შედარებით მისაღები იქნებოდა... ამიტომ, როცა ფარნავაზის მემკვიდრე მეფე საურმაგს ერისთავები აუჯანყდნენ და ღურბუკეთში (დედის სამშობლოში გააქციეს), სავარაუდოდ შორეული მხარის ერისთავი ქუჯი ან მისი მემკვიდრე, ერთგულებას შეინარჩუნებდა. შეიძლება ამანაც შეუწყო ხელი საურმაგის გამარჯვებას აჯანყებულებზე. ყოველ შემთხვევაში, როცა ღურბუკთა ნახევარი ახალ ადგილებში (მთიელებში) ჩასახლდა, ეს ღონისძიება ჩრდილოეთ სვანეთს არ შეხებია.

დამატებით ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელი. როდესაც წყაროები მოიხსენიებენ ეგრისში მაცხოვრებელ ტომებს, მათ განლაგებას, ძვ. წ. ა. IV-I საუკუნეებში რაიმე ცვლილებას არ აღნიშნავენ. ლოგიკურია ვარაუდი, რომ ეგრისის (კოლხიდის) მხარეში ძვ. წ. ა. II ს. ბოლომდე სტაბილური იყო ეთნიური ვითარება.

ცვლილება შეიძლება მომხდარიყო მითრიდატე პონტოელის მიერ შექმნილი დიდი კოლხიდის იმპერიის ფარგლებში ეგრისის გაერთიანების დროს.



## მითრიდატე

არიან პიროვნებანი რომელთა ირგვლივ კამათი არ წყდება. რამდენი უნდა გავიდეს ხანი, რომ მათ სახელს ხავსი დაედოს, ასეთებშიც კი გამორჩეულია მითრიდატე.

მითრიდატე ცნობილია პონტოელის, კეთილშობილის, ღმერთ დიონისეს სახელით. მაგრამ ამით არაა იგი განუმეორებელი, განსაკუთრებული. ერთად-ერთია ადამიანთა შორის, რომელსაც შხამი ვერაფერს აუნებდა. ამას კი თავის წინა ისტორია აქვს.

ამ შემთხვევაში, მითრიდატე საინტერესოა, როგორც დიდი კოლხური იმპერიის შემქნელი. თუ ეგროსელები კოლხებად იწოდებოდნენ, თუ აიეტის კოლხიდის სამეფო უძლეველი იყო, თუ შემდეგ კოლხებს ლაზები ეწოდათ, თუ ლაზ-კოლხმა მითრიდატემ აერთიანა ძველი და ახალი ლაზიკა, განა ეს აფხაზების ისტორიას არ შეეხება?

მითრიდატეების დინასტიის შესახებაც არაა ერთიანი აზრი. ერთნი მას სპარსეთის სატრაპიის მმართველ მითრიდატეს უკავშირებენ. არის მოსაზრება გვარის სინათლის ღმერთ მითრასთან დაკავშირებით. ამ შემთხვევაში მთავარია, რომ სამხრეთ კოლხეთში მითრიდატეების დინასტია ძვ.წ.ა. IV საუკუნიდანაა ცნობილი.

მითრიდატე პონტოელი, ევპატორი (კეთილშობილი), თავისი დამსახურების გამო ღმერთ დიონისედ აღიარეს. 40 წელი ებრძოდა რომის იმპერიას მას და მხოლოდ დალატის წყალობით შეძლო გამარჯვება.

მითრიდატემ ბევრი შეიძლო და ბევრსაც მიაღწია. მის იმპერიაში გაერთიანდა მცირე აზიის დიდი ნაწილი, ეგეოსის ზღვის რიგი კუნძულები, ერთი პერიოდი თავად საბერძნეთი, ყირიმის ნახევარკუნძული,



შავი და აზოვის ზღვების აღმოსავლეთი მხარეები, რაც მთავარია, ეგროსის კუთვნილი მხარე, რომელიც ცხადია აფხაზების წინაპრებით დასახლებულ მიწებსაც მოიცავდა. მითრიდატემ უკან დაიბრუნა იბერიის (ქართის) სამეფოს მიერ მიტაცებული ტერიტორიები, საზღვარი აღმოსავლეთით, ახალციხესთან დაადგინა და რომ არა რომის აგრესია, შეიძლება უფრო მეტსაც მიაღწევდა.

მითრიდატე (ძვ. წ. ა. 132-63 წ.წ.) დამარცხებული წავიდა, მაგრამ დიდი კვალი დატოვა ისტორიაში, თუ ვერწმუნებით ძველ ავტორებს, სხვა წყარო კი არ არსებობს, ეგროსელები კოლხებადაც იწოდებოდნენ, ლაზებადაც და ეგროსელებადაც. შესაბამისად, მის მიერ შექმნილ სამეფოს შეიძლება თამამად ეწოდოს კოლხეთის დიდი იმპერია.

რაც შეეხება საკუთრივ აფხაზეთის მხარეს, ცნობილია, რომ აქ მმართველად მითრიდატემ, უმცროსი ძმა (ზოგის აზრით შვილი) მითრიდატე დაადგინა. როცა უმცროსმა მითრიდატემ მოინდომა დამოუკიდებელი სამეფოს შექმნა, მას ოქროს ბორკილები დაადეს და ასე მოთოკეს თავნება.

თავად მითრიდატე პომპეუსთან ომში დამარცხდა, მტერს გაერიდა, ყირიმში გადავიდა და ბოლოს პირად მცველს თავი მოაკვლევინა. მისი იმპერია დაიშალა და რომაელთა გავლენის სფეროდ იქცა. სწორედ პომპეუსმა ჩრდილოეთ კოლხეთში ძველ ლაზიკამდე სდია დამარცხებულს, აქ ბრძოლა შეწყვიტა, ქალაქი გაამაგრა. მას ნიკეფსი (ნიკოფსია) უწოდა და უკან გამობრუნდა.

კოლხეთში რომაელთა გარნიზონი გამოჩნდა. მნიშვნელოვნად შეიცვალა მხარის იერი. მხოლოდ ერთია, არავითარი ეთნიური ცვლილება არ მომხდარა. როგორც ცხოვრობდნენ სვანებად და ეგროსელებად დაყოფილი ტომები, ასევე განაგრძეს არსებობა. ერთი ეგაა, აზონფარნავაზის ღროს დაწყებული კედელი, დაყოფა ეგროსის მდინარის იქით-აქეთ, ეგრებად და მეგრებად, დაინგრა და ეთნოსი გაერთიანდა.





## ტომები

საინტერესოა, ის ცვლილებები, რაც მოხდა ძველი და ახალი წელთაღრიცხვების გასაყარზე. რას უნდა მიეწეროს ყოველივე?

დადგენილია, რომ მითრიდატე პონტოელის იმპერიის მსხვერვის შემდეგ, ხდება ეგროსელთა მხარეში, ლაზთა ჯერ გაერთიანების, შემდეგ სამეფოს ჩამოყალიბება. წარმოიქმნება აბაზგიის, აფშილეთის, სანიგეთის სამთავროები. იწყება ჭიდილი არსებული სივრცის გადანაწილებისათვის.

არ წარმოადგენს სირთულეს იმ ტომთა დასახელება, რომელნიც ინაწილებდნენ ეგროსელთა მხარეს. არის თეორიული დავა პიველ რიგში სვანებსა, აფხაზებსა და მეგრელებს შორის. თუ გამოვალთ დღევანდელი ვითარებიდან, სადაო მართლაც ბევრია. ობიექტურობა მოითხოვს მოვლენას მიუუდგეთ იმ ვითარებიდან გამომდინარე, რაც იმ დროს იყო. წინააღმდეგ შემთხვევაში სადაო არ დაილევა.

გონების ძალით თუ წარმოდგინება ძველი და ახალი წელთაღრიცხვის პერიოდები, მასთან დაკავშირებული ცვლილებები, პირველ ყოვლისა უნდა გავიხსენოთ, ის რაც თან ახლდა ქრისტიანობის, გავრცელებას, ანუ რელიგიურ რევოლუციას. არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა იმ არეალში რომაული პოლიტიკურ-კულტურული ბატონობის ხასიათს.

ეს არაა ზოგადი კონსტატაცია. წარმოვიდგინოთ რა მოჰყვებოდა მითრიდატე პონტოელის მონათმფლობელური წყობილების შეცვლას ადგილობრივი, შედარებით ჰუმანური ურთიერთობის პირობებში, რომაელთა დიქტატის დამყარებას. ეს არაა წერილობითი წყაროების ფაქტები. ესაა ლოგიკა.



რაც შეეხება ეგრისში (და არა ეგროსის მხარეში) ტომთა რაობას და განლაგებას, ამ საქმეშიც არაა აზრთა ჰარმონია.

ისტორიის მამად მიჩნეული ჰეროდოტე (ძვ. წ. ა. IVს.) დაბეჯითებით ამტკიცებდა, რომ მეწამული ზღვიდან შავ ზღვამდე ოთხი ეთნოსი მოსახლეობსო. აქედან, სპარსელები ცხოვრობენ მეწამული ზღვიდან ჩრდილოეთით. მათგან ჩრდილოეთით არიან მიდიელები. შემდეგ სასპეირები და სულ ჩრდილოეთით ზღვამდე კოლხები. თან აღნიშნავდა რომ კოლხების ქვეყანაშია მდინარე ფაზისი. თუ გავაცნობიერებთ, რომ სასპეირებს იგი უწოდებს თუბალ-ქართვებს, ცხადი ხდება, კოლხებს (ეგროსელებს) სხვა ეთნოსად მიიჩნევს.

კავკასიის დასავლეთ ნაწილში მცხოვრებ ტომებს ბევრი ავტორი შეხება. სხვადასხვა პერიოდში მოღვაწე ავტორები ზოგჯერ განსვავებულად აღიქვამდნენ ტომთა რაობას და გეოგრაფიულ განფენილობას. ამიტომ დღევანდელი მკვლევარებიც განსხვავდებიან ძველ ტომთა დახასიათების საკითხში.

ახალი წელთა აღრიცხვის პირველ საუკუნეებში ახალი რეალობა აღნიშნულ მხარეში. ტომების დასახელებისა და სახლობის არეალის განსაზღვრის მხრივ უფრო სანდონი უნდა იყვნენ სტრაბონი (ძვ.წ.ა. 63 – ახ.წ.ა. 24წწ.) და ფლავიურს არიანე (95-175 წწ.) სტრაბონი არა მხოლოდ გეოგრაფიის მამად ითვლება, არამედ დაბადებულია კოლხიდის სამხრეთში, ქ. ამისოსში და „მშობლიური მხარის“ მოსახლეობა მისთვის ახლობელია და ნაცნობი. არიანე პირადად მოგზაურობდა შავი ზღვის აღმოსავლეთ მხარეში და უშუალოდ ეცნობოდა იქ შექმნილ რეალობას.

სტრაბონი, ეგრისის მხარეში, ჩრდილოეთიდან სამხრეთით, ზღვის სანაპირო ზოლს ასე ყოფს და ახასიათებს: სინდიკას ნავსადგურიდან (ქერჩის, ტამანის ნახევარკუნძული ბატამდე 400 სტადიონი მანძილია. ბატადან კერკეტების სანაპირო 850 სტადიონია, შემდეგ აქაველთა (ახეელთა) სანაპირო 500 სტადიონი, მას მოსდევს ჰენიოხთა სანაპირო 1000 სტადიონი და პიტიუნტიდან (ბიჭვინთიდან, პიცუნდიდან) დიოსკურიამდე (სოხუმი, ცხუმი) 360 სტადიონი. ამის ქვევით ჭიროხამდე ეკუთვნით კოლხიდის მოსახლეობას.

სტრაბონი იქვე ამატებს: მითრიდატე პონტოელის ომების აღმ-



წერნი ასეთ სურათს ხატავენ: ჯერ აქეელებს ასახელებენ, შემდეგ ჯიქებ-ზიგებს, მათ ქვევით ჰენიოხებს, შემდეგ კერკეტებს, მოსხებს და კოლხებს.

არიანემ, რომის იმპერატორის ბრძანებით, ინსპექტირების მიზნით იმოგზაურა კაპადოკიიდან ჩრდილოეთით და ასეთი ცნობა დატოვა: მდ. ჭოროხიდან ძველ ლაზიკამდე (ნიკოფსიამდე) კოლხების სამფლობელოა. ჭოროხსა და ტრაპეზუნტს შორის ჰენიოხებია, შემდეგ ძიდრიტები, ლაზები, აფშილები (აფსილები), აბაზგები (აბასკები), სანიგები (სოხუმთან).

გასახსენებელია ცნობა, რომ ძველ ავტორთა თანახმად, კოლხები იგივე ლაზებია. გამოდის: ეგროსელები იყოფიან ეგრისელებად და სვანებად. ეგრისელების სახელი ხდება კოლხები. შემდეგ კოლხები ხდებიან ლაზები.

რამდენადაც არიანეს მიხედვით ძველ ლაზიკამდე (ანუ ნიკოფსიამდე, სულ ძველად ლაიამდე) კოლხების სამკვიდროა, ამდენად, გამოდის, რომ მომავალი აფხაზეთის ტერიტორია კოლხებით (ძველი ეგრისელებით, მომავალი ლაზებით), ყოფილა დასახლებული. შესაბამისად, აფშილები, აბაზგები, სანიგები (ვისაც ადრე ჰენიოხებადაც თვლიდნენ), კოლხებია, ლაზებია და არა ქართვები, ადილები და ა.შ.



## ეგრისი

ფარნავაზის ზეობისას მოხდა ეგრისელთა გაყოფა. ეგრისის წყლის (მდ. ღალიძგას) ჩრდილოეთი მხარე, მდინარის გაღმა მხარე ბერძნების გავლენის ქვეშ მოექცა. გამოღმა მხარე ქუჯის მთავრობით (ერისთაობით), იბერიის სამეფოს გავლენის სფეროდ იქცა. ეს იყო ერთი ეთნოსის პოლიტიკური და არა ენობრივ-კულტურული გაყოფა. ფაქტი კი ისაა, რომ უცხო ძალებმა სცადეს ეთნოსის გახლეჩა და შუაში კედელის აგება.

ეგრისელების (კოლხების, ლაზების) დანაწილება ეგრებ-მეგრებად, მათ შორის გაუცხოების მცდელობა შედეგიანი ვერ იქნებოდა. სამეტყველო ენა უფრო ძლიერია, ვიდრე იმ დროს განხორციელებული გაყოფა.

მემატთანე ადასტურებს, რომ ძვ.წ.ა. II საუკუნეში იბერიის სამეფო სუსტდება. ეგრისის სამთავრო ისედაც დიდი ავტონომიით სარგებლობდა და დასუსტებული სამეფოს შემადგენლობაში, მით უფრო, საუკუნის დასასრულს კი იბერიის გავლენა წაიშალა. მითრიდატე პონტოელმა (ხალიბმა, კოლხმა) ყირიმთან ერთად შავი ზღვის აღმოსავლეთიკ შეიერთა და კოლხეთის დიდი სამეფო შექმნა. ეგრები და მეგრები ძველებურად გაერთიანდნენ ერთი ტერიტორიით, ერთი ენით, ერთი გაგებით.

ახალი წელთა აღრიცხვის დასაწყისი დიდი ცვლილებების პერიოდი. მითრიდატეს ჰეგემონობას ცვლის რომის ბატონობა. ეგრისის (კოლხეთის) მხარე რომის იმპერიის შორეული პროვინცია ხდება. ისტორიის ასპარეზზე გამოდიან ტომები, რომლებიც ადრე საერთო



სახელით იყენენ ცნობილნი. ამას ემატება რომის იდეურ-კულტურული გავლენა. უფრო მეტი. რომაული მითოლოგია, რომელიც ბერძნულის გამოვრება-გაგრძელებაა, უეჭველად იმუშავებდა ეთნოსის წიაღში, რომელიც ისედაც ახლოს იყო პელაზგურ-ბერძნულთან. გადმოცემის თანახმად ჯერ კიდევ უგებდნენ სამლოცველოებს ომის ღმერთ არესს, მეომარ ქალღმერთ ათენას და სხვ.)

ისაც გასათვალისწინებელია, რომ კაპადოკიდან ვრცელდებოდა ახალი, ქრისტიანული იდეები. (კაპადოკია, ტიბარენთა მხარე, იყო ქრისტიანობის, როგორც კომუნისტური მოძრაობის, დამკვიდრების მძლავრი კერა). თუ გავიხსენებთ ცნობას, რომლის თანახმად, კაპადოკიდან მდ. ჰალისამდე, მოსახლეობა ერთ ენაზე მეტყველებდა, ხოლო კოლხეთის სამხრეთი ამ არეალში მდებარეობდა, ლოგიკურია აზრი ქრისტიანობის ეგროსელთა შორის გავრცელების შესახებ. ყოველივეს უნდა დაემატოს ცნობა ანდრია პირველწოდებულის, სიმონ კანანელის და მატათას მოღვაწეობის შესახებ.

სხვა ფაქტორებთან ერთად, ახალ რელიგიურ იდეებს ხელი უნდა შეეწყო იმ ცვლილებებისათვის, რაც ეგროსის სივრცეში განხორციელდა. არა იძულებით, არამედ ბუნებრივად ქრება საერთო მახასიათებელი ჰენიოზობა (ჰელიოზობა) და ისტორიისათვის ცნობადი ხდებიან ის ტომები, რომელთა სახელებია აფშილები, აბაზგები, მისიმიანები, სანიგები. ტომები, რომელნიც ითვლებიან აფხაზთა უშუალო წინაპრებად.

ფლავიუს არიანე, კაპადოკიის რომაელი მმართველი, ასე ახასიათებს ეგროსის მხარეში განხორციელებულ ცვლილებას. მისი თქმით, ტრაპეზუნტელების მოსაზღვრე კოლხებია. იქვე ახლო სახლობენ სანები. სანების გვერდით მაკრონები და სამხრეთის ჰენიოზებია (II საუკუნეში, ჯერ კიდევ ჰენიოზები). შემდეგ არიან ძიღრიტები, რომლნიც იბერთა მეფე ფარსმან ქველს ემორჩილებიან (იბერიამ კვლავ შეძლო სამხრეთ კოლხეთის ნაწილის დაკავება და ზღვაზე გასვლა). შემდეგი სივრცე ლაზებს უკავიათ. ლაზების მეზობლად აფშილებია (აფსილებია), შემდეგ არიან აბასკები (აბაზგები). აბაზგების ჩრდილოეთით ეგროსის მხარე სანიგებისაა. სანიგებს ეკუთვნით სუბასტოპოლისი (ცხუმი, სოხუმი) აქედან ჩრდილოეთით მდ. აქუნტამდე (მდ. შახე) სანიგებისაა.



არიანეს მიხედვით ეს ტომები ქმნიან პატარა სამთავროებს მეფეებით სათავეში. ეგრისის მხარე პატარა სამეფოებად იყოფა, მაგრამ მათ შორის მხოლოდ პოლიტიკური ღობეებია და არა კედელი. ტერიტორიული გამიჯვნაც კი პირობითია და ცვალებადი. ენა და რელიგია კი ერთნაირი.

არ შეიძლება ყურადღების გარეშე დარჩეს ერთი საკითხი, ზოგი ისტორიკოსი ახალი ტომების ასპარეზზე გამოსვლას, მათი ცნობადობის გაჩენას, მთებიდან ახალი ტომების „ჩამოწოლით“, ჩამოსახლებით ხსნის. ამავე დროს, არ იწუხებენ თავს იმის განმარტებით, რა მოუვიდათ ძველ ტომებს. რა მთვარეზე გაფრინდნენ? ლოგიკურია აზრი, რომ ჩამოთვლილი ტომები ძველთაგანვე შედიოდნენ ეგრისელთა შემადგენლობაში და იკავებდნენ „კუთვნილ“ ადგილს. ცნობადნი გახდნენ მას შემდეგ, რაც გაუფერულდა და გაქრა საერთო მახასიათებელი. აფხაზების (და არა მხოლოდ მათთვის) წინაპრებისათვის ასეთი იყო ჭინიოხობა.

კიდევ ერთხელ გასააზრებლად: პროკოპი კესარიელი, აგათი სქოლასტიკოსი, დაბეჯითებით ამტკიცებენ, რომ კოლხებს ახალ ვითარებაში უკვე ლაზები ეწოდებოდათ.

რატომ ლაზები?

საერთო ვითარებიდან გამომდინარე. ჯერ ერთი, ლაზების არეალი მდ. ჭოროხიდან იწყებოდა (აღარაა მსჯელობა მდ. ჰალისიდან მოყოლებული) და მდ. ხობის წყლამდე ვრცელდებოდა, უფრო ზუსტად, ხობის წყლამდე სივრცეს ლაზების სამეფო იკავებდა. იქიდან ცხუმამდე იყო აფშილებისა (აფსილებისა) და აბაზგების (აბასკების) სამოსახლო. ცხუმი (სოხუმი, დიოსკურია) ეკუთვნოდათ სანიგებს და ისტორიული ცნობის თანახმად მდ. შახემდე (მდ. აქეუნტი) ვრცელდებოდა მათი სამოსახლო. მეორე. არავინ უარყოფს, რომ ისტორიულად ცნობილი ნიკოფსია, ადრე ძველ ლაზიკად იწოდებოდა. რატომ ძველ ლაზიკად (მანამდე კი ლაია, ლაიში) თუ იქ სანიგების არეალი იყო? ეს ხომ არაა მითითება სანიგების ეთნიურ ლაზობაზე? თავის მხრივ, ლაზები კოლხებია, კოლხები კი ეგრისელები. მესამე. სანიგები ფიქსირდებიან მდ. აქეუნტამდე (დღეს მდ. შახე). იქიდან მდ. ყუბანამდე (მდინარე მცირისა ხაზარეთისა მროველის მიხედვით) არაა ლაზების სივრცე.




მაშ ვისია? გასახსენებელია ცნობა იმის შესახებ, რომ სვანების წინაპრები სახლობდნენ არა მხოლოდ კავკასიონის მწვერვალებთან, არამედ კავკასიონის დასავლეთი ნაწილის ირგვლივ. ე. ი. ჩრდილოეთით, დასავლეთით და სამხრეთით. კავკასიონის დასავლეთი კი სწორედ მდ. აქეუნტის (შახეს) იქითი მხარეა, ანაპის კონცხის ჩათვლით. განსასჯელია. ეგროსის მხარე მოიცავდა ჩრდილოეთს მდინარემდე მცირე ხაზარეთისა ე. ი. მდ. ყუბანამდე. მდ. ყუბან ის მარცხენა მხარესაა ანაპის კონცხი, სადაც „წარსწუთდების“ კავკასიონი, იქიდან მდ. შახემდე (აქეუტამდე), გნებავს ძველ ლაზიკამდე დიდი მანძილია, მაგრამ ეს ტერიტორია ეგრისს, კოლხიდას, ლაზებს არ ეკუთვნით. ეგროსის „კუთვნილი“ მხარე თავიდან ენობრივად და ბოლოს ტერიტორიულად გაიყო ეგრისელებს და სვანებს შორის. ეგებ ამიტომაც, ამბობდა სტრაბონი: სვანები თითქმის საუკეთესონი არიან სიმამაცისა და ძალის მხრივ. ფლობენ ისინი ირგვლივ ყველაფერს და უპყრიათ კავკასიონის მწვერვალები, რომლებიც დიოსკურიის ზემოთ არის. ჰყავთ მათ ბასილევსი და საბჭო 300 მამაკაცისაგან შემდგარი, და როგორც ამბობენ ჰერეფენ ლაშქარს 200 000 კაცის ოდენობით.

თუ ასეთი მსჯელობა სამართლიანია, მაშინ ეგრისის ჩრდილოეთ საზღვრად მდ. აქეუნტი (მდ. შახე), ციხე-სიმაგრე ძველი ლაზიკა (შემდეგი დროის ნიკოფსია) უნდა იქნეს მიჩნეული. იქიდან სამხრეთით მცხოვრებ ტომებს უწოდებდნენ ჰენიოხებს (ეთნიკურად ისინი კოლხები ანუ ლაზები იყვნენ) და ამ სახელის დაკნინება – გაქრობის პარალელურად, I-II საუკუნეებიდან ცნობადნი ხდებიან მისი შემადგენელი ტომები სანიგ-აბაზგ-აფშილებისა, რომელნიც მომავალში შექმნიან აფხაზ ეთნოსს.

II საუკუნის რეალობას წარმოადგენს, რომ ლაზები ქმნიან სამეფოს, რომელიც აღწევს წარმატებას და ძლიერ სახელმწიფოდ ყალიბდება. მისი უშუალო ჩრდილოელი მეზობელია აფშილების სამთავრო. ძლიერების პერიოდში ლაზიკა, რომელსაც ზოგი ისტორიული წყარო ეგრისის სამეფოს უწოდებს, იერთებს აფშილეთს და აბაზგიის სამთავროს უმეზობლდება. თავად აბაზგები ორ სამთავროს ქმნიან (დასავლეთის და აღმოსავლეთის) და ასე განაგრძობენ არსებობას.

(თავის მხრივ საკითხავია: თუ ლაზები (ჰენიოხები) აღწევენ ძველ



შაგი ზღვის ჩრდილო აღმოსავლეთისა და კავკასიის ჩრდილო დასავლეთის მხარე  
 უნგრელი დომინიკელი მოგზაური ბერის, თეოდოსიას მახეცათ (1235 წ.)





ლაზიკამდე, მის ჩრდილოეთით კი აქაველები (ახეელები) და კერკეტები (არის აზრი: ჯერ კერკეტები, მათ ზევით აქაველები), შეიძლება ისინი სვანურ ტომებად იქნენ მიჩნეული თუ არა?)

ლაზთა სამეფო თავდაპირველად ტერიტორიულად მცირე სივრცეს ფლობდა, მაგრამ სამხედრო-პოლიტიკური ძლიერების მიღწევის კვალობაზე, აფართოვებდა. ამავე დროს, იგი ცდილობდა რომის იმპერიის მორჩილებიდან თავის დაღწევას. ცნობაა, რომ 211წ. რომის იმპერიის ლეგიონებს მორჩილებაში მოუყვანიათ დამოუკიდებლობას მისწრაფებული ლაზები.

ძლიერების გზაზე მდგარ ლაზებს ეტყობა მნიშვნელოვნად გაუფართოვებიათ ტერიტორია, რადგან სანიგების სამხრეთ ტერიტორიებს აბაზგები (აბასკები) იკავებენ. ისინი ჩრდილოეთით იწევენ. მათ ძველ სამოსახლოს აფშილები დაეპატრონენ. აფშილებისგან გამოთავისუფლებულ ტერიტორიაზე კი ლაზები სახლდებიან. ამ გადაადგილებებმა წაშალა ეგრისელების (ლაზების) ეგრებ-მეგრებად დაყოფის ზღვარი. გაუცხოების კედელი დაინგრა.

ეგრისულ ტომების ადგილმონაცვლეობას შეიძლება განაპირობებდა III საუკუნეში გუთების და IV საუკუნეში ჰუნების შემოსევებიც. ისინი, ზღვის მხრიდან არბევდნენ ადგილობრივ მოსახლეებს და არც რომის გარნიზონთა ჟღერას ერიდებოდნენ. ცნობლია, რომ ისინი გემებით შავი ზღვის სამხრეთსაც აღწევდნენ და კაპადოკია, გალატია, კილიკიასაც ატერორებდნენ.

რომის იმპერია, დაქვეითების გზას დამდგარი, ვეღარ აკონტროლებდა შორეულ მხარეებს, ვერ იცავდა მათ შემოსევებისაგან. თავის მხრივ სპარსეთი ძლიერდება და ცდილობს რომს აღმოსავლეთის პროვინციები წაგლიჯოს... სპარსეთის აგრესია სომხეთ-იბერიის ტერიტორიებსაც მოიცავდა.

იყო მსჯელობა, რომ იბერიის მეფე ფარსმან ქველს ეკავა დასავლეთით, ძიდრიტთა ტომის სამოსახლო და შავ ზღვაზე გასასვლელს იკავებდა. III საუკუნეში იბერია სუსტდება და ეს ტერიტორიები ბოლოს ლაზიკის (ეგრისის) სამეფოს კუთვნილება ხდება. ამას გარდა, ლაზიკის შემადგენლობაში ექცევა ძველი ეგრისის აღმოსავლეთი და საზღვარი უკვე ლიხის მთის გაყოლებით ფიქსირდება...



კავკასიონი მუდამ იყო აუღებელი ზღუდე ჩრდილოელი ურდოები-სათვის. სამხრეთელებს ყოველთვის დიდი ძალისხმევა სჭრიდებოდათ მათ შესაკავებლად. ვისაც მთავრეხილის გადასასვლელები ეპყრა, ჰქონდა შესაძლებლობა ეს ფაქტორი, თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა. ამას კარგად აცნობიერებდნენ ჩრდილოელებიც და სამხრეთელებიც... ამიტომ იყო, რომ რომის დასუსტებული იმპერია ლაზებს ფარად მიიჩნევდა და ჩვეული სისასტიკით არ ეპყრობოდა.

ლაზთა მეფეები, აბაზგ-სანიგთა მთავრები, ცდილობდნენ ამ მდგომარეობით მეტი სარგებელი მიეღოთ. ისინი იმპერიის ძალებსაც ხშირად, ურთიერთ დამოკიდებულების საკითხებშიც, წარმატებით იყენებდნენ. ცნობილია, რომ ლაზთა მეფეებმა ამ გზით აფსილეთიც მიიერთეს და აბაზგებს მოუნდომეს დაპყრობა. აბაზგთა მთავრები თავის მხრივ ხშირად ღებულობდნენ მეფეების საპირისპირო გადაწყვეტლებას. ეს ძაბავდა ურთიერთობას ლაზიკის სამეფოსა და აბაზგიის სამთავროებს შორის. სანიგეთი, როგორც შორეული მხარე მეფეთა აგრესიისაგან დაცული რჩებოდა.

პოლიტიკა არაა უცვლელი. ყოველი ვითარება ადექვატურ რეაგირებას მოითხოვს. ლაზიკის (ეგრისის) ირგვლივ ვითარების ცვლილება, მყისიერად იწვევდა მეფეთა რეაგირებას. ამ გზით, სამეფო თანდათან ფეხზე დადგა და ბოლოს აღმოსავლეთ რომის დაქვემდებარებიდან თავის დაღწევაც მოინდომა.

მწირი ისტორიული ცნობების თანახმად V ს. მეორე ნახევარში იბერიის მეფე ვახტანგ გორგასალმა, სპარსეთთან კავშირში, ილაშქრა კავკასიის ჩრდილოეთში, დაამარცხა ოსები, პაჭანაკები, ჯიქები. ამის შემდეგ მოკავშირეთა გარეშე გადავიდა ეგრისის მხარეს და ციხე-გოჯამდე ტერიტორია დაიკავა. შემატიანე ამბობს, რომ გამარჯვებული გორგასალი აფხაზეთის გზით დაბრუნდა სამხრეთში. საბოლოო ანგარიშით მან მოახერხა გავლენის აღდგენა ეგრისის სამხრეთ ნაწილზე. უფრო მეტი. როცა იმპერატორის ქალიშვილი ცოლად მოიყვანა, ქალის მზითვად მიიღო ტერიტორია ეგრის წყალსა (მდ. ლალიძგა) და მდ. კელასურს (კლისურა, კორახი) შორის.

ეს იყო ეგრისელთა მეორე გაყოფა იბერიელთა და ბერძნებს შორის. ადგილობრივებს მეორედაც არაფერი ჰკითხეს, ისე მოინდომეს კედლის აღმართვა ეგრ-მეგრ-ლაზ ტომებს შორის.



გადმოცემის თანახმად გორგასალის (იბერიის) გავლენას დაექვემდებარნენ სვანეთის, ეგრისის, მარგვეთის, თაკვერის ერისთავები. ეს მეორე გაყოფა და კედლის აღმართვაც არ იყო ხანგრძლივი. იბერიის მეფის სიკვდილის შემდეგ, ვითარება მკვეთრად შეიცვალა. იბერია ჩამოცილდა ბრძოლის ასპარეზს. ძირითადი მეტოქეები სპარსეთი და ბიზანტიის იმპერია გახდნენ.

ჯერ კიდევ 456 წ. ლაზიკის (ეგრისის) მეფე გუბაზი შეეცადა ბიზანტიის ბატონობა მოეშორებინა. მან სპარსელებთან კავშირში დაგეგმა სამომავლო ბრძოლები. ბიზანტიელებმა შეძლეს და ჩაშალეს სპარსეთ-ეგრისის მოსალოდნელი კავშირი...

გორგასლის შემდეგ ეგრისელთა (ლაზთა) მეფე წათემ უკვე ბიზანტიელთა მხარე დაიჭირა და ამით სპარსეთის საფრთხე აიცილა. საფრთხე კი რელური იყო. გაძლიერებულმა სპარსეთმა, ჯერ სომხეთი დალაშქრა და იქ 428 წ. მეფობა გააუქმა. ამის შემდეგ იგივე, 510 წ. განახორციელა ალბანეთში. ჯერი იბერიაზე მიდგა და გორგასლის შემდეგ მეფობა იქაც გაუქმდა. მკვლევარები ფიქრობენ, რომ ეს უნდა მომხდარიყო 523 წ. ან 540 წ.

სამხრეთ კავკასიაში რჩებოდა ლაზთა (ეგრისელთა) სამეფო. მისი დაკავების შემთხვევაში სპარსეთი მიიღებდა გასასვლელს შავ ზღვაზე და იოლად დაემუქრებოდა უშუალოდ კონსტანტინეპოლს. სპარსეთმა 528 წ. სცადა ამ პრობლემის გადაჭრა, ლაშქრობა მარცხით დამთავრდა. ბიზანტიამ იგრძნო სპარსული საფრთხის მნიშვნელობა და პასუხად ლაზთა (ეგრისელთა) სამეფოში ჯარი შეიყვანა. გუბაზ მეფემ ბიზანტიის აგრესიული ნაბიჯი სათანადოდ შეაფასა. მან დახმარება სპარსეთს სთხოვა. 542 წ. სპარსეთის ჯარი, იბერიის გავლით ლიხის მთის გადასასვლელებით, დასავლეთში გადავიდა.

არც ერთი იმპერია ლაზების (ეგრების) დახმარებას არა ფიქრობდა. მათი მიზანი სტრატეგიული ტერიტორიების დაკავება იყო. ამ საქმეში კი ადგილობრივები ხელის შემშლელ ფაქტორად აღიქმებოდნენ. ამიტომ შაჰ ხოსრო I მოინდომა გუბაზ მეფის თავიდან მოცილება. დაიგეგმა მისი მკვლელობა, მაგრამ განზრახული გამჟღავნდა.

გუბაზ მეფე ახლა ბიზანტიელებისაკენ გადაიხარა. სხვა გამოსავალი არ იყო და დახმარება ახლა ბიზანტიის კეისარ იუსტინიანეს სთხოვა.



სპარსეთს უომრად არ ეთმობოდა მოპოვებული, დაიწყო ბიზანტიან-სპარსეთის ომი, სადაც გადამწყვეტი ფაქტორი გუბაზ მეფე იყო. ახლა ბიზანტიამ მონღომა მისი თავიდან მოშორება და მიზანსაც მიაღწია. 554 წ. მეფე ღალატით მოკლეს ბერძენმა სარდლებმა.

მოსალოდნელი იყო ლაზთა (ეგრისელთა) აჯანყება ბიზანტიის წინააღმდეგ. მოწვეული იქნა სახალხო ყრილობა, სადაც გადაწყდა ორ აგრესორს შორის მოქმედების ტაქტიკური ხაზი. ბიზანტიასთან მოკავშირეობა შენარჩუნდა, მკვლელი სარდლები სიკვდილით დასაჯეს, სამეფო ტახტზე კი გუბაზის უმცროსი ძმა წათე დაამტკიცეს.

ომი 563 წ. ზავით დასრულდა. ბიზანტიამ შეინარჩუნა თავისი გავლენა ეგრისზე (ლაზიკაზე). წათეს შემდეგ კეისარმა იქ მეფობა გააუქმა. მეფის ნაცვლად ქვეყნის მეთაურად პატრიკიოსის თანამდებობა დაწესდა. მეფე შეცვალა ერის მთავარმა (პატრიკიოსმა).

ბიზანტიამ მთელი ეგროსის კუთვნილი მხარის საბოლოო მითვისება მონღომა. მდ. ეგრის წყლის ჩრდილო მხარეს იმპერია ფარნავაზთან შეთანხმების (ძვ.წ.ა. IV ს.) შემდეგ ფლობდა. კუთვნილი ტერიტორიიდან მდ. კელასურამდე მიწები ვახტანგ გორგასალს გადასცა მზითების ფორმით. ოფიციალურად საზღვარი მდ. კელასური იყო. სინამდვილეში ბიზანტია ლიხის გამყოფი ქედის დასავლეთს აკონტროლებდა. კელასურს ჩრდილოეთით იყო სანიგეთის სამთავრო და აბაზგების ორი სამთავრო. სამხრეთით, 563 წ. შემდეგ, მართავდა ყოფილ მეფეთა (გუბაზ-წათეს) შთამომავალი, პატრიკიოსის უფლებით.

რეალურად არც სამთავროებს და არც საპატრიკიოსოს ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის არ შეუწყვეტია. ისტორიულად ცნობილია, რომ ურჩი აბაზგების დასჯის მიზნით, ბიზანტიამ ორჯერ მოაწყო მოსახლეობის ყლეტა. ცხადია ამან საქმეს ვერ უშველა. ერთი ეგაა, აბაზგებისაგან დაცლილ ტერიტორიას მუზობელი აფშილები იკავებდნენ.

მართალია ტომები სხვადასხვანი იყვნენ, მაგრამ მონათესავე. მდ. კელასურის გასწვრივ საზღვარი პოლიტიკურად ყოფდა მათ და არა ენობრივად ან იდეურ-რელიგიურად. ამიტომაც არის, როდესაც გადმაგამოდმელები გაერთიანდნენ, როდესაც ეგრებმა და მეგრებმა ერთიანი აფხაზეთის სამეფო შექმნეს, იქ არ დაუწყიათ ცილობა, საიდან იღებს იგი სათავეს. აფხაზეთის პირველ მეფეებად მტკიცედ არიან მიჩნეული



ეგირისის (ლაზიკის) მეფეები: გუბაზ I (455-510 წწ.) წათე I (510-531 წწ.). გუბაზ II (531-554 წწ.), წათე II (555-563 წწ.), მათ აბაზგიისა და სანიგეთის მთავრები მხოლოდ ფორმალურად და პერიოდულად მორჩილებდნენ. უფრო მეტი. თუ აფშილეთი უშუალოდ შედიოდა ეგირისის (ლაზიკის) სამეფოში, თუ მისიმიანეთი უფრო მოკავშირეობდა სამეფოს, აბაზგი მთავრები ხშირად საწინააღმდეგო პოლიტიკას ატარებდნენ.

ბიზანტია ხელს უწყობდა აბაზგი მთავრების ამგვარ ქმედებას. ცხადია მას აბაზგების მეგობრობის გრძნობა არ ამოძრავებდა. მდ. კელასურის ჩრდილოეთი მხარე მომგებიანი პლაცდარმი იყო კავკასიის ეთნოსთა დაპყრობის საქმეში. იმპერია არც მალავდა განზრახვას, დაექვემდებარებინა იბერია-ალბანეთის მხარე. მეორე მხრივ, სოჭი-ანაპის მომგებიანი გეოგრაფიული მდებარეობა ბიზანტიას უადვილებდა ახლად აღმოცენებული ხაზართა სახაკანოსთან (კავანატთან) ურთიერთობას.

ხაზარები, გუთების, ჰუნების, ალანების, ევროპის დასავლეთით წასვლის შემდეგ, დაეპატრონენ კავკასიის ჩრდილოეთს. ბიზანტიასთან კავშირში და უიმილოდაც, ისინი წარმატებით არბევდნენ სამხრეთის ეთნოსებს. ხშირად, სპარსეთის წინააღმდეგ ბრძოლის საბაბით, ეს ორი მტაცებელი, შეთანხმებულად მოქმედებდა. ასე იყო არაბთა ხალიფატის (სახალიფოს) შექმნამდე.

არაბებმა შეძლეს გაფანტული ტომების გაერთიანება, ერთიან სამხედრო ძალად ჩამოყალიბება და დაიწყეს მძლავრი იმპერიის შექმნა, რომელმაც ახლო აღმოსავლეთი, ჩრდილო აფრიკა და ევროპის ნაწილი მოიცვა. აღრევე მოახდინეს სპარსეთის ოკუპაცია და მისი ადგილი დაიკავეს კავკასიისათვის მებრძოლთა შორის. მოქნილი ტაქტიკის წყალობით არაბები შედარებით მისაღებნი ხდებოდნენ და ზოგჯერ განმათავისუფლებლის როლსაც ასრულებდნენ. სწორედ ამან უბიძგა პატრიკიოს სერგი ბარნუკის ძეს, ბიზანტიის წინააღმდეგ აჯანყების დროს, დახმარება არაბებისათვის ეთხოვა. ახალ აგრესორს დიდი ხევეწა არ დასჭირვებია.

არაბებმა 640 წელს დაიწყეს ბრძოლა კავკასიისათვის. მათ პირველ რიგში სომხეთი (არმენია) დაიკავეს და ხარკი შეაწერეს. 655 წელს არაბები იბერიის სივრცეში გამოჩნდნენ და ეს მხარეც გაითავისეს.

ადგილობრივებს, არაბი დამპყრობლები ისევე სძულდათ, როგორც



ბიზანტიელები და არც წინააღმდეგობას ერიდებოდნენ. ამან აიძულა მტაცებლები, თანაბრად გაეყვით ნადავლი. ასეთი შეთანხმება 688 წ. მოხდა.

პატრიკიოსი სერგი ბარნუკისძე, არაბებს შეუთანხმდა ბიზანტიის წინააღმდეგ ერთობლივ მოქმედებაზე. 697 წ. არაბები ლიხის მთას გადავიდნენ და ლაზიკა (ეგრისი) დაიკავეს. მორჩნენ რა მდ. კელასურის სამხრეთის დახარკვას, მას ჩრდილოეთიც მიაყოლეს. ისტორიული ცნობის თანახმად, 710 წ. არაბებმა მთელი ეგრისის მხარე მყარად იგდეს ხელთ. ახლა მათ წინაშე ხაზარეთის დაპყრობის ამოცანა დადგა.

ბიზანტიის იმპერია იოლად ვერ დათმობდა საუკუნეების მონაპოვარს. არც ხაზარეთთან და კავკასიის ჩრდილოელებთან დამაკავშირებელ გზის დაკარგვა სურდა. ბუნებრივია შეეცდებოდა ძველი დიდების აღდგენას. ამ ხაზით მისი მოქმედება გულისხმობდა არაბთა წინააღმდეგ კოალიციის შექმნას. ამ მიზნით ბიზანტიელთა და ხაზართა შორის 711 წ. დაიდო სამოკავშირეო ხელშეკრულება. მეორე მიმართულება გულისხმობდა არაბთა მიერ დახარკული ქვეყნების შეგულიანებას და გარკვეულ დახმარებას.

თქმა არ უნდა, კავკასიელებს ბრძოლა დამპყრობლების წინააღმდეგ, არ შეუწყვეტიათ. ეგრისელთა განმათავისუფლებელ მოძრაობას სათავეში პატრიკიოსი ლეონი ჩაუდგა. იგი კარგი ორგანიზატორი, სარდალი და პოლიტიკოსი გამოდგა. მან მჭიდრო კავშირი დაამყარა ყოფილი იბერიის (იმჟამად ქართლის) მესვეურებთან. ქართლის ერისმთავარი სტეფანოზი და მისი ვაჟები (მირი და არჩილი), ასევე საჭიროებდნენ მოკავშირის ყოლას. ლაზთა პატრიკიოსი მათთვის უახლესი სანდო პიროვნება იყო. ამ ნიადაგზე მათი მოკავშირეობა იმით განმტკიცდა, რომ ლეონ პატრიკიოსმა ცოლად მირის ქალიშვილი გურანდუხტი მოიყვანა. პოლიტიკურ სიახლოვეს ნათესავური დაემატა.

პატრიკიოსმა ლეონმა ასევე იზრუნა ჩრდილოელ მეზობლად, ხაზართა ხაკანთან დამოყვრებაზე. ძმას ხაკანის ქალიშვილი შერთო და სამთა კავშირის შექმნა.

ხაზარები თავის მხრივ მზად იყვნენ ნებისმიერთან შეთანხმების, ვინც არაბების წინააღმდეგ ბრძოლაში დაეხმარებოდა. არა და, არაბებმა მოახერხეს ხაზართა ტერიტორიების დალაშქვრა მდ. ვოლგამდე.



არაბებთან დამარცხებული და შევიწროებული ბიზანტია, ოღონდ კავკასიელთა წინააღმდეგობის მოძრაობა წახალისებინა, გარკვეულ დათმობებზე მიდიოდა. მან ქართის ერისმთავრის მემკვიდრე მირი და არჩილი მეფეებად ცნო და გვირგვინები გამოუგზავნა. ამავე დროს, თუმცა მდ. კელასურს ჩრდილოეთი ეგრისი კანონიერ საკუთრებად მიაჩნდა, დასაშვებად მიიჩნია პატრიკიოს ლეონის საზღვარს გადასვლა და იქ არაბების წინააღმდეგ ბრძოლების წარმოება. ბიზანტიას ეს მხარე ისედაც დაკარგული ჰქონდა და პატრიკიოსის იქ მოქმედება მის ინტერესებს არა ლახავდა.

პატრიკიოს ლეონის მიზანდასახულმა მოქმედებამ სასიკეთო შედეგი გამოიღო. 735 წ. არის მოსაზრება 736 წწ.) საერთო მოქმედებით, ანაკოფიის ციხესთან (ახლანდელი ახალი ათონი, გუდაუთის რაიონი) არაბები დაამარცხეს, ლიხის მთამდე სდიეს და ეგროსის მხარე მტრის ძალებისაგან გაწმინდეს. ბიზანტიამ, კმაყოფილმა არაბების დამარცხებით, ცნო ძმების მირის და არჩილის (მათი მამა სტეფანოზი უკვე გარდაცვლილი იყო) სამეფო უფლებები მდ. კელასურის სამხრეთ ეგრისზე. ასევე ცნო ლეონ პატრიკიოსის უფლება მდ. კელასურს ჩრდილოეთ ეგრისზე. ამით ერთი მხრივ წაახალისა მებრძოლი მოკავშირეები და მეორე მხრივ, შეინარჩუნა იურიდიული (ფორმალური) უფლება ამ ტერიტორიების ფლობაზე. მოკავშირე-ნათესავებმა, ლეონმა, მირიმ და არჩილმა, თავის მხრივ შეინარჩუნეს ბიზანტიის მფარველობა, აღიარეს მისი უპირატესობა და თავი დაქვემდებარებულად გამოაცხადეს.

პარალელურად განხორციელდა ეგრისის გაყოფა გავლენის სფეროებად და მოხდა შეთანხმება. მეფე მირი ჭრილობებისგან დამძიმდა და გარდაიცვალა. მისი მემკვიდრე გახდა პატრიკიოსი ლეონი. სამართლებრივად მას შეეძლო თავი მეფედ გამოეცხადებინა. ჭკვიანმა პოლიტიკოსმა სხვა გადაწყვეტილება მიიღო. მოკავშირეებთან კონფლიქტს თავი აარიდა და მეფე არჩილს შეუთანხმდა: მდ. კელასურს სამხრეთ ეგრისში მმართველი იქნებოდა მეფე. მისი რეზიდენცია იქნებოდა ციხე-გოჯში და ქუთაისში. პატრიკიოსი ლეონი მდ. კელასურს ჩრდილოეთ ეგრისს (აფხაზეთის სამთავროს) დაეუფლებოდა. ბიზანტიის კეისარმა ასეთი შეთანხმება მოიწონა.

შეთანხმების მონაწილეთა კეთილი ნება, მათი მემკვიდრეების



დროსაც გაგრძელდა. პატრიკიოსი ლეონი მისმა ძმისწულმა ლეონ II შეცვალა. იგი ერთგულობდა მიღწეულ შეთანხმებას გარკვეულ დრომდე. მეფე არჩილ II-ის მემკვიდრე ჯუანშერი 786 წ. გარდაიცვალა. მას თავის მხრივ, მემკვიდრე არ დარჩენია. შესაბამისად, შეთანხმებამ ძალა დაკარგა. რა ექნა პატრიკიოს ლეონ II?

ეგრისის მხარეში არ იყო სხვა მოღვაწე, რომელსაც სამეფო ტახტის დაკავების სამართლებრივი და მორალური უფლება ექნებოდა. ქართლის ყოფილი ერისმთავარი აშოტ ბაგრატიონი, არაბებისაგან გარიღებული, ტაო-კლარჯეთის სამთავრო-სამეფოს ქმნიდა. მას ქართლშიც არა ჰქონდა მეფობაზე პრეტენზიის უფლება, არა თუ ეგრისში. მემკვიდრეობის ძალით ასეთი უფლება ჰქონდა პატრიკიოს ლეონ II. ამასთან, არა მხოლოდ ეგრისში, არამედ ქართლშიც. სწორედ ამ სამართლებრივ-მორალურ საფუძველზე იყო დამყარებული აფხაზთა მეფეების მოქმედება.

აფხაზთა უფლებების სამართლიანობას, ეგრისში და ქართთა მხარეში, ვერავინ უარყოფდა. ერთად-ერთი, ვისაც შეეძლო საწინააღმდეგო ქმედება განეხორციელებინა იყო აშოტ დიდი კურაპალატი. ლეონ II უმცროსი ძმა თეოდოსი (ზოგის აზრით ძე და მემკვიდრე) მის სიძეს წარმოადგენდა და ისინი ერთობლივი ძალით მოქმედებდნენ.

ყველაზე არსებითი, რაც ლეონ II განახორციელა, იყო იმ კედლის ნგრევა, რაც ეგრისელებს ჰყოფდა მდ. კელასურს გაღმა გამოღმელებად, რაც ერთიანი ეთნოსის გაორებასა და გაუცხოებას უწყობდა ხელს. ამ ხელოვნური ბარიერის მოშლით ეგრისი (გნებავთ კოლხეთი, ლაზიკა) გაერთიანდა. ლეონ II თავი მეფედ გამოაცხადა 787 წ. და სრულიად კანინიერად, დედაქალაქი ჩრდილოეთიდან აღმოსავლეთში, ქუთაისში გადაიტანა.

ფანტაზიის ნაყოფია იმის მტკიცება, თითქოს ლეონ აფხაზთა მთავარმა ეგრისი დაიპყრო და დაპყრობილ ქალაქში დააფუძნა სამეფოს ცენტრი. არც ისაა საოცრება, რომ აფხაზეთში დაფუძნებულმა ლაზთა პატრიკიოსმა, შექმნა რა სამეფო, მას ბიზანტიის მიერ აღიარებული სამთავროს სახელი უწოდა. თუ ასწლებულების მანძილზე ამ მხარეს ეგროსის კუთვნილი სივრცე ერქვა, თუ მას გარკვეული ისტორიული ცვლილებების კვალობაზე კოლხიდა ეწოდა, თუ იქ აღმოცენებულ





სახელმწიფო გაერთიანებას კულხა, ეგრისი, ლაზიკა ეწოდებოდა, რა გასაკვირველია, რომ აბაზგთა ტომის სამოსახლოს მიხედვით მას ჯერ აფხაზთა სამთავრო ეწოდა, შემდეგ კი აფხაზთა სამეფო. მთავარია, რომ იქ არ განხორციელებულა უცხო ეთნოსის შეჭრა და დამკვიდრება. პირიქით, ლეონ I და შემდეგ ლეონ II ძალისხმევით ხელოვნურად, პოლიტიკურად გახლეჩილი ეთნოსი ეგროსელ-თუბალებისა გაერთიანდა ერთი ენით, ერთი სულიერი და ფიზიკური მონაცემებით, ამით წაიშალა ის სხვაობა, რაც გარედან ინერგებოდა ეთნოსის ნაწილებს შორის. ლოგიკურია, რომ თუ გამთლიანება მოხდა ეგრისულ-აფხაზური ნაწილის ჰეგემონობით და ძალისხმევით, სამეფოსაც აფხაზეთი ეწოდა. აღარაა საჭირო მითითება იმაზე სხვაგან, როგორ იცვლებოდა ამა თუ იმ ეთნოსის სახელწოდება იქ გაძლიერებული ტომის სახელის მიხედვით.



## აფხაზ-ქართთა სამეფო

787 წ. დაფუძნდა აფხაზთა სამეფო. ამ ისტორიულ აქტს თავისი მნიშვნელობის გამო, ცვლილებები მოჰყვა რეგიონში არსებულ პოლიტიკურ ძალთა ურთიერთობებში.

VI საუკუნეში, როდესაც ბიზანტიის კეისარმა ეგრისში მეფობა გააუქმა და მეფე პატრიკიოსის თანამდებობამდე ჩამოაქვეითა, ქვეყნის საზღვრები მოიცავდა ტერიტორიას ჭოროხიდან და ტრაპეზუნტიდან მდინარემდე მცირისა ხაზარეთისა. იგი დაყოფილი იყო ერთ სამეფოდ და ორ სამთავროდ... სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა მისიმიანეთისა და აფშილეთის მხარეები. აღმოსავლეთით იგი ესაზღვრებოდა ქართს, ხოლო ჩრდილო-აღმოსავლეთით ალანებს. მისიმიანებიდან იყო უშუალო გადასასვლელი ალანიაში. (თავის მხრივ, ალანია არ წარმოადგენდა ოვსთა სამფლობელოს. მოგვიანებით მოხდებოდა ალანთა მხარეში ყარაჩაელების, ბალყარების, ოსების ფორმირება).

ჩრდილოეთით, ეგრისის (ლაზიკის) სამეფოს, აბაზგია ესაზღვრებოდა. უკვე მდ. კელასურის გასწვრივ იყო საზღვარი. საკუთრივ აბაზგებს ორი მთავარი ედგათ სათავეში. აღმოსავლეთის და დასავლეთის. 626 წ. ბიზანტიის კეისარი ჰერაკლე, ტრაპეზუნტის გავლით ჩადის ეგრისში, იქიდან გადადის აბაზგიაში. გატარებული რეფორმების შედეგად, კეისარმა შემოიმტკიცა მოჯანყე მხარე./ ანაკოფიაში დაადგინა ერთიანი საერისთაოს ცენტრი. უწოდა მას აფხაზთა საერისთაო და უშუალოდ დაუმორჩილა ბიზანტიას.

ამრიგად, დაკანონდა ეგრისის მხარის გაყოფა ორ პოლიტიკურ ერთეულს, ლაზიკის (ეგრისის) საპატრიკიოსოსა და აფხაზეთის საერი-



სთაოს შორის. ლაზიკა იყო იმპერიის ქვემდებარე, ხოლო საერისთაო ნაწილი.

საერისთაოს შექმნასა და მიერთებას, განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა, აქედან ხორციელდებოდა უშუალო კავშირი ჩრდილოეთ კავკასიის ეთნოსებთან (ტომებთან).

ბიზანტიას, აფხაზეთის საერისთაოს მეშვეობით, შეეძლო ჩრდილოეთში მეომრების დაქირავება, მათი თვითნებური გადმოსვლის აღკვეთა, მოკავშირეების პოვნა.

მეხუთე საუკუნის ბოლოს, როდესაც ვახტანგ გორგასალმა ილაშქრა ჩრდილო კავკასიაში, მას უშუალო შეხება ჰქონდა ოვსებთან. დაამარცხა და დაიკავა რა ოვსეთი, ვახტანგმა დალაშქრა მათი მოკავშირე პაჭინიკები. მემატთანე ამბობს: „და განვიდეს პაჭანიკეთს, რამეთუ მაშინ მუნ იყო პაჭანიკეთი მოსაზღვრედ ოვსეთისა, მდინარეს მას ოვსეთისასა წილ, და ჯიქეთი მუნვე იყო“ (ქართლის ცხოვრება, ტ.1. თბ.1955, გვ.156).

ორი ფაქტია დასამახსოვრებელი: 1. მემატთანე ხაზს უსვამს, რომ პაჭანიკეთი იყო ოვსეთის წიაღში მიმდინარე მდინარის აუზში. რომელი მდინარე აქვს მხედველობაში? ამის მიხედვით განისაზღვრება პაჭანიკთა განფენის გეოგრაფია. სავარაუდოდ ეს თერგი უნდა იყოს. თერგს მართალია ადრე უწოდებდნენ ლომეკს, ასევე პირიქითა არაგვს, მაგრამ თუ ამბობს მემატთანე, რომ ვახტანგის მხედრობამ განვლო კარი ალანთა (დარიალი) და შევიდა ოვსეთში, მაშინ ლოგიკურია ამ შემთხვევაში თერგი იგულისხმებოდეს. მით უფრო საინტერესოა ჯიქეთის მოხსენიება. „ჯიქეთი მუნვე იყო“. ანუ იქვე იყო. ოვსეთის მეზობლად სახლობდნენ აფხაზები და ჯიქები. (ჯიქებს სხვანაირად ზიხებსაც უწოდებდნენ. ჯ და ქ ბგერები ყველა ეთნოსს არ ჰქონდა) ჯიქები, თუბალურ-კავკასიური წარმომავლობის ტერმინია და სავარაუდოდ ტომიც თუბალ-კავკასიელი. (არავითარი საფუძველი არ არსებობს იმის სამტკიცებლად, რომ ჯიქები ადიღეველებია და თანაც ძველი დროიდან აფხაზთა არეალში მაცხოვრებელი).

პაჭანიკები და ჯიქები შეიძლება ოვსების ჩრდილოეთში და აღმოსავლეთში სახლობდნენ. ისინი, რომ დასავლეთით ყოფილიყვნენ, მაშინ ლაზიკიდან და აფხაზეთიდან გადასასვლელი ალანიაში კი არ იქნებოდა, არამედ პაჭანიკეთში. ამიტომ იყო, რომ გორგასალი პაჭა-



ნიკეთ-ჯიქეთიდან უკან ბრუნდება ოვსეთში და იქიდან უკვე გადადის აფხაზეთში.

კიდევ ერთი საკითხი. გორგასალის მოკავშირე ამ ომში იყო დედუღეთი ე.ი. სპარსელები და კავკასიანები... თუ კავკასიანები ქართველს მოკავშირეობდნენ, მაშინ ჯიქები შეიძლება ასეთებად არც ჩაითვალოს. ამასთან, არაა ცნობილი, რომ ჯიქები ოვსებს ეხმარებოდნენ. არც ისაა ცნობილი გორგასალმა ჯიქები დალაშქრა თუ არა. მხოლოდ ცნობაა, რომ „ჯიქეთი მუნვე იყო.“

ოვსეთიდან გორგასალი გადადის აფხაზეთში იგი იქ სამი წლის მანძილზე „სულგრძელად და უშიშრად“ ეუფლება აფხაზეთის ციხესიმაგრეებს. რას ნიშნავს „სულგრძელად“? და რატომ დასჭირდა ამ საქმეს სამი წელი?

ძალზე საინტერესოა მემატიანის შემდეგი ცნობა: „შემდგომად ჟამთა მრავალთა იოტნეს პაჭანიკნი და ჯიქნი თურქთაგან; და წარვიდეს პაჭანიკნი დასავლით – კერძო, ხოლო ჯიქნი დაემკვიდრნეს ბოლოსა აფხაზეთისასა“ (იქვე). როდის შეიძლება ეს მომხდარიყო?

დასავლეთ თურქულმა ტომებმა 651 წ. შექმნეს სახაკანო (კაგანატი), გაძლიერდნენ და ვოლგის გადაღაზვის შემდეგ დაიკავეს ვრცელი დაბლობი კასპიის ზღვიდან აზოვის ზღვამდე. სწორედ მაშინ უნდა განედევნათ ხაზარებს პაჭანიკები აზოვის ზღვის დასავლეთით. ისტორიული ცნობის თანახმად, პაჭანიკები IX საუკუნის ბოლოს აღწევენ ყირიმის ჩრდილოეთს. 882 წ. მათ ომი გადაიხადეს კიევის სამთავროსთან.

იმავე პერიოდში, პაჭანიკებთან ერთად, მოხდებოდა ჯიქთა განდევნა დასავლეთით და მათი აფხაზეთის ბოლოში „ჩაჯდომა“. ისტორიისათვის ორივე მომენტი გასარკვევია. რას ნიშნავს აფხაზეთის ბოლო და რას „ჩაჯდომა“. სამწუხაროდ, გარკვეული პასუხი ამ კითხვებზე არ არსებობს. ჯიქების შესახებ არის ბევრნაირი მოსაზრება. მკვლევართა ნაწილს აწყობს მათი ადიღეველობა, ისევე, როგორც აწყობდათ მეოტების, სინდების, კერკეტებისა. ყველაზე ლოგიკური, ჯიქებ-ზიხების კავკასიანელობა, არც განიხილება. რატომ?

კიდევ ერთი ფაქტი. 735 წ. არაბების დამარცხებისა და ეგრისიდან განდევნის შემდეგ, მეფე მირი მალე ჭრილობებისაგან მიიცვალა. არჩილ მეფემ, ძმის ანდერძის თანახმად, „... მისცა ლეონს ცოლად ძმისწული



მისი გუარანდუხტი და გვირგვინი იგი, რომელი ბერძენთა მეფეს წარმოეცა მირისათვის“. (იქვე.) საფიქრალია, რომ ამით არჩილმა ლეონ პატრიკიოსი აღიარა ეგრისელთა მეფედ. ყოველ შემთხვევაში, მირის წილ ქვეყანაში. ლეონის მემკვიდრე ლეონ II ეგრისის დაკავებით და დედაქალაქის ქუთაისში გადატანით აღასრულა, რაც კანონიერად ეკუთვნოდა. (დღეს იტყვიან აღადგინა კონსტიტუციური წესრიგი).

ასევე, ჯერ არჩილ მეფის და მისი ვაჟების იოანესა და ჯუანშერის დარუპვის შემდეგ, ქართთა მხარეშიც მეფობის უფლების მქონე, კანონიერი მემკვიდრე, სხვა არავინ იყო ლეონის გარდა. ამიტომ იბძოდნენ აფხაზეთის მეფეები ქართლის, კახეთის და ჰერეთის დაუფლებისათვის. მათი მიზანი საქართველოს ერთიანობისათვის ბრძოლა კი არა, თავისი სამეფო უფლებების უზრუნველყოფა იყო.

შედეგად კი მოხდა ის, რაც მოხდა.

აფხაზეთის სამეფოს შექმნა, რიგ ცვლილებებს საჭიროებდა ცხოვრების ყველა სფეროში, მათ შორის მნიშვნელოვანი იყო საერთო რელიგიური ცხოვრების მოწესრიგება.

აფხაზეთის საერისთაო-სამთავრო ბიზანტიის იმპერიის ნაწილად ითვლებოდა და რელიგიური ღვთისმსახურება, ბუნებრივია, იმპერიაში გაბატონებულ ენაზე წარმოებდა. სამეფოს დაფუძნების შემდეგ ვითარება შეიცვალა. მიზანი, მეფობის დამკვიდრება ქართ-კახ-ჰერთა მხარეში, კარნახობდა ღვთისმსახურების იქ მიღებულ ენაზე შემოღებას...

ერთ სამეფოში, ერთიანი უნდა ყოფილიყო საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მიმართულება. გარკვეული თავისებურებანი შემავალ კუთხეებს ექნებოდათ, მაგრამ სახელმწიფოს დამახასიათებელი (განმსაზღვრელი) ნიშნების ერთიანობა უნდა მიღწეულიყო. ამან განაპირობა აფხაზთა სამეფოს ჩამოცილება ბერძნული საეკლესიო იურიდიქციისაგან და მცხეთას დაქვემდებარებულ საეკლესიო სისტემაში გაერთიანება. (სხვა ამბავია, რომ მეფეთა ასეთი პოლიტიკა, სხვა ძირეულ ცვლილებებს დაუდებდა საფუძველს).

ამ ფაქტს, მისაღები უნდა გაეხადა აფხაზთა მეფე, ქართ-კახ-ჰერი მოსახლეობისათვის, გაეიოლებინა მისი მოღვაწეობა ამ მიმართებით. არა და რთული ვითარება იყო შექმნილი.. ჯერ ერთი, ბიზანტიის იმპერია, ვერ შეურიგდებოდა, ისედაც ურჩი კუთხის ჩამოცილებას და მისი გავლენის სფეროდან გამოსვლას. ისტორიულად ცნობილია, რომ



სამჯერ იყო აფხაზეთის სამეფოს, იმპერიის შემადგენლობაში დაბრუნების მცდელობა. სამეფომ შეძლო დამოუკიდებლობის შენარჩუნება. მეორე, არა ნაკლები წინააღმდეგობა სამეფოს ელობებოდა თბილისის საამიროს, კახეთის სამთავროს, ჰერეთის, ტაო-კლარჯეთის და სომხური რეგიონალური სამეფოს სახით. ყოველი ერთეული ცდილობდა გაძლიერებას და სხვისი ტერიტორიების მითვისებას.

ამ ბრძოლებში ადგილი ჰქონდა, როგორც ინდივიდუალურ, ასევე კოლექტიურ მოქმედებებსაც. კახეთის სამთავრო (საქორ-ეპისკოპოსო) უმეტესად თბილისის არაბ ამირასთან კავშირში მოქმედებდა. ასევე ტაო-კლარჯეთი აფხაზ მეფეთა პოლიტიკას უჭერდა მხარს.

მცირე გადახვევა. უძველესი დროიდან მოყოლებული, ეგროსის მხარეში, სხვადასხვა დროს ჩნდებოდნენ არაეგროსული წარმომავლობის ტომები, ისტორიულად ასეთები იყვნენ კიმერიელები. მათ რბევით გაიარეს ეგროსის ტერიტორია და რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილება ენობრივ, ეკონომიკური წყობის ხაზით არ მოუხდენიათ. ძველი წყაროები ასევე ასახელებენ მეშეხურ (მესხურ) ელემენტებს. ამ მხრივ უფრო მეტია განსასჯელ-დასახუსტებელი. ისტორიამ შემოინახა ცნობები ბევრი ტომის შესახებ. მათი თუნდაც სახელწოდება, ბევრ საფიქრალს აღძრავს. თუ მსჯელობა იქნება 70 და მეტი ტომის, მხოლოდ ცხუმში თავმოყრის შესახებ, საკამათო არ დაილევს. ამის და მიუხედავად, ისტორიულად ცნობადნი ხდებიან ერთეულები. სხვები რა ორთქლდებიან?

ლოგიკურია საკითხის ასეთი წარმოდგენა. კავკასიის მთელი სისტემა ხეობებადაა დაყოფილი. მათ შორის ეგროსის მხარე. ხეობებში ჩაკეტილი ტომი თუ ტომის ნაწილი, ათწლეულობის განმავლობაში, რაღაც საკუთარს იმუშავებდა. მათ შორის ენობრივი განხრით. დღესაც ძნელია მიხვდე, ამა თუ იმ კუთხის მაცხოვრებლის გამონათქვამს. იმ დროს ეს საკითხი რომ უფრო სხვანაირად წარმოედგინათ, არაა გასაკვირი. სხვა შემთხვევაში, ძნელი ასახსნელია სად უნდა გამქრალიყო ათეულობით ტომი.

უფრო მეტი, როდესაც აფხაზეთის სამეფო შეიქმნა, ეს ტერიტორია მოიცავდა ჭოროხ-ტრაპეზუნტიდან, მდინარემდე მცირისა ხაზარეთისა (ყუბანი). იქ დაფიქსირებულია ბევრი ტომი და ბუნებრივად მათ შესახებ კამათი კვლავაც გაგრძელდება. არ არსებობს საბოლოო ჭეშმარიტება.



ლოგიკურია აზრი, რომ ცხოვრების ცვლილება, ხეობებში ჩაკეტილი ტომების თუ თემების, გაუცხოებას ძლევდა, მათი ურთიერთობის ნიველირებას იწვევდა და მიმდინარეობდა გაერთიანების პროცესი. ამ გზით, შეიძლება რამდენიმე ტომს შეექმნა ერთი ერთეული, სადაც ინდივიდუალური სახელი იკარგებოდა, ტომი კი სხვასთან ერთად განაგრძობდა არსებობას.

როცა არ არსებობს კონკრეტული ისტორიული წყარო, ბევრი ვარიანტის დაფიქსირება შეიძლება. როცა წყაროები ამბობენ ათეულობით ტომზე და მათი ურთიერთობებისათვის საჭირო ასევე ათეულობით თარჯიმანზე, არ შეიძლება ამ ინფორმაციის კონკრეტულ საჭიროებასთან დაკავშირება და სხვა შემთხვევაში უგულველყოფა. თუ არაა კონკრეტული ინფორმაცია, არის არსებულის ლოგიკური ანალიზი.

არსებულ ვითარებაში ლოგიკა ასეთია: ძვ.წ.ა. III ათასწლეულიდან მოყოლებული ლიხს დასავლეთ მხარეში, ტრაპეზუნტიდან მოყოლებული მდ. ყუბანამდე იყო ეგროსის მხარე. (აზრი მეორდება, მაგრამ ლოგიკა მოითხოვს გახსენებას). ეგროსელები გაიყვნენ ეგრებად და სვანებად. შემდეგ, თავად ეგრისელები გაიყვნენ (თუ გაყვეს) ეგრებად და მეგრებად. გავიდა დრო და ეგრებს (შუალედური გამოტოვებულია) ერქმევათ აფხაზები.

უკვე ითქვა, რომ ეგრებს (აფხაზებს) შორის, ისტორიულად ცნობილმა ბარბაროსებმა (კიმერიელებმა) რბევით გაიარეს. ნიშნავს, მნიშვნელოვანი ცვლილებები არ მოუხდენიათ.

ეგროსელებს შორის, ისტორიულად აფიქსირებენ ორ უცხო ტომს: კერკეტებს და აქაველებს (ახეელებს). უკვე ითქვა, რომ კერკეტი, კირკიტი თუბალური ტერმინია. შესაბამისად კერკეტები თუ ეგროსელები არა, შეიძლება კავკასიანებად ჩაითვალოს. (არა იბერებად, არა ქართველებად, არამედ თუბალებად. და საერთოდაც, ის რაც თანამედროვე აფხაზებს ქართველურად მიაჩნიათ და ცდილობენ მის გაადილვეელობას, დაფიქრდნენ, ეგება ეს ყოველივე ქართული კი არა თუბალურია, ეგროსულ-თუბალური. ტოპონიმ, ჰიდრონიმები ხომ საწყისიდან მოდის) ზედაპირულია კამათი კერკეტების შესახებ. ამიტომ არც არსებობს არც ერთი არგუმენტი კერკეტების არა კავკასიელობის შესახებ.

უფრო უარესადაა საქმე ჯიქების საკითხთან დაკავშირებით. მთა-



ვარი ის კი არაა, რომ ჯიქი ქართულად ხდება გასაგები. მთავარი ისაა, რომ არ არსებობს არც ერთი ფაქტი, რომელიც ჯიქებს არაკავკასიულად წარმოიდგენდა. რა თქმა უნდა, შეიძლება კამათი. ლოგიკური განსჯის თანახმად, ჯიქები შეიძლება კავკასიონები იყვნენ, შეიძლება ეგროსელები და სხვა, მაგრამ არსებითია, რომ მათ ვერ მიაწერენ რაღაც არ არსებულ ადიღურ თუ სხვა წარმომავლობას.

ძალზე მოკლე მიმოხილვის მიზანი იყო იმის ნათელყოფა, რომ ეგროსის მხარეში არ შემოსულა ტომი, ეთნოსი, ძალა, რომელიც ადგილობრივთა ენობრივ, გენეტიკურ ცვლილებებს გამოიწვევდა. ის რაც ისტორიულად მოხდა ეგროსელობა, კოლხიდელობა, ეგრობა, ლაზობა, აფხაზობა არის სახელწოდების და არა ეთნოსის ბუნების ცვლილება.

ფილოსოფიური კატეგორიაა: არსი და ფორმა. ცხადია, ფორმა ზემოქმედებს გარკვეულწილად. სულ ერთი როდია, მაცხოვრებლებს უწოდებენ ეგროსელებს, ეგროსელებს, კოლხიდელებს, ლაზებს, აფხაზებს თუ რას. შეიძლება ერთი თაობის მანძილზე ცვლილება უმნიშვნელო იყოს, მაგრამ ისტორიულად ამას დიდი მნიშვნელობა აქვს.

ამ შემთხვევაში კი არსი ერთია. ეთნოსის ტომობრივი სახელწოდებით მოსახლეობა იცვლებოდა, ენა კი ერთი რჩებოდა – ეგროსული. არასერიოზულია, როცა ზოგი მკვლევარი ზერეულედ უდგება ამ მახასიათებელს. ენა – განმსაზღვრელია. უკვე ითქვა, რამდენჯერ გაიყო ეგროსის მიწა-წყალი გავლენის სფეროებად, რამდენჯერ მოინდომეს კედლის აღმართვა გაღმელ-გამოდმელთა, ზემო-ქვემოთა და ა.შ., შორის მაგრამ ეთნოსის ენა არაა სუბიექტთა ხელწამოსაკრავი. ეგროსში, ეგროსული ენა შეუცვლელი რჩებოდა.

როცა აფხაზეთის სამეფო შეიქმნა, როცა სულმნათმა ლეონ II ლიხს დასავლეთი დაიკავა, როცა წაშალა კვალი კელასურის ჩრდილოეთ-სამხრეთისა, მკვლევართაგან რატომ არავინ დასვა საკითხი, რა ენაზე მეტყველებდნენ ისინი, რატომ არ დადგა ენობრივი გაუცხოების საკითხი, რატომ ბუნებრივად გაერთიანდა ახალი აფხაზეთი და ძველი ეგროსი? კითხვა მრავალია, არსებითია, რომ სიმართლის მაძებარმა ასევე არსებითი პასუხი იპოვოს.

როდესაც პაჭანიკები და ჯიქები (ზიხები) დასავლეთით განიდევნენ, ეს მიგრაციული პროცესი ეგროს-აფხაზეთსაც შეეხო. ჯიქები ჩაჯდნენ აფხაზეთის ბოლოს. ეს ბოლო მდინარე ყუბანის მარცხენა სანაპიროა.





ჯიქები დაეფუძნენ აფხაზეთის ტერიტორიაზე თუ არა? სავარაუდოდ, ჯიქები ანაპა-ტუაფსეს შორის უნდა დასახლებულიყვნენ. ამ აზრის სასარგებლოდ მეტყველებს ორი ფაქტი. პირველი ის, რომ დღევანდელი კრასნოდარის მხარის ქალაქი გელენჯიკი, მეგრულად (ეგრისულად) ნიშნავს გარე (სასაზღვრო) ციხეს (გელენ ჯიხა). მეორე ის, რომ ისტორიულად ყოველთვის ითქმოდა, ნიკოფსიიდან დარუბანდამდე და ა.შ. არაა დაფიქსირებული ანაპიდან. ეს ნიშნავს, რომ ჯიქების „ჩაჯდომის“ შემდეგ, საზღვარმა გადმოიწია ნიკოფსიამდე. (იმავე სივრცეშია დღევანდელი გელენჯიკი). თუ ასეთი მსჯელობა მისაღებია, მაშინ ჯიქები და მათი დაქვემდებარება აფხაზთა მეფეებისადმი გასაგები ხდება. ამავე დროს გასარკვევია თავად აფხაზთა მთავრების პოლიტიკა. ამ პერიოდში ჯერ კიდევ აბაზგებად და სანიგებად წოდებული ტომები სახლობდნენ კავკასიონის დასავლეთ ნაწილში. ისინი ჯიქებს იოლად ვერ დაუთმობდნენ სამშობლოს. სამწუხაროდ ამ „ჩაჯდომა“ - ჩასახლების დეტალებზე ისტორია არაფერს გვეუბნება. საფიქრალია ისიც, რომ ზაზარებმა ჯიქები კი განდევნეს, მათი ქვეყანა დაიკავეს, მაგრამ იმ დროს ბიზანტიის გავლენის სფეროში მოქცეულ მხარეს ილაშქრეს თუ არა უცნობია. არა და, ისტორია მხოლოდ ის კი არაა რაც მატია-ნეებში ჩაიწერება, არამედ ისიც რაც იგულისხმება.

ის, ვისაც აფხაზეთის ისტორია, მოსახმარებლად კი არა გულით აწუხებს, გვერდს ვერ აუვლის საუკუნეების დანატოვარს. უფრო ზუსტად, ჯერ მონაპოვარს და შემდეგ დანატოვარს. ასევე ძნელია, როდესაც ფაქტებზე დაფუძნებულ მრწამსს, რაღაცა მექანიკური მეთოდებით მოდელირებას უკეთებენ. ვერავინ უარყოფს, რომ ლეონ II აერთიანა რა ძველი ეგრისი, იმ პერიოდისათვის უკვე აფხაზეთი და ლაზიკა, შექმნილ ახალ სამეფოს აფხაზეთი ეწოდა, მაგრამ პრაქტიკულად ეს იყო ეგროსის მხარის ერთობის აღდგენა. იქ უკვე იყვნენ თავად ეგრისელები (ეგრები-მეგრები), სვანები და ეგროსელების გაქართებული ნაწილი. წამყვანი იყო ეგროსელთა აფხაზებად წოდებული ნაწილი, მაგრამ მთავარია, რომ ყველანი (ქართვების გარდა) ეგროსელები იყვნენ. ამიტომ არ სჭირდებოდათ მათ ენობრივი დაახლოების ღონისძიებათა გატარება. თუ ვინმეს აქვს სხვა წყარო და დასაბუთება, ისტორიისათვის უცნობია.

ახლად შექმნილმა აფხაზეთის სამეფომ, სრულიად სამართლიანად გააერთიანა მთელი ეგროსის მხარე და დაიწყო მემკვიდრეობით



დანატოვარი ქართლის მხარის დაკავება. რამდენადაც მეფე არჩილ II ხელი მიუწვდებოდა კახეთ-ჰერეთზე, ამდენად მეფე ლეონ II და მისი მემკვიდრენი, ღვთისა და კაცთა სამართლით, უფლებამოსილები და ვალდებულები იყვნენ კუთვნილი მხარე დაეკავებინათ. ამ შემთხვევაში არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა დინასტიურ მემკვიდრეობას და არა ცალკეულ პიროვნებათა მოსაზრებას.

კიდევ ერთი საინტერესო მოვლენა. ლეონიდების (ლეონ I და ლეონ II მიხედვით სამეფო დინასტიას ლეონიდებს უწოდებენ), მიერ მთელი ეგროსის მხარის დაკავებამ და სამეფოს დამკვიდრებამ, გარკვეული ცვლილებები გამოიწვია ადრე არსებულ ერთეულთა ცხოვრებაში. ფართოდაა ცნობილი, რომ ბაღვაშთა სახლობამ არგვეთიდან ქართში გადაინაცვლა და იქ მძლავრი კლდეკარის საერისთაო დააარსა. სამწუხაროდ, არაა ბოლომდე გარკვეული ლაზთა მიერ კლდეკარის საერისთაოს შექმნის მთელი ისტორია. ბაღვაშები მეფეებს გამოერიდნენ თუ მათთან შეთანხმებით მოქმედებდნენ? ცნობილია, რომ თბილისის არაბი ამირები ტაშისკარამდე ტერიტორიას აკონტროლებდნენ. როგორ დაუშვეს არაბებმა მდ. მტკვრის მარჯვენა მხარეს ლაზურ-ქართული ახალი ერთეულის შექმნა? ასევე საინტერესოა ტაო-კლარჯეთის მეფე-მთავართა მიერ ბაღვაშთა დაფუძნება-გაძლიერების მოთმენა. კლდეკარის მძლავრი საერისთაო, ქართს პრაქტიკულად შუაზე ყოფდა, ქართლის ერთი ნაწილიდან მეორეში გადასასვლელ გზებს აკონტროლებდა. ყოველივესთან ერთად, ანგარიშგასაწევია ის ფაქტი, რომ ქართთა ამ მხარეში ადგილობრივი ძლიერი ფეოდალური გვარები ძამელები, ტბელები ბატონობდნენ. როგორ მოახერხეს ბაღვაშებმა ყველა წინააღმდეგობის დამოუკიდებლად დაძლევა და კლდეკარის ცნობილი საერისთაოს შექმნა?

(ბაღვაშთა საგვარეულოს, მასთან კავშირში ბაღაშთა საგვარეულოს ისტორია ცალკე კვლევას საჭიროებს. ლაზობის გარდა ჰქონდათ საერთო წარსულში?)

მცირე გადახვევა. თანამედროვე აფხაზი და ქართველი მკვლევარები, ლეონიდების მიერ შექმნილ სამეფოს აფხაზეთს უწოდებენ. არა და თავად ლეონიდები არსად აღნიშნავენ, რომ მათ სამეფოს აფხაზთა ქვეყანა წარმოადგენდა. შეიძლება არა ხედავდნენ ამის საჭიროებას. შეიძლება მართებულად მიაჩნდათ, რომ აფხაზეთი ეგროსის ქვეყნის



მხოლოდ მცირე ნაწილს მოიცავდა. სანაცვლოდ უცხოელები ეგრისს და ეგრისის სამეფოს სახელით მოიხსენიებდნენ. დადგენილად ითვლება, რომ აფხაზეთად ქვეყანას, მხოლოდ ქართველთა გაერთიანების შემდეგ, თვლიდნენ.

აქედან გამომდინარე ლეონიდების სამთავროს თუ აფხაზეთი ეწოდებოდა, სამეფოს შეიძლება ეგროსის ახალი სამეფო ან აფხაზეთა სამეფო თანაბრად ეწოდოს,

ლეონიდთა სამეფო დინასტიის მოღვაწეობა დიდი ენერგიულობით გამოირჩეოდა. უნდა ითქვას, რომ მათი მორალური მდგომარეობა და მატერიალურ-ადამიანური შესაძლებლობანი სჭარბობდა შესაძლო მეტოქეებისას.

ამოტ ბაგრატიონის მიერ შექმნილი ტაო-კლარჯეთის სამეფო-სამთავრო შეიძლება არ ჩამოუვარდებოდა ეგრისის ახალ სამეფოს, მაგრამ საგარეო ურთიერთობების გამო, ბევრად მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა. არც ბიზანტიის იმპერია და არც არაბობა, ქვეყანას დამშვიდებულ განვითარების საშუალებას არ აძლევდნენ. აღმოსავლეთიდან სომხეთის სამთავრო, 886 წლიდან კი სამეფო არა ნაკლებ საფრთხის შემცველი იყო. ბაგრატიონების განაყარმა მონოფიზიტმა ბაგრატიუნებმა, ბიძაშვილების საქმეებში უხეში ჩარევა არ იუკადრისეს. მთავარი იარაღი კი, მაინც მოსახლეობის მონოფიზიტურ ქრისტიანულ მრწამსზე გადაყვანა და გასომხება იყო. არც თბილისის არაბი ამირა თმობდა პოზიციებს და შესაძლებლობის შემთხვევაში ცდილობდა საკუთარი ძალის დემონსტრირებას. ძირითადად, საამირო კახეთის სამთავროსთან კავშირში მოქმედებდა.. მალე მიაღწია ძლიერების ზენიტს კლდეკარის საერისთაომაც. ერთად-ერთ, მათგან დაუკავებელ ტერიტორიას, მტკვრის მარცხენა მხარის ქართლი წარმოადგენდა, ამიტომ დაპირისპირებულ ძალთა უპირველესი მიზანი ლიხის მთიდან მდ. არაგვამდე ტერიტორიის მიერთება და გაძლიერება წარმოადგენდა.

მეფეების, მირისა და არჩილის, კანონიერ მემკვიდრეს ლეონიდები წარმოადგენდნენ, მაგრამ ძალაუფლება ხომ ძალაზეა დაფუძნებული. ქართლის მტკვრიდან ჩრდილოეთი მხარის დაუფლებისათვის ბრძოლა კახთა მთავარმა, ქორეპისკოპოსმა გრიგოლმა წამოიწყო. ისარგებლა რა შექმნილი რთული ვითარებით, ჩათვალა, რომ ხელსაყრელი დრო დაუდგა. იმ დროს, ქართლსა და კახეთს შორის საზღვარი მდ. არაგვზე



იღო. გრიგოლ ქორეპისკოპოსმა საზღვარი გადალახა და სულ მცირე, მდ. ქსნის ხეობის დაკავება მოინდომა.

კახთა აგრესია პირდაპირი გამოწვევა იყო ტაო-კლარჯეთისა და ეგრის-აფხაზთა სამეფოსი. აშოტ ბაგრატიონი, როგორც ქართლის უკანასკნელი მთავარი, თუმცა თბილისს გარიდებული იყო, თავს მმართველად თუ არა, პასუხისმგებლად მაინც გრძნობდა. მისი სიძე, თეოდოსი (798-825წწ.) მეფე იყო ლეონ II შემდეგ და მირის და არჩილის მემკვიდრე. სამკვიდრო ქვეყნის ნაწილის დათმობაც კი, მისგან დამარცხების აღიარება იქნებოდა. შედეგად თეოდოსისა და აშოტ ბაგრატიონის გაერთიანებულმა ძალებმა, წარმატებით აღკვეთეს, გრიგოლ ქორეპისკოპოსისა და თბილისის ამირას მცდელობა, დაესაკუთრებინათ ქართლის მნიშვნელოვანი ხეობა, რომელსაც ჩრდილოეთიდან დვალეთი საზღვარავდა. (დვალეთი ძვ. წ. ა. IV საუკუნიდან იბერიის სამეფოს ეკუთვნოდა და ქსნის ხეობის დაკარგვა, მის დაკარგვასაც გამოიწვევდა).

ამ დროიდან მოყოლებული, არ შეწყვეტილა ბრძოლა მდ. მტკვრის (კოროს) მარცხენა მხარის ქართლის, სტრატეგიული ტერიტორიის მისაერთებლად. ლეონიდი მეფეები დემეტრე I (825-861 წწ.) და გიორგი I (861-868 წწ), ენერგიულად ცდილობდნენ კუთვნილი მამულის შემომტკიცებას.

ისტორიული ცნობის თანახმად, მეფე გიორგი I მემკვიდრე არა ჰყავდა. მისი გარდაცვალების შემდეგ შავლიანთა საგვარეულომ, დედოფლის ხელშეწყობით, ტახტის დაკავება მოახერხა.

შავლიანები სავარაუდოდ სანიგთა ტომის მთავრები უნდა ყოფილიყვნენ. (ზოგი მკვლევარი მათ სვანებად მიიჩნევს). სამეფო ტახტთან სიახლოვე და გავლენა ერთი მხრივ და დედოფლის (მეფე გიორგის ქვრივის), დამოკიდებულება ტახტის ლეონიდი პრეტენდენტი ბაგრატიონსადმი, მეორესი, შესაძლებლობას აძლევდა შავლიანების სახლეულობას, მოეხდინათ დინასტიური ცვლილება. იოანე შავლიანი (868-879 წწ.) განაგრძობდა გიორგი მეფის საშინაო და საგარეო პოლიტიკას. 879 წ. იგი აღარნასე შავლიანმა შეცვალა. 881 წ. ბაგრატმა, ბიზანტიის დახმარებით მოახერხა აღარნასეს დამარცხება და ეგრის-აფხაზეთში გამეფება.

893 წ. ბაგრატი შეცვალა მისმა ძე კონსტანტი III და მეფობდა 922



წლამდე. სამწუხაროდ. ცოტა რამ არის ცნობილი მისი მოღვაწეობის შესახებ. არა და ძალზე ენერგიული და მებრძოლი პიროვნება უნდა ყოფილიყო. ეგრის-აფხაზეთის სამეფომ მის დროს მნიშვნელოვნად გააფართოვა საზღვარი ქართლის მიმართულებით. მის დროსვე უნდა გაძლიერებულიყო გავლენა კავკასიის ჩრდილოეთით და დაწყებულიყო ქრისტიანობაზე, ადგილობრივი ტომების, მოქცევის პროცესი.

სამეფო აღმავლობის გზას ადგა. ჯიქები, რომლებიც დასავლეთის თურქთაგან განდევნის შემდეგ „ჩაჯდნენ“ აფხაზეთის ბოლოში, კონსტანტი მეფეს მორჩილებდნენ. ალანები, ტრადიციულად ეგრის-აფხაზეთის მოკავშირეები იყვნენ და მჭიდრო სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობა ჰქონდათ. კონსტანტის დროს კავშირი ფართოვდება და რელიგიურ-სულიერ სფეროზეც ვრცელდება. კონსტანტი მეფე, 922 წ. გიორგი II შეცვალა. მის დროს სამეფომ ძლიერების ზენიტს მიაღწია. მან შეძლო ქართლის საღაო ნაწილის მიერთება. ასევე დალაშქრა კახეთი და ჰერეთს გადაწვდა. შესაბამისად, გაფართოვდა და გაძლიერდა ეგრის-აფხაზეთის სამეფო თუ ქართულ-აფხაზეთის ისტორიული ტრადიციის თანახმად გაზიარებული იქნა სახელწოდება აფხაზეთი, მაშინ ლოგიკის ძალით, აფხაზეთად უნდა აღიარებულ იქნას მთელი ეს ტერიტორიები.

აფხაზეთა მთავარი იერთებს ყოფილ ეგროსის მხარეს, და ამ გზით ერთიანდება ხელოვნურად გახლეჩილი ეთნოსი. შესაბამისად, თუ ეგრები უკვე აფხაზეთად იწოდებიან, გაერთიანების შემდეგ მეგრებიც აფხაზეთი ხდებიან. მათ ერთი ენა, ერთი კულტურა, ერთი წარსული აერთიანებთ. მათი ენა, ადრე ეგროსული, ლაზური, აფხაზეთი ხდება.

სამეფოს დედაქალაქის ქუთაისში გადატანა, მხოლოდ მეფის გადაბრძანებას როდი ნიშნავდა... აფხაზეთის სამთავროს სამხედრო-პოლიტიკური ხელმძღვანელობა და მათი მსახურეული, უეჭველად შეიცვლიდა საცხოვრებელს. როცა აზონ იარედოსის ძემ არიან ქართიდან მცხეთაში გადაინაცვლა, თან თანამემამულეთა მთელი ჯარი გაიყოლა. ეს გამონაკლისი ხომ არ იქნებოდა. ლეონიდებს გაჰყვებოდნენ უკვე აფხაზეთად წოდებული თანამემამულენი. ამდენად მთელი ეგროსის მხარე უკვე აფხაზეთი ხდებოდა. როცა ლეონიდებმა მტკვრის მარცხენა მხარის ქართლი დაიკავეს, იქაც მოხდებოდა ადმინისტრაციული ემოგრაციული ცვლილება. ყოველ შემთხვევაში ქართლის ერისთავად



ცნობილი იოანე მარუშის ძის ყოფნა (ცენტრით უფლისციხეში), ამ მოსაზრებას ადასტურებს. (თავად მარუშისძის შესახებ არის ვერსია მისი სვანობის შესახებ. არის ცნობა ჯავახეთის მხარეში მარუშისძის ერისთავობის შესახებ. ეს პიროვნება, ლენიდი მეფის მოხელე და წარმომადგენელია. მარუშის ძე მარუშისძიდან ნაწარმოები გვარი ჩანს. სხვა საკითხია, იგი სვანი იქნებოდა თუ სანიგი?

რამდენადაც ქართლის ნაწილი, კახეთი და ჰერეთის ნაწილიც აფხაზთა მფლობელობაში აღმოჩნდა, ლოგიკურია ამ მხარეებსაც აფხაზეთი დარქმეოდათ.

უკვე ითქვა, რომ თავად ლეონიდები თავს მეფეებს უწოდებენ და არა აფხაზთა მეფეებს. ისინი ეგროს-ქართის მეფეთა მემკვიდრენი იყვნენ, სამკვიდროს იკავებდნენ როგორც მეფეები და არა როგორც აფხაზთა მეფეები. თუ აფხაზთა მეფეთა სახელით იმოქმედებდნენ, ისინი აგრესორები და დამპყრობნი გამოდიოდნენ. ლეონიდი მეფეები სხვათა ტერიტორიებს კი არ იტაცებდნენ, არამედ კუთვნილ სამეფოს იკავებდნენ. სხვაობა დიდია.

გიორგი მეფემ დიდი ტერიტორია მოსახლვრა. მან მთლიანად დაიკავა მეფეების მირისა და არჩილის კუთვნილი მხარე. მისი გავლენა ჩრდილოეთ კავკასიაზე ვრცელდებოდა. არის ინფორმაცია ალან-ოვსებში ქრისტიანობის გავრცელებისას მისი გავლენის შესახებ. მისი ქალიშვილი გურანდუხტი, ბაგრატ ქართველთა მეფის ვაჟს, გურგენს ჰყავდა ცოლად. ამ გზით, გიორგი II გავლენა მტკვრის მარჯვენა მხარის ქართლზეც ვრცელდებოდა. მან მხოლოდ შვილების (ვაჟების) პოლიტიკური ამბიციები ვერ მოთოკა. ცნობილია, რომ უფროსი ვაჟი და ტახტის მემკვიდრე ლეონი, დაუფარავად მიესწრაფოდა დამოუკიდებელ მოქმედებას. გიორგი მეფის გარდაცვალების შემდეგ, დაუდგა მას მეფობის ჟამი და მეფობდა კიდევ 957 წლიდან მთელი ათი წელი. ერთი ეგაა, ლეონ III მემკვიდრე არა ჰყავდა. ტახტზე იგი დემეტრემ (967-975 წწ.) შეცვალა.

დემეტრე მეფე მოუცლელი დარჩა, მომდევნო ძმის თეოდოსის მოქმედებათა გამო. არ დაისვენა თეოდოსიმ ძმის წინააღმდეგ ბრძოლაში. მაშინ დემეტრემ ეშმაკობით დაატყვევა და დააბრმავა ურჩი ძმა.

ბედის ირონიაა. 975 წ. დემეტრე მეფე მიიცვალა და ტახტი ბრმა თეოდოსის დარჩა.



მემატიანის ინფორმაციის თანახმად აფხაზთა სამეფო დინასტიის მამაკაცური შტო თეოდოსით დამთავრდა. რჩებოდა მისი დის (გურანდუხტის) წული ბაგრატი. მომავალში სამეფო ტახტი ბაგრატს დარჩებოდა. ბაგრატი დედის მხრივ კი იყო ლეონიდების მემკვიდრე, მაგრამ მამის ხაზით ბაგრატიონი და ქართველთა მეფე გურგენის მემკვიდრედ ითვლებოდა. გურგენი თავის მხრივ, ბაგრატ, რეგუენად წოდებული, მეფის ვაჟი და მემკვიდრე ბრძანდებოდა. ბაგრატ რეგუენი (რეგუენი, მიმდობი, გულუბრყვილო პიროვნება და ზოგჯერ აჩქარებული, დაუფიქრებელი მოქმედებით ხასიათდებოდა) ბაგრატიონთა შორის უფროსი და ტაოს მფლობელის, ბიზანტიის იმპერიის აღმოსავლეთის დიდი კურაპალატის, დავითის ბიძა გახლდათ. თავის მხრივ დავით კურაპალატს იმპერიის აღმოსავლეთი ემორჩილებოდა, მასვე ეპყრა ვანის ტბის მიდამოები, სადაც 200 ათასი ქართი ჩაასახლა და ამ მხარის სრულ მიერთებას ცდილობდა. ეს მან იხსნა ბიზანტიის იმპერატორი ბარდა სკლიაროსის (სკლირის) აჯანყების დროს. დავით კურაპალატს ჰქონდა ყველაფერი მხოლოდ არ ჰყავდა ტახტის მემკვიდრე. გურგენის და გურანდუხტის ვაჟი ბაგრატი, აღეზარდა საკუთარ მემკვიდრედ.

975 წლისათვის ვითარება ისეთი შეიქმნა, რომ ქართველთა სამეფოების კანონიერი მემკვიდრე ბაგრატი, ამავე დროს აფხაზთა სამეფოს კანონიერი მემკვიდრეც გახდა. ამ სიტუაციამ უკარნახა აფხაზთა სამეფოს, ქართლის ერისთავ იოანე მარუშის ძეს, წამოეყენებინა აფხაზთა და ქართველთა ერთიანი სამეფოს შექმნის იდეა.

ამ საქმეს ჰყავდა მომხრეებიც და მოწინააღმდეგეებიც. რაც მთავარია მარუშის ძემ მოახერხა ტაოს მეფე დავით კურაპალატის დარწმუნება და მისი მხარდაჭერით 978 წ. აფხაზთა მეფედ ბაგრატი აკურთხეს. აფხაზთა მეფემ შემდეგ მემკვიდრეობით მიიღო მამის გურგენის და პაპის ბაგრატ რეგუენის სამეფოები. შეიქმნა აფხაზთა და ქართველთა გაერთიანებული სამეფო, რომელთაც მოგვიანებით მიუერთეს კახეთი და ჰერეთი (რანი). ამის შემდეგ, გაერთიანებული სამეფოს მეფეთა ტიტულატურა იმეორებდა: მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა და კახთა. მას ემატებოდა სხვა შემოერთებული თუ დაპყრობილი მხარეები, მაგრამ ძირითადი უცვლელი იყო: მეფე აფხაზთა, ქართველთა და ა.შ.

ბაგრატი კი იყო ნახევრად აფხაზი და ნახევრად ქართი, მაგრამ რამდენადაც აფხაზთა მეფედ აკურთხეს, მისმა აფხაზობამ წინა პლანზე



წამოიწია. ამდენად, მტკიცება, რომ მან გააერთიანა ქართველთა მხარე, იქმნა გაერთიანებული საქართველოს მეფედ, არა ლოგიკურია.

პირველ ყოვლისა, უნდა განისაზღვროს, ამ ორ მხარეს შორის რომელი წამყვანი და რომელი დაქვემდებარებული. მეორე და არსებითი: მოხდა ქართული მხარის გაერთიანება (როგორც მკვლევარები აპელირებენ), თუ იყო ორი სხვადასხვა ეთნოსის პოლიტიკური შეკავშირება?

ჭეშმარიტების დადგენა ზოგჯერ საჭიროებს ერთი დებულების მრავალჯერ განმეორებას.

რამდენადაც სხვა ისტორიული წყარო არ არსებობს, უნდა მივაკითხოთ ისევ „ბიბლიას“ და ისევ ლეონტი მროველს. (ზოგი მკვლევარისათვის ერთიც ზღაპარია და მეორეც). მაგრამ როცა სხვა ისტორიული წყარო არ არსებობს, მხოლოდ არქეოლოგიური მონაცემების მხრივ ისტორია ვერ შეიქმნება. ცნობილმა მკვლევარმა კრეჩმერმა მოსწრებულად ბრძანა: თავის ქალები ვერ გვეტყვიან რა ენაზე მეტყველებდნენ მათი მატარებლები. სხვა წერილობითი ცნობები, თუ არა „ბიბლია“ და მროველი არ არსებობს. არ არსებულზე დაყრდნობით მტკიცებულებები კი მრავალია. ასეთი იყო საბჭოთა ისტორიოგრაფია. თუ გვინდა ამ დაბნეულობის ლაბირინთიდან გამოსვლა, უნდა ვადიაროთ: ერთად-ერთი წერილობითი წყარო არის „ბიბლია“ და დამატებით ლეონტი მროველი.

ასეთი შესავალი გაკეთდა, რათა გააზრებული იქნეს ჭეშმარიტების დონე. ამ მხრივ ითქვა თარგამოსზე, თუბალებზე, მათგან წამოსულ ეთნოსებზე. კერძოდ, სხვა ტომთა გაერთიანებებთან ერთად ეგროსელები, (ეგრები, კოლხიდელები, ლაზები, აფხაზები) თუბალებთან ერთად მოდგმას განეკუთვნებოდნენ. ასევე თუბალური წარმომავლობისანი იყვნენ ქართვები. ეს სულაც არა ნიშნავდა მათ ერთობას, ქართვების ეგროსელობას ან პირიქით. თუ თუბალური წარმომავლობის ლეკოსელებიდან სხვა ეთნოსი ჩამოყალიბდა, კავკასოსის თუბალებიდან სხვა და ა.შ., ასევე უნდა იქნას მიჩნეული, რომ თუბალი ეგროსელებიდან სხვა ეთნოსი განვითარდა და ქართოსისაგან სხვა.

ისტორიამ ინება და ეგროსელები და ქართვები ერთ სამეფოში გაერთიანდნენ. ეს არ იქნებოდა იოლი გადასაწყვეტი. გაერთიანება მოხდა ვისი ინიციატივით, ვისი ჰეგემონობით, რა პირობებით, რა პერსპექტივით. კითხვები რიტორიკისთვის როდია. წყდებოდა ორი





ეთნოსის, აფხაზების (ეგრისელებ-ეგროსელების) და ქართვების შერწყმის საკითხი.

თქმა არ უნდა, თუბალურ-მეშეხური წარმომავლობის ნიადაგზე ამ ორ ეთნოსს ძალზე ბევრი რამ საერთო ექნებოდა. დღეის გადასახედიდან, ესაა ქვეყნად არსებული ტოპონიმები და ჰიდრონიმები. ბუნებრივია, რომ ნებისმიერი თემი, ტომი, ეთნოსი (რა გაერთიანებაც გნებავთ) პირველ ყოვლისა, იმ გარემოს ასახელებს, სადაც სახლდება.

უბადრუკი მცდელობაა, დღეს ქართულად წარმოიდგინონ მთების, მდინარეების სახელები, რაც ეთნოსს ახსოვს უხსოვარი დროიდან. უბრალო შედარება: გუდაუთა (აფხაზეთში) და გუდაური (მთიულეთში) განა ახალი, პოლიტიკური მიზანმიმართულებით დარქმეული სახელებია? თუ ბევრი პოლიტიკოსისათვის ქართველურად ჟღერს, ვთქვათ გუმიმთა, ბიჭვის მთა, მჭიშმთა, შხიმთა და სხვა, განა ეს მათ ქართველურ წარმომავლობას ამტკიცებს? რატომ არ ავხსნათ ყოველივე იმ ძველი თუბალური საფუძვლით?

ლოგიკურია ვთქვათ, რომ რამდენიმე ათასი წლის წინ იყო ტომობრივი ერთობა, იყო მეტყველების ერთობა, რაც საფუძვლად დაედო ტოპონიმთა, ჰიდრონიმთა და სხვა ერთობას. ეს სულაც არ გამორიცხავს განვითარების პერიოდში, ტომთა, ეთნოსთა დაშორებას, სხვა ელემენტების შექმნას, სხვა, ზოგჯერ დაპირისპირებულ ეთნოსებად გადაქცევას.

მთავარი, ბაგრატის გამეფებასთან, აფხაზთა და ქართველთა ერთიანი სამეფოს შექმნასთან დაკავშირებით ისაა, ვისი ჰეგემონობით, ვისი ინიციატივით, ვის საფუძველზე შეიქმნა სამეფო.

იმ პერიოდისათვის ძველი ეგრისი (ახალი აფხაზთა სამეფო), აერთიანებდა ლიხის მთის დასავლეთ მხარეს. ეს იყო დიდი, მძლავრი სამეფო, რომელიც ფლობდა მდ. მტკვრის (კორი) მარცხენა მხარის ქართლს. შემდეგ მას მიემატა კახეთის და ჰერეთის სამთავროები. ქართლში მათ ჰქონდათ დედოფალ გურანდუხტის სამხივო საერისთაო ცენტრით უფლისციხეში.

რას წარმოადგენა ქართლი? თბილისის არაბთა საამიროს საკმაოდ დიდი ტერიტორია და რაც მთავარია, პოლიტიკურ-ეკონომიკური ცენტრი ეკავა. რომ გამოვტოვოთ ბაგრატუნთა სამეფო საზღვრები, რჩება მდ. მტკვრის მარჯვენა მხარის ქართლი, რომელიც სამი სამეფოსაგან



შედგებოდა. ტერიტორია დიდი ეპყრათ, ოღონდ სამ ნაწილად გაყოფილი. რა შეიძლება ითქვას სხვაზე, როცა უმხნესი, ბაგრატ მეფე, საკუთარ შვილ გურგენსაც მტრობდა და მომავალსაც (ბაგრატის სახით).

ცალკე იყო ტაოს მეფე და ბიზანტიის აღმოსავლეთის მფლობელი დიდი დავით კურაპალატი.

ამავე დროს, ქართთა სამეფოები აფხაზთა (ეგრისთა) უახლოეს მოკავშირეებად განიხილებოდნენ.

უპირატესობა აფხაზთა (ეგრისელთა) სამეფოს ეკუთვნოდა და გაერთიანების დროს, სრულიად სამართლიანად ეწოდა ბაგრატს მეფე აფხაზთა. ეს სიტყვათა უბრალო ჟღარუნი როდია. სამეფოს ხელმძღვანელობაში, საკითხთა გადაწყვეტაში, უპირატესი სიტყვა აფხაზებს (ეგრისელებს) ეთქმოდათ. ეს არ იყო რიგითი ამბავი. სამეფოს მომავალს, პირველ ყოვლისა, აფხაზები მაშინდელი რეალური მდგომარეობით – ეგრისელები) განსაზღვრავდნენ.

ამ პირობით იქნა გაერთიანებული თუბალ-ეგრისული დ თუბალ-ქათული მხარეები.

არასოდეს განხილულა. რა ენაზე წარმოებდა სამეფო საქმეები? რომელი ენა იქნებოდა წამყვანი, ოფიციალური, ეგრისული (აფხაზურ-მეგრული) თუ ქართული?

ამ მხრივ უპირატესობა ქართთა ენას მიეკუთვნა. შეიძლება მას თუბალ-მეშხური, ქართ-მესხური ეწოდოს? გასახსენებელია, რომ ასობგერითი დამწერლობა მუშქებმა (მუშეხებმა) ფინიკიაში ლაშქრობის დროს გადაიღეს და მათგან ძველმა ბერძნებმა ისწავლეს. მუშქებს (მესხთა წინაპრებს) ეს ცოდნა, რომ თავისთვისაც განემტკიცებინათ, ლოგიკურია. სხვანაირად ფარნავაზი დამწერლობის რეფორმატორი კი არა, შექმნილი იქნებოდა. შეეძლოთ იგივე ეგრისელებს? უდაოდ. ძველი ბერძენი მოაზროვნენი სხვანაირად ვერ იტყოდნენ კოლხების კირბებზე, სადაც დამწერლობასთან ერთად ზღვები და მდინარეები იყო დაფიქსირებული. რამდენადაც დამწერლობა მუშქებისაგან (მეშეხ, მესხებისაგან) გავრცელდა, ამდენად თუბალურში ის შტო მოიპოვებდა უპირატესობას, რომელიც მასთან უფრო ორგანულად იყო დაკავშირებული. მუშქებ-მესხებისათვის თუბალ-ქართები (იბერები) უშუალო მესობლები იყვნენ და შერწყმაც მათ შორის მოხდა. ეგრისელებში, ძველ ბერძნული კულტურა და შეიძლება დამწერლობაც გავრცელდე-



ბოდა. ყოველ შემთხვევაში იმის უარყოფა არავის უცდია, რომ მესხთა მხარეა ქართული (უკვე ქართული) კულტურის აკვანი. იმ მხარესთან ხანგრძლივი კავშირები აფხაზ-ეგრისელებზეც თუ მოახდენდა გავლენას, გამოსარიცხი არაა. ყოველ შემთხვევაში, ქართ-მესხური კულტურა, დამწერლობა, მეტყველება წამყვან პოზიციებს დაიკავებდა. ამასთან, რადგან ქართსაც აფხაზეთად მოიხსენიებდნენ, შეიძლება ეს დამწერლობა – მეტყველებასზეც ითქმოდა. ცხადია, მოსახლეობის ფართე ფენები ძველებურ ენაზე თუ დიალექტზე გააგრძელებდნენ მეტყველებას, მაგრამ მმართველი ფენები გარკვეულ წილად ორ ენოვანი გახდებოდნენ. ეგრისულის (აფხაზურის) და ქართუს თუბალური წარმომავლობა მათ მეტყველებას არა მხოლოდ გასაგებს გახდოდა, არამედ დაახლოებდა კიდევც.

შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ გაერთიანებულ აფხაზ-ქართთა სამეფოში წამყვანი პოზიცია აფხაზ დიდებულებს მიეკუთვნებოდათ, მეტყველება კი შერეული იქნებოდა დასაწყისში მაინც.

აფხაზ-ქართთა სამეფოში ბაგრატიის დროსვე უნდა დაწყებულიყო ძირეული ცვლილებები. ეს კი დიდ წინააღმდეგობებთან იქნებოდა დაკავშირებული. ჯერ ერთი, ბაგრატი კი გაამეფეს აფხაზეთში, ადგილობრივი ფეოდალური წრის რაღაცა ნაწილის თანხმობით. არ გამოირიცხებოდა მეორე ნაწილის წინააღმდეგობა. ალბათ უსინათლო თეოდოსიც არ დათმობდა ტახტს ნებაყოფლობით. მან წლები იომა ძმის წინააღმდეგ, თვალის სინათლე შეაღია ამ ბრძოლას, როგორც იქნა დაჯდა სანუკვარ ტახტზე და მისი ნებით დათმობა ძნელი წარმოსადგენია. ამასთან, მას მხარში უკმაყოფილო ფეოდალები ამოუდგებოდნენ. ამიტომ გასაგებია, რატომ გადავიდა ქუთაისში დავით კურაპალატი ჯარით და მოკავშირეებით. ძალას უნდა გაემეფებინა ბაგრატი. მეორე ის, რომ ბაგრატი კი იყო დედით აფხაზი და ტახტის მემკვიდრე, მაგრამ თეოდოსი უპირატესობას ფლობდა. მის სიცოცხლეში, ბაგრატი მაინც მოძალადე გამოდიოდა. შეიძლება ამიტომაც, ბაგრატი ვერ ახორციელებდა სრულფასოვნად მეფის ფუნქციებს. შინაგანი წინააღმდეგობების დაძლევის მიზნით, ისტუმრა ოლთისში დავით კურაპალატმა, ხელისშემშლელი უსინათლო თეოდოსი, ამით ბაგრატს ძალაუფლება განუმტკიცა და სამოქმედო ასპარეზი გაუთავისუფლა. მესამე არსებითი ფაქტორია ქართლის, აფხაზური ნაწილის,



ფეოდალთა თავნებობა. ცნობილია, რომ ისინი წინ აღუდგნენ აფხაზი (უკვე აფხაზი) მეფე ბაგრატის ქართში გადმოსვლას. საჭირო გახდა ძალის გამოყენება. ბაგრატმა ამ გზით მოახერხა ქართლში, უფლისციხეში მყოფი დედის მონახულება და ქუთაისში გადაბრძანება. დიდ საფრთხეს წარმოადგენდა კლდეკარის ერისთავი რატი ბაღვაში. მან ქართთა მეფეები ერთიმეორეს დაუპირისპირა. ფიცხი, მოჯანყე და მიმდობი ბაგრატ რეგუენი შვილს, გურგენ მეფეს წაეკიდა. სწორედ მასში ხედავდა მეფობის მოცილეს. ბაგრატმა დავით კურაპალატი (იმიერ ტაოს მფლობელი) მიიმხრო, ამხედრდნენ და თრიალეთს გადმოვიდნენ საბრძოლოდ გამზადებულნი. გზად გურგენ მეფე აიძულეს ციხე სიმაგრეში შეკეტილიყო. მათი რწმენით აფხაზთა მეფე ბაგრატი მოემართებოდა მამობილის (დავით კურაპალატის) და პაპის (ბაგრატ რეგუენის) სასიკვდილოდ და სამეფოების დასაპყრობად... ბაგრატ აფხაზთა მეფემ მართებულად განსაზღვრა ვითარება, ბრძოლას თავი აარიდა და თანმხლებთა გარეშე, როგორც ტყვე და სტუმარი მიუვიდა სახელოვან მამობილს. ახსნა, რომ მისი ქართში ჯარით გადმოსვლის მიზანი ურჩი ერისთავის, რატი ბაღვაშის დასჯა იყო. შვილობილმა მოახერხა მამობილის შერიგება. შედეგად, ქართლის ურჩი ფეოდალების დამორჩილება შეძლო. იყო 988 წელი.

ბაგრატ მეფემ აფხაზეთის სამეფოს მიუერთა მამის გურგენის და პაპის ბაგრატ რეგუენის სამეფოები, რომლებიც მემკვიდრეობით ეკუთვნოდა. მან ვერ შეძლო იმიერ ტაოს მიერთება, რადგან მამობილის (დავით კურაპალატის) სამეფო მამული ბიზანტიის იმპერატორმა დაიკავა. ბაგრატს ძლიერი იმპერიის დამარცხება არ შეეძლო და იძულებული გახდა ბასილი კეისრისათვის დაეთმო.

ბაგრატ აფხაზთა მეფემ ქართლი დაიკავა, თბილისის საამიროს გამოკლებით და არა მხოლოდ სახელწოდებით, არამედ რეალურად შექმნა აფხაზთა და ქართთა დიდი სამეფო. ამ სამეფოში გააერთიანა ჰერეთი და კახეთი. ყოველ ამ ერთეულს ნშირად აფხაზეთად აღიქვამდნენ, რამდენადაც წამყვანი შემადგენელი აფხაზეთად წოდებული მხარე იყო. (თუმცა ზოგიერთი წყარო აფხაზეთსაც ეგრისს უწოდებდა. ეგრისის სამეფო და არა აფხაზეთისა).

ბაგრატის მეფობის დროს, აფხაზთა სამეფომ დიდ საზღვრებს და ძლიერებას მიაღწია. როცა ქვეყანა აღმავლობას განიცდის, ეს



ცხოვრების ყველა სფეროზე აისახება. ბაგრატის დროს აიგო ტაძრები ქუთაისში და ბედიაში, შეიქმნა საეპისკოპოსო კათედრები, ეკონომიკურად მოძლიერდა ქვეყანა, ლეონიდების დინასტიის დროს შექმნილი „მეფეთა ღივანი“ გადაკეთდა „აფხაზთა მეფეთა ღივანად,“ მოიჭრა ფულის ახალი ერთეული და სხვ.

1014 წ. ბაგრატის მემკვიდრე გიორგი მეფემ დიდი ქვეყანა ჩაიბარა და განაგრძო სახელოვანი მამის დაწყებული საქმე.

მცირე ამბავია განმარტების გარეშე. რატომ უწოდებენ აფხაზ-ქართთა სამეფოს შემქმნელ ბაგრატს, მესამეს. ლოგიკის ძალით იგი პირველად უნდა იწოდებოდეს. განმარტებას საჭიროებს მდგომარეობა. რატომ არის სამეფოს შემქმნელი მესამე, ხოლო მისი მემკვიდრე გიორგი პირველი? თუ აფხაზთა მეფეთა გენეალოგიის მიხედვით იანგარიშება, მაშინ გიორგი მესამე უნდა იყოს და არა პირველი. თითქოს უმნიშვნელოა, რომელ რიგით ნომერს მიაკუთვნებენ ამა თუ იმ მეფეს. მით უფრო, ათასი წლის წინ მყოფს. მაგრამ ისტორია ქაოსური ფაქტების გროვა ხომ არაა?

კიდევ ერთი საკითხი. ისტორიულად ცნობლია, რომ ბაგრატი, გურგენ-გურანდუხტის ძე, აფხაზთა მეფედ 978 წ. იქნა გვირგვინდადგმული. მეფობდა 978-1014 წწ. შორის. რიგ შემთხვევაში მიაჩნიათ, რომ იგი მანამდე, ჯერ კიდევ 975 წ. იქნა ქართლის მეფედ აღიარებული. ისმის კითხვა: რომელი ქართლის? ქართვეს იმ დროს სამი სამეფო ჰქონდათ: დავით კურაპალატის, ბაგრატ რეგუენის და გურგენის. იყო ქართლის ერთი ნაწილი, მდ. მტკვრის მარცხენა მხარე ლიხიდან-არაგვამდე. იგი აფხაზთა კუთვნილებას წარმოადგენდა. აქ იყო ქართლის საერისთაო, ცენტრით უფლისციხეში, სადაც აფხაზთა დიდი მეფე გიორგის ასული და მეფე გურგენის მეუღლე გურანდუხტი იმყოფებოდა. სწორედ ამ ქართლის ერისთავი იყო იოანე მარუშისძე. ეს ქართლი აფხაზეთისა იყო და აფხაზეთად იწოდებოდა. სხვა ქართლი არ არსებობდა. მამ 975 წ. რომელი ქართლის მეფედ იქნა აღიარებული ბაგრატი? საკითხს ნათელი უნდა მოეფინოს.

ისიც ცნობილია, რომ 1008 წ. მიიცვალა გურგენ მეფეთა მეფე და მის მემკვიდრე ბაგრატს (978 წლიდან აფხაზთა მეფეს) დარჩა კლარჯეთი, შავშეთი, სამცხე და ჯავახეთი. მანამდე მას აფხაზეთის კუთვნილი, დედის საგამგეო, ქართლის ნაწილი ეკავა.



რაც შეეხება ჰერეთს და კახეთს, ეს მხარეები აფხაზთა მეფე ბაგრატმა ძალით მიიერთა.

ასეთი იყო სამეფოს სივრცე, როდესაც 1014 წ. აფხაზეთის სამეფო ტახტზე ავიდა გიორგი. ისტორიულად იგი გიორგი მესამეა, რამეთუ გიორგი მეორე იყო მისი დიდი პაპა.

იმ დრონისათვის, ბასილ კეისარი დიდ დაპყრობით ომს აწარმოებდა ბულგართა წინააღმდეგ. ამით ისარგებლა აფხაზთა მეფე გიორგიმ და დაიკავა მამის მამობილი, დავით კურაპალატის სამეფო ტერიტორია.

გიორგი მეფის მიერ, 1014 წ. ბიზანტიის წინააღმდეგ ომის წარმოებით, ისარგებლეს ჰერეთ-კახეთის მესვეურებმა და დამოუკიდებლობა აღიდგინეს.

ბულგართა დამორჩილების შემდეგ ბიზანტიის კეისარი აფხაზ-ქართველს მიუბრუნდა. რამდენიმე ბრძოლა მოხდა ბიზანტიელებთან. მდგომარეობა ცვალებადი იყო. ბოლოს იმპერიამ მოახერხა თავისი გავლენის აღდგენა.

1027 წ. გიორგი აფხაზთა მეფე გარდაიცვალა და ტახტი მის მემკვიდრე ბაგრატს დარჩა. ბაგრატის დროს მოხდა შეთანხმება. ზავი დაიდო ბიზანტიასთან. მეფემ ურჩი ფეოდალების მოთოკვაც შეძლო, ქვეყნის ფეხზე დაყენება კი არ დასცალდა. მისი მეფობის ბოლო პერიოდში, 1065 წლიდან, ქვეყნის სამხრეთში თურქ-სელჩუკები გამოჩნდნენ. მათ ილაშქრეს ქართლის მხარეში და იქაობა მოახრეს.

1072 წ. ბაგრატის ნაცვლად ტახტზე მისი ძე გიორგი ავიდა. მისი მეფობა ურჩი ფეოდალების ორგანიზებული ამბოხით დაიწყო. სვანთა ერისთავმა, აფხაზეთის ცენტრალური ნაწილი, ყოფილი ეგრისის საერისთაო, დალაშქრა. ბაღვაშთა მოთავე ივანე ლიპარიტის ძემ ქსნის ხეობა დაიკავა. სამეფოს დედაქალაქი ქუთაისი ქვაბულის ძემ გამარცხა. ფეოდალთა ამბოხს, საგარეო ურთიერთობათა სირთულე ერთვოდა. ძნელად, მაგრამ მეთოდურად, გიორგი მეფემ შეძლო სამეფოში მშვიდობის აღდგენა. გამდგარი ფეოდალები რიგ შემთხვევაში ძალით და უფრო მათი მოთხოვნების დაკმაყოფილებით შემოირიგა. ესაც მიღწევად და გამარჯვებად იქნა მიჩნეული.

ხატოვნად ნათქვამია: არ გასწორდების კუდი ძაღლისა. არც დამთავრებულა მემამოხეთა მოღალატური ქცევა. აფხაზთა და ქართველთა მეფე გიორგი არაერთგვაროვნადაა შეფასებული. ეს აუცილებელს



ხდის მისი მოღვაწეობის შემდგომ განხილვას, საშინაო და საგარეო მდგომარეობის გათვალისწინებით.

აქ კი უნდა ითქვას, რომ თურქ-სელჩუკთა მრავალრიცხოვნებას, ბრძოლისა და მომთაბარე ცხოვრების წესს, წინ ვერც უძლიერესი, ბიზანტიის იმპერია აღუდგა. თურქებმა იმპერიის აღმოსავლეთი იავარყვეს. 1080 წ. ისინი გიორგი მეფის ქვეყანას მიაღწენ. ისტორია ამ შემოსევას „დიდი თურქობის“ სახელით აღნიშნავს, ნათქვამია: კალაისავით მოედნენ ისინი ქვეყანას. რაც გიორგი მეფემ ძალით და მოქნილი პოლიტიკით მოიპოვა, დაიბრუნა ციხე-სიმაგრენი კლარჯეთისა, შავშეთისა, ჯავახეთისა და სხვა. თურქთა სიმრავლის პირობებში ვერ შეინარჩუნა. თურქნი მოდიოდნენ გაზაფხულით, აოხრებდნენ ქვეყანას, საძოვრებად აქცევდნენ ბალ-ვენახებს, ზოცდნენ მოსახლეობას და გამოსაზამთრებლად უკან, სამხრეთში ბრუნდებოდნენ. გიორგი მეფეს მდგომარეობიდან გამოსავალი ის უნახავს, რომ პირადად ზღებია მალიქ-შაჰს და მძიმე ხარკის ფასად მშვიდობა მოუპოვებია. ნიშნავს ეს მეფის პიროვნულ სისუსტეს თუ გაცნობიერებულ აუცილებლობას, ჯერ კიდევ კარგი შესაფასებელია.

ფაქტია, რომ საუკუნის 80-ან წლებში აფხაზ-ქართთა სამეფო დაკნინებას განიცდიდა.

ნათქვამია: უბედურება მართო არ დადის. მტრის შემოსევებს, სტიქიური უბედურება დაერთო. ცნობის თანახმად, კავკასია შეძრა მიწისძვრებმა. რყევა დიდხანს მეორდებოდა და დიდი ნგრევა და შიში გამოიწვია.

სამეფო კრიზისულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. არ იყო საშველი მტერთაგან და ვერ იქნებოდა სტიქიური მოვლენებისაგან.

თურქ-სელჩუკებმა პრაქტიკულად დაიკავეს კავკასიონის სამხრეთი. გამონაკლისს საკუთრივ აფხაზეთი წარმოადგენდა. ლიხის მთის დასავლეთით მტერი არ გადასულა.

ჯერ კიდევ ლეონიდების დინასტიამ მტკიცედ მოიკიდა ფეხი ქართთა მხარეში. დაიწყო მეფეების მირის და არჩილის კუთვნილი, მათგან მემკვიდრეობის ძალით, ლეონიდებისათვის გადაცემული, ტერიტორიების დაკავება. ბაგრატ გურგენის ძემ, აფხაზ მეფეთა ამ მიზანს, ხორცი შეასხა. დაიმორჩილა ქართლი, ჰერეთი და კახეთი. ის, რაც მამისაგან და პაპისაგან მემკვიდრეობით მიიღო, ბევრად მეტი



იყო. მისმა მემკვიდრეებმა, დიდი მცდელობის მიუხედავად, მონაპოვარი ვერ შეინარჩუნეს. ერთხელ მოპოვებულის ხელახლა მოპოვება გახდა აუცილებელი.

1089 წ. აფხაზეთის სამეფო ტახტი 16 წლის დავით გიორგის ძემ დაიკავა. თავად გიორგი მეფე არ იყო ისეთი ხნიერი, რომ ქვეყნის საჭეთმფლობელობაზე უარი ეთქვა. მისი გადადგომა, ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანის აუცილებლობამ განაპირობა. ქართთა მხარე მან პრაქტიკულად დაკარგა. საკუთრივ აფხაზეთშიც უკმაყოფილონი იყვნენ მისი პოლიტიკით, აფხაზმა (ეგრისელმა) დიდებულებმა აიძულეს გიორგი გადამდგარიყო და ტახტი შვილისათვის დაეთმო.

ისტორიკოსები, მეფეთა ამ ცვლილებას, სახელმწიფო გადატრიალებას უწოდებენ. ეტყობა, იყო გავლენიან პირთა ჯგუფი, რომელიც გამოსავალს 16 წლის დავით გიორგის ძის გამეფებაში ხედავდა. ამ ჯგუფმა აიყვანა ჭაბუკი დავითი სამეფო ტახტზე და მასზე დაყრდნობით უნდა ეძია კრიზისიდან გამოსავალი.

დავით მეფემ შექმნა მარბეველი რაზმები და მიუშვა თურქთა ბანაკებზე. პარტიზანული ბრძოლის მეთოდმა გაჭრა. წვრილ-წვრილი, მოულოდნელი თავდასხმებით შეწუხებული თურქები ტოვებდნენ შეჩვეულ ჭალებს და უხიფათო ადგილების ძებნაში, ქართთა ტერიტორიებიდან მიდიოდნენ. გახიზნული ქართველები სოფლებს უბრუნდებოდნენ. რაც მთავარია, რწმენა უბრუნდებოდათ, რომ ხელისუფლება მათ უსაფრთხოებაზე ზრუნავს. თანდათან ქვეყანა მოეშენადა მოლონიერდა.

დავითმა, წინამორბედებისაგან სხვაობით, დამთმობლური პოლიტიკა, რადიკალური ღონისძიებებით შეცვალა. მსხვილმა, მოღალატე ფეოდალებმა მალე იგრძნეს ახალი მეფის დაუნდობლობა. განსაკუთრებული მნიშვნელობა ბაღვაშთა თავაშვებულობის მოთხოვნას ჰქონდა. მეფემ ბაღვაში შეიპყრო და ქვეყნიდან გააძევა. საერისთაო გააუქმა და მხარე სამეფო მამულებს მიუერთა. არც სხვა დიდგვაროვნებს რგებიათ უკეთესი ბედი. მეფემ ისინი სახელმწიფო მოხელეებად აქცია. ურჩები კი დასაჯა.

1103 წ. მეფემ მოიწვია სასულიერო პირთა დიდი კრება. იგი რუის-ურბნისის საეკლესიო კრების სახელითაა ცნობილი. როგორც ისტორია გვაუწყებს, არ იყო დანაშაული რომელსაც სამღვდლოება არ ჩადიოდა. მეფის ხელმძღვანელობით, ეკლესია გაიწმინდა უღირსი





სასულიერო პიკრებისაგან. მათი ადგილი ღირსების მიხედვით შერჩეულებმა დაიკავეს.

მეფემ შემოიღო თანამდებობა, რომელიც სასულიერო პირების საქმიანობის კონტროლს გასწევდა. ჭყონდიდელ-მწიგნობართ უხუცესი აერთიანებდა სასულიერო და საერო თანამდებობას. თანამდებობაზე გიორგი ჭყონდიდელი დაინიშნა. იგი მეფის უახლოესი და უერთგულესი მრჩეველი და თანამდგომი იყო.

აუცილებლობამ უკარნახა მეფეს სამხედრო სფეროს რეფორმის ხასიათი. ფეოდალური, არაორგანიზებული ჯარი რეგულარული „მონასხით“ შეიცვალა. მეფის ერთგული მოხელეები ედგნენ სათავეში რეგონებიდან ჯარის შეკრების და გაწვრთნის საქმეს. ამირსპასალარი, პრაქტიკულად სამხედრო მინისტრის ფუნქციებს ასრულებდა. მასვე ექვემდებარებოდა სპეციალური სამხედრო დაზვერვისა და კონტრდაზვერვის სამსახური. მათი მეშვეობით მეფემ კარგად უწყოდა მტრის ყოველი გადაადგილება.

დავითმა, ასევე კარგად ისარგებლა შეცვლილი საგარეო ვითარებით. ჯერ ერთი, 1092 წ. მალიქ-შაჰი გარდაიცვლა და ქვეყანა შინააშლილობამ მოიცვა. მეორე და არსებითი. საუკუნის ბოლოდან იწყება ევროპელთა ჯვაროსნული ლაშქრობა ქრისტეს საფლავის გამოსახსნელად. ჯვაროსნებმა დიდ წარმატებას მიაღწიეს და თურქ-სელჩუკთა ძლიერება შეარყიეს. ეს საშუალებას აძლევდა დამორჩილებულ ეთნოსებს, წარმატებით ებრძოლათ დამოუკიდებლობის აღდგენისათვის. დავით მეფემ თურქებს შეუწყვიტა ხარკის გადახდა. 1099 წ. აღდგენილი იქნა სამეფოს სრული დამოუკიდებლობა.

ამის შემდეგ მეფემ ქვეყნის გამთლიანებისთვის იზრუნა. ჯერ კიდევ 1103 წ. დავითმა კახეთის სტრატეგიული ციხე ზედაზენი დაიკავა. ერთი წლის შემდეგ დავითის ერთგულმა აზნაურებმა შეიპყრეს კახეთის უკანასკნელი მეფე აღსართანი და მეფეს მიჰგვარეს. დასრულდა ამ კუთხეების განდგომა. დავითმა ჰერეთი და კახეთი აფხაზთა და ქართველთა სამეფოს შემოუერთა.

ამის შემდეგ დავით მეფეს შეეძლო გარეშე საქმეებისათვის მიეხედა. იმავე 1104 წ. განძის ათაბაგმა, კახ-ჰერ გამყიდველებთან ერთად, მონღოლმა ძველი მდგომარეობის აღდგენა. გადამწყვეტი ბრძოლა ერწუხთან მოხდა. ათაბაგის მრავალრიცხოვანმა ჯარმა მწარე მარცხი განიცადა. ამით საგაეო საფრთხე დროებით მოიხსნა.



საქმე იმაშია, რომ თურქ-სელჩუკები ჯერ კიდევ მტკიცედ ფლობდნენ დავითის სამეფოს აღმოსავლეთით ყოფილი ალბანეთის ტერიტორიას. ალბანელები ჯერ სპარსეთმა გადააგვარა, შემდეგ არაბებმა შეცვალეს დამპყრობები. ხაზარებმა ათასჯერ ააოხრეს ქვეყანა. თურქ-სელჩუკთა გამოჩენის შემდეგ, დაიწყო ალბანეთის გადარჩენილი მოსახლეობის თურქიზაცია.

სამხრეთით გამოუვალ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ ჰაოსიანები (სომხები, არმიანები). მათი თავგანწირული ბრძოლა დამოუკიდებლობის აღდგენისათვის უშედეგოდ მთავრდებოდა. ამიტომ ხშირად ისინი მეზობელ ქართველს და შემდეგ აფხაზებს, მიმართავდნენ დახმარებისათვის. განსაკუთრებული იმედი, მათ დავით დიდი კურაპალატისა ჰქონდათ. კურაპალატმა კიდევაც მოინდომა ამ მხარის ხსნა და სხვა ღონისძიებებთან ერთად, ორი ასეული ათასი ქართი ჩაასახლა ვანის ტბის სამხრეთ-აღმოსავლეთით. თუ მხედველობაში იქნება მიღებული მითრიდატე პონტოელის დროს (ძვ.წ.ა. I საუკუნე) დაახლოებით ნახევარი მილიონი ტიბარენელის ჩასახლება, შეიძლება ითქვას, რომ თუბალ-ჰაოსიანთა მნიშვნელოვანი ნაწილი ყოფილი თუბალ-ქართველი იყვნენ. ისინი დახმარებას ქართთა და აფხაზთა მეფეებისაგან მოელოდნენ. დავით გიორგის ძის დროს, ასეთი სასურველი პირობები მომწიფდა.

გარკვეული დროის განმავლობაში აფხაზ-ქართველთა ლაშქარი წარმატებით დევნიდა მტერს და იერთებდა ტერიტორიებს. საკმარისია მიეთითოს 1116 წ. ტაოს მხარეში თურქ-სელჩუკების დიდი ძალის დამარცხებაზე. 1118 წ. ლორეს ცნობილ ციხე-ქალაქის დაკავებაზე და სხვ. ასეთი ლოკალური ხასიათის მიღწევები, ერთი მხრივ აახლოებდა გადამწყვეტი შერკინების გარდაუვალობას და მეორე მხრივ შეიარაღებული ძალების შემცირებასა და დაქსაქსვას (ციხეებში გარნიზონების ჩაყენების გამო) უწყობდა ხელს. იგრძნობოდა სამხედრო ძალის, რაც შეიძლება მოკლე დროში, ზრდის აუცილებლობა.

დავით მეფემ ეს პრობლემა 1118-1120 წწ. შუა გადაჭრა. დაახლოებით 40-45 ათასი მეომრის ოჯახი კავკასიის ჩრდილოეთიდან ჩამოასახლა. სავარაუდოდ მათი დასახლება უნდა განხორციელებულიყო სელჩუკთა მიერ გამოთავისუფლებულ ადგილებში. გადმოცემის თანახმად, მოკლე დროში მუღმივი ჯარის ოდენობა 60 ათასამდე გაიზარდა.



1120-1121 წწ. რეორგანიზებულმა და გაძლიერებულმა ჯარმა რამდენიმე მძიმე მარცხი აწვინა მტერს. ახლო აღმოსავლეთში თურქ-სელჩუკთა ძლიერებას საფუძველი მოურყია.

მუსულმანურ სამყაროში შეიქმნა კოალიცია აფხაზ-ქართველთა განადგურების მიზნით. ისტორიული ცნობები სხვადასხვაგვარია, მაგრამ მკვლევართა საერთო აზრის თანახმად ორ-სამ ასეულ ათასზე ნაკლები არ იქნებოდა. იმავე მკვლევართა დაანგარიშებით, დავით მეფის ლაშქარი, 60-80 ათასს მეომარს მითვლიდა. ბრძოლა მოხდა 1121 წ. 12 აგვისტოს დიდგორის ველზე. მეფის ტაქტიკურმა ჩანაფიქრმა, გამარჯვების სასწორი მის მხარეს გადახარა. ამ გამარჯვებამ, კავკასიის ეთნოსთა გათავისუფლების, პირობები მოამწიფა.

პირველ ყოვლისა ეს თბილისის საამიროს შეეხება. ისედაც ალყასა და შეჭირვებაში მყოფი ქალაქი, როგორც ამირათა დასაყრდენი სულს დაფავდა. არის მოსაზრება, რომ ამ დიდ სავაჭრო ცენტრს, ქალაქის პრივილეგიებზე მოქალაქეთაგან შერჩეული ორგანო მართავდა. ისინი კარგად ხედავდნენ შექმნილ ვითარებას და დიდგორის ომის შემდეგ არც გადავადებულა ქალქის მეფისათვის ჩაბარების საკითხი. ერთი წელიც არ იყო გასული და თბილისი აფხაზ-ქართველთა სამეფოს შემადგენლობაში მოექცა. აქვე დაუდეს საფუძველი დედაქალაქის ქუთაისიდან გადმოტანის საქმეს.

დიდგორის ბრძოლის შემდეგ, დადგა სამხრეთ კავკასიის თურქ-სელჩუკთაგან გამოსხნის საკითხი. 1123-1124 წწ. გამოსხნილი იქნა შირვანის მიდამოები. ციხეებში გარნიზონები ჩააყენეს. იმავე 1124 წ. აღებული იქნა სომხეთის ყოფილი დედაქალაქი ანისი. ქალაქი და სომხეთი, სამეფო ტერიტორიებს მიუერთეს.

სწორედ იმ პერიოდში განივრცო სამეფო საზღვარი ნიკოფსიიდან დარუბანდამდე. უფრო ზუსტად ანაპის კონცხიდან აფშერონის ნახევარკუნძულამდე, სხვანაირად, შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე.

შეიქმნა თუბალ (ნაწილობრივ მეშეხ) ეთნოსთა იმპერია, აფხაზთა (ეგროსელთა) და ქართთა მოთავეობით. იმპერიის შემქმნელი იყო „მესიის მახვილად“ წოდებული დავით აღმაშენებელი (1089-1125 წწ.)

დავით გიორგის ძის შემდეგ, სამეფო ტახტი მემკვიდრე დემეტრემ (1125-1156 წწ.) დაიკავა. მის დროს აქტიური საგარეო პოლიტიკა, დაპყრობები, მოპოვებულის შემომტკიცების საქმეებით შეიცვალა.



ეს მით უფრო აუცილებელი იყო, რომ დიდგვაროვნებმა ყველა ღონე იხმარეს ცენტრალიზებული მმართველობის მოსარყევად. დემეტრეს ჯერ უმცროსი ძმა, ვახტანგი აუხმედრეს, როცა არაფერი გამოვიდა, უფროს ძე დავითზე გადაერთნენ.

დიდგვაროვანთა თანადგომით, დავით უფლისწულმა აიძულა მამა გადამდგარიყო, ბერად აღკვეცილიყო და ტახტს დაეუფლა. რამდენიმე თვე იმეფა დავითმა და მიიცვალა. არის აზრი, რომ თავად შეთქმული, შეთქმულებმა მოწამლეს. სამეფო ტახტს კვლავ დემეტრე დაუბრუნდა და 1156 წ. უმცროსი ძე გიორგი გაამეფა. ასევე დამკვიდრებულია აზრი, რომ სიკვდილის წინ დავითმა, უმცროს ძმა გიორგის პირობა ჩამოართვა, ტახტი მისი შვილი დემეტრესათვის გადაეცა, როცა იგი სრულწლოვანი გახდებოდა.

გიორგი დემეტრეს ძემ მეფობა შეიფერა, მდგომარეობა გაიმყარა და აქტიურ მოქმედებაზე გადავიდა. 1161-1162 წწ.ჯერ დაკარგული ანისი დაიბრუნა, შემდეგ კი ქალაქი ღვინი აიღო და სამეფო საზღვარი მდ. არაქსზე განამწესა. როგორც ეს იყო ფარნავაზის (ძე.წ.ა. IV ს) და გორგასალის (VI ს) დროს. სომხური მხარე გიორგიმ ივანე ორბელსა და სარგის მხარგრძელს დაუქვემდებარა სამართავად.

გიორგი მეფემ წარმატებით ილაშქრა შირვანის მხარეში, შემომტევიცა ტერიტორიები დარუბანდის კარამდე. უკან მობრუნებულმა, (სავარაუდოდ კავკასიონის ჩრდილოეთის გზით), გამდგარი ბასიანელები დახარკა და გამარჯვებული დაბრუნდა სამეფოში.

ვითარება ქვეყანას მშვიდობიანი განვითარების საშუალებას არ აძლევდა. არ ისვენებდა საგარეო მტერი და არა ცხრებოდნენ ორგულნი. დიდგვაროვნებისათვის ძნელი შესაგუებელი იყო სხვათა ქვემევრდომობა. სასურველი საბაბიც არ დაილია.

ისტორიული ცნობის თანახმად, 1176 წ. შედგა შეთქმულება მეფე გიორგის დამხობის მიზნით. შეთქმულები ივანე ორბელის მეთაურობით ფიქრობდნენ დემნა ბატონიშვილის (დემეტრე დავითის ძის) გამეფებას, უზურპატორი ბიძის ნაცვლად. მით უფრო, რომ გიორგის ვაჟი არა ჰყავდა. ამასთან, ფიცი ჰქონდა დადებული, რომ სრული ასაკის მიღწევის დრონისათვის ძმისწულს ტახტს დაუთმობდა.

ადამიანისათვის რა ფასი აქვს ფიცს, თუ ეშმაკი შეუჩნდება. განათავად დემნა ბატონიშვილის მამა დავითმა ძალით არ წაართვა მეფობა



მამას? დიდია ხიბლი ძალაუფლებისა. გიორგიმაც არ დაიხია უკან, აჯანყებულები დაამარცხა, დასაჯა, მდგომარეობა გაიმყარა. მათ შორის, ჯერ თვალის სინათლე წაართვა ძმისწულს, ტახტის კანონიერ მემკვიდრეს და შემდეგ სიკვდილითაც დასაჯა. იმოქმედა პრინციპით: არაა პიროვნება, არაა პრობლემა.

ის, რომ ვაჟი არა ჰყავდა, ნაკლებად აფიქრებდა. მეფეს ჰყავდა ქალშვილი. ამბოხებულთა დამარცხების შემდეგ გიორგიმ ქალიშვილი თამარი თანამეფედ აკურთხა. კურთხევის საფასურად სამღვდელოებამ მეფისაგან რიგი შეღავათები მიიღო.

1184 წ. მეფე გიორგი მიიცივალა და პირველად ტახტი ქალს უნდა დაეკავებინა. დადგა მომენტი, როდესაც ბევრი რამ უნდა შეცვლილიყო. პირველ ყოვლისა, საჭირო გახდებოდა, მეფის დროს აღზევებულ უგვაროთა და დიდგვაროვანთა ურთიერთობის დარეგულირება, მკაცრი მეფის პირობებში დიდგვაროვანნი ითმენდნენ. ახლა დადგა ძველი დიდების აღდგენის შესაძლებლობა, ქალი მეფე წინააღმდეგობას დიდებულებს ვერ გაუწევდა. მეორე არსებითია, რომ როგორც წესი, სამეფო კარზე წამყვან ძალას აფხზეთის (ეგრისის) დიდებულები წარმოადგენდნენ. მათ ჰქონდათ უფლება მეფისთვის გვირგვინი დაეღათ, მათ ეკუთვნოდათ უმთავრესი თანამდებობები. გიორგი მეფის დროს მათი ეს უფლება შელახული იყო. ამირსპასალარობა ნაყიზჩადარ ყუბასარს ეკავა, მეჭურჭლეთუხუცესობა (ფინანსთა მინისტრობა) ყუთლუ არსლანს. უგვაროთა მიერ სამხედრო და ფინანსთა მინისტრების თანამდებობათა დაკავებით აფხაზი (ეგრისელი) დიდებულები თავს დაჩაგრულად და შეურაცხყოფილად გრძნობდნენ.

დიდგვაროვანთა მოთხოვნით გადაწყდა თამარის ხელახლა მეფედ კურთხევა. რამდენადაც აფხაზთა სამეფოში (ახლა უკვე აფხაზ-ქართველთა სამეფოში), წამყვან თანამდებობებს აფხაზები ინაწილებდნენ, თამარს სამეფო გვირგვინი მთავარეპისკოპოსმა ქუთათელმა დაადგა. წამყვანი პირები იყვნენ ერისთავი რაჭისა და თაკურისა, ერისთავი სვანეთისა, დიდებულები ვარდანისძენი, საღირისძენი, მანელიძენი. ლიხს იმერი დიდებულები თავისი უპირატესი უფლების დემონსტრირებას ახდენდნენ.

ამით, ყუბასარი, ყუთლუ არსლანი, მსახურთ უხუცესი აფრიდონი დამდაბლებული იქნენ. ბუნებრივად მომწიფდა შეჯახება ძველ დიდგვა-



როვან და ახლად აღზევებულ დიდებულებს შორის.

რაჭისა და თაკურის ერისთავი კახაბერ კახაბერისძე, სვანთა ერისთავი ბარამ ვარდანის-ძე, არგუეთის ერისთავი ამანელის-ძე, მათთან ოდიშის ერისთავი ბედიანი, ცხუმის ერისთავი შარვაშის-ძე, პრაქტიკულად მთელ აფხაზეთს (ეგრისს, ლიხს იმერ მხარეს) წარმოადგენდნენ. ისინი ჯერ ერთი, ლიხს ამერი მხარის ერისთავ-დიდებულებთან მიმართებაში გრძნობდნენ უპირატესობას, მაგრამ რამდენადაც აფხაზეთმა დაიპყრო ეს მხარე (იმერმა – ამერი) ამდენად მათთან ერთობა დასაშვებად და მოსათმენად მიაჩნდათ. სულ სხვა იყო ნაყივზადართა და უგვართა მოთმენა, მათთან თანასწორობის აღიარება... თანაც, როცა უგვართი სამეფოში წამყვან თანამდებობებს იკავებდნენ: ამირსპასალარი – ყუბასარი, მეჭურჭლეთუხუცესი – ყუთლუ არსლანი, მსახურთ უხუცესი – აფრიდონი.

ისტორიული ცნობის თანახმად, აფხაზ დიდებულებს (ერისთავებს), ლიხს ამერი დიდგვაროვნებიც მიეხმარნენ. სურამელები, რომლებიც ქართლის ერისთავები იყვნენ და ერისთავთ-ერისთავების სახელწოდებითაც დამშვენებულნი, ძაგანის-ძენი — კახეთის ერისთავები, ჯაყელები-სამცხის ერისთავები და სხვ.

შეჯახება ძველ და ახალ არისტოკრატიას შორის გარდაუვალი იყო. ძველები მოითხოვდნენ ძველთაგანვე დამკვიდრებული პრივილეგიების გაძლიერებას თუ არა, აღდგენა-შენარჩუნებას. ახალი არისტოკრატია გარკვეული პოლიტიკური გარდაქმნების პროგრამის წამოყენებით, ცდილობდა მიღწეული პრივილეგიების კანონმდებლობით განმტკიცებას.

ცხადია, ორივე მხარეს თავისი მხარდამჭერები ჰყავდა და არც ძალის გამოყენებაზე იტყოდა უარს.

ახალი არისტოკრატია ითხოვდა მეფის რეზიდენციის მახლობლად, „კარაეის“ რეზიდენციის დაარსებას. „კარაეი“ თავის ხელში აიღებდა მთელ კანონმშემოქმედებით საქმიანობას და მეფეს დაავალდებულებდა მათ აღსრულებას. ეს სხვა არაფერი იყო თუ არა პარლამენტის შექმნა და საკონსტიტუციო მონარქიული მმართველობის შემოღება.

ცნობილია, რომ საქმე შეიარაღებულ დაპირისპირებამდე არ მისულა. მოხდა შეთანხმება. იარსებებდა „დარბაზი“, რომელთან „თანადგომით“ განხორციელდებოდა სამეფოს მართვა.



იმავე პერიოდში გადაწყდა თამარის იური ბოგოლიუბსკიზე გათხოვების საკითხი. ესაც დიდებულთა შიდა წინააღმდეგობის ვითარებაში მოხდა. ზუსტი თარიღი დადგენილი არაა. ფიქრობენ, რომ 1185 წ. მოესწრაბოდა. დაახლოებით ორი წლის თავზე გამჟღავნდა იური თანამეფის უარყოფითი თვისებები და მომხრენი იძულებულნი გახდნენ მის გაძევებას დათანხმებოდნენ.

ბიზანტიის საკეისრო აღმოჩნდა იურის მფარველი. უცნობია, რა პოლიტიკური მოლაპარაკებები მიმდინარეობდა განდევნილთან დაკავშირებით... ცნობილი ისაა, რომ აფხაზეთის დიდებულთა მნიშვნელოვანი ნაწილი მიემხრო მისი „გამეფების“ იდეას.

იურის მომხრეთა მოთავე მსახურთუხუცესი ვარდან დადიანი ჩანს. მისი გავლენა ნიკოფსიამდე ვრცელდებოდა. მან გააერთიანა მთელი იმერი აფხაზეთი (ეგრები, მეგრები, გურია, რაჭა-თაკუერი, არგვეთი, სვანეთი და დაუკავშირდა კლარჯეთ-შავშეთის მხარის დიდებულებს. როგორც ჩანს, წინააღმდეგობა უნდა გამწვავებულიყო იმიერ და ამიერ დიდებულებს შორის. შეიძლება ამის საფუძველს ქმნიდა მეფის კარზე ამერთა დაწინაურება, რაც იმერთა გავლენას ასუსტებდა.

მკვლევართა დასკვნის თანახმად, იურის განდევნის შემდეგ, თამარი დავით სოსლანზე გათხოვდა. ეს მოხდა 1189წ. (არა არსებითია, ამ შემთხვევაში, დავითი იყო თუ არა ბაგრატიონთა ერთი შტოს ჩამომავალი. იგი იყო ოსთა უფლისწული, ოსი და არა აფხაზი, ქართი, მესხი ან სხვა. იგი ატარებდა სოსლანის გვარს და არა ბაგრატიონისა).

თამარის გათხოვებას დავით სოსლანზე, სამეფო კარზე გარკვეული ცვლილებები უნდა გამოეწვია. შეიძლება ეს დაკავშირებული იყო ამიერ დიდებულთა გავლენის გაძლიერებასთან. თავის მხრივ, მას იმიერ დიდებულთა ჩრდილში მოხვედრა და განაწყენება მოჰყვებოდა. სხვანაირად ძნელი ასახსნელია იმიერი მხარის იღებულთა ერთიანი ძალით მეფისაგან განდგომა. პრაქტიკულად 1191 წ., ერთი მეორეს იმიერ-ამიერი მხარეების დიდებულები დაუპირისპირდნენ. ბრძოლა, საბოლოოდ ლიხს ამერთა გამარჯვებით დამთავრდა. თუ 1191 წლამდე სამეფოში წამყვან ძალას აფხაზები წარმოადგენდნენ და ქვეყანაც სამართლიანად უმეტესწილად აფხაზეთად იწოდებოდა, ამის შემდეგ ძალა-უფლება ქართთა ხელში გადადის. ტიტულატურაში თუმცა კვლავ



წინა პლანზე აფხაზეთია, მეფე აფხაზთა და სხვა, ამიერიდან მტკიცედ მკვიდრდება-საქართველო.

\*\*\*\*

დიდებულია შუღლი და ამბოხი მეფის მტკიცე და გონიერ პოლიტიკის წყალობით დამთავრდა. (დროებით მაინც). შეიძლება გამთლიანებულ სამეფოს საგარეო საფრთხეებისათვის მიეხედა. 1195 წ. სელჩუკებმა შირვანის დახარკვა სცადეს. ამას მოჰყვა ცნობილი შამქორის ბრძოლა, რომელიც აფხაზ-ქართველთა სრული გამარჯვებით დასრულდა. შედეგად, სამეფომ განამტკიცა თავისი პოზიციები მთელი კავკასიის რეგიონში. ჩრდილოელი ეთნოსები ისედაც მჭიდრო ურთიერთობაში მყოფნი, ყოველთვის განიცდიდნენ მოწინავე ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სულიერ-კულტურულ გავლენას. შამქორის ომის მოგების შემდეგ, ეს გავლენა გაიზარდა და გამტკიცდა. აღარაა მსჯელობა სამხრეთ კავკასიის ეთნოსებზე.

ქვეყნის ირგვლივ, მრავალრიცხოვანმა მტრებმა იგრძნეს საფრთხე და შეკრიბეს კოალიციური ლაშქარი რუმის სულთანის რუქნადინის ხელმძღვანელობით. გადამწყვეტი ბრძოლა ბასიანის მიდამოებში (სამხრეთის ბასიანის მიდამოებში) 1203 წ. მოხდა. დავით სოსლანის საერთო სარდლობით, ბრწყინვალე გამარჯვება იქნა მოპოვებული. ახლო საზღვრებთან აღარ იყო ძალა, რომელიც აფხაზ-ქართველთა (უკვე საქართველოს) დამარცხებას შეძლებდა.

ძლიერების ზენიტში მყოფმა სამეფომ შეიძლო სამხრეთი კოლხეთის (ლაზების, ხალიბების, ტიბარელების, მოსინიკების ტომები. სახელწოდებანი მრავალია) დაკავება. პრაქტიკულად მოიცვა მითრიდატე პონტოელის ყოფილი სამეფო, მდ. ჰალისამდე. ამ ტერიტორიებზე შეიქმნა ე.წ. ტრაპიზონის იმპერია, რომელსაც თამარ მეფის ნათესავი, მაგრამ ბერძენი, ალექსი კომნენოსი ჩაუდგა სათავეში. ამით შეიქმნა ბუფერული სახელმწიფო, რომელიც სამხრეთ-დასავლეთიდან უშიშროებას უზრუნველყოფდა.

სამწუხაროა, რომ დიდებული მეფე ქალის გარდაცვალების თარიღიც კი იწვევს აზრთა სხვაობას. ერთი ვერსიით 1213 წელი. დატოვა დიდი სამეფო და ორი ნებიერად აღზრდილი შვილი: ვაჟი — გიორგი-ლაშა და ქალიშვილი — რუსუდანი.





ტრადიციული ადათ-წესებისა და რელიგიურ ქვეყანაში, ახალგაზრდა მოჯანყე ქცევის, რინდებთან (თავისუფალი ქცევის, მოქეიფე, ქალთმოყვარე) დაახლოებულმა, ახალმა მეფემ გიორგი-ლაშამ დიდგვაროვნებთან დაპირისპირება ვერ აირიდა. არც დამორჩილებული ქვეყნები ურიგდებოდნენ ბედს. პირველი, ვინც განდგომა განიზრახა განძის ათბაგი იყო. მის წინააღმდეგ ლაშქრობის დროს, მოხდა დიდგვაროვნებთან კონფლიქტი. მეფე იძულებული გახდა დაეთმო. ამის შემდეგ, დიდებულთა თანადგომით შეძლო წესრიგში მოყვანა განდგომის მოსურნე ხლათის სასულთნო. გადმოცემის თანახმად, დაიწყო მზადება ჯვაროსნულ ლაშქრობებში მონაწილეობის მისაღებად.

1220 წ. აფხაზ-ქართველთა სამეფოს საზღვრებთან მონღოლები გამოჩნდნენ. მოხდა ორი-სამი შეტაკება. მონღოლებმა გაიმარჯვეს, მაგრამ წარმატება არ განავითარეს. 1223 წ. მიატოვეს კავკასია, ჩრდილოეთში გადავიდნენ, იქ რუსებისა და ყივჩაღების ჯარი დაამარცხეს, კასპიის ზღვას შემოუარეს და ჩინგიზ ხანთან დაბრუნდნენ. იმავე წელს გარდაიცვალა გიორგი-ლაშა. დატოვა დიდ სამეფო და „უკანონოდ“ შობილი მემკვიდრე, დავითი.

სამეფოს დიდებულებმა მცირეწლოვანი, „უკანონოდ“ შობილი არ ისურვეს და მეფედ რუსუდანი დაიყენეს. იგი გათხოვილი იყო არზრუმის მფლობელ ღიას ედ-დინზე. მეფე რუსუდანს მისგან ეყოლა დავითი და თამარი.

რუსუდანის მეფობის პირობებში სახელმწიფოს მართვის სისტემა მორიყა. მეფეს დროსტარება აინტერესებდა, გარშემო მყოფთ — საკუთარი მდგომარეობის გამყარება.

უდარდელ ქვეყანას 1225 წ. ხორეზმის შაჰის მემკვიდრე, მონღოლებს გამორიდებული, ირანის მპყრობელი ჯალალ ედ-დინი დაესხა. ამირსპასალარი ივანე მხარგრძელი, ადრეც არ ეშხადებოდა შეირადებული ძალების გასაძლიერებლად და ომის დროსაც მოღალატურად მოიქცა... გარნისთან გადამწყვეტი ბრძოლის დროს, პირადი ამბიციების გამო, არ მიეხმარა შალვა და ივანე ახალციხელ-თორელებს და მარცხი განაცდევინა სამეფოს.

ჯალალ ედ-დინმა იმავე წელს თბილისი აიღო და საფუძვლიანად მოარბია. მეფე რუსუდანმა, თავს „მშობლიურ აფხაზთში“, ქუთაისში



გადაბრძანებით უშველა. ხელმძღვანელობას მოკლებული დიდებულები სიტუაციის მიხედვით მოქმედებდნენ.

სანამ ჯალალ ედ-დინი რუსუდანიის სამეფოს არბევდა, მის ქვეყანას მონღოლები შეესივნენ. საკუთარ მხარეს მან ვერ უშველა და უსახ-ელოდ დაიღუპა 1231 წ.

1232 წ. უკვე რუმის თურქთა სულთანი დაემუქრა აფხაზ-ქართველთა სამეფოს. მეფე რუსუდანი ბრძოლას დამამცირებელი ზავი ამჯობინა... დამორჩილდა სულთანს და ქალიშვილი რძლად მისცა. ყველას ერთად კი მონღოლებმა აჯობეს.

1229 წ. დიდ ყაენად არჩეულმა ჰუგედემ, შუა აზია-ირანის დაპყრობა ჩორმადან ნოინს დააკისრა. ირანის დაუფლების შემდეგ მონღოლები რუსუდან მეფის ქვეყანას მოადგნენ. 1235 წელი იყო.

მეფე და მისი გარემო არც ახლა დაფიქრებულან და მომზადებულან საფრთხის ასარიდებლად. ისტორიკოსთა თქმით, რუსუდან მეფე „მშობლიურ აფხაზეთში“ გადაბრძანდა და ქვეყანა მონღოლებს დაუთმო საჯიჯგნად. ლიხს დასავლეთში, (იმერში, ეგროსში, აფხაზეთში) მას კიდევ ბევრი რჩებოდა ჩვეული განცხრომით ცხოვრებისათვის. მონღოლებმა ლიხს ამიერი (ქართველების, ჰერ-კახელების და სხვ.) მხარე დაიკავეს დიდი წინააღმდეგობის გარეშე. ხელმძღვანელობას მოკლებული დიდებულები, თანამდებობა-მამულების შენარჩუნების პირობით მონღოლებს ნებდებოდნენ. ამის მაგალითი ვარამ გაგელმა და მთავარსარდალმა (ამირსპასალარმა) ავაგ ივანეს ძე მხარგრძელმა მისცეს.

რუსუდან მეფემ მონღოლებთან საზავო მოლაპარაკება გამართა. პირობების შეთანხმება მხარგრძელებს და ჰერეთის ერისთავ შოთა კუპრს დაეკისრათ. მონღოლები დათანხმდნენ რუსუდანიისათვის მეფობის შენარჩუნებას, ხოლო მისი ვაჟი დავითის მემკვიდრედ აღიარებას. 1243 წ. ზავის თანახმად დავით რუსუდანიის-ძე მონღოლებთან მიავლინეს მეფედ დასამტკიცებლად. პარალელურად, დავით გიორგი-ლაშს ძე, რუსუდანი სიძეს სულთან ყიას ად-დინს გაუგზავნა, მისი მოკვდინების მოთხოვნით. სულთანმა სიდედრის ეს თხოვნა არ შეასრულა.

გაურკვეველი პერიოდი დადგა სამეფოში. 1245 წ. რუსუდანი მიიცვალა. მისი ვაჟი დავითი მონღოლებთან მივლინებული არა ჩანდა.



ქვეყანა უმეთაუროდ დარჩა. ცალკეულმა ფეოდალებმა დაიწყეს საკუთარ მომავალზე ზრუნვა. საერთო საქმეც ბევრს აღარდებდა.

იმ დროს მონღოლებს ლიხს ამიერი სამეფო ეკავათ. იგი მათი ჩვეულებრივ მეთოდით შვიდ ღუმანად დაყვეს. თითო ღუმანს მოთხოვნისთანავე 10 ათასი მეომარი უნდა გამოეყვანა და ხარკის განსაზღვრული რაოდენობა გაეღო. ლიხს იმიერი ქვეყანა (საკუთრივ აფხაზეთი), რომელიც მონღოლებს არ დაუკავებიათ, იმავე პირობით ორღუმანად დაჰყვეს.

უმეფობამ და გაურკვევლობამ უკარნახა ღუმანის თავებს და დიდებულებს, 1247 წ. შეკრებილიყვნენ კოხტასთავს და ერთობლივ მოქმედებაზე ემსჯელათ. გადაწყვიტეს ერთიანი ძალით აჯანყება. დათქვეს შეკრების დრო და ადგილი. ცოტნე დადიანი, რომელსაც აფხაზეთის უმეტესი ნაწილი ეკუთვნოდა საგამგეოდ, ადრე წავიდა, რათა ნიკოფსიამდე გაჭიმული შორეული მხარედან დაუგვიანებლად მოეყვანა ჯარი.

მონღოლებმა გაიგეს კოხტასთავს შეკრების შესახებ, დაეცნენ და შეთქმულები შეიპყრეს. პატიმრები ჩაიყვანეს ანისში, გააშიშვლეს წელს ზევით და შეკრულები მოედანზე დაყარეს. გამოკითხვისას ყოველი მათგანი იმეორებდა წინასწარ შეთანხმებულ პასუხს: შეკრების მიზანი ხარკის დროული აკრეფის საკითხები იყო.

ცოტნე დადიანი, ჩრდილო-დასავლეთი აფხაზეთიდან, დათქმულ დროს, ჯარით გამოცხადდა. იქ შეიტყო შეთქმულთა ბედის შესახებ. ჯარი გაუშვა, თავად წავიდა ანისში, სხვებივით შეიკრა და მოედანზე დაჯდა. გარცეხულ მონღოლებს, ცოტნემ შეკრების მიზეზის დათქმული ვერსია გაუმოხრა. მონღოლებს იმდენად მოეწონათ ცოტნეს ქცევა, რომ შეთქმულთა პატიება გადაწყვიტეს.

ამავე დროს რადგან დავით რუსუდანის ძე არ ჩანდა, მონღოლები დათანხმდნენ დავით გიორგი-ლამას ძე საყაენოში გაეგზავნათ მეფედ დასამტკიცებლად.

მოხდა ისე რომ მონღოლებმა ორივე დავითი აღიარეს მეფედ. გიორგი-ლამას ძე დავითი (ასაკით უფროსი) უფროს მეფედ (ულუ) და დავითი რუსუდანის ვაჟი უმცროს მეფედ (ნარინი).

ცოტა ხანს ორივე დავითი თბილისში სახლობდა. აქედან განაგებდნენ მონღოლების სასარგებლო საქმეს. ბოლოს, ნარინი აჯანყდა,



ლიხს-იმიერ, დაუპყრობელ, ქვეყანაში (ლეონიდების აფხაზეთში) გადავიდა, ქუთაისში დაეფუძნა და სამეფოს ორად გაყოფას (იმერად და ამერად) დაულო საფუძველი.

978 წელს, ბაგრატ გურგენის-ძის გამეფებით ქუთაისში, საფუძველი ჩაეყარა აფხაზთა და ქართველთა სამეფოების გაერთიანების საქმეს. ამავე დროს მოხდა დინასტიათა ცვლა. ლეონიდები ბაგრატიონებმა შეცვალეს.

ბაგრატიონების დინასტია გაერთიანებულ სამეფოს 1213 წლამდე მართავდა. ისმის კითხვა: გიორგი-ლაშას გამეფებით, მოხდა თუ არა დინასტიური ცვლილება? არაა განხილული საკითხი დავით სოსლანის შვილები, როცა გამეფდნენ, რატომ იწოდებიან ბაგრატიონებად? თუ დედის გვარი გადამწვევებია, მაშინ ეგებ ბაგრატ გურგენის ძე ელიარე-ბინათ ლეონიდათ?

კიდევ უარესი. დავით ნარინი რუსუდან სოსლანს, არზრუმის შაჰის ვაჟისაგან ღიას ედ-დინისაგან ჰყავდა. ჩაითვლება დავითი ნარინი ბაგრატიონად?

სწორედ დავით ულუმ (სოსლანმა) და დავით ნარინმა (ედ-დინმა) გაიყვეს აფხაზ-ქართველთა (გნებავთ აფხაზთა, გნებავთ ქართველთა) სამეფო.

მონღოლებს დავით ნარინის დევნით, თავი არ გაუწვალემათ. მთავარი იყო, რომ ხარკის ოდენობა და ომებში მონაწილეთა ოდენობა, არ შემცირებულა. მონღოლები კი მუდმივად ომობდნენ. შესაბამისად, აფხაზ-ქართველებიც მუდმივად მონაწილეობდნენ ამ ომებში და თან ორივე მხარეს. ცნობილია, რომ დარდინ აფხაზი, იყო სულთან ყიას ად-დინის ჯარის სარდალი, მონღოლების წინააღმდეგ ბრძოლის დროს... ამავე დროს, აფხაზ-ქართველები იძულებულნი იყვნენ მონღოლთა მხარესაც ებრძოლათ.

ბევრი აფხაზ-ქართველი შეეწირა, ასასინების სასულიერო-ტერორისტული ორდენის წინააღმდეგ ბრძოლას.

1252 წ. დიდი ყაენის მანგუს ძმა ჰულაგუ 70 ათასიანი ჯარით დაიძრა ირანის და წინა აზიის საბოლოოდ დასაპყრობად. 1258 წლამდე ჰულაგუმ ირანი და ბაღდადის სახალიფო დაიპყრო და ილხანების საყაენო დააარსა. ამის შემდეგ ჰულაგუს ჯარებმა საკუთრივ აფხაზე-



თის დახარკვაც მოინდომეს. 1259 წ. მათი მცდელობა მარცხით დასრულდა. აფხაზებმა დავით ნარინის მეთაურობით დამოუკიდებლობა შეინარჩუნეს.

მაშინ დავით ულუც აჯანყდა, მაგრამ საბოლოოდ მიზანს ვერ მიაღწია და იძულებული გახდა, ჯერ ქუთაისში (აფხაზებისათვის) შეეფარებინა თავი, შემდეგ კი 1262 წ. მონღოლებს შერიგებოდა. შერიგება კი ნიშნავდა ძველებურად ხარკის გადახდა და მონღოლთა ომებში მონაწილეობას.

სწორედ იმავე 1262 წ. დაიწყო დიდი ომი ილხანთა საყაენოსა და კაკკასიის ჩრდილოეთით არსებულ ოქროს ურდოს შორის. განმეორდა დიდი იმპერიების ჩვეული მოვლენა. სანამ აქტიური დაპყრობითი ომები მიმდინარეობდა, მონღოლები ერთობას ინარჩუნებდნენ. დაპყრობათა შეჩერება ნადავლის შემცირებას იწვევდა. ამიტომ, კომპლესაციის მიზნით, შეიძლებოდა მონათესავე, მაგრამ სხვა ერთულის დახარკვა. ასეთი ომი დაიწყო ილხანთა საყაენოსა და ოქროს ურდოს ყაენს შორის. ბრძოლები პერიოდულ ხასიათს ატარებდა და ცვალებადი წარმატებით მიმდინარეობდა. დავით ულუ იძულებული იყო დიდი დრო მეზობლთა სასაზღვრო სიმაგრეთა სისტემის (ეგრეთ წოდებული სიბას) დაცვაში გაეტარებინა. იქვე დაავადდა და გარდაიცვალა 1270 წ.

გამეფდა დემეტრე დავითის-ძე. მცირეწლოვანების გამო, დაუნიშნეს, მონღოლთა ნდობით აღჭურვილი, მეურვე სადუნ მანკაბერდელი. მას ათაბაგობა უბორძა მეფემ და ქვეყნის ფაქტიურ გამგებლად აქცია. მეფე დემეტრეს ქვეყანა, მონღოლთა მიერ გაძარცული, მძიმე მდგომარეობაში იყო. ნდობის მოპოვებისა და შეღავათების მიღების მიზნით იგი, ერთგულად წევდა მონღოლურ ჭაპანს. შედეგსაც მიაღწია. იგი აღიარეს აფხაზ-ქართველთა ყველა მხარის მეფედ. მან შეძლო ქვეყნის მოღონიერება და ურჩი დიდებულების დაქვემდებარება. ბოლოს კი დაისვა საკითხი: 1288 წ. ილხანთა სამეფოში ადგილი ჰქონდა დიდ შეთქმულებას, რაშიც დემეტრე არაპირდაპირ მონაწილეობდა. შეთქმულები დასაჯეს და დემეტრეც დაიბარეს დასაკითხად. მეფეს სიკვდილით დასჯა მოელოდა. ამიტომ სამეფო დარბაზმა ურჩია, გადასულიყო ლიხს-იმიერში და თავი გადაეჩინა. ასეთ შემთხვევაში კი მოსალოდნელი იყო მონღოლთა სადამსჯელო შემოსევა და ქვეყნის



აოხრება. მეფემ გადაწყვიტა თავი გაეწირა და ქვეყანა რბევას გადაერჩინა. 1289 წ. მას თავი მოჰკვეთეს. ამიტომ უწოდეს მას დემეტრე თავდადებული.

დემეტრეს შემდეგ, ყაენმა, ამიერ-იმეირის (ქართველთა და აფხაზთა) გაერთიანებული სამეფო ვახტანგ დავით ნარინის ძეს უწყალობა. მისი სახით, ქვეყანა კვლავ გამთლიანდა, აფხაზი მეფის მეთაურობით. ასეთი მდგომარეობა 1292 წ. მეფის გარდაცვალების გამო დაირღვა.

ამის შემდეგ სამეფო ტახტი ხელიდან – ხელში გადადიოდა, დემეტრე თავდადებულის შვილებს შორის. ბოლო, 1318 წელს, ლიხთამიერის მეფედ, ყაენის კარიდან მობრუნებული, გიორგი დემეტრეს ძე, საზეიმოდ აკურთხეს.

მზისქვეშეთში პირველობა და მეფობა ბევრს მოსდომნია, მაგრამ ყველას როდი შეეძლო. ბევრი არც ღირსი ყოფილა. იგივეს ვერ იტყვიან გიორგი დემეტრეს-ძეზე. უაღრესად რთულ ვითარებაში შეიძლო მან აღედგინა აფხაზ-ქართველთა სამეფოს მთლიანობა. დაიმორჩილა გამდგარი მხრეები. დაამყარა პოლიტიკური, სამართლებრივი, სულიერ-რელიგიური წესრიგი. აღკვეთა მტრების შემოჭრისა და თარეშის რეციდივები, არა და, ცნობილია, რომ ჩრდილოეთიდან შემოსეულმა ოსებმა, მონღოლების თანადგომით, დაიკავეს გორი, ბორჯომის მხარე და დმანისამდე დასახლებებიც შექმნეს. ისინი არა მხოლოდ გადარეკეს ჩრდილოეთში, არამედ დვალებსა და ოსებს შორის სანაპირო ციხესიმაგრეთა სისტემაც შექმნეს. მის დროს შემომტკიცებული იქნა მთა და სამართლებრივი კანონთა კრებული შედგა მათთვის. რაც არსებითია, მის დროსვე გათავისუფლდა ქვეყანა მონღოლთა მოხარკეობისაგან. დაკანონდა იერუსალიმის წმინდა ადგილებში აფხაზ-ქართველთა პრივილეგიები და სხვა. სამეფოს სახელი და პრესტიჟი წვდებოდა ეგვიპტიდან რუსეთამდე, ინლოეთიდან საფრანგეთამდე.

გიორგი დემეტრეს ძე, დიდი იყო როგორც პიროვნება, როგორც მეფე და ამიტომ, ერთადერთი, ცნობილია როგორც „ბრწყინვალე“. მეფობდა 1346 წლამდე დატოვა გაერთიანებული სამეფო.

აფხაზ-ქართველთა სამეფო ერთიანობას ინარჩუნებდა მისი მემკვიდრეების დავითის (1346-1360 წწ.), შემდეგ ბაგრატიის (1360-1393 წწ.), გიორგი ბაგრატიის-ძის (1393-1407 წწ.), მისი ძმა კონსტანტინეს



(1407-1412 წწ.), ალექსანდრეს (1412-1442 წწ.) დროს. ბოლოს, 1466 წ. ერთიანი სამეფო სამ ნაწილად გაიყო.

ამ პერიოდისათვის კახეთი ცალკე სამეფოდ ყალიბდება. ცალკე ერთეულად ფორმირდება სამცხე-საათაბაგო. დანარჩენი სამეფო ფორმალურად ერთიანია, მაგრამ რეალურად მეფე ვერ აკონტროლებს ოდიშის სამთავროდ წოდებულ ერთეულს, რომელიც თავის მხრივ მოიცავს გურიას, ეგრების (აფხაზების) და მეგრების (სამეგრელოს) მხარეებს. აფხაზ-ქართველთა სამეფოს დაკნინება – ნაწილებად დაშლა, დრონის მიხედვით, დაემთხვა ორი მეზობელი ქვეყნის, თურქეთისა და ირანის (სპარსეთის) გაძლიერებას.

ძლიერების გზაზე დამდგარმა თურქეთმა 1453 წ. 29 მაისს, აიღო ბიზანტიის დედაქალაქი კონსტანტინეპოლი და გადაჭრა გზა აღმოსვლეთისა და დასავლეთის ეთნოსების (ქვეყნების) დამაკავშირებელი. ამის შემდეგ თურქებმა ევროპას შეუტეეს, ყირიმის ნახევარკუნძული დაიკავეს, კავკასიონის ჩრდილოეთი მხარე საბრძოლველ ასპარეზად აქციეს. ცხადია, სამი მხრიდან თურქული საფრთხის არსებობის პირობებში აფხაზ-ქართველთა სამეფო მხარეს მშვიდობიანი არსებობა არ ეწერა. ისინი გაერთიანებისა და ერთად საფრთხის აცილების ნაცვლად, ცდილობდნენ საკუთარი ინტერესების რეალიზებას და არც სხვათა დაკნინებას ერიდებოდნენ.

1490 წლისთვის, საბოლოოდ გამოიკვეთა აფხაზ-ქართველთა სამეფოს დანაწილებული სახე. ერთი წლით ადრე, ყოფილი აფხაზთა სამეფო (უფრო ადრე, ეგრისის, კოლხიდის, ლაზიკის – სახელი იცვლებოდა), უკვე იმერეთის სახელწოდებით, ჩამოშორდა ქართველთა (ყოფილი იბერიის, ქართლის) მხარეს. იმ დროს არავინ ფიქრობდა, რომ დანაწილება სამუდამო და ტრაგიკული თავგადასავლებით აღსავსე იქნებოდა. ასე ეწერა დათითობულთა და ურთიერთდაპირისპირებულთა მხარეს. მალე იგი მომხდურთა სათარემო ასპარეზად იქცა.

ბევრი რამაა დასაზუსტებელი. პირველ რიგში, მოსახლეობის აფხაზობის საკითხი. ადრე ითქვა. ეგრისის გაყოფა ეგრებად (შემდეგ მათ აფხაზები ეწოდათ) და მეგრებად (შემდეგ-მეგრელები), არა ნიშნავდა ეთნოსის ორი ნაწილის ენობრივ, სულიერ გაუცხოებას. ამავე დროს, არც ერთ ნაწილში არ განხორციელებულა ეროვნული შემაღ-



გენლობის ცვლილება. აფხაზეთის ბოლოში ჯიქების ჩაჯდომა, არა ნიშნავდა მათ მიერ აფხაზეთის დაპყრობას და ახალი სახელმწიფოს შექმნას. პირიქით, ცნობილი ფაქტია, რომ ჯიქები ემორჩილებოდნენ აფხაზეთის სამეფოს. ეს მაუწყებელია აფხაზეთის გავლენის ზრდისა და ჯიქების შესაძლო გააფხაზებისა. თავად აფხაზები, როგორც იყვნენ ეგროსელები (ეგროსელები, კოლხიდელები, ეგრები, ლაზები – სახელწოდება ბევრია, არსი ერთი), ასეთივე რჩებოდნენ. თუ ჯიქებმა დაიკავეს აფხაზეთის ბოლო, ეგებ მათგან გასამიჯნად იქნა აგებული გელენ-ჯიზა (გარე ციხე)? (ცნობილი ადიდი მკვლევარი კ. მერეტუკოვი მიიჩნევს, რომ დღევანდელი კრასნოდარის მხარის ქალაქი გელენჯიკი და ტოპონიმი, მხოლოდ მეგრულად აიხსნება. იმ დროს არავითარი მეგრელები არ არსებობდნენ. იყვნენ ეგრისელები და მათი მეტყველება (ენა) გვიან დაიყო აფხაზურ-მეგრულ დიალექტებად.) შეიძლება ცნობილი ნიკოფსიაც, მაშინ იქცა განაპირა მხარედ. სხვანაირად აფხაზ-ქართველთა სამეფო საზღვარი არ აღინიშნებოდა ნიკოფსიიდან — დარუბანდამდე. (ამ საკითხს მომავალში განხილვა არ მოჭარბდება).

დასაზუსტებელია ეგრისელთა და ქართთა ერთობის შიგნით თანაფარდობის საკითხი. ლოგიკის ძალით წარმოსადგენია, როგორი იყო ძალთა თანაფარდობა ამ ორ ეთნოსს შორის და რა შეიძლება მომხდარიყო დროთა ვითარებაში. ეგროსელები, რომელთაც ლიხს-იმიერი მხარე ეკუთვნოდათ და მტკიცედ ფლობდნენ საუკუნეთა მანძილზე, თმობენ პოზიციებს. რატომ? უძველესი ისტორია ცნობილია. ცნობილია ისიც, რომ გუბაზ-წათეს მეფობისას ლაზიკა, იგივე ეგრისი, ლიხის მითითებით გამოყოფილი ქართთა მხარეს. (ქართვებისა და ეგრისელების ურთიერთ შეღწევის საკითხიც, მეტ-ნაკლებად ცნობილია). ლეონიდების სამეფო უკვე აფხაზეთადაა სახელდებული. თუმცა ბევრი წყარო მას ეგრისს უწოდებს. აფხაზეთის სამეფოში ეგროსული ენა დამკვიდრებული. (იმ დროს ეგრები (აფხაზებს) – მეგრებს შორის სხვაობა არ არსებობდა მეტყველების მხრივ. გაერთიანებულ აფხაზთა და ქართველთა სამეფოში თამარ მეფის დრომდე წამყვანი პოზიციები აფხაზებს (ეგრისელებს) ეკავათ. თამარის დროს ქართვების მხარეს გადადის ინიციატივა. ეგრისელები (აფხაზები) ამიტომ, განაწყენებულები, ჯანყდებიან და იური რუსის გამეფებით ცდილობენ პოზიციების დაბრუნებას. ამის და





მიუხედავად ლიხს-იმიერ ქვეყანას კვლავ აფხაზეთად თვლიან და თავად მეფეებსაც აფხაზებად. ცნობილია, ისტორიული წყაროები, რუსუდან მეფის მისამართით ამბობენ, რომ მას „მშობლიური აფხაზეთი“ მონღოლების ბატონობის პირობებშიც დამშვიდებული ჰქონდა. აფხაზეთად კი ლიხს-იმიერი მხარეა მიჩნეული. ასევე, საგულისხმო ნათქვამია: მშობლიური აფხაზეთი, ბაგრატიონთა დინასტია აფხაზეთიდან იწყებს გაბატონებას და ამიტომ მათთვის აფხაზეთია მშობლიური.

მდგომარეობა მკვეთრად იცვლება მონღოლთა შემოსევების და უფრო მეტად, თემურ ლენგის ლაშქრობების, შემდეგ. ცნობილი ფაქტია. მონღოლებმა, 1298 წელს, მძიმე ამაოხრებელი ეგზეკუცია ჩაატარეს ლიხს-იმიერ ქვეყანაში. მატერიალურ-ეკონომიკურ ზარალთან ერთად, დიდი იყო დემოგრაფიული დანაკარგიც. ამ დროს ლიხს-იმიერი მხარე არავის დაურბევია. როცა ერთი სამეფოს, ერთი ნაწილი ნადგურდება და მოსახლეობას ფიზიკურად ანადგურებენ, რა ქნას მოსახლეობამ? ლოგიკურია აზრი, რომ ბევრი დასავლეთში, იმიერში გაქცევით უშველიდა თავს. ამიტომ აღნიშნავენ, რომ მოსახლეობის მეორედ აღწერის დროს, აღმოჩნდა მისი დიდი რაოდენობრივი კლება. ამას დაემატა თემურ-ლენგის დაუნდობელი რვა შემოსევა, სამეფოს იმავე ნაწილში. ლიხს-იმიერი მხარე კვლავ გადაურჩა დემოგრაფიულ გენოციდს. ლოგიკა კარნახობდა ადამიანებს, თავი გაქცევით გადაერჩინათ. გასაქცევი მათ იმიერ მხარეში ჰქონდათ. სავარაუდოდ აფხაზი (ეგროსელი. ლიხს-იმიერი) დიდებულები არ იქნებოდნენ წინააღმდეგნი ყმების მომრავლებისა.

მოსახლეობის ქართი ნაწილის მიგრაციას აფხაზ (ეგრის) ნაწილში, მხოლოდ 1298 წლიდან 1403 წლამდე, შეეძლო ლიხსიმიერი მხარის აღმოსავლეთი ნაწილის ქართიზაცია მოეხდინა თუ არა? კითხვა საფუძვლიან პასუხს მოითხოვს.

ადარაა მსჯელობა იმაზე, რომ ღვთის მსახურება ქართუს ენაზე წარმოებდა, ლიტერატურა ქართუს ენაზე იქმნებოდა და აქედან გამომდინარე აფხაზები, საუკუნეთა მანძილზე, შეეჩვეოდნენ ქართუს ელემენტების გამოვლენა-დამკვიდრებას.

კიდევ ერთი მცირე თავისებურება. ადამიანური მეტყველებისათვის დამახასიათებელია რთული სიტყვების შექმნა. ვთქვათ: ძირ-ძველი,



ჭიან-ჭვალა, აღმა-დაღმა, გაღმა-გამოღმა, იმიერ-ამიერი, ვერებ-მე-გრები და ა.შ. როდესაც ლიხს-იმიერი მხარის აღმოსავლეთი ნაწილის ქართიზაცია მოხდებოდა, მას ქართს ვერ ეტყოდნენ, მაგრამ მისი აფხაზობაც გაფერმკრთალდებოდა. ეგებ ამიტომ იმძლავრა სიტყვა იმიერმა? აქედან იმერეთმა? (სამწუხაროდ ასეთი საკითხებით ბევრი არავინ დაინტერესებულა).

ისტორიული ფაქტი კი ისაა, რომ 1490 წელს, ერთიანი სამეფო სამ ნაწილად გაიყო და ამის შემდეგ აფხაზეთი და ბოლოს აფხაზეთიც სხვა რეალობაში აღმოჩნდნენ.

მეფე თამარის დროს სამეფო, საერისთაოებად იყო დაყოფილი. მათ შორის ოდიშის, ცხუმის, არგუეთის, რაჭა-თაკურის საერისთაოები საკუთრივ ლიხს-იმიერ მხარეს მოიცავდნენ. ახალ ვითარებაში ლიხს-იმიერ მხარეს, ლეონიდების აფხაზეთის სამეფოს, იმერეთის მხარე და იმერეთის სამეფო ეწოდა. (ამ შემთხვევაში არა აქვს მნიშვნელობა, ლეონიდების დროს სამეფოს, საერისთაოებად დაყოფის რეალურ სურათს).

იმერეთის სამეფო, თავის მხრივ, დაიყო წვრილ ერთეულებად. ამას მოჰყვა ურთიერთ ბრძოლები, სხვის ხარჯზე გამსხვილების სურვილით. ცნობილია, რომ ოდიშის საერისთაომ ყოფილი აფხაზეთის სამთავროს ჩამოაჭრა მიწები და საზღვარი ანაკოფიასთან (ახალ ათონთან) დაიდო. ერთი პერიოდი ოდიშის სამთავრომ გურიასთან და ახალ აფხაზეთთან კავშირში ცალკე სამეფოს შექმნაც მოინდომა.

სამეფოები, თავის მხრივ, არ ინდობდნენ ერთი-მეორეს და ცდილობდნენ მოძმე-მეზობლის მხარის დაკავებს. ასე მოხდა 1509 წელს. იმერეთის მეფემ ქართლი დალაშქრა და გორის ციხე დაიკავა, არავინ იცის რით დამთავრდებოდა ამ ერთეულების ჭიდილი, თავად იმერეთს, თურქები რომ არ დასხმოდნენ თავს. იმერებმა ამერებს თავი ანებეს. ახლა კახეთის მეფემ მოისურვა ქართლის დაპყრობა. მიზანს ვერ მიაღწია, მაგრამ მოსახლეობა მაინც გაძარცვა. არც ქართლის მეფე ჩამორჩა მოძმეებს. მანაც მოინდომა იქით, კახეთის მიერთება.

სანამ ერთიანი აფხაზთა და ქართველთა სამეფოს ყოფილი წევრები, მეფეები, მთავრები და თავადები, ერთი-მეორეში საომარი გზით საქმეებს „არჩევდნენ“, მსხვილმა აგრესორებმა, თურქეთმა და ირანმა 1555 წ. ქ. ამასიაში, ჯერ კიდევ დაუპყრობელი ქვეყანა შუაზე გაიყვეს. ირანს



ერგო ლიხს-ამერი მხარე, თურქებს კი ლიხს-იმიერი.

ამასიის ზავამდე თურქებმა დიდი წარმატებას მიაღწიეს. კონსტანტინეპოლის დაპყრობის შემდეგ, ჯერი ევროპაზე მიდგა. არც აზია იქნა დავიწყებული. 1461 წ. ტრაპეზუნტის იმპერია დაიმორჩილეს და აფხაზ-ქართველთა სამეფოს გაუმეზობლდნენ. იმავე პერიოდში დაიპყრეს ყირიმის თათართა სახანო და სლავიანურ ეთნოსებს დაემუქრნენ.

ისტორიული ცნობის თანახმად, ყირიმელი თათრები, XVI საუკუნის მანძილზე, დაუპირისპირდნენ, შავი და აზოვის ზღვების ჩრდილოეთით, მომთაბარე ადიღებს და მდ. დონის მიდამოებიდან განდევნეს. ამიტომ აღნიშნავენ მკვლევარები, რომ XVI ს. ადიღები მდ. დონსა და მდ. ყუბანს შორის სტეპებს მიიჩნევდნენ მშობლიურ მხარედ..

ადიღებს წაართვეს თურქებმა, 1475 წ., ტანას (მომავალი აზოვის) ციხე-სიმაგრე. იმავე წლებში, 1479 წ. თურქებმა ანაპის მხარე დაიკავეს და აქედან შეუტიეს ადიღ ტომებს.

ანაპის მხარე, იმ დრონისთვის, სავარაუდოდ, ჯიქებს (ზიხებს) ეკავათ. მდ. ყუბანიდან ნიკოფსიამდე (შეიძლება დღევანდელ მდ. ნოგოფსუხომდე იყო მათი სამოსახლო).

XVI ს. იწყება თურქებისა და ყირიმელი თათრების დაუნდობელი თარეში კავკასიის ჩრდილოეთი მხარის დასაუფლებლად. იმ პერიოდში ადიღები სტოვებენ მდ. დონისპირეთს და მდ. ყუბანის მიდამოებში ჩამოდიან. აქ ისინი უმეზობლდებიან უკვე იმერეთის სამეფოს, ოდიშის სამთავროს. მართალია თურქეთის შემოტევების გამო ოდიშის სამთავრომ ანაპის მხარე დაკარგა, მაგრამ ბრძოლები გრძელდებოდა. მათ შორის, ოდიშარ-აფხაზებისა და ადიღეველთა მოკავშირეობით. ისტორიულად ცნობილი ფაქტია, რომ 1523 წ. ეგროსელები (ოდიშარ-აფხაზები) და ადიღები დადიანის სარდლობით ებრძვიან ყირიმელ თათრებს, რომელნიც მუჰამედ გირეის სარდლობით, ცდილობენ ყუბანისპირეთის დაკავებას.

უაღრესად მნიშვნელოვანი ცნობაა, დაფიქსირებული უცხოური მკვლევარების მიერ. დასაფიქრებელია: 1. თუ 1523 წ. ეგროსელები (ეგრებ-მეგრები, აფხაზ-ოდიშარნი) ერთიანი ძალით გამოდიან მტრების წინააღმდეგ, ამით მათი ერთობაა დამოწმებული; 2. თუ ეგროსელები ადიღებთან კავშირში მოქმედებენ, ეს გეოგრაფიულ მეზობლობაზე და



საერთო ინტერესებზე მითითებაა; 3. ადილები უკვე ჩამოსული არიან ღონისპირეთიდან ყუბანისპირეთში, მაგრამ ეგრისელებთან მშვიდობიანი ურთიერთობა აქვთ; 4. თუ ეგრისელები ანაპა-ყუბანის მხარეში იბრძვიან, ნიშნავს ჯერ კიდევ იმედი აქვთ მისი დაბრუნების; 5. თუ ბრძოლა მიმდინარეობს დადიანის სარდლობით, ეს ეგრისელთა უპირატესობის დამოწმებაა.

ამავე ცნობასთან კავშირში უნდა იქნეს განხილული, ადილთა შორის გავრცელებული ზეპირი გადმოცემა გმირი ინალის შესახებ. ადილთა დიდი შვილი, შორი ნოგმა (როგორც მოფერებით ამბობენ), გადმოცემს შერჩენილ ამბავს გმირი ინალის შესახებ. ამბის შინაარსის მიხედვით, ადილთა გმირმა ბელადმა ინალიმ, შეიკავშირა აბაზთა ბელადები აშე და შაშე, საერთო ძალით დალაშქრა აფხაზეთი, მდ. ბზიბის მიდამოებში დაიღუპა და იქვე დაკრძალეს. ინალის მეთაურობით აფხაზეთის ჩრდილოეთის დაპყრობა XV ს. მიეწერა.

მიზანი არაა ადილური გადმოცემების კრიტიკული განხილვა. მხოლოდ მცირე შენიშვნა. თუ XV ს. ადილებს უკვე დაპყრობილი ჰქონდათ აფხაზეთის ჩრდილოეთი, მაშინ გამოდის, რომ ყველა ისტორიული ცნობა ტყუის. ისიც რომ XVI ს. ისინი ჯერ კიდევ ფიქსირდებიან მდ. ღონის აზოვის ზღვასთან შესართავთან და ისიც, რომ დადიანის სარდლობით ოდიშ-ადილები ერთიანი ძალით ებრძვიან ყირიმელ თათრებს. თუ დავეთანხმებით, რომ ადილ-აბაზებს (ინალის, აშეს, შაშეს სარდლობით) მართლაც დაუპყრიათ აფხაზეთის ნაწილი, მაშინ სავარაუდოდ, ეს ამბავი ბევრად გვიან მოხდებოდა.

1523 წლის შემდეგ მოვლენები ასე განვითარდა: 1546 წ., სახიბ გირეის სარდლობით, ყირიმელებმა დაიმორჩილეს ადილები, გადაქელეს კავკასიის ჩრდილოეთი, აიღეს ასტრახანის სახანო. თურქებ-თათრებისათვის გზა გახსნეს შუა აზიისაკენ, უზბეკებისაკენ, რომლებიც ბუნებრივი მოკავშირენი იყვნენ ირანის წინააღმდეგ ხანგრძლივი ბრძოლების დროს.

ამ მარცხმა, ერთი მხრივ, ადილების გადაადგილება გამოიწვია და მეორე მხრივ, აიძულა ბელადი თემრიუყ იდაროვი, მჭიდრო კავშირი დაემყარებინა ივანე მრისხანეს რუსეთთან. ამან ვერც ადილებს უშველა და ვერც რუსეთს. ცნობილია, რომ 1571 წ. 24 მაისს ყირიმელმა



თათრებმა, ხან დევლეთ გირეის მეთაურობით, რუსეთი დაამარცხეს, მოსკოვი აიღეს, გადაწვეს, რუსებს მოთხოვეს ყაზანისა და ასტრახანის სახანოების დაბრუნება თათრებისათვის.

თურქეთის ბატონობა კავკასიის ჩრდილოეთში, მისი სატელიტი ყირიმის სახანოს აქტიური მონაწილეობით, ადგილობრივ ტომთა ჩამოყალიბებულ ურთიერთობებს არღვევდა.

მდ. დონისპირეთიდან მდ. ყუბანისპირეთში მიგრირებული ადიღები, იძულებულნი არიან აღმოსავლეთით და სამხრეთით გადაადგილდნენ. თავად ოვსნი, ლტოლვილები, ავიწროებენ და უსახლდებიან დვალებს. იწყება დვალების მასობრივი გაოსება ან გაფანტვა ქართლის მხარეს. ბალყარები და ყარაჩაელები, თავის მხრივ ავიწროებენ ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრებელ ეგროსელებს, რაჭველებს და სვანებს. კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა ყოფილი აფხაზეთის სამთავრო. იმერეთის სამეფო ძირითად საშიშროებას სამხრეთიდან, თურქებისაგან მოელოდა, ამას ემატებოდა წინააღმდეგობა მეფე-მთავრებს შორის. აფხაზეთისათვის არავინ მოიცალა.

არსებითი ისაა, რომ თავად იმერეთის სამეფო მოექცა თურქეთისაგან დაპყრობის საფრთხის ქვეშ. თუ ადრე პერიოდებში, ერთიან აფხაზეთ-ქართთა იმპერიას ემორჩილებოდა ჩრდილოეთ ტომთა არეალი, ახლა დასუსტებულ მეტროპოლიას, მოძლიერებული სატელიტები უტყვენ. იმერეთის სამეფო კარს, საკუთარი ცენტრის უსაფრთხოება უხდება მიზნად. მათთვის ეგრისის ჩრდილოეთის, აფხაზეთის, სვანეთის, რაჭის ჩრდილოეთი მიდამოები შორეული ამოცანების ზონაში მოექცა.

თავად იმერეთის სამეფოს დაემუქრა უშუალო საფრთხე. სატირალია, რომ მის აცილებას, ერთი მეორეში მებრძოლი მხარეები, საფრთხის კერის გამოყენებით ცდილობდნენ. მათ ზვალინდულობას, დღევანდულობა ამჯობინეს. ამ პოლიტიკით შეიძლება იმ დროული შეღავათი მიეღოთ, მაგრამ საერთო მომავალი დაღუპეს.

1510 წ. თურქთა ჯარი იმერეთში (უკვე იმერეთში) შეიჭრა. მათ აიღეს და დაანგრეს ქუთაისი, რომელიც მონღოლებს, თემურ ლენგს გადაურჩა. უფრო დამაზიანებელი იყო თურქთა და მოკავშირეთა შემოსევები სამეფოს ჩრდილო-დასავლეთიდან. შემოსევა მეკობრულ ხასიათს ატარებდა. ზღვის სანაპირო ზოლში ძარცვავენ და ატყვევებდნენ



აფხაზეთიდან მოყოლებული გურიის ჩათვლით. გახშირდა ტყვედ წაყვანისა და თურქეთში მონებად გაყიდვის ფაქტები.

ითქვა, რომ 1523წ. ეგრისელები ადიღებთან ერთად დადიანის სარდლობით ებრძოდნენ ყირიმელ თათრებს. 1533 წ. დადიანთან ერთად გურიელიც იძულებულია გაილაშქროს მეკობრეების წინააღმდეგ. ეს ლაშქრობა მარცხით დამთავრდა.

იმერეთის მეფე ბაგრატე, ძირითადად თურქეთის შემოტევების მოგერიებით იყო დაკავებული. ამ ბრძოლების დროს იყო ფეოდალური შინააშლილობაც, ღალატიც და საბოლოო ანგარიშით დაიკარგა სამხრეთის მხარე. თურქებმა 1550-1551 წწ. ტაოს სივრცე მტკიცედ დაიკავეს და მთლიან სამცხეს დაემუქრნენ. ათაბაგი, ნაცვლად იმისა რომ მეფეს გვერდით დადგომოდა და ქვეყანა განაღვურებისაგან ეხსნა, ცდილობდა ფეოდალური მტრობა მეფე-მთავრებს შორის გაეძლიერებინა. არც მსხვილი თავადები აკლებდნენ ხელს ქვეყნის დაქცევის საქმეს. ამით თუქრეთს სამეფოს სრულ დამორჩილებას უადვილებდნენ.

1533 წელს ჩრდილოეთში ლაშქრობის დროს ოდიშის მთავარი მამია დადიანი დაიღუპა. მთავარი გახდა ლევან I (1533-1572 წწ.) მან საერთო მტრების წინააღმდეგ ბრძოლას და სამეფოს დაცვას, მეფისაგან დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა არჩია. მიზანსაც მიაღწია. ცნობის თანახმად, მან 1557 წ. თავი ხელმწიფედ გამოაცხადა. დადიანმა ოდიშის სამეფო შექმნა, სადაც ერთიანდებოდნენ ეგრები (აფხაზები) და მეგრები. აფხაზეთი ოდიშის სამეფო-სამთავროს განუყრელი ნაწილი იყო. მათ ისედაც აერთიანებდა საერთო ენა და კულტურა.

ოდიშის სამთავრო, ეგრები (აფხაზების) და მეგრების (მეგრელების) ერთობის პირობებში ძლიერ ერთეულს წარმოადგენდა. ამიტომ შეძლო სამთავრომ მეფის გავლენისაგან გათავისუფლება. საუკუნის ბოლოს ვითარება იცვლება... აფხაზეთის საერისთაო იწყებს გაძლიერებას და ბოლოს ცალკე სამთავროდ ყალიბდება. შარვაშიძეთა სახლეულობა სათავეში ჩაუდგა ახალ სამთავროს. (ახალს, რადგან ისტორიულად აფხაზეთში ორი სამთავრო იყო ძველად). სამთავროს გავლენის სფერო ცვალებადი იყო, რიგ შემთხვევებში პირობითი და ანაკოფიასა და მდ. კელასურს შორის მერყეობდა.

ახალი სამთავროს შექმნამ, ახალი პრობლემები გააჩინა. დასუსტდა



ოდიშის სამთავრო. შარვაშიძეები ფორმალურად ცნობდნენ დადიანთა უპირატესობას. ამავე დროს იყენებდნენ მთავარსა და იმერეთის მეფეს შორის არსებულ წინააღმდეგობას. ყველა ერთად კი იძულებული იყო ეცნოთ თურქეთის სიძლიერე და მძიმე ხარკი ეხადათ.

საერთო გაჭირვება-დამცირებამაც ვერ მოათვინიერა იმერეთის მეფე-მთავრები. მუღმივი ქიშპი და შიდა ომი ფიტავდა ისედაც დასუსტებულ მხარეს. ეს კი თურქეთს მათ დამორჩილებას უადვილებდა.

ოდიშის სამთავრო ძალზე ძლიერდება ლევან II (1620-1657 წწ) დადიანის დროს. იგი თავის გავლენას გურიისა და აფხაზეთის სამთავროებზეც ავრცელებს. დადიანმა გურიელს და მარიამი (მომავალი ქართლის დედოფალი) მიათხოვა და კავშირი განამტკიცა (დროებით). მეორე მხრივ, ითხოვა შარვაშიძის ასული და აფხაზეთთან ურთიერთობა მოაგვარა (დროებით). სამივე სამთავრო იმერთა მეფეს ოპოზიციამი ჩაუდგა და წარმატებასაც მიაღწიეს.

ლევან დადიანმა მალე დაარღვია მის მიერვე შექმნილი კოალიცია. სორეხ შარვაშიძის ასული, ეჭვიანობის ნიადაგზე, ორი ვაჟით, სიმამრს მიუბრუნდა. ამავე დროს, მოღალატურად დაესხა აფხაზეთს, გაძარცვა და ნადავლით დაბრუნდა.

მალე გურიელების ჯერი დადგა. დადიანის პოლიტიკით შეშფოთებული, იმერეთის მეფე, აფხაზეთისა და გურიის მთავრები, კოალიციას კრავენ. ლევან დადიანმა დაასწრო, გურიას დაეცა, დის ქმარი დაატყვევა, და კი უკან წაიყვანა.

გაძლიერებული დადიანი, უკვე აღარც მეფეს ინდობდა და არც სხვა მთავრებს. მან მეორედაც დალაშქრა და გაძარცვა აფხაზეთი. განსაკუთრებით აგრესიული გახდა იგი მას შემდეგ, რაც და მარიამი ქართლის მეფე-მმართველ როსტომს მიათხოვა.

როსტომ ქართლის მეფემ, ლევან დადიანის და მარიამი 1634 წ. (ზოგის დაანგარიშებით 1633 წ.) ითხოვა. ამ გზით ლევანი უკვე შაჰის ქვეშევრდომი და მოკავშირე გახდა. მალე მან იმერეთის მეფეც დაამარცხა და დაატყვევა.

ლევან დადიანი არა ცხრებოდა და მუღმივი შიშის ქვეშ ამყოფებდა მეფე-მთავრებს. რა ექნათ აფხაზეთს? არ ეცადათ დამოუკიდებლობის დაცვა? შერიგებოდნენ დადიანის დაუცხრომელ აგრესიას?



XVII ს. ოციანი წლებიდან აფხაზეთის მთავრები დიდი ოდენობით ქირაობენ ჩრდილო კავკასიელ მეომრებს და ჯერ თუ თავდაცვას უზრუნველყოფენ, შემდეგ შეტევაზეც გადადიან.

ჩრდილო კავკასიაში იმ დროს წამყვან სამხედრო ძალას ადიდი მეომრები წარმოადგენდნენ. თავისი ცხოვრების ნირის გამო, მათ სხვა სახსარი არა ჰქონდათ, თუ არა ნადირობა ან ავაზაკობა. ჟაკ ფრანსუა გამბას თქმით, XIX საუკუნეში ზღვისპირეთში, ისევე იყო გავრცელებული მეკობრეობა, როგორც სტრაბონის დროს. (ე.ი. 2000 წლის წინ).

შარვაშიძეებმა, მოწვეული, რეზიდენციის (სოფ. ლიხნის) მიდამოებში ჩასახლებული, ჩრდილო კავკასიელებისაგან ძლიერი სამხედრო შენაერთი შექმნეს და დადიანების მამულების აოხრება დაიწყო. ლევან II დადიანი, ხანგრძლივ ომში ჩაბმული იმერეთის მეფესთან, იძულებული გახდა აფხაზეთის მხრიდან თავდასხმების აღკვეთის მიზნით დიდი სასაზღვრო კედელი აეგო მდ. კელასურის გასწვრივ. ამ გზით დროებით შეაკავა მეკობრეთა თავდასხმები. ეს იყო ეგრებ-მეგრებს შორის კედლის აღმართვის მესამე ცდა. მხოლოდ ამჟამად მართლა კედელისა.

ლამბერტის დახასიათებით, მოწვეული ადიდები შემადლებულ ადგილებში ფაცხებს აგებდნენ, ამაგრებდნენ თავდაცვის მიზნით. უფრო ხშირად სხვებს ესხმოდნენ, ძარცვისა და გასაყიდი ტყვეების საშოვნელად.

იტალიელი ჯოვანი ჯულიანი ამ ხალხს აბაზას უწოდებს. მისი ცნობით ცხოვრების წესი ისეთივე აქვთ, როგორც ჩერქეზებს. იცვამენ ჩერქეზებივით, მითები და ლეგენდებიც ჩრდილოეთ კავკასიური აქვთ. ენა კი მეგრულ-სვანურისაგან განსხვავებული.

ცნობილი თურქი ქათიბ ჩელების დაკვირვებით ქალაქში ლაზები ცხოვრობენ, მთებში კი აფხაზები. ქათიბ ჩელები აფხაზებს, რომელნიც ქალაქებში ცხოვრობენ, ხელოსნობას, ვაჭრობას, სოფლის კულტურულ მეურნეობას მისდევენ, ლაზებს უწოდებს. ის სიღრმისეულად არ იცნობს აფხაზთა ისტორიას, ან შეიძლება იცის, რა აფხაზების კოლხიდელობა, კოლხების ლაზობა, აფხაზ-მეგრელების ეგრობ-მეგრობა, მიიჩნევს, რომ თავისი კულტურით, ენით, ცხოვრების წესით ისინი ლაზებია. რაც შეეხება მთებში მაცხოვრებლებს, ჩელები მათ აფხაზებს უწოდებს და







XIX საუკუნის დასაწყისში



მხედველობაში ჩამოსახლებული ჩრდილო კავკასიელები ჰყავს.

იმავე გამბას დახასიათებით „... ბევრმა აფხაზურმა ოჯახმა შემოინხა ქრისტიანობა. მათ წინაპრებად მეგრელები ითვლებიან“. (ჟაკ ფრანსუა გამბა. მოგზაურობა ამიერკავკასიაში. თბ. 1987 წ. გვ. 88). ეჭვს გარეშეა, გამბა, როდესაც აფხაზთა წინაპრებად მეგრელებს ასახელებს, მას მხედველობაში ეგრები ჰყავს და არა უკვე მეგრები. ეგროსი ეთნოსის ის ნაწილი, რომელიც ოდითგან სახლობდა იმ ტერიტორიაზე და რომელსაც სანამ აფხაზს დაარქმევდნენ, ერქვა კოლხი, იყო ლაზი, იყო, ეგროსელი. სხვანარი გაგება, გაუგებრობასთანაა დაკავშირებული. გამბას თქმით: „...აფხაზებს... წარმოდგენაც კი არა აქვთ ოქროსა და ვერცხლის მონეტების ღირებულებაზე, რომელთაც ისინი მრავლად პოულობენ თავიანთ მხარეში“. (იქვე.). ავტორს მხედველობაში აფხაზები რომ ჰყავდნენ, გამორიცხულია. აფხაზთა წინაპრები, ძვ.წ.ა. V-IV ათასწლეულებში მონაწილეობენ (სხვა ტომებთან ერთად) ძველი კოლხური ცივილიზაციის შექმნაში, არიან აიეტიის სამეფოს შვილები, მათ ქალაქებში სავაჭროდ თავს 70 ტომის წარმომადგენლები იყრიან და ათასი სხვა რამ, გამბას მოგზაურობის პერიოდისათვის, ივიწყებენ ძველ კულტურას, ტრადიციებს, რელიგურობას და ისეთ დაბალ დონეზე ეშვებიან, რომ ოქროს მონეტების ღირსების წარმოდგენაც არა აქვთ? ხომ უცნაური გარდაქმნა?

ეგება ნათქვამის გაგების გასაღები, თავად იმ პირობა დახასიათება-შეა, რომლებსაც გამბა აფხაზებს და მეკობრეებს უწოდებს და განასხვავებს წარჩინებულთა წრისაგან. აი წარჩინებულთა დახასიათებაც: „თავადები... მაღალი ტანისანი, ღონიერები იყვნენ და კარგი გარეგნობა ჰქონდათ, გეგონებოდათ, სხვა წარმოშობისანი არიანო“. (იქვე, გვ. 90).

აი, გასაღებიც: „ამ ხალხის სალაპარაკო დიალექტს... არავითარი კავშირი არა აქვს მეზობელი ჩერქეზების დიალექტთან“ (იქვე, გვ. 91).

თუ წინა განზრახულობის გარეშე განიხილება ამ უცხოელთა ნაზრევი, დასკვნის გაკეთებაც არ გაჭირდება.

განსაკუთრებით მრავალმხრივი გასაზრებელია, მოაზროვნე თურქი ევლია ჩელების გამონათქვამები. იმ ავბედით პერიოდში, XVII ს. ორმოციან წლებში იმოგზაურა მან აფხაზეთის მხარეში. მხოლოდ დაკვირვებანი კი არ ხდის მას დიდ პიროვნებად. სიტყვები: მშიშარათა



ვაჟაკობა მზაკრობაა. (მისი „მოგზაურობის წიგნი“, ნაკვ. I, თბ., 1971, გვ. 81). განა დასაფიქრებელი არაა, მისი აღიარება: ტრაპიზონის სახელება: ქალაქი ქვემო ბათუმი, „ლაზიკის ქალაქი“ (იქვე, გვ.81 და 82)).

ამ შემთხვევაში, ყველაზე უფრო ღირებულია აფხაზების, (მუსულმანები ხშირად აფხაზებს აბაზას ეძახდნენ. შეიძლება თათრული აბაზას ტომის სახელწოდებასთან სიახლოვის, გამო) განსახლების ისტორიული საზღვრები. ევლია ჩელები ასე აღწერს. „აბაზას ქვეყნის დასაწყისია მდინარე ფაშა და საზღვრის დასასრულია დასავლეთით ორმოცდარი დღის სავალზე კაფას ვილაიეთის მფლობელობაში მყოფი ტამანის ნახევარკუნძულის ახლოს მდებარე ანაპის ციხის ნავსადგური“ (იქვე, გვ 97).

ანაპა, აფხაზების, როგორც ჩელები ამბობს, აბაზას ციხეა. „ციხე დგას კონცხზე, რომელიც აბაზებსა და ჩერქეზებს შორის საზღვარზე მდებარეობს“ (იქვე, გვ. 108). ყოველგვარი კომენტარი ზედმეტია. დიდი ევლია ჩელები, გარკვევით ასხვავებს აფხაზებს (აბაზებს, როგორც იგი ეძახის) ჩერქეზებისაგან. აფხაზები და აღილები (ჩერქეზები) რომ ერთი მოდგმის ტომები, ერთი ეთნოსი ყოფილიყვნენ, ბრძენს კი არა უბრალო გამლელსაც არ შეეშლებოდა.

ციხის ჩრდილოეთ, აგრძელებს ევლია, ანაპის მთებია. „...შავი ზღვით აზოვისაკენ მიმავალი გემები ამ მთებს ჩაუვლიან. დიდი მთებია“ (იქვე, გვ. 109). დიდი მთებია, პირდაპირ ზღვასთან. ახლა წამკითხველმა ინებოს და გაიხსენოს სულმნათი ლეონტი მროველის ნათქვამი თუ სადაა ეგრისელთა ჩრდილოეთი საზღვარი, სად „წარსწუთლების“ კაკასიონი და დის მდინარე მცირისა ხაზარეთისა. ეგება ევლია ჩელების ნათქვამმა დაუსვას წერტილი აზრთა სხვაობას.

კიდევ ერთი დაკვირვება, რომელსაც ბევრი დასკვნა ახლავს. ჩელები, აფხაზებში „ჩაჩებს“ გამოყოფოს. ვინ არიან ჩაჩები? თითქოს უმნიშვნელო საკითხია. მთლიანობაში აფხაზებს აბაზას ეძახიან მუსულმანები. მათში „ჩაჩების“ ტომიც ყოფილა. მათთვის დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო ის, რომ ორ ენაზე მეტყველებდნენ. აბაზურად, რაც ეტყობა ზოგად ურთიერთობაში იქნებოდა მიღებული და უმთავრესი: ჩვეულებრივად, შინაურულად „...ერთმანეთში მეგრულადაც ლაპარა-



კობენ“ (გვ. 100).

ველია ჩელები მოგზაური იყო, მაგრამ ჰქონდა თუ არა აფხაზების ისტორიის ყოველმხრივი ცოდნა? საეჭვოა, რადგან დღესაც არაა ეს ისტორია საიმედოდ გამოკვლეული. დღესაც არ იციან, თუ არ ამბობენ რა ენაზე მეტყველებდნენ ეგროსელების, კოლხიდელების, ეგროსელების, ლაზების და რაც მთავარია აფხაზების დროს. ეს საკითხთა საკითხებია, რომელთაც პოლიტიკურად ანგაჟირებული მკვლევარები არ მოაკლდება.

ველია ჩელები კი აგრძელებს: ერთმანეთში მეგრულადაც ლაპარაკობენ „...რადგანაც მდინარე ფაშას გაღმა მხარე მთლიანად სამეგრელოა“ (იქვე, გვ. 100). თითქოს გაკვრითაა უწყინარი ფაქტი აღნიშნული. მკვლევარებში მდინარე ფაშა აზრთა სხვაობას იწვევს. თუ მდინარე ფაშა აფხაზებსა და მეგრელებს შორის (ეგრებსა და მეგრებს შორის) საზღვარი, მაშინ პრინციპული მნიშვნელობა აქვს მის გეგრაფიულ განსაზღვრას. სადაა ეს მდინარე? ქართველ მკვლევართა შორის გამოქმულია აზრი, რომ ფაშას მდინარე რიონია. ისტორიკოსი, რომელიც აფხაზებსა და მეგრელებს (ეგრებსა და მეგრებს) შორის სასაზღვრო მდინარედ რიონს ასახელებს, უბრალოდ ტყემალზე ზის.

ვარაუდის სახით უნდა ითქვას, რომ ფაშას მდინარე კელასურია. მდ. კელასური წარმოადგენდა საზღვარს ეგრებსა და მეგრებს შორის ჯერ კიდევ ფარნავაზის დროს, როდესაც იყო პირველი, პოლიტიკური კედლის აგების მცდელობა ეთნოსის ორ ნაწილს შორის. მდ. კელასური წარმოადგენდა წყალგამყოფს აფხაზებსა და მეგრელებს შორის, ეგრებსა და მეგრებს შორის, ვახტანგ გორგასალის დროსაც.

ბოლო მესამე მცდელობა კედლის აგებისა და ეგროსელების საბოლოო გაყოფისა იყო ლევან II დადიანის დროს. უბრალო კითხვა: ვის დასაცავად და ვისგან დასაცავად ააგო მდ. კელასურის გასწვრივ, უკვე ნამდვილი კედელი ლევან დადიანმა? რა, აფხაზებს იცავდა იგი შარვაშიძის მიერ დაქრავებული ჩრდილოელებისაგან თუ მეგრელებს? განმარტება ზედმეტია.

და, აი დიდი ველია ჩელები ბრძანებს, მდ. კელასურს ჩრდილოეთით მაცხოვრებლები, „ჩაჩები“ ერთი-მეორეში მეგრულადაც ლაპარაკობენო. „ჩაჩები“ ვინ არიან? თუ იგი მეგრელებს გულისხმობს, მაშინ არ იტყოდა, „...ფაშას გაღმა მხარე მთლიანად სამეგრელოა,“ არამედ



იმერეთის მეფე  
ალექსანდრე III



სამეგრელოს მთავარი ლევან  
II დადიანი და იმერეთის მეფე  
ალექსანდრე III



იმერეთის მეფე არჩილ II,  
ქართლის მეფის, ვახტანგ  
V ვაჟი.



სეტემან შარვაშიძე,  
ლევან II დადიანის  
ყოფილი სიძემრი



იტყოდა, გადმა სულ „ჩაჩები“ ცხოვრობენო, თუ იგი „ჩაჩებში“ არა მეგრელებს გულისხმობდა, ნიშნავს აფხაზებში (აბაზებში) ასხვავებდა „ჩაჩებს“ — მეგრულად მოსაუბრეთ და არა მეგრულად მოსაუბრეთ. მეგრული ენა, პირობითად ნათქვამია, რადგან როგორი იყო აფხაზური (ეგრული), რით განსხვავდებოდა მეგრების ენისაგან, უცნობია. უფრო ზუსტად საკითხი განუხილველია. ამ პრობლემატიკის მეცნიერული მხარე პოლიტიკის მხრებზე დგას.

დამატებით, მცირე გადახვევა. ევლია ჩელების თქმით, აბაზას ქვეყანაში (აფხაზეთში) ცხოვრობენ ჩაჩები, არლანები, ჩანლები, გეჩიები. ჯერ ერთი, დღეს სახელდებული აფსუები არ ჩანან. მეორეც, არსებობს ამ ტომთა თუ სოციალურ ჯგუფთა გასაგები დახასიათება? არა და აფხაზი სახელოვანი მკვლევარები ოცი-ორმოცი საუკუნის აფხაზურ-ადილეური ერთობის პრობლემატიკას „აკონკრეტებენ“ და ახალს გვერდს უვლიან. რატომ?

და საერთოდაც. ენა, რომელიც დღევანდელ მეგრელებს აქვთ, განა ეგრისული არაა? ის ენა, რომლის მატარებელი ეგრები დღეს აფხაზებად იწოდებიან და უცხოთაგან შეძენილ ენაზე მეტყველებენ, განა ეგრისელები არ არიან?

ყოველივე ნათქვამი ასე თუ ისე ლევან II დადიანთანაა კავშირში. რომ არა მისი აგრესიულობა, შარვაშიძეები, და მათთან აფხაზები, არ ეცდებოდნენ საპირწონე ძალის მოხმობას. როცა მას დიდს უწოდებენ, საინტერესოა რა დამსახურებისათვის?

ლევან დადიანს (სიკვდილის 1657 წ.) შემდეგ მემკვიდრე არ დარჩენია. არსებული ცნობის თანახმად, ორი ვაჟი, აფხაზ ცოლს გააყოლა. მისი მემკვიდრეობისათვის ატყდა ფეოდალური შუღლი. გაიმარჯვა ვამიე ლიპარტიამ. იგი მთავარი იყო 1661 წლამდე. მან მოახერხა და აფხაზეთზე გავლენა აღიდგინა. შარვაშიძეებს მტერობა ჰქონდათ არა საერთოდ მეგრებთან ან დადიანებთან. არამედ მთავარ ლევანთან. ვამიე კი ლევანის მამის ძმის, გიორგის, ვაჟი იყო და ისევე დამცირებული ბიძისშვილისაგან, როგორც შარვაშიძე. (ლევან დადიანმა გაუშვა რა შარვაშიძეების ქალი) მამის ძმა გიორგის წაართვა ცოლი. ასეთი „საგმირო“ საქმეთა ჩამდენი იყო). ამ ნიადაგზე, ვამიე დადიანისა და შარვაშიძეთა კავშირი შესაძლებელი გახდა.



ვამიყს გადადიანებაში ალექსანდრე იმერთა მეფე წაეხმარა. ამავე დროს, მეფემ ლევან დადიანის მიერ მიტაცებული დაიბრუნა.

მოხდა ისე, რომ ალექსანდრე მეფე 1660 წ. გარდაიცვალა და ტახტი მისმა ძე ბაგრატმა დაიკავა. ალექსანდრეს ასევე დარჩა ქერივი დედოფალი დარეჯანი. დედოფალმა გერ მეფეს ძმის, დავითის ასული ქეთევანი შერთო და გავლენა განიშტკიცა. ესაც არ იკმარა. მოუსვენარი მამის (კახეთის მეფე თეიმურაზ I) ქალიშვილი იყო და თავადაც ასეთი. ჯერ იყო და თეიმურაზ მეფემ იგი არაგვის ცნობილ ერისთავ ზურაბს მიათხოვა. ერისთავი დაიახლოვა მეფემ და მისი დახმარებით გორგი სააკაძე მოიშორა. შემდეგ, გამედიდებული სიძე ზურაბი, ქალიშვილის დახმარებით მოაშორა წუთისოფელს. დაქვრივებული ქალიშვილი კი იმერეთის მეფე ალექსანდრეს მიათხოვა. ამასობაში ქალიშვილი დარეჯანი გამოიწრთო და როცა ალექსანდრე მეფე გარდაიცვალა, მეორედ დაქვრივებულმა, მესამე ქმარი დაიყენა გვერდით და მეფე ბაგრატი, გერი და ძმისშვილის ქმარი, გადააყენა, დააბრმავა და თავად გამეფდა. იმერეთის თავადთა ნაწილმა ეს მდგომარეობა არ იგუა და მოინდომა მის მაგიერ ვამიყ დადიანი მიეწვია.

დიდებულთა მეორე ნაწილმა, იმერეთის ტახტი, ქართლის მეფე-გამეგებელ, ვახტანგ შაჰნავაზს შესთავაზა. ვახტანგი ჯვართ გადავიდა იმერეთში, ვამიყი განდევნა და მისი რეზიდენცია ზუგდიდში დაიკავა. ვახტანგ მეფეს იქ მორჩილების ნიშნად ეახლა აფხაზეთის მთავარი. მოხდა შეთანხმება. აფხაზეთის სამთავრო ცნობდა მეფის ჰეგემონობას.

შაჰნავაზმა კიდევ ერთი სამშვიდობო ნაბიჯი გადადგა. დადიანის ტახტზე დასვა შამადავლე (ლევან II ძმისწული). ამავე დროს, ცოლად შერთო თავისი ძმის ასული, სილამაზით განთქმული თამარი.

თამართანაა დაკავშირებული იმერეთის უსინათლო მეფე ბაგრატის, ლევან III დადიანისა და გორგი გურიელის, მთელი ოცწლიანი ურთიერთ შუღლი და გაუტანლობა. ქალის გულისათვის მეფე მთავრები არც ერთი-მეორეს ინდობდნენ და ქვეყანასაც ვნებდნენ.

ლამაზი ქალი, დიახაც რომ სასიამოვნო სანახავია, მაგრამ, როცა უსინათლო კაცი, მით უფრო ქვეყნისთვის მზრუნველი მეფე, ცოლს გაეყრება და ცოლის დას დაუწყებს დევნას, მის ხელში ჩასაგდებად არ დაინდობს არაგვის, ცოტა უცნაურია. მოსწრებული თავკამია: თვალი





კახეთის მეფე თეიმურაზ I და დედოფალი ხორეშან



იმერეთის დედოფალი დარეჯან თეიმურაზის ასული



კახეთის მეფე თეიმურაზ I ვაჟი დავით ბატონიშვილი



ქართლის მეფე როსტომი



**გიორგი III გურიელი, ერთ ხანს იმერეთის ტახტის მპყრობელი.**

სვამს და თვალი ჭამს. მაგრამ, როცა ვერ ხედავს რას სვამს და ჭამს, ზომ უნდა ჭკუას მოეგოს თუ ის აღამიანია.

აფხაზთა მთავრებმა კი აღიარეს შაჰნავაზის ქვეშევრდომად თავი, მაგრამ მოვლენების განვითარებამ მათ დამოუკიდებელი მოქმედების მიზანშეწონილობა უკარნახა. რამდენადაც მეფე, გურიელი და დადიანი არ ინდობდნენ ერთი-მეორეს, აწიოკებდნენ ქალის გულისათვის, მოსახლეობას ატყვევებდნენ და თურქებზე ყიდდნენ, შარვაშიძეებს (აფხაზებს) მორალურ-პოლიტიკური შეზღუდვები მოეხსნათ. ისინი შეტევაზე გადავიდნენ და დადიანების (მეგრები) მამულები

მიისაკუთრეს. საუკუნის ბოლოს ოდიშისა და აფხაზეთის საზღვარმა მდ. ენგურამდე გადაიწია.

XVIII ს. პირველი ნახევარი, ლიხს-იმეერ მხარეში, ტრადიციულად მეფე-მთავრების შინაომით და ქვეყნის საერთო აოხრებით ხასიათდება. ყველანი ერთად კი თურქების მორჩილები და ნების აღმსრულებლები იყვნენ. რამდენადაც ყველაზე ძლიერ და აგრესიულ ერთეულად სადადიანი ითვლებოდა, ბრძოლის მთელი შესაძლებლობაც მის წინააღმდეგ იყო მიმართული. ამან იმდენად დაასუსტა სამთავრო, რომ 1681 წ. სარვარეს შარვაშიძემ მოინდომა დადიანობა და მიზანსაც მიაღწია მოკლე დროით. (ამ ფაქტთან კავშირში საინტერესოა, ვინ იყო ეს შარვაშიძე. ზომ არ შეიძლება იგი ლევან II დადიანის ჩამომავალი ყოფილიყო? თუ ლევანმა თავისი ორი ვაჟი, განშორებულ აფხაზ მეუღლეს გააყოლა, შესაძლებელია ვარაუდი, რომელიმე მათგანს ან მემკვიდრეს მოენდომებინა დადიანობა).



ლევან II დადიანი



ლევან II ცოლყოფილი  
თანური, სეტემს შარვაშიძის  
ასული.



ლევან II დადიანის და,  
მარიაში, სიმონ გურიელის  
ცოლყოფილი, ქართლის დედო-  
ფალი, როსტომ მეფის მეუღლე.



სიმონ გურიელი, მარიაშ  
ქართლის დედოფლის  
ქმარყოფილი



XVIII ს. პირველი ნახევარი თურქთა ბატონობის გაძლიერებით ხასიათდება ლიხს დასავლეთი მხარის სამეფო-სამთავროებში. ეს პროცესი განსაკუთრებით აფხაზეთის სამთავროში გამოიკვეთა. შარვაშიძეებმა ვერ გაუძლეს თურქთა, ადიღთა, ყირიმელ თათართა ძალადობას. დაიწყო ისლამიზაციის პროცესი.

ჩამოსახლებულები ჯგუფებად სახლობდნენ, ადგილობრივებს დიდ ანგარიშს არ უწევდნენ (მეორეხარისხოვნად მიიჩნევდნენ) და ჩვეულ ცხოვრებას აგრძელებდნენ. ტრადიციულად, ისინი მონადირენი, მესაქონლენი და მეკობრენი იყვნენ. დაკავებული ადგილები მათგან ვეღურდებოდა.

აფხაზები ძველი მიწათმოქმედნი, ხელოსნები, ცივილიზებული ურთიერთობას მიჩვეულნი, მომთაბარე-მეკობრეობას ძნელად ეგუებოდნენ. მათ შორის იყო დიდი კულტურულ-სულიერი სხვაობა. ამიტომ ასიმილაციის ტემპი ძალზე დაბალი. აფხაზები მშობლიურ-ეგრისულად მეტყველებდნენ. (ზოგ დამკვირვებელს ეს მეგრულად წარმოედგინა), ჩამოსახლებულები კი თავის მშობლიურ ადიღურად.

აფხაზები დიდი ხნის ქრისტიანები იყვნენ. საკმარისია მითითება მათ მხარეში, ანდრია პირველწოდებულის, სიმონ კანანელის, მატათას, მოღვაწეობის შესახებ. არც ის უნდა იქნას დავიწყებული, რომ ღვთის მსახურება ეგრებისათვის შედარებით გასაგებ ქართუს ენაზე წარმოებდა და მისაღები იყო მოსახლეობისათვის. ამიტომ თურქეთის მძლავრობის დროსაც იშვიათი იყო აფხაზთა გამუსულმანების ფაქტები.

სხვა სურათი იხატებოდა ჩამოსახლებულთა შორის. ისინი ძირითადად წარმართები იყვნენ და თუ ჰქონდა ადგილი გაქრისტიანების ფაქტს, ძირითადი მასა ისლამისკენ იხრებოდა. ძალა და პოლიტიკური ვითარება კარნახობდა ამის აუცილებლობას. ამასთან, საინტერესოა უცხოელი დამკვირვებელთა დასკვნა, რომ ეს ისლამისტები „ყურანს“ არ იცნობენ და მის მოთხოვნებსაც წესისამებრ არ აღსრულებენო.

XVIII ს. მანძილზე აფხაზეთი მძიმე წნეხის ქვეშ იმყოფებოდა. იმერთა მხარეში თუ მძლავრობდა თურქეთი, მისი ბატონობის დონე უფრო მეტი იყო აფხაზთა სამთავროზე. გარდა თურქული გარნიზონებისა, ხარკისა, გამუსულმანებისა, საშინელებას ემსგავსებოდა ტყვეთა მოპოვებისა და გაყიდვის წესი. ამას ემატებოდა ჩრდილო კავკასიელთა



ნაკლებკულტურული მასების დამკვიდრება. იყო ნათქვამი, რომ მათი ცხოვრების წესი რადიკალურად განსხვავებული იყო აფხაზურისაგან. ძირითადი საქმიანობა: მესაქონლეობა, მონადირეობა, მეკობრეობა, ქურდობისა და ავაზაკობის მასობრივ გავრცელებას უწყობდა ხელს. ყოველივეს შედეგად მოსდევდა, ერთ დროს კულტურული აფხაზი ეთნოსის დეგრადაცია.

დღევანდელ აფხაზ მკვლევარებს უყვართ გახსენება დიდებული წარსულისა. არგონავტების პერიოდიდან მოყოლებული, არაერთ ისტორიულ-ლიტერატურულ წყაროშია მოხსენიებული აფხაზთა პოლიტიკური ცხოვრების მაღალი დონე, სულიერ-კულტურული მიღწევები, სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობანი უცხო ქვეყნებთან. ასეთი წარსულით ნებისმიერი ეთნოსი მოიწონებდა თავს. ამავე დროს წყაროები არ მაღავენ XVI-XVIII საუკუნეებში არსებულ, რადიკალურად შეცვლილ ვითარებას. სამწუხაროდ, ამ ორი განსხვავებული ვითარების ობიექტური შეფასება, ბევრს არ აწყობს. ამიტომ, გამორჩეულად ჩანს, ბატონ სიმონ ბასარიას პირუთვნელი ნათქვამი, რომ თურქეთის ოთხსწლოვანი ბატონობის შედეგია ყოველივე (С. П. Басария "Избранные сочинения", Сухуми, 1967, ст. 20). აქვე უნდა მიეთითოს ბატონ გიორგი ძიძარიას დიდ დამსახურებაზე. მან დააღაგა და ხატოვნად ითქმის, გაასალაშინა მთელი მასალა. საერთოდაც, გადაჭარებების გარეშე: ძველი ავტორების ნააზრევის ღრმა შესწავლის გარეშე, ახლების ბევრი დებულება ჰაერში გამოკიდებული რჩება. არა და, ვინც ახლოს იცნობდა ბატონ გ. ძიძარიას, შრომისმოყვარე, საკითხებში ჩაღრმავებულ პიროვნებას, დაეთანხმება, რომ ასეთები უადრესად კულტურული ეთნოსის აღზრდილებია და არა მომთაბარე – მეკობრეებისა.

ბევრი მკვლევარისაგან განსხვავებით, ბატონი ს. ბასარია სამეტყველო ენასაც ეხება და მიუთითებს, რომ აფხაზური განსხვავდება აბაზურისაგან. კიდევ უფრო შესამჩნევია სხვაობა აბაზურსა და ბზიფის დიალექტზე მოლაპარაკეთა შორის. აბაზურში არაა ის ბგერები, რაც ბზიფის დიალექტს ახასიათებს (იქვე, გვ. 86).

ბატონი ს. ბასარია თავისებურად ხსნის ენობრივ-ტომობრივ სხვაობას და ასკვნის, რომ მონღოლთა შემოსევების დროს (საკუთრივ



აფხაზეთში მონღოლები არ შესულან), ჩრდილო კავკასიიდან ბევრი ჩაუსახლდა აფხაზეთში. უფრო მეტი, არის მტკიცებულება, რომ აბაზები ყოველთვის ჩრდილო კავკასიაში სახლობდნენ და მათ მონათესავენი არიან აფხაზეთში ჩასახლებულები (გვ. 94-95). მცდარი დასკვნების საფუძველი არ უნდა გახდეს ის ფაქტი, რომ დიდი გვალვების გამო სამურზაყანოდან ჩრდილო კავკასიაში ბევრი ჩამოსული უკან გადასახლდა. (გვ. 97).

ბატონ ს. ბასარიას დებულებები მოტანილია, რათა აღდგეს წარსულის ვითარება და გააზრებული იქნეს, ის სურათი დეგრადაციისა, რაც თურქთა და ჩრდილო კავკასიელთა შესევა-გაბატონებას მოჰყვა აფხაზეთში. თუ, ზოგი წყარო არ აცალკევებს ეთნიურ ჯგუფებს, ერთიმეორეში ურევს სახელებს, ეს არ უნდა გახდეს მცდარი დასკვნების საფუძველი... ვთქვათ: როცა ცნობილი ქათბი ჩელები ზღვის სანაპიროზე და ქალაქებში მაცხოვრებელ აფხაზებს უწოდებს ლაზებს, ხოლო მთებში მაცხოვრებელ ჩამოსახლებულებს აფხაზებს ეძახის, საჭიროა განმარტება. იგივე ქათბი ჩელები მიიჩნევს, რომ მთებში მაცხოვრებელი აფხაზები ჩერქეზებია (ჩერქეზებს ადიღეური წარმომავლების ტომებს ეძახდნენ). ან ჯოვანი ჯულიანი, როცა ამბობს რომ აფხაზები ისე ცხოვრობენ, იცვამენ, როგორც ჩერქეზები, მითები და ლეგენდებიც ჩრდილო კავკასიური აქვთ, ენა კი მეგრებისაგან განსხვავებული, ცხადია გულისხმობს ჩამოსახლებულ ჩრდილო კავკასიელებს.

ბატონი გიორგი ანჩაბაძის მოწმობით, რუსული ისტორიული წყაროები XVII-XIX საუკუნეებში აფხაზებს აბაზებად მოიხსენიებდნენ. ქართველების გავლენით ბოლოს დამკვიდრდა ტერმინი აფხაზი. და თუ ეს ასეა, მით უფრო აუცილებელია იმის გარკვევა, აფხაზეთის მოსახლეობის რომელი ნაწილი იცვლის ენობრივ-სულიერ-კულტურულ რაობას, კულტურული მეურნეობიდან უბრუნდება მეჯოგეობას, მისდევს მეკობრეობას და ა.შ. ასევე, როდესაც ანთროპოლოგ-გენოგრაფები მსჯელობენ აფხაზებს შორის არსებულ ტიპებზე, გენურ მონაცემებზე და ამტკიცებენ, დიდი ნაწილის სიახლოვეს აჭარელ-მეგრელ მოსახლეობასთან და მცირე ნაწილის ასევე ადიღეურ ტომებთან სიახლოვეს, საჭიროა იმის გარკვევა-ახსნა, რას უნდა გამოეწივა ასეთი სხვაობა.



XVIII ს. მეორე ნახევარი იმერეთის სამეფოს გარკვეული მომ-  
ძლავრებით ხასიათდება. იგივე არ ითქმის აფხაზეთის სამთავროზე.

შარვაშიძეთა სახლობამ, აფხაზეთის სამთავრო, ჯერ კიდევ XVII ს. ბოლოს გაპყო გავლენის სფეროებად. როსტომ შარვაშიძეს ერგო მდინარეების ბზიფსა და კოდორს შორის არსებული ტერიტორია. ჯიქეშიას შეხვდა მდინარეების კოდორსა და ღალიძგას შორის, ხოლო ყვაპუს ღალიძგიდან მდ. ენგურამდე.

კუთვნილ მამულში ყვაპუმ ერთგული დაცვაც წაიყვანა და მხარ-  
დამჭერი თავადებიც: ანჩაბაძეები, ემხვარები, მარღანიები, ზვანბაიები,  
ლაკერბაიები, აკირთავენი, ინალიშვილები. (ამ თავად ინალიშვილთა  
ჩამომავალია ცნობილი აფხაზი მკვლევარი შ. ინალ-იფა).

ყვაპუ შარვაშიძის მემკვიდრე მურზაყანი ჭკვიანი პოლიტიკოსი  
და შესანიშნავი მეურნე ყოფილა. შემორჩენილი ცნობების თანახმად,  
მან აკრძალა ტყვის სყიდვა, დაამშვიდა მოსახლეობა, ხელი შეუწყო  
მეურნეობის მოღონიერებას. მაღლიერმა მოსახლეობამ, საპატესაც-  
ემოდ, მხარეს სამურზაყანო უწოდა. მოსახლეობის (გლეხობის)  
ძირითადი ნაწილი კი მეგრები იყვნენ. ეგრების (აფხაზების) თავადური  
ბატონობა, მეგრებს (მეგრელებს) შორის, ენობრივ და ადათ-წესების  
მხრივ სხვაობას არ შეიცავდა და არც მურზაყან შარვაშიძე ყოფილა  
უცხო დამპყრობი. (კიდევ ერთხელ გასახსენებელია, რომ XIII ს.  
ბოლომდე მაინც, მთელ ლიხს-დასავლეთ (იმიერ) მხარეს აფხაზეთს  
უწოდებდნენ. ეს მხოლოდ სახელწოდება კი არ იყო. მოსახლეობის  
დიდი უმრავლესობა აფხაზებს (ეგრებს-მეგრებს) წარმოადგენდნენ.  
ქართველი ისტორიული წყარო, ცნობილ ცოტნე დადიანს, ბედიანს და  
სავარაუდოდ სხვებსაც, აფხაზებს უწოდებდა.

XIX ს. დასაწყისიდან, რუსეთი მტკიცედ იკავებს ყოფილი აფხა-  
ზეთ-ქართველთა სამეფოს ტერიტორიას.

1803 წ. ქელეშბეი შარვაშიძემ, სცადა მოლაპარაკების გზით, რუ-  
სეთთან ურთიერთობის მოგვარება. მისი სამფლობელო მოიცავდა შავი  
ზღვისპირა სივრცეს, ჩრდილოეთით ხოსტის ჩათვლით. რუსეთს კი,  
პირველ რიგში ზღვისპირეთი აინტერესებდა, ზღვაზე ბატონობისათვის.  
ცნობის თანახმად, ორი წლის შემდეგ მოხდა აფხაზ-რუსების პირველი  
სერიოზული კონფლიქტი და შედეგად ანაკლიის ციხე-სიმაგრე იქნა



დაკარგული. ამ კონფლიქტის დროს, რუსეთმა მხედველობაში მიიღო ის ფაქტი, რომ სამურზაყანო სამეგრელოს (ყოფილი ოდიშის) სამთავროს მფლობელობაში იყო. ლოგიკურია, რომ რუსეთი შესაძლებლობას არ დაკარგავდა, რათა ეს მხარე, (სამეგრელოს ნაწილის სახით) თავის მფლობელობაში მოექცია. აფხაზებს რა შეეძლოთ? და აი, 1818 წ. მთავარმა გიორგი შარვაშიძემ სამურზაყანო სამეგრელოს ნაწილად ცნო. უნდა ითქვას, რომ ცნობა იყო იძულებითი და ორ სამთავროს შორის დავა ამ ტერიტორიის გამო არ დამთავრებულა, შეჩერდა.

უკვე მომწიფებული იყო მთელი აფხაზეთის დაპყრობის საკითხი და რუსეთს შესრულება არ დაუყოვნებია. თავად აფხაზებმა (შარვაშიძეთა სახლეულობამ) შეუწყვეს ხელი რუსების მოქმედებას.

ვერ კიდევ 1808 წ. მოკლეს ქეღუშბეი შარვაშიძე, მისი ვაჟის, ასლანბეის მომხრეებმა. მკვლელობას პოლიტიკური საფუძველი ჰქონდა. მთავარი ქეღუშბეი, ჩრდილოეთ აფხაზეთში, ზოსტამდე ტერიტორიებს ფლობდა. იმის მიხედვით, ვის ორიენტაციას აიღებდა მთავარი, ზღვისპირეთი რუსეთს ან თურქეთს დარჩებოდა. ისიც ცნობილი იყო, რომ მთავარს თავისი საქმის გამგრძელებლად უმცროსი ვაჟი საფარბეი – გიორგი ჰყავდა შერჩეული. არც ის იყო დამალული, რომ გიორგი რუსეთისაკენ იხრებოდა. თურქეთის ორიენტაციის ძალებმა დაასწრეს და ასლანბეის თანხმობით, მისი მამა მოკლეს.

ასლანბეი გახდა რა მთავარი, თურქეთის პოზიციების გაძლიერება დაიწყო. რუსეთის ორიენტაციის არისტოკრატიას საფრთხე დაემუქრა. მაშინ გიორგი (საფარბეი) შარვაშიძემ რუსეთს დახმარება სთხოვა. გასაგებია, რომ ზღვაზე ბატონობის მოსურნე რუსეთს, დიდი ზეგნა არ დასჭირვებია. 1810 წ. აფხაზეთი რუსეთის შემადგენლობაში გაერთიანდა ავტონომიის უფლებით.

ასლანბეი თავისი მომხრეებით თურქეთში გადაიხვეწა.

რუსეთის იმპერიის გაცხადებული პოლიტიკა, მიზნად ისახავდა ზღვისპირა მხარის გათავისუფლებას ადგილობრივი მოსახლეობისაგან. სხვანაირად პეტრე დიდის ანდერძი ვერ განხორციელდებოდა, თბილი წყლები (ზღვა, ოკეანე) რუსული ვერ გახდებოდა. ამიტომ იყო, რომ მდ. დონის აზოვის ზღვასთან შეერთების ადგილიდან მოყოლებული, ყველგან სანაპირო ზოლში კახაკებს ასახლებდნენ. ასე გაჩნდა დონის კახაკთა





დასახლებები, ამავე მეთოდით ყუბანის კაზაკობა. ჯერი აფხაზეთზე მიდგა.

დაფარული როდია ინფორმაცია, რომლის მიხედვით, იმპერიის მესვეურები ახორციელებდნენ აფხაზეთის ტერიტორიის წმენდას. ამასთან, გამოთავისუფლებულ მხარეში ჩასახლება შეეძლო ყველას, მეგრების გარდა. იმ დროს რუსები ჯერ კიდევ ასხვავებდნენ აფხაზებს და ადიღაზებს, ჯერ კიდევ მიაჩნდათ ეგრები (აფხაზები) და მეგრები (მეგრელები) ერთი ეთნოსის განაყარად. ბუნებრივია, ვითარებაში, როცა მიზანი იყო ეგრებ-მეგრებს დაშორება, როცა მეგრებს ქართველებად მიიჩვედნენ, მათი აფხაზეთში ჩასახლება (იქ მეგრები ისედაც ბევრი იყვნენ) არასასურველი ფაქტი გახდებოდა. ვინც გნებავთ: სომეხი, ესტონელი, გერმანელი, ბერძენი თუ სხვა, მთავარი იყო კაზაკობა ჩასახლებულიყო დიდი ოდენობით და მეგრები გამორიცხულიყვნენ.

მიზანმიმართული პოლიტიკის განხორციელებით, იმპერიამ მოახერხა აფხაზეთის დაცლა აფხაზებისაგან. საბაბი, ადგილობრივი მოსახლეობისაგან წმენდისა, არ დაიღია. ზუსტი ციფრი დაუდგენელია, რამდენი ათასი აფხაზი ან აფხაზეთში აღრე ჩამოსახლებული იქნა განდევნილი და თუქრეთში გასახლებული. განსაკუთრებით საკითხით დაინტერესებულს, მხოლოდ რჩევა: ვისაც სურს ჭეშმარიტებასთან მიახლოება, მისთვის არსებობს ბატონ გ. ა. ძიძარას ნაშრომში მუჰაჯირობის შესახებ. (Г.А. Дзидзария, “Махаджирство и проблемы истории Абхазии XIX столетия” Сухуми, 1982). შეიძლება ორიენტირად კიდევ გამოდგეს ასეთი მონაცემი: აფხაზეთში (ადმინისტრაციულ-ტერიტორიული სურათის მიხედვით) აღრიცხული გვარების 72% ეგრისულია, 29% - ადიღური, 4% თურქული, და სხვა. თუ მხედველობაში იქნება მიღებული, რომ თურქეთში, ძირითადად მუსლიმი ან რუსეთის წინააღმდეგ მებრძოლი მოსახლეობა მიდიოდა, მაშინ გადასახლებულთა რაოდენობა, ვარაუდით, დარჩენილთა ტოლი იქნება. ყირიმის ომის დამთავრებიდან ოცი წლის მანძილზე, გადასახლების პროცესი არა წყდებოდა.

რა უნდა ითქვას რიგით ადამიანებზე, რომლებსაც იმპერიის ხელისუფლება მეკობრეებს უწოდებდა, როცა მთავარი მიხელი შარვაშიდის ოჯახი არ დაინდეს. 1864 წ. მთავრის სახლობა რუსეთში, კორონეში, გადასახლეს, სამთავრო გააუქმეს, ტერმინი „აფხაზეთი“



დავიწყებას მისცეს, მხარეს სოხუმის სამხედრო განყოფილება უწოდეს და ქუთაისის გუბერნიას დაუქვემდებარეს. მოისპო იმერეთის სამეფო, მოისპო აფხაზეთის სამთავრო. გახდა გუბერნია და მისი დაქვემდებარებული მაზრა.

ეთნოსი წყვეტს არსებობას, როცა წყვეტს ბრძოლას თავისუფლებისათვის. ეს დებულება თანაბრად ეხება აფხაზებსაც. ითქვა, რომ ჯერ კიდევ აფხაზთა წინაპარი აბაზგები არ ურიგდებოდნენ ბიზანტიის ბატონობას და არ წყვეტდნენ ბრძოლას. ბიზანტიამ (აღმოსავლეთ რომის იმპერიამ), ორჯერ დედა-წულიანად გაწყვიტა აბაზგები და მაინც ვერ დაიმონა. უკვე აფხაზეთად წოდებული ლეონ I სამთავრო შეუპოვრად იბრძოდა არაბების წინააღმდეგ და შედეგად, არა მხოლოდ განდევნა მტერი, არამედ დიდი სამეფოც დააფუძნა. აფხაზეთი გახდა ლიხს – იმიერი მხარე, მისი საზღვრები მოიცავდა ტრაპეზუნტიდან ანაპის მთებამდე და მდ. ყუბანამდე. ცხადია, ძირითადი მოსახლეობაც აფხაზები (ეგრებ-მეგრ-ლაზები) იყვნენ. (ეგრებ-მეგრებ-ლაზები-კოლხები, ეგრისელები სახელი იცვლებოდა, ეთნოსი რჩებოდა). შემდეგ აფხაზეთად იწოდებოდა უკვე ლიხსამიერი მხარეც. XII ს. ბოლომდე აფხაზები წარმოდგენდნენ სამეფოს წამმართველ ძალას. დაცემის პერიოდშიც არ წყვეტდნენ აფხაზები (ახლა უკვე ეგრებ-მეგრები, ბოლოს კი ეგრები) წინააღმდეგობას.

მოვლენების სქემატური განმეორება ერთი მიზანითაა: ლოგიკური გაგრძელება იყო ეთნოსის თავისუფლებისათვის ბრძოლა, როცა მოხდა აჯანყებები რუსეთის ბატონობის წინააღმდეგ 1821, 1840, 1866, 1877 წლებში. მხოლოდ მუჰაჯირობასთან არაა დაკავშირებული თურქეთში მიგრაციების პროცესი. რატომ უნდა გამოირიცხოს რუსული ბატონობის საშინელებანი? თურქების ყოფნა აფხაზეთში თავისი სისასტიკით, ასიმილაციის მეთოდებით, ცინიზმით, რუსების თარეშს ვერ გაუტოლდება. ყველაფერს რომ თავი დანებდეს, არავის, რუსეთის გარდა, აზრად არ მოსვლია აფხაზი ეთნოსი შერისხულად, კანონგარეშედ, არასრულყოფილად, დამნაშავედ გამოეცხადებინა.

შემზარავია ეთნოსის დამნაშავედ შერაცხვის ფაქტი. არავინ უარყოფს. ნებისმიერ ეთნოსში ყოველთვის მოიძებნება კეთილი და ბოროტი, პატიოსანი და უპატიოსნო შემადგენელი ელემენტები. ნათქ-



ვამია: ოჯახიც არ არსებობს სიმახინჯის გარეშე. აფხაზთა შორისაც რომ ყოფილიყვნენ სხვადასხვა იდეის მატარებლები, საერთოდ ყოველივე რელიგიურის და ა.შ. უარმყოფლები, გაკვირვებას არ გამოიწვევდა, მაგრამ მთელი ერი დამნაშავედ გამოაცხადო, ეს მხოლოდ ფაშისტურ გერმანიაში მოხდა. მანამდე რუსეთის იმპერიაში ამის დაკანონება ლოგიკური იყო თუ გამონაკლისი? მსჯელობის გაგრძელება არაა საჭირო. მით უმეტეს, რომ იტალიის ფაშისტები თავის ამოსავალს ბოლშევიკების პრინციპებში ხედავდნენ. ყოველივეს უარყოფაკი, სიტყვიერი ნაკადით (დემაგოგიით) კი არა, ფაქტებით გაიზომება. ძველი ბერძენი ფილოსოფოსი ბრძანებდა: არ არსებობს საიდუმლო, რომელიც არ გამჟღავნდება. რატომ იქნება გამონაკლისი რუსული დიპლომატიის სინამდვილე?

აფხაზ ეთნოსს XX ს. დასაწყისში მოუხსნა ნიკოლოზ II დამნაშავე ეთნოსის ზედწოდება. დიდი წყალობაა?

ამ პერიოდისათვის ეგრებ-მეგრების გარდა აფხაზეთში ადიღეური წარმომავლობის საგრძნობი რაოდენობა სახლობდა. ამასთან, თუ ვერწმუნებით მონაცემებს, სამეგრელოს სამთავროსა და იმერეთის (ლიხს იმერის) სამეფოს მოსახლეობის საწინააღმდეგოდ, ადიღეური მეტყველება უკვე გზას იკაფავდა. პირველ რიგში მეგრების (მეგრელების) საპირისპიროდ, შარვაშიძეების სახლეულობა-მსახურეულობა ადიღეურ მეტყველებაზე გადადიოდა. ამან განაპირობა ადიღეური მეტყველების გავრცელება აფხაზებს (ეგრებს) შორის.

ამავე დროს, უნდა მიეთითოს იმ ფაქტზე, რომ უცხოელი დამკვირვებლების თქმით, შარვაშიძეების რეზიდენციის მიდმოებში მაცხოვრებლები მანც მეგრულად ლაპარაკობდნენ. (ეგრების მეტყველება მეგრებისას თუ ძირითადად შეეთვისებოდა, გასაკვირი არაა). ბოლოს მეგრების ქართველურ ტომად გამოცხადების გამო (და არა თუბალურად), ეგრებთან დაშორებაც აღარაა უცნაურობის შემცველი. მთავარია, რომ ადიღეური მეტყველება ხდება მეგრობისაგან განმასხვავებელი ნიშანი.

მცირე განმარტება. ისტორიული წარსულის ბევრი ფაქტია სხვადასხვანაირად გაგებული. მათ შორის ეთნიკური კუთვნილების ხაზით. ქართველსა და ეგრისელებს ათეუობით საუკუნის მანძილზე ჰქონდათ უერთიერთობა. ჰქონდათ ბევრი საერთო და განმასხვავებელიც.



ყოველივე მათ საერთო ისტორიას წარმოადგენდა. ამ საფუძველზე შეიძლება თუ არა მათი იდენტურობა დამტკიცდეს? თუ იყო პერიოდი, როდესაც ქართველები შედიოდნენ აფხაზეთის სამეფოს შემადგენლობაში ან პირიქით, ეს ხომ მათ შორის სხვაობის წაშლას არა ნიშნავდა? უფრო მეტი. სვანური ენა ძვ.წ.ა. III ათასწლეულიდან არსებობს. იმავე პერიოდში მოყოლებული სვანები (ეგროსელების ნაწილი), ეგრისელებთან (ეგრებ-მეგრებთან ან აფხაზ-მეგრელებთან) თანაცხოვრობენ, მაგრამ დღემდე თავისი ენობრივი სხვაობა შენარჩუნებული აქვთ.

თუბალური წარმომავლობის ტომებისაგან მრავალი ეთნოსი ჩამოყალიბდა. თვითუფს თავისი მეობა და ისტორია გააჩნია. შეიძლება მსჯელობა მათ საერთო წარმომავლობაზე, მაგრამ არა დღევანდელ ერთობაზე. იგივე უნდა ითქვას ეგროსელებზე და ქართველებზე. მათი თუბალური წარსული არ იძლევა საფუძველს, დღევანდელი ერთობის გამოცხადებისა.

დღეს, შეიძლება მსჯელობა ეგრების (აფხაზების ეგრული ნაწილის) მეგრობაზე და მეგრების (მეგრელების) აფხაზობაზე. ორივენი ეგრისელები იყვნენ და ასეთად რჩებიან, მიუხედავად პოლიტიკური კატაკლიზმებისა.

მეგრების მოწყვეტა ეგრებისაგან ენობრივი, გენეტიკური თვალსაზრისით არა მართებულია. მეგრებს თავისი ენა აქვთ, რომელიც იმავე დროულად ეგროსულიც იყო საუკუნეთა მანძილზე. XX ს. მოყოლებული, მისი იმპერიული პოლიტიკური მიზნით ქართველურად წარმოჩენა, ჭეშმარიტებასთან სცოდავს.

მას შემდეგ, რაც იმპერიულმა მეცნიერებამ ჩამოსახლებულები აფხაზებად გამოაცხადა და მათი ენა აფხაზურად, დაიწყო ეგრული მოსახლეობის მეგრებად წარმოდგენის პროცესი. აფხაზეთში აფხაზებად იქცნენ ჩამოსულები, ხოლო აფხაზები მეგრელებს მიაწერეს. თავის მხრივ მეგრები (მეგრელები) კი ქართველებს.

იყო მეგრელების ქართველებად ან პირიქით ცალკე ეთნოსად გამოცხადების მცდელობა. იმის მიხედვით, როდის, ვის, რა აწყობდა ან რა ოდენობის ჭეშმარიტებას ფლობდა.

ამ შემთხვევაში, ადგილი აქვს არა მტკიცებულებას, არამედ ვარაუდს, რომელიც ღრმა ანალიზს საჭიროებს. ითქვას, რომ სამჯერ



ჰქონდა ადგილი ეგრისელების გაყოფას ეგრებ-მეგრებად. სახელებიც იცვლებოდა, მაგრამ მოსახლეობა, ეთნოსი რჩებოდა. ის ფაქტი, რომ შარვაშიძეების რეზიდენციის ირგვლივაც მეგრულად ლაპარაკობდნენ, მრავლის მეტყველია. ცნობილია, რომ ჩრდილო კავკასიელები სწორედ რეზიდენციის მახლობლად (სოფ. ლიხნში) სახლდებოდნენ. თუ ადგილობრივების მეტყველება მეგრულად მიიჩნეოდა, ეს ნიშანია, რომ ეგრები (აფხაზები) ჯერ კიდევ ეგრისულ ენას მიიჩნევდნენ მშობლიურად და არა ადიღურს, როგორც დღესაა აღთქმული. აფხაზეთის მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც მეგრულად და ამდენად ქართველად მიიჩნევა, არიან ეგრები, რომელთაც მშობლიური ეგრისული (აფხაზური) ენა შეინარჩუნეს და არ გადავიდნენ ძალით დანერგილ ადიღურ მეტყველებაზე.

კავკასიის ჩრდილოეთიდან ჩამოსულები, შეადგენდნენ რა შარვაშიძეთა ძირითად სამხედრო ძალას, ძალმომრეობით ნერგავდნენ თავის ენას. იმპერიულმა პოლიტიკამ გაუადვილა მათ გაბატონება. ამ გზით დამკვიდრდა აზრი, რომ ადიღები აფხაზებია, ხოლო ჭეშმარიტი აფხაზები მეგრელები, ანუ ქართველებია.

საბჭოთა პერიოდში, როცა მეცნიერება იდგა პოლიტიკის მხრებზე, როცა გრძელდებოდა იმპერიული ცხოვრების წესი, არ მომხდარა და ვერც მოხდებოდა დასაბუთებული ანალიზი სინამდვილისა. სანაცვლოდ, ფართედ იყო დანერგილი აზრი, რომ ყველა აფხაზი ადიღეველია, ხოლო ადიღეველი აფხაზი. იქამდე მივიდა აფხაზთა თვითგვემის პროცესი, რომ ირწმუნეს: შარვაშიძეები ჩაჩბებია, აშე-შაშეა და ა.შ. თუ ვინმეს სურს დაამტკიცოს აფხაზობა, მან უნდა ენაც გამოიცვალოს და გვარიც. რაც მთავარია თუ ხარ ან გინდა გახდე აფხაზი, უნდა შეიძულო ყველაფერი მეგრული, რადგან მეგრელობა ნიშნავს ქართველობას. სისულელე. მეგრელობა ეგრისელობის ნიშანია. ეგრისელები კი ოდითგან იყოფოდნენ ეგრებ-მეგრებად, აფხაზ-მეგრელებად.

ეგრისელების გაყოფას თუ ჰქონდა გრძელი წარსული, მათი დაპირისპირება უკვე რუსეთის კოლონიად ყოფნის დროს მოხდა. ამასთან, არა აქვს მნიშვნელობა მხედველობაში მეფის რუსეთი იქნება თუ საბჭოთა რუსეთი.

ბოლშევიკებმა, ვ. ლენინის ბელადობით, ამ მხრივ არაფერი შეცვალეს. (ვ. ლენინის იდეები ეროვნულ საკითხთან დაკავშირებით



და მის საფუძველზე საბჭოთა კავშირის შექმნა სამეცნიერო ლიტერატურაში, ჯერ კიდევ დაუმუშავებელი თემაა).

ცნობილია ვ. ლენინის შეგონება ს. კიროვისა და ს. ორჯონიკიძისადმი. ორსახოვან იანუსად წარმოადგენდა თავის შეგირდებს და მოძღვრავდა: გაითვალისწინეთ კავკასიის მთიელთა ადათ-წესები, დაუძმობილდით, შეპრდით ყველაფერს რასაც მოითხოვენ, ოღონდ დაუნდობლად იბრძოლონ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ. აფხაზებმაც დაუჯერეს ბელადის ნდობით აღჭურვილებს. შედგრად იბრძოლეს და როგორ დაუფასდათ, — ცნობილია.

ნაშრომის მიზანი არაა იმის დეტალური აღწერა თუ როგორი პროცესებით ხასიათდება, აფხაზთა გარკვეული ნაწილის, ბრძოლა საქართველოს წინააღმდეგ და ხელისუფლების მოპოვებისათვის. მიზანი არც იმ ლიტერატურის შეფასებაა, რომელიც იქმნებოდა და გამოიცემოდა რუსეთსა თუ საკუთრივ აფხაზეთში.

მიზანი იყო თვითგარკვევა და სხვათა გარკვევა აფხაზების ეთნიკურ რაობაში. ამ ხაზითაც ზღვა ლიტერატურა არსებობს.. ყოველივეს შესწავლა და საკუთარი აზრის შემუშავება რთული აღმოჩნდა. რამდენად წარმატებული იყო მცდელობა, სხვათა შესაფასებელია. ყოველ შემთხვევაში, საკითხი დასმულია და მისი ყოველმხრივი ანალიზი ბევრის შრომასთან იქნება დაკავშირებული.



## საბჭოთა სამოთხე

XX საუკუნიდან იწყება რუსეთის პოლიტიკის ცვლილება აფხაზებთან მიმართებაში. იმპერატორმა შეიწყალა და მოუხსნა დამნაშავე ეთნოსის სახელი. ამავე დროს, ადიღური წარმომავლობის მოსახლეობა აფხაზებად გამოაცხადეს, ხოლო ეგრისული წარმომავლობისა მეგრელებად, პარალელურად, დაიწყო ეგრისელების ქართებთან დაპირისპირების პროცესი.

იმპერიული პოლიტიკა ამბობს: ურჩ დაპყრობილებს უნდა კომპაქტურად ჩაუსახლო უცხო ელემენტები და საჭირო დროს აუჯანყო. აფხაზეთში, მეფის მთავრობამ, მახაჯირობის მოტივით მოსახლეობა გაანახევრა. დარჩენილებს კომპაქტურად ჩაუსახლა სლავები, სომხები, ბერძნები და სხვა. დასაყრდენი შეიქმნა. ამასთან, რამდენადაც ეგრისელებს მეგრელებად მიიჩნევდნენ, ხოლო ადიღური წარმომავლობისას აფხაზებად, იმ მხარეში დასახლების უფლებას ეგრისელებს არ აძლევდნენ. ამის და მიუხედავად, 1917 წლისათვის, ეგრისელები, (ქართველებად გამოცხადებულები), მოსახლეობის 42% შეადგენდნენ, ხოლო აფხაზები 21% ამასთან, აფხაზებში უმეტესობა აფხაზ-ეგრისელი იყო, რომელთაც შეინარჩუნეს წარმომავლობითი კუთვნილება.

საკითხის შესწავლისას, მხედველობიდან არ უნდა იქნას გაშვებული, რომ ასწლეულების განმავლობაში ადგილი ჰქონდა შერეული მოსახლეობის გაჩენას. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ძნელი იყო ანთროპოლოგიური სიწმინდის დაცვა. ეგრისელების აფხაზობის დამადასტურებელი, ადიღური მეტყველების ათვისება ხდებოდა. თუ გვარი, სახელი, საშინაო მეტყველება ეგრისული იყო, ნამდვილი



აფხაზობის ნიშანი ადიღეური მეტყველება ითვლებოდა. პირობებში, როდესაც საკუთრივ აფხაზეთის სამთავროს გეოგრაფიული სივრცე შეიზღუდა, ე.წ. სამურზაყანო უკვე სადადიანოს (სამეგრელოს სამთავროს) შემადგენლობაში მოექცა, ადიღეურმა ელემენტმა იმძლავრა. ეს მდგომარეობა განსაკუთრებით გამოიკვეთა აფხაზეთის სამთავროს გაუქმების (1864 წ.) შემდეგ.

არა გაკილვის, არამედ ისტორიული ვითარების უკეთ გააზრების მიზნით, უნდა ერთხელ კიდევ იქნეს განსენებული, უცხოელი მოგზაურ-მკვლევარების მიერ ხაზგასმული ადიღეური ტომების ცხოვრების ხასიათი: მონადირეობა, მეკობრეობა, ძარცვა, ტყვის გატაცება-გაყიდვა.

ის, რაც ასეულწულობით ყალიბდება, ერთბაშად არ ქრება. კაკასიელ ბოლშევიკ-ტერორისტებს შორის ადიღ-აფხაზები უკანასკნელნი არ ყოფილან. მათ არც ეგრის-გააფხაზებულები ჩამოუვარდებოდნენ. ყალიბდებოდა ძალა, რომელიც იბრძოლებდა ძალაუფლებისათვის.

რისთვის?

ორიოდე სიტყვა ბოლშევიკების კონცეფციის გასაგებად. ვ. ლენინი, მიუხედავად მარქსიზმის ცოდნისა მაინც გლეხური სოციალიზმის იდეოლოგიად რჩებოდა. ყოფილი ხალხოსანი, გლეხურ, ბნელ ქვეყანაში, თავისებურად წარმოდგენდა სოციალიზმს. ასეთებზე ამბობდა ფ. ენგელსი: რევოლუციონერი, რომელიც იმის იმედითაა, რომ მართალია პროლეტარიატი სუსტია, მაგრამ არც ბურჟუაზიაა ძლიერი, ჯერ კიდევ საჭიროებს მარქსიზმის ანა-ბანის შესწავლასო.

ვ. ლენინი კი მონოლითური პარტიის დიქტატურის იმედით იყო.

კ. მარქსი გლეხობას კერძო მესაკუთრულ და სოციალიზმისათვის რეაქციულ ძალად მიიჩნევდა. ვ. ლენინი გლეხობას რევოლუციურ კლასად თვლიდა. მიაჩნდა, რომ პროლეტარიატი გლეხობასთან კავშირში მოახდენდა რევოლუციას.

კ. მარქსი მიიჩნევდა, რომ სოციალიზმზე გადასვლა ბუნებრივად მოხდება კაპიტალიზმის განვითარების ბოლო, მეექვსე, სახელმწიფო კაპიტალიზმის საფეხურიდან. (დღეს მოწინავე ქვეყნებში მხოლოდ მეხუთე საფეხურია, სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმია). ვ. ლენინი 1899 წ. ნაშრომში „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში“, ამტკიცებდა, რომ კაპიტალიზმში უკვე ფეხს იკიდებს და რევოლუციაც შესაძლებელია.





ფ. ენგელსი, 1894 წ. ამბობდა: თუ რევოლუცია მოხდა ისეთ ჩამორჩენილ ქვეყანაში, როგორც გერმანიაა, უკეთეს შემთხვევაში შესაძლებელი გახდება სილატაკის თანაბარი განაწილება. ასეთ დროს დაიწყება იმ პროცესების აღორძინება, რომლის წინააღმდეგაც მოხდება რევოლუცია. საბოლოო შედეგად მიღებულ წყობილებას სოციალიზმს დაარქმევენ, მაგრამ იქნება მახინჯი კაპიტალიზმი. ამის შემხედვარე ადამიანები სოციალიზმის რწმენას დაკარგავენ. ეს რომ არ მოხდეს, დროზე ადრე სოციალიზმის დამკვიდრებას არ უნდა ვეცადოთ. ვ. ლენინის აზრით, მთავარი იყო ძალაუფლების მოპოვება, პარტიის დიქტატურის დამკვიდრება და შემდეგ რეპრესიების, ტერორის მეშვეობით მოსახლეობის გარდაქმნასაც მიაღწევენ. აღარაა საუბარი, რომ გერმანიასთან შედარებით, რუსეთი მეტად ჩამორჩენილი იყო.

კიდევ უფრო ოდიოზური იყო ვ. ლენინის თვალსაზრისი მსოფლიო რევოლუციისა და ეროვნებათმორისი ურთიერთობის საკითხებზე.

საბჭოთა პოლიტიკიზებული ე.წ. სამეცნიერო ლიტერატურა სასიამოვნო ფერებში წარმოადგენდა ვ. ლენინის ნააზრევს.

სინამდვილეში?

მხოლოდ რამდენიმე „მარგალიტი“ (ვ. ლენინს უყვარდა სხვების მისამართით ასეთი დამაკნინებელი გამოთქმები).

ვ. ლენინის მტკიცებით, „ეროვნულად აჭრელებული სახელმწიფო კი ჩამორჩენილობა ან გამონაკლისია“ (თხზ. ტ. 20, გვ. 488, ასევე გვ. 484-485). ვ. ლენინი ითვალისწინებდა, რომ რუსეთი მრავალეროვანია. ასეთ ქვეყანაში ბოლშევიკებს უნდა ჰქონდეთ ლოზუნგი ერთა თვითგამორკვევის უფლების შესახებ, მაგრამ პრაქტიკულად უნდა განზორციელდეს პირიქით ანუ ყველაფერი „...რასაც ერთა შედუღებისკენ მივყავართ“ (ტ. 20, გვ. 25). დასკვნა: „სოციალიზმის მიზანია არა მარტო მოსპოს წვრილ სახელმწიფოებად კაცობრიობის დაქსაქსულობა, არა მარტო დაახლოვოს ერები, არამედ მათი შერწყმაც მოახდინოს“ (ტ. 22, გვ. 178)

„ვინც ნაციონალური კულტურის ლოზუნგს იცავს, მისი ადგილი ნაციონალისტ მეშჩანებშია...“ (ტ. 20, გვ. 11). ბოლშევიკებმა უნდა სცადონ პატარა სახელმწიფოების საზღვრების წაშლა, ადრევა, ბოლოს მოსპობა. „თუ არ არის სახელმწიფო, მაშინ არ არის საზღვრების



საკითხიც“ (ტ.22, გვ.416). ეს იმიტომ, რომ „ჩვენ წვრილ სახელმწიფოთა მომხრენი არა ვართ“ (ტ.25, გვ. 97).

„ჩვენ წინააღმდეგნი ვართ გამოყოფისა, მაგრამ ჩვენ მომხრე ვართ გამოყოფის უფლებისა“ (ტ 19, გვ. 598).

ვ. ლენინი წინააღმდეგი იყო რუსეთის იმპერიის შემადგენელი ეთნოსების ფედერაციული გაერთიანებისა. ფედერაცია „ფილისტერულ იდეად“ მიაჩნდა (ტ. 21, გვ. 114). „პრინციპულად ჩვენ წინააღმდეგნი ვართ ფედერაციისა – ის ასუსტებს ეკონომიკურ კავშირს, ის უვარგისი ტიპია ერთი სახელმწიფოსათვის“ (ტ. 19, გვ. 598).

„სასკოლო საქმის ეროვნებათა მიხედვით განაწილების ქადაგება, ე.ი. პირდაპირ მავნე ქადაგებაა“ (ტ.20, გვ. 33).

ვ. ლენინის ბრძნული იდეების განხორციელება, ასეთივე მეთოდებით უნდა მომხდარიყო. ამ ხაზითაც, რამდენიმე „მარგალიტი“

პირველ რიგში ვ. ლენინი გადამცდარი თანაპარტიელების ჩამოხრჩობას მოითხოვდა (ტ. 25, გვ. 53, V რუს. გამოცემა).

იგი არც დამბეზღებლებს ინდობდა. „უფრო მკაცრად ვდევნოთ და დახვრეტით დავსაჯოთ ტყუილუბრალოდ დამბეზღებლები“ (ტ. 42, გვ. 101).

სახელმწიფო აპარატის მუშაკებს „იდოტებს“ და მოლაყებებს უწოდებდა და მოითხოვდა მათ დაღპობას ციხეში (ტ. 45, გვ. 613).

რუსეთში კულაკებად მიჩნეული გლეხები, ევროპის საშუალო გლეხობას უტოლდებოდნენ შეიძლება. ფ. ენგელსი ასეთთა მიმართ ლოიალურ მიდგომას ითვალისწინებდა.

ვ. ლენინი მოითხოვდა მათ განადგურებას „რაც შეიძლება მალე და რაც შეიძლება ენერგიულად“. (ტ. 44, გვ. 422).

„უნდა... შეადგინოთ დიქტატორთა სამეული... მოაწყოთ მასობრივი ტერორი, დახვრიტოთ და გაიყვანოთ ასობით მემკვი, რომლებიც ათრობენ ჯარისკაცებს, ყოფილ ოფიცრებს და ა.შ.“ (ტ. 44, გვ. 94). ასეთი იყო მემკვიებთან მებრძოლი ვ. ლენინი, რომელსაც ცოლის გვერდით ინესა არმანდი ჰყავდა.

ასეთი, „ჰუმანური“ იდეების ადამიანისაგან, სულაც არაა გასაკვირი, რომ შუა აზიელებს „ტუზემცებს“ უწოდებდა (ტ. 53, გვ. 190). ხოლო სომხეთს „საქათმეს“ (ტ. 48, გვ. 302). მრავლადაა ისეთი „მარ-



გალიტები“, როგორცაა: „ჯერ უკრაინა ავიღოთ ბოლომდე, ხოლო თურქესტანი მოიცდის, გაუძლებს გაჭირვებას“ (ტ. 44, გვ. 306). 1921 ქ. როდესაც უკრაინა დამოუკიდებელი რესპუბლიკა იყო, რუსეთს დაუკითხავად უნდა წაეღო მოსავლის 3/4. (ტ. 45, გვ. 57). 1920 წ. 27 ნოემბერს ბრძანებს: საქართველოს, სომხეთის, თურქეთის, ირანის წინააღმდეგ ლაშქრობა ამ ეტაპზე, არ უნდა იყოს უშუალო მიზანი (ტ. 42, გვ. 47). ორი დღის შემდეგ, 29 ნოემბერს, უცებ მოამწიფეს რევოლუცია სომხურ „საქათმეში“ და საბჭოთა ხელისუფლება დაამყარეს. მისი მოთხოვნით, კავკასიელი მუსულმანებისათვის (მათ შორის მუსულმანი აფხაზებისათვის) საზეიმო ვითარებაში უნდა მოეხდინათ სიმპატიების დემონსტრირება, შეპირებოდნენ დამოუკიდებლობას და ა.შ.

რას წარმოადგენდა ასეთ ქვეყანაში, ასეთი ბელადისათვის აფხაზეთი და აფხაზი ეთნოსი?

ოქტომბრის სამხედრო გადატრიალებამდე აფხაზებს მართალია დამნაშავე, შერისხული ეთნოსის სახელი მოუსხნეს, მაგრამ მათი სრულფასოვნების საკითხი არც დამდგარა. 1864 წ. შემდეგ, სიტყვა აფხაზეთი წაიშალა. იგი შეცვალა ჯერ სოხუმის სამხედრო განყოფილებაში, ქუთაისის გუბერნიის შემადგენლობაში, შემდეგ კი მთლამ. ყოფილი სამურზაყანო სამეგრელოს მიუერთეს, ხოლო გაგრის ჩრდილოეთი, საერთოდ ჩამოაცილეს სოხუმის მაზრას, ჩრდილო კავკასიის რუსულ მმართველობას დაუმორჩილეს.

რა დარჩა აფხაზეთისაგან, რისი იმედი უნდა ჰქონოდა გარუსების, გასომხების გზაზე დამდგარ მკვიდრ მოსახლეობას? თუ გათვალისწინებული იქნება რუსული იმპერიული პოლიტიკა ზღვისპირეთიდან ადგილობრივი მოსახლეობის აყრისა და იქ რუსი კაზაკების „სტანიცების“ მოწყობის ხაზით, შედეგი ძნელი წარმოსადგენი არაა.

დღეს, რუსი და აფხაზი მეკალმეების დიდი ნაწილი, ქებით იხსენიებს რუსეთის იმპერიის ჰუმანურ როლს აფხაზების გადარჩენაში, მათ წინსვლაში. რეალური ჰუმანიზმი და ძმური დახმარება კი საქართველომ გაუწია, შეიძლო და დაკარგული გაგრიდან ტუაფსემდე ტერიტორიები დაუბრუნა აფხაზ ეთნოსს და გაერთიანების შემთხვევაში პოლიტიკურ-სამართლებრივ ავტონომიაც დაუკანონა. დღევანდელი აფხაზები მდ. ფსოუს იქით იხედებიან?



ნათქვამია: ძალა აღმართს ხნავს. იმძლავრა რუსულმა იმპერიულმა ჰუმანიზმმა და აფხაზეთს ჩრდილოეთი მხარე ჩამოაჭრეს. ჯერ დენიკინმა განაწესა რუსეთ-საქართველოს (და არა აფხაზეთის) საზღვარი მდ. ფსოუს გაყოლებასზე და შემდეგ ვ. ლენინმა, 07.05. 1920წ. შეთანხმებით, დააკანონა აფხაზეთის ჩრდილოეთის რუსეთისათვის მიკუთვნების საკითხი. ხელშეკრულებით, სამხრეთი აფხაზეთი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში რჩებოდა. ვის გაახსენდა აფხაზეთი?

ვ. ლენინმა პირადად შეიმუშავა საქართველოს ანექსიის სამი ვარიანტი. საქართველოსთან ერთად აფხაზეთის დაპყრობაც იგულისხმებოდა.

1917 წ. ოქტომბრის სამხედრო გადატრიალების საწყის ეტაპზე, საბჭოთა მთავრობა გარკვეულ ღონისძიებებზე მიდიოდა. ჩაგრულ ხალხთა უფლებების გამოცხადებული დეკლარაციის შესაბამისად, თვითამორკვევის უფლება მიიღეს უკრაინელებმა, ფინელებმა, ბალტი-სპირეთის ეთნოსებმა, ბელორუსიამ, საქართველომ. აფხაზეთმა?

საბჭოთა რუსეთის შემადგენლობაში შეიქმნა თერგის, ყუბან-შავი ზღვის, დონის რესპუბლიკები. შუა აზია გაერთიანდა თურქესტანის ავტონომიაში. აფხაზეთისა?

ვ. ლენინს და ბოლშევიკებს აფხაზეთი და აფხაზეთი იმ ეტაპზე არ გაახსენებიათ.

სანაცვლოდ გუდაუთელები გააქტიურდნენ. 1917 წ. ბოლოს შექმნეს მებრძოლი დაჯგუფება „კიარაზ“-ის სახელწოდებით. უყვართ აფხაზ მეკალმე-ბოლშევიკებს მისი რევოლუციურ ორგანიზაციად განდიდება. ბოლშევიკების პატარა ჯგუფი 1918 წ. დასაწყისში ჩამოყალიბდა ნესტორ ლაკობას მეთაურობით. დაუკავშირდნენ ისინი ქართველ ბოლშევიკებს და დაგეგმეს საერთო ძალით აჯანყების მოწყობა აფხაზეთში. (იმ დროს აფხაზეთი ქართველებს მტრებად კი არა, თანამოაზრეებად აღიქვამდნენ). აპრილში კიდევაც დაიწყო აჯანყება, რომელიც ჩახშობილი იქნა.

აფხაზეთში ასევე შეიქმნა სახალხო საბჭო ა. შარვაშიძის ხელმძღვანელობით. ქართველებთან შეთანხმებით, მდ. შხიმთამდე ტერიტორია იქნებოდა აფხაზეთის და ისინი თვითგამორკვევის გზით, დარჩებოდნენ ქართველებთან კავშირში.



არ დასცალდათ. 1921 წ. თებერვალში საბჭოთა რუსეთმა საქართველოს რევოლუციური ანექსია მოახდინა. შექმნილი გაურკვევლობის ვითარებაში, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული დამოუკიდებელი მოქმედება. აფხაზეთში შესულმა რუსეთის IX არმიის რევოლუციურმა საბჭომ და ბოლშევიკთა პარტიის კავკასიის ბიურომ, აფხაზეთი საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად გამოაცხადეს. ამავე დროს წერილი გაუგზავნეს ვ. ლენინს, დაედგინა აფხაზეთი იქნებოდა ადმინისტრაციული ერთეულის უფლებით თუ დამოუკიდებელი. ეს იყო ვითარებიდან გამომდინარე ღონისძიება. იმავე ბოლშევიკური პარტიის ცკ კავკასიის ბიურომ, აფხაზეთის რევოლუციურ კომიტეტს დაავალა, მოეწვია საბჭოების ყრილობა და განეხილა აფხაზეთის ავტონომიის უფლებით საქართველოსთან გაერთიანების საკითხი.

აქვე უნდა ითქვას, რომ გასაბჭოების საწყის პერიოდში აზერბაიჯანში სამი ასეთი დამოუკიდებელი რესპუბლიკა შეიქმნა. დღეს არც ერთი არ არის.

რუსეთის საბჭოთა იმპერიის მიერ ანექსირებულ აფხაზეთში, ისევე, როგორც საქართველოში, 1921 წ. შემდეგ, ყოველი დიდი თუ მცირე საკითხი მოსკოვში წყდებოდა.

ვ. ლენინის თეორიის თანახმად, ერთა თვითგამორკვევის უფლება მხოლოდ ლოზუნგი უნდა ყოფილიყო. იმპერიაში შემავალი ერები მიიღებდნენ საოლქო ავტონომიის უფლებას. სინამდვილეში გაერთიანება მოხდებოდა ცენტრალიზმის პრინციპით. (ფედერაცია გამოირიცხებოდა. კონფედერაციის ხსენებაც არ შეიძლებოდა). პატარა ეთნოსებს არ ექნებოდათ სახელმწიფო ენა, სახელმწიფოებრივი ატრიბუტები, არ ეცოდინებოდათ საზღვრები. ისინი დაჩქარებული წესით შეედუღებდებოდნენ დიდ რუს ერს.

ჯერ კიდევ 28.11.1921 წ., ვ. ლენინმა დასვა ამიერკავკასიის რესპუბლიკების ფედერაციული გაერთიანების საკითხი. რა თქმა უნდა არ უკითხავს რესპუბლიკათა მოსახლეობის აზრი.

1922 წ. უკვე რესპუბლიკათა რუსეთთან გაერთიანების და საბჭოთა კავშირის შექმნა გაიხდა მიზნად... საბჭოთა პოლიტიზირებულ სამეცნიერო ლიტერატურაში ფართოდაა პროპაგანდირებული გაერთიანების ყოველი ეტაპი იმ სახით, რომ სტალინი, ხელმძღვან-



ელობდა რა პროცესს, სცოდავდა და ვ. ლენინი მუდმივად ასწორებდა ამ შეცდომებს.

საქმეში ჩაუხედავი ადამიანებისათვის მოგონილი სიცრუეა. გაერთიანების იდეა ეკუთვნოდა ვ. ლენინს, გაერთიანების პრინციპები შეიმუშავა მან (მათ შორის ის, რაც სტალინს მიეწერა) და გაერთიანების ფორმა და შინაარში განსაზღვრა მან.

სტალინის ავტონომიზაციის პროექტი (ვ. ლენინის მიერ ნაკარნახევე), ითვალისწინებდა რესპუბლიკების ფორმალურ შესვლას რუსეთის შემადგენლობაში. ამ პროექტის მიხედვით აფხაზეთი შევიდოდა საქართველოს შემადგენლობაში, მასთან ერთად ამიერ-კავკასიის ფედერაციაში, ფედერაციასთან ერთად რუსეთის შემადგენლობაში. რჩებოდა რაიმე უფლება აფხაზეთს ან საქართველოს?

პროექტი სხვა საბჭოთა რესპუბლიკებმა მოიწონეს. მხოლოდ საქართველოს ხელისუფლება წავიდა წინააღმდეგი. საქმე გახმაურდა და ვ. ლენინი იძულებული გახდა რუსეთის შემადგენლობაში შესვლის პრინციპი, რუსეთთან გაერთიანების პრინციპით შეეცვალა. ამავე დროს, გაღიზიანებული ბელადი ქართველებს ეჭვმიტანილებად მიიჩნევა „ნაციონალ-უკლონისტობის“ იარლიყით. მისმა ერთგულმა მოსწავლე ს. ორჯონიკიძემ მაუზერის ტარით აუხსნა ქართველ ხელისუფალთ ლენინური ქცევის წესები. ცხადია ქართველებმა ვერაფერს მიაღწიეს. შეეძლოთ მათ აფხაზეთის დაცვა, როდესაც თავს ვერ იცავდნენ?

30.12.1922 წ. საბჭოების პირველ ყრილობაზე გადაწყდა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების (სსრკ) შექმნა. მიიღეს დეკლარაცია და დაამტკიცეს ხელშეკრულება. ახალი გაერთიანება ცენტრალიზმის პრინციპზე უნდა აგებულიყო. არავითარი ფედერაცია, არავითარი კონფედერაცია.

ყრილობას სულ 2215 დელეგატი ესწრებოდა. აქედან გადამწყვეტი ხმის უფლებით 1667. გადამწყვეტი ხმის უფლების მქონე, უკრაინიდან 354 დელეგატი იყო, ბელორუსიიდან — 27, ამიერკავკასიის ფედერაციიდან — 73 და რუსეთიდან 1217. რა შეეძლო არარუს დელეგატებს? არც არაფერი, ტაშის გარდა. გადაწყდა: რუსეთის პოლიტიკური ხელმძღვანელობა ხდებოდა, საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობა. განა არ იყო ეს იმპერიული თანასწორობის დემონსტრირება?



რუს და აფხაზ პოლიტ-მეცნიერებს უყვართ იმის გამეორება, რომ არხაზეთი 1921-1931 წწ. იყო დამოუკიდებელი რესპუბლიკა და ამის შემდეგ სტალინმა შეუცვალა სტატუსი, ავტონომიურ რესპუბლიკად ჩამოაქვეითა. სად იყო დამოუკიდებელი აფხაზეთის რესპუბლიკის დელეგაცია სსრკ შექმნის დროს? როცა ცრუობ, ცოტა წინ გახედვაც არ გაწყენს.

საბჭოთა კავშირის შექმნის დროს გათვალისწინებული იყო მხოლოდ იმპერიული ინტერესები. რესპუბლიკებმა მიიღეს საოლქო ავტონომიის უფლება. რესპუბლიკების ე.წ. კომუნისტური პარტიები, საოლქო კომიტეტების უფლებით სარგებლობდნენ იმპერიის დაშლამდე. ეს არაა სიცრუე. ეს ჭეშმარიტებაა.

30-31. 12. 1922 წ. ვ. ლენინი კარნახობს მდივანს, თავის ერთ-ერთ უკანასკნელ სტატიას „ეროვნებათა საკითხისათვის ანუ „ავტონომიზაციის“ შესახებ“. ვინც დაეჭვდება ნათქვამის ჭეშმარიტებაში, შეუძლია წაიკითხოს ვ. ლენინის აღიარება. მისი თქმით, სსრკ შექმნისას მიღებული დოკუმენტები, ვერ შეძლებენ დაიცვან რუსეთის სხვა ტომები „...იმ ჭეშმარიტად რუსი კაცის ველიკორუსი შოვინისტის, არსებითად, ნაძირალისა და მოძალადის თავდასხმისაგან, როგორც არის ტიპური რუსი ბიუროკრატი“ (ტ. 36, გვ. 689). ვერც დაიცვა.

საბჭოთა კავშირი იყო რუსეთის იმპერიის ლოგიკურ-ბუნებრივი გაგრძელება ერთი ცვლილებით: იმპერატორს, პარტიის გენერალური მდივანი ერქვა.

კიდევ ერთხელაა გასახსენებელი ვ. ლენინის გამონათქვამები, მუსულმანი „ტუზემცების“, სომხური „საქათმის“, ქართული ნაციონალ-უკლონიზმის, დიქტატორთა სემეულების, მასობრივი ტერორის, შრომითი არმიების, კომუნების, კულაკების შესახებ და ა.შ. ოდნავ მაინც ობიექტურად მოაზროვნე, იოლად გაავლებს პარალელს XX ს. ოცდაათიანი წლების მოვლენებთან და თუ ხმამაღლა არ აღიარებს, თავისთვის მაინც მიხვდება, სადაა ჩამარხული ძაღლის თავი. სადაა რეპრესიების საწყისი.

ეშმაკური ნათქვამია: ლიტრას კენჭს ესროდნენ და კოკავ შენ გაიგონეო. დიდს, ძლიერს ამოფარებულები, ბუნებით აგრესორები, მათსავე ბედში მყოფ მეზობელს უშარდებიან და ამით ცდილობენ მზისქვეშეთში ადგილის დაკავებას.



აფხაზთა აგრესიულმა ნაწილმა იოლად დაივიწყა რუსეთის იმპერიის მიერ დატრიალებული საშინელებანი. საკმარისია კიდევ ერთხელ აღინიშნოს, რომ 31. 05. 1880 წ. ხელისუფლებამ მთელი აფხაზი ეთნოსი გამოაცხადა „დამნაშავედ“. ეს ნიშნავდა, რომ მათ, როგორც დამნაშავეებს უდნა მოპყრობოდნენ. ამ გზით ნახევარი აფხაზეთი იქნა დაცლილი მოსახლეობისაგან. თუ ნახავენ აფხაზები თანამომძეებს მდ. ფსოუს ჩრდილოეთით? არა და მათი იყო ტერიტორიები ანაპის კონცხის ჩათვლით... დღეს იქ ძირითადად არის რუსი და სომეხი მოსახლეობა. სომეხების აგრესიულ ბუნებზე, ჯერ კიდევ სტრაბონი მიუთითებდა ორი ათასი წლის წინ. დიდი აგრესორის (რუსეთის) დახმარებით, მათ ბევრს მიაღწიეს და კიდევ მეტს მოელიან. მათ შორის აფხაზეთში. აფხაზი პოლიტიკოსებისათვის ყველა მეგობარია, აგრესორები მხოლოდ ქართველებია. ისიც აგრესიის ფორმაა, როცა შენგან დაჩაგრულს გააბრიყვებ და სხვას მიუქსევ. საკითხავია: როდემდე?

ვ. ლენინმა, ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობამ, ქართველი ბოლშევიკებიც გააბრიყვა თავის დროზე და აბრძოლა დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ. ქართველ ბოლშევიკებს ეგონათ, რომ საბჭოთა სისტემის გამარჯვების შემთხვევაში ყველა პრობლემას მოაგვარებდნენ. მათ შორის ტერიტორიულსაც. ტუაფსედან მდ. ფსოუმდე ტერიტორია ხომ დენიკინის ჯარებმა წაართვეს. იმედი არ გაუმართლდათ. მოგვიანებით ქართველი ბოლშევიკების თვალსაჩინო ხელმძღვანელი ფილიპე მახარაძე დანანებით აღიარებდა: რუსმა ბოლშევიკებმა მოგვატყუესო. დიახ. ქართველებმა ვერც ტერიტორიები დაიბრუნეს (პირიქით, დაკარგეს) და თავისუფლებაც ზედ მიაყოლეს. ჭეშმარიტად: პოლიტიკა მოტყუების ხელოვნებაცაა.

არავინ იფიქროს, რომ თავად ჭკვიანია, გარშემო სულელებია. აფხაზი მეკლამეები შესანიშნავად ხვდებიან რუსულ დიდძალბლორ პოლიტიკას, მაგრამ კვლავ ძალა ხნავს აღმართს. გურულებს აქვთ გამოთქმა: დათვი რომ მოგერევა, ბაბა დაუძახეო. ეძახიან ისინიც ბაბას. კვლავ ერთია საკითხავი: როდემდე?

ერთ დროს ანაპის კონცხამდე და მდ. ყუბანამდე გადაჭიმული აფხაზეთი, დღეს მთლიანადაა ოკუპირებული. საშველი არსაიდანაა. რა ქნან აფხაზებმა?





## თავისუფლების ილუზია

როცა ითქმება – აფხაზები, უნებლიედ მთელი ეთნოსი იგულისხმება, სინამდვილეში, როგორც ნებისმიერი სხვა, ისინი იყოფიან აქტიურებად, მათ ოპონენტებად და ნეიტრალურ უმრავლესობად. რეალურად, რიგით ადამიანს პოლიტიკა აინტერესებს რამდენადაც მას ეხება.

თუ ისტორიულად გაიხსენებენ წარსულს, ნახავენ, რომ ხელისუფლების მქონე და ხელისუფლებისათვის მებრძოლი ჯგუფები უძიებლო უმცირესობას წარმოადგენენ. მოსახლეობის დიდი უმრავლესობა არსებობისათვის ბრძოლაშია ჩაბმული.

კ. მარქსი ბრძანებდა: მშრომელ მასებს არც დრო და არც ცოდნა არა აქვთ, რათა თავდახსნის თეორია შეიმუშავონო. სხვა ეთნოსების მსგავსად, არც აფხაზების მშრომელ უმრავლესობას არა აქვს ისტორიული წარსულის, მიმდინარე პროცესების ღრმა ცოდნა. მათ არ შეუძლიათ დამოუკიდებლად შეიმუშაონ განვითარების მეცნიერული თეორია. ეთნოსს იმიტომ ჰყავს მოაზროვნეთა ჯგუფი, რომ მიაწოდონ მასებს ობიექტური სიმართლე. როცა მოაზროვნენი, მეცნიერ-პოლიტიკოსები მრუდე სარკეში ახედებენ მასებს, ამით ღალატობენ რეალობას.

როცა ვორონოვები, ტურჩანინოვები და მათი მსგავსნი ცდილობენ აფხაზი ეთნოსის გაბრიყვებას, გასაგებია. ისინი იმპერიის ინტერესებიდან გამოდიან. მაგრამ, როცა აფხაზები ამახინჯებენ წარსულს, არასწორად აღიქვამენ აწყმოს, ამით ეთნოსის მომავალს ვნებენ.

როცა აფხაზი იფიცება: აფხაზეთი რუსეთია, აფხაზიც რუსია და მათ ჯარებს ეპატიუება, ჯერ კარგად უნდა გააცნობიეროს წარსული.. რომელი დამპყრობელი იღვწის დაპყრობილის ბედნიერებისათვის?



არსებობს კიდევ აფხაზეთის ჩრდილოეთი ნაწილი ანაჰამდე? ეს მხარე უკვე რუსეთია და არა აფხაზეთი, რა მოელის ჯერ კიდევ არსებულ აფხაზეთს?

დაფიქრებაა საჭირო.

რუსულმა იმპერიულმა პოლიტიკამ დიდ წარმატებას მიაღწია. საუკუნეები არსებობდა აფხაზ-ქართველთა სამეფო. ერთი იყო მიზანი და ერთიანი მოქმედება. რუსეთმა მოახერხა მათი გათიშვა და ურთიერთდაპირისპირება. თავად აფხაზ-ქართველებმა შეუწყეს ხელი იმპერიულ პროცესებს.

გენიალური ნ. ხრუშჩოვის პოლიტიკამ დააჩქარა მოვლენები და გაუცხოების გზაზე დააყენა ორი მოძმე ეთნოსი. ხუთი ათას წელს მიითვლის ეგრისელთა და ქართთა ერთობა. რთული იყო პროცესები. იყო ეგრისელების ჰეგემონობის და პირიქითა პერიოდები, იყო ფეოდალური შუღლიც, მაგრამ ერთობას საფრთხე არ დამართია. XX საუკუნეში, იმპერიის პოლიტიკამ შეძლო შეუძლებელი. ნ. ხრუშჩოვის იმპერატორობისას შერისხეს ქართველობა და აუჯანყეს სხვა ეთნოსთა კომპაქტური მაცხოვრებლები. განსაკუთრებული როლი აფხაზებს ერგოთ. მათი ადიღური ნაწილი, უფრო ზუსტად, ადიღურ მეტყველებაზე გადასული ნაწილი, ხდებოდა პრივილეგირებული. აფხაზთა ეგრისული ნაწილი, ვინც ადიღურს არ ფლობდა, ქართველად ცხადდებოდნენ და მიუღებელნი ხდებოდნენ.

იმპერიის მიერ ჩადებული აფხაზური ნაღმი, იმპერიის ცენტრის მიერ შემუშავებული „გემის“ მიხედვით, ყოველ ათ წელიწადში მოდიოდა მოქმედებაში.

იმპერიის ცენტრი მრავალ ვარიანტს ამუშავებდა. იმის მიხედვით, რა სიმძაფრის იქნებოდა ქართველთა მოძრაობა ცენტრის წინააღმდეგ, იწყებოდა შესაბამისი ვარიანტის რეალიზება. ვინ ჰკითხავდა აფხაზებს.

საინტერესოა, რომ აფხაზი და ქართი ურთიერთდაპირისპირებული პოლიტიკანები, როგორც წესი ეთნოსის, მშრომელი მასების სახელით გამოდიოდნენ. სინამდვილეში, ვინ ჰკითხავდა მშრომელებს. ამასთან, აფხაზური მხარე მუდამ ცენტრის პოზიციას ახმოვანებდა და მცირე-მცირე შეღავათებსაც ღებულობდა. ამ გზით, ავტონომიამ, უფლებებით რესპუბლიკასაც გადააჭარბა. 1978 წ. მოვლენების შემდეგ აფხაზეთი



მხოლოდ ფორმალურად ითვლებოდა საქართველოს რესპუბლიკის შემადგენლობაში. მაგრამ ესაც არ აღმოჩნდა საკმარისი.

მ. გორბაჩოვის მეფობის დროს დაწყებული ე.წ. „პერესტროიკა“ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს შეეხო და ფართე მასები აამოძრავა. მთავარი იყო რუსული მოსახლეობის პოზიცია.

კ. მარქსი ბრძანებდა: არაა თავისუფლადი ერი, რომელიც სხვას ჩაგრავეს.

ერთ წინადადებაშია მოცემული ეროვნებათ შორისი ურთიერთობის არსი. თუ რუსეთი ჩაგრავეს სხვა ეთნოსებს, ნიშნავს რუსი მშრომელები იჩაგრებიან საკუთარი ხელისუფლების მიერ. ასეთ დროს, თავისუფლების მოსურნე ეთნოსებმა, ხელი უნდა შეუწყონ რუსი მშრომელების გათავისუფლებას. სხვა გზა არ არსებობს. როცა რუსი მშრომელები აღსდგებიან საკუთარი ხელისუფლების წინააღმდეგ, დგება ეროვნული ჩაგვრისაგან გათავისუფლების დრო.

საბჭოთა კავშირში, არა რუსი ეთნოსები იჩაგრებოდნენ. მათ ბრძოლას შედეგი არ მოსდევდა. მხოლოდ მას შემდეგ, რაც რუსეთში დაიწყო მშრომელი მასების გაფიცვები, მოირყა ძალადობაზე დამყარებული იმპერიის სიმტკიცე.

რესპუბლიკებში აზვირთებულ ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობას, მოსკოვმა წინასწარ მომზადებული ნაღმების ამოქმედებით უპასუხა..

საქართველოს წინააღმდეგ ერთბაშად აზვირთდა, კომპაქტურად ჩასახლებული უცხოტომელების ტალღა. სომხები, აზერბაიჯანელები, ლეკები, თვით მცირერიცხოვანი ქურთებიც კი, თავიანთი გამოსვლებით არყევდნენ სტაბილურ ვითარებას. აღარაა მსჯელობა ოსებზე და აფხაზებზე. ითქმება ოსები და აფხაზები, თორემ, პირველთა შორის უმრავლესობა გაოსებული დვალები იყვნენ. ხოლო მეორეთა შორის ადიღეველობის მოტრფიალე ეგრები.

თავის მხრივ, ქართული მოძრაობის რადიკალი, მყვირალა ლიდერები, გაუაზრებელი ლოზუნგებით და დაულაგებელი მოქმედებით, არა მხოლოდ იმპერიის ცენტრს აღიზიანებდნენ და საპასუხო ქმედებისათვის განწყობდნენ, არამედ ე.წ. ეროვნულ უმცირესობასაც.

უფრო მეტი: ზოგი ლიდერი, ეროვნულ მოძრაობაში ქართულ,



უფროს თაობას პასიურობაში, იმპერიასთან შემთანხმებლობაში ადანაშაულებდა და პარალელურად, გზას უხშობდა მათ აქტიურობას. ეროვნული მოძრაობის ლიდერები, კავკასიის რეგიონში მაინც, შეურიგებელი ექსტრემიზმით გამოირჩეოდნენ. ეს, თავის მხრივ, ნაწილობრივ გამართლებას უძებნიდა ცენტრის ძალისმიერ მოქმედებას.

მეცნიერება ამბობს, რომ ლიდერები ძირითადად სამი ტიპისანია არიან: თეორეტიკოსები, პრაქტიკოსები და აგიტატორები. რუსეთში თეორიტიკოსი გ. პოპოვი, ვ. აფანასიევი იყვნენ კავკასიის რეგიონში თეორიტიკოსებს აგიტატორი ლიდერები ანაცვლებდნენ. ამიტომ, გააზრებული, საბოლოო შედეგზე გათვლილი მოქმედებაც ნაკლებად შეიმჩნეოდა. სანაცვლოდ მრავლად იყო ხმაურიანი იმავდროულ ეფექტზე გათვლილი, მოქმედება. ეს კი იმპერიის ცენტრს კონტროლს უადვილებდა.

უფრო მეტი, ცენტრი თავად ქმნიდა და ხელს უწყობდა საჭირო მიმართულებით ეროვნული ენერჯის ხარჯვას. ასე იყო ბევრგან და აფხაზეთშიც. ცივი ომი საქართველოდან გამოყოფისა და რუსეთთან შეერთების მოთხოვნით, არ შეწყვეტილა ნ. ხრუშჩოვის ეპოქიდან დაწყებული. 1978 წ. მოვლენების შემდეგ, აფხაზეთი ფორმალურად ითვლებოდა საქართველოს შემადგენლობაში. ვინც აკვირდებოდა და იცნობდა აფხაზეთში ვითარებას, არ დაეჭვდებოდა, რომ ხორციელდებოდა ლოზუნგი: აფხაზეთი – აფხაზებს. ქართველები, უფრო ზუსტად, აფხაზების ეგრისული ნაწილი, რომლებსაც მეგრელებს და ქართველებს უწოდებდნენ, ფაქტობრივად მოსახლეობის ჩაგრულ, ალყაში მყოფ მხარეს წარმოადგენდა. არ იცოდნენ რა ადიღური, ისინი რუსულის მეშვეობით ეკონტაქტებოდნენ ხელისუფლების წარმომადგენლებს. რესპუბლიკური ხელისუფლება თვალს ხუჭავდა აფხაზეთში შექმნილ ვითარებაზე.

ასეთმა რეალობამ, ხელ-ფეხი გაუხსნა დაუდვინებელ პოლიტიკანებს. 1989 წ. 18 მარტს, გუდაუთის რაიონის სოფელ ლიხნში, მოწვეული იქნა სრულიად აფხაზეთა ეროვნული სახალხო კრება. მიიღეს გ. ტრაპეზნიკოვის მიერ შედგენილი (1984 წ.) წერილი იმპერიის ხელმძღვანელობისადმი, სადაც მოითხოვდნენ საქართველოს ნაცვლად რუსეთის შემადგენლობაში გადაბრძანებას. (საერთოდ, ქართველები



წინააღმდეგ მიმართული უამრავი წერილის უმეტესობა იწერებოდა რუსების მიერ მოსკოვში და აფხაზთა საჩივრების სახელით, იგზავნებოდა მოსკოვში). მანამდე, 7. VI, 1988 წ., მწერალ ალექსი გოგუას ორგანიზებით, ასევე გაიგზავნა „აფხაზური“ წერილი მოსკოვში, იგივე მოთხოვნით. საიღუმლოს არ წარმოადგენს ის ფაქტი, რომ მოსკოვის ხელშეწყობით შეიქმნა ე.წ. სახალხო ფრონტის ორგანიზაცია „აიდგილარა“ (ერთობა). მის ხელმძღვანლად, ასევე მოსკოვიდან კარნახით, „არჩეული“ იქნა ცნობილი ს. შამბა. სწორედ „აიდგილარამ“ შეკრიბა სოფ. ლიხნში, როგორც ამბობენ 30 ათასი მომიტინგე. ამ დროიდან დაიწყო ცხელი ომი აფხაზეთში. უკვე 1 აპრილს, ავტობუსში მჯდომი ქართველი მგზავრები სასტიკად სცემეს, მხოლოდ ეროვნული ნიშნით. ამას მოჰყვა სისხლიანი გარჩევები.

25. 08. 1988 წ. სოხუმში თავი მოიყარეს ჩრდილო-კავკასიელ მთიელთა წარმომადგენლებმა. ეს იყო მთის ხალხთა დამფუძნებელი ყრილობა. შექმნეს საკოორდინაციო საბჭო ყაბარდოელი მუსა შანიბოვის თავჯდომარეობით. საფუძველი დაუდეს მთიელთა რესპუბლიკის ჩამოყალიბებას. საერთო მიზანი იყო რუსეთის ხელშეწყობით, საქართველოს აგრესიისაგან, აფხაზეთის დახსნა.

მთიელ ხალხთა კონფედერაციას, ქმედითი იდეური და პრაქტიკული დახმარება, მოსკოვმა გაუწია. განსაკუთრებული მნიშვნელობა, იარაღით მომარაგებას ენიჭებოდა. რუსეთს საჭმელი აკლდა, თორემ იარაღის სიმცირეს არ განიცდიდა. ამას დაემატა აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება, რომლის მიხედვით, ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული შეიარაღება, მის დაქვემდებარებაში გადადიოდა.

მოშხადებისათვის, შეიარაღებისათვის, იდეური ხელმძღვანელობისათვის, მშენებლოვანი იყო მოსკოვში მაცხოვრებელი ვ. არძინბას, 1990 წ. (ძირეული კონსულტაციების გავლის შემდეგ), სოხუმში მივლინება.

ჯერ კიდევ 1988 წელს, გამოვიდა აფხაზეთი რესპუბლიკური დაქვემდებარებიდან. მოსკოვში დამოძღვრილი ლიდერის (ვ. არძინბას), ჩამოსვლის შემდეგ, მკვეთრი ნაბიჯები გადაიდგა დამოუკიდებლობის განსამტკიცებლად.



ოფიციალურად, ომი საქართველოსთან 14. 08. 1992 წ. დაიწყო. რეალურად ომი, შენიღბული ფორმით, წლების მანძილზე მიმდინარეობდა.

ოფიციალურად, ომი 1993 წ. სექტემბრის ბოლოს დამთავრდა. მას აფხაზეთ-საქართველოს ომი უწოდეს. იგი აფხაზების სრული გამარჯვებით აღინიშნა.

რეალური სურათი სულ სხვა იყო. სხვანაირად მოაზროვნემ უნდა დაამტკიცოს, რომ მოსახლეობამ, რომელიც საკუთარი ავტონომიის მოსახლეობის 17% შეადგენდა, აჯობა იქ მაცხოვრებელ 46% და ამას გარდა 4,5 მილიონიან საქართველოს რესპუბლიკას. დასაჯერებელია?

რეალურად, ომი მიმდინარეობდა რუსეთსა და საქართველოს შორის. რუსული იყო გეგმა, შეიარაღება, სამხედრო ძალა. ცხადია, იგი რუსეთის გამარჯვებით დასრულდა. ამას თან ახლდა ეთნო წმენდა, გენოციდი და ავტონომიის სრული ოკუპაცია.

გასახსენებელია ადილი გმირი ბელადის ინალის ლაშქრობა აფხაზეთის წინააღმდეგ, აბაზი ბელადების აშესა და შაშეს დაცვის საბაბით. მაშინ (გადმოცემის თანახმად), ინალიმ და ადილ-აბაზებმა ბზიფამდე ტერიტორიები დალაშქრეს, ადგილობრივი მოსახლეობა განდევნეს და ადილური დასახლება შექმნეს.

ადილური გადმოცემის თანახმად, ეს ამბავი XV საუკუნეში მოხდებოდა. რამდენადაც ისტორიული ფაქტები მოწმობენ, რაღურად ასეთი დაპყრობა XVI ს. მეორე ნახევარზე ადრე ვერ განხორციელდებოდა.

1992-1993 წწ. ომის დროს, ინალის ჩამომავლებმა, რუსეთის დახმარებით, მთლიანი აფხაზეთი დაიკავეს. მათ ომი მოიგეს. სინამდვილეში იომა რუსეთმა, მოიგო და შავი ზღვის პირეთის ეს მხარე, იმპერიას მიუერთა.

წლები გადის. აფხაზეთში ზეიმით აღნიშნავენ საქართველოსაგან გათავისუფლების ყოველ წლისთავს. ქვეყანა ყოველ წელს რუსეთზე უფრო მეტი მიჯაჭვულობით ხვდება. თუ ასე გაგრძელდა, შედეგის გამოცნობა ძნელი არაა.

რუსეთის იმპერიამ ბევრი შეიძლო და უზარმაზარი ტერიტორიები მოიპოვა, იქ მაცხოვრებელი ბევრი წვრილი ეთნოსი შეიერთა, გაარუსა. „შეადუღაბა“ როგორც ვ. ლენინი მოითხოვდა. რა დაუდგება წინ მსოფლიო ბატონობის მოსურნეს ციდა აფხაზეთის „შეადუღებაში“?



არის მდგომარეობის განმუხტვის ორი შესაძლებლობა.

I .— აღიარონ ისტორიული რეალობა. ხუთი ათასი წლის მანძილზე ეგროსის მხარეში მხოლოდ ერთხელ მოხდა ბუნებრივი გაყოფა. ეგროსელებს გამოეყვნენ სვანები. მოხდა ენობრივი გაყოფა სვანებად და ეგროსელებად.

— ეგროსელებს სხვადასხვა დროს უწოდებდნენ კოლხებს, ლაზებს, აფხაზებს;

— ეგროსელების პოლიტიკური დანაწევრების მცდელობას ძვ.წ.ა. IV საუკუნეში (ფარნავაზის დროს) და V ს. (გორგასალის დროს) ეთნიკურ-ენობრივი ცვლილება არ მოჰყოლია.

— ეგროსელების გაყოფა ეგრებად (აფხაზებად) და მეგრებად (მეგრელებად) იყო დროში შეზღუდული. აფხაზეთის სამეფოს შექმნამ გაუცხოების მცდელობას წერტილი დაუსვა.

— აფხაზეთის სამეფო შემდეგ აფხაზთა და ქრთველთა სამეფო, არ წარმოადგენდა ორი ერთეულის მექანიკურ გაერთიანებას. მათ ჰქონდათ საერთო ეკონომიკურ-კულტურული ფასეულობანი. ერთის წინსვლა არა ხდებოდა მეორის გარეშე და იყო საერთო პროგრესის მაჩვენებელი.

— შუა საუკუნეების ფეოდალური დაქსაქსულობის და გარეშე მტრების შემოსევების დროსაც შენარჩუნებული იყო ერთობის განმტკიცების აუცილებლობა.

— XVI-XVIII საუკუნეებში განხორციელებული ეთნიკური ცვლილებები, არ ცვლიდა უძველესი დროიდან დამკვიდრებული ურთიერთობების ხასიათს.

— აფხაზი ეთნოსი, მიუხედავად გენეტიკურ-ანთროპოლოგიური გაორებისა დღეს ერთიანია და ერთიანობის მხარეებს შორის გაუცხოების მცდელობა უნდა აღიკვეთოს.

— უნდა აღიარონ, რომ აფხაზეთში მაცხოვრებელი ეგროსელების ნაწილი ისეთივე აბორიგენი მოსახლეობაა, როგორც აფხაზებად წოდებული ეგრები და უნდა დაიძლიოს მათთან არსებულ დისკრიმინაციული დამოკიდებულება.

— ეგრების ერთიანობა მეგრებთან, მათი საერთო ეგროსელობა გააძლიერებს აფხაზურ ორგანიზმს და შესაძლებლობას მისცემს გაუძლოს ასიმილაციის იმპერიულ წნეხს.



II. — აფხაზეთში წამყვანი პოზიციები ადიღური წარმომავლობის ან გაადიდებულ ეგრებს (აფხაზებს) უკავით. არა აქვთ რა უმრავლესობა ქვეყანაში ისინი ძირითადად რუსეთის იმედად არიან.

— რუსეთის ახლანდელმა იმპერიამ, შეძლო მთლიანი აფხაზეთის ოკუპაცია და დღის წესრიგში მისი ათვისება-ასიმილირებაა.


— რუსეთი ფორმალურად ცნობს აფხაზეთის რესპუბლიკის დამოუკიდებლობას, იცავს მას საკუთარი სამხედრო ძალებით. „დაცვის“ პროცესში მიმდინარეობს ქვეყნის სამხედრო, პოლიტიკური, ეკონომიკური და იდეურ-სულიერი დაახლოება-შერწყმის პროცესი. XXI საუკუნეში XIX საუკუნისაგან სხვაობით, შეცვლილია მსოფლიო წესრიგი და შიშველ ძალადობას მცოცავი „შედუღაბება“ ცვლის.

— აფხაზებს, კიდევ რომ სურდეთ ვითარების შეცვლა ვერ შეძლებენ. იძულებულნი არიან გაამჟღავნონ ის პოზიცია, რასაც რუსები კარნახობენ. ეს სრული ასიმილაციის გზაა. ამავე დროს, გვერდით არსებობს ძველი ბუნებრივი მოკავშირე, რომელიც ძველი ტრადიციული ურთიერთობის აღდგენას სთავაზობს. აფხაზებმა უნდა გააკეთონ შესაძლო მაქსიმუმი ნდობის აღსადგენად.

— აფხაზეთს, საქართველოს მეშვეობით შეუძლია მოიპოვოს საერთაშორისო მხარდაჭერა. საერთაშორისო მხარდაჭერა, აფხაზეთს თუ ვერ გამოგლეჯს რუსეთის კლანჭებს, მდგომარეობას მაინც შეუმსუბუქებს იმპერიის დანგრევამდე.

იმპერიის ნგრევა კი გარდაუვალია.





## აფხაზ-ქართველთა რესპუბლიკა

ბრძნული ნათქვამია: ყოველ საქმეში ყველაზე რთული დასაწყისია. ეს გამოთქმა მთელი ძალით ვრცელდება აფხაზთა და ქართველთა ურთიერთობაზე. ამ ორმა ეთნოსმა პირველ რიგში თავისთვის უნდა გააცნობიეროს წარსულის გაკვეთილებიც, ახლანდელი რეალობაც და ისე დაიწყონ მომავალი ურთიერთობების ჩამოყალიბება.

მართალი იყო ნიკო მარი, როდესაც ეთნოსთა თუბალურ წარსულზე მიუთითებდა. აფხაზებისა და ქართველების იფეტურ-თუბალური წარსულია მომავლის საფუძველი.

მართალი იყო ჰეროდოტე, როდესაც თუბალ-სასპირებს (მომავალ იბერ-ქართველებს) სხვა ეთნოსად მიიჩნევდა და კოლხებს (მომავალ ლაზ-აფხაზებს) მეზობელ, მაგრამ სხვა ეთნოსად თვლიდა.

ისტორიამ ინება ამ ორი იაფეტურ-თუბალური ეთნოსის ბედ-იღბალის გადაჯაჭვა. რთული და წინააღმდეგობრივი იყო განვლილი გზა.

ჩვენთვის ცნობილი ხუთი ათასი წლის განმავლობაში (მინიმუმ ხუთი ათასი), ურთიერთობათა ხასიათი იცვლებოდა. უცვლელი იყო თავად ეთნოსთა და ურთიერთობათა ცვლილება.

აფხაზთა წინაპრები იწოდებოდნენ ეგროსელებად, ეგრისელებად, კოლხებად, ლაზებად, ეგრებ-მეგრებად და აფხაზებად. ლეონიდების დინასტიის ზეობისას აფხაზების სახელი ქართ-იბერებზეც ვრცელდებოდა.

აფხაზურ-ქართული (იბერიული) იყო ბაგრატიონთა დინასტიის მოღვაწეობაც. ამიტომ თანაბრად ეწოდებოდა სამეფოს (ქვეყანას) აფხაზეთიც და საქართველოც.

სამეფოს ნაწილებად დაშლის შემდეგაც განაგრძობდა ერთობას



აფხაზ-ქართველთა ურთიერთობა. საუკუნეებით განმტკიცებულ პოლიტიკური, სამართლებრივი, ეკონომიკური, რელიგიური, ტრადიციული შეხედულებების ერთგვაროვნება და პრაქტიკული ცხოვრების მოთხოვნილებები განაპირობებდნენ ამას. ეთნოსთა შიდა ცვლილებები ვერ არღვევდნენ მის სიმტკიცეს.

აფხაზთა და ქართველთა სამეფოების შერწყმის პროცესში დამკვიდრებული „მეფე აფხაზთა, ქართველთა“... და ა.შ., ფუნდამენტური (კონსტიტუციური) დებულება არ შეცვლილა არსებობის მანძილზე (XIX საუკუნემდე), ერთიან სამეფოში იყო პერიოდი (XII ს. ბოლომდე) აფხაზთა (ეგრების, ეგროსელების) ჰეგემონობისა და შემდეგ ქართველთა ჰეგემონობის, მაგრამ ერთობა არ დარღვეულა.

ერთობა რუსეთის იმპერიაში კოლონიალ ყოფნის დროს დაირღვა. შედეგი სახეზეა.

რუსებს არ გაემტყუნებათ. ისინი საკუთარ მომავალზე ზრუნავდნენ. ასეა დღესაც. მათ შესანიშნავი ლიდერი ჰყავთ. სხვათა და მათ შორის, ქართველი ვაი-პოლიტიკოსების გაღიზიანების სიმძაფრე ადასტურებს, რომ იგი ერის მომავალზე მზრუნველია.

იგივეს ვერ ვიტყვით აფხაზთა და ქართველთა ლიდერებზე. მათმა სიბეცემ მიიყვანა ქვეყანა დაქცევამდე.

გაუცხოების დაძლევა რთულად წარმოსადგენი და ძნელად გადასალახი პროცესია. პირველ რიგში, ახალი რეალობის ობიექტურ აღქმას საჭიროებს.

დღევანდელი მსოფლიო, გლობალიზაციისა და საწინააღმდეგო პროცესების ერთობაა. ამ პროცესებს, აფხაზები და ქართველები, ვერ განსაზღვრავენ, ზემოქმედებასაც ვერ მოახდენენ. ერთი რამაა ცხადი: საბჭოთა იმპერიის მსხვერველად, ბევრი თანამდევი პროცესი გამოაცოცხლა. მათ შორის საქართველოში. ითქმება იმიტომ, რომ დაზუსტდეს ისტორიული წარსულის საღაო საკითხები. მათ შორის აფხაზ-ქართველთა ურთიერთობასთან დაკავშირებული.

სწორედ, ეს მომენტია საკვანძო. მთელი წინა მონაყოლი ამ ორ ეთნოსის რაობასა და ურთიერთობას იხილავდა. გაკეთდა დასკვნა?

აფხაზთა და ქართველთა ურთიერთპრეტენზიების სიმძაფრე მოწმობს, რომ ობიექტური დასკვნა არ გაკეთებულა. არსებული, რუსეთის მოღვაწეობის შედეგია და რუსულ პოლიტიკას ემსახურება.



სამწუხაროდ, მომავალიც მასთანვეა დაკავშირებული, რუსეთს აწყობს ურთიერთდაპირისპირებული აფხაზებისა და ქართველების არსებობა.

რა და როგორ უნდა შეიცვალოს, რომ რუსეთი მათ გაერთიანებას დათანხმდეს?

უკვე ითქვა, რომ იმპერიის რღვევა გარდაუვალია.

არაფინ იცის როდის და რა პროცესებით მოხდება ეს. თუ შინაგანი რღვევა არ მოხდა, მსოფლიო საზოგადოება ვერაფერს გააწყობს.

XX საუკუნის მოვლენები და ახალის დასაწყისი ამის ნათელი დემონსტრირებაა.

საბჭოთა რუსეთმა ისე დაიპყრო კავკასიის ეთნოსები, რომ არც თავად უკითხავს სხვათა თანხმობა და ვერც დანარჩენმა მსოფლიომ შეხედა რამ. ამავე სქემით წარიმართა შემდგომი პერიოდი.

XX ს. ბოლოს, მსოფლიო ვერ ხედავდა რა მოვლენები ტრიალებდა კავკასიაში? ვინმემ რაიმე შეხედა და გადაეღობა რუსეთს? დამარცხებულ (საკუთარი ხალხის მიერ) და დასუსტებულ რუსეთს ხმაც ვერ გასცეს. 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დროს ვინმემ რამე აკადრა რუსეთს? ამერიკელთა და ევროპელთა შეშფოთება უშველიდა ფეხქვეშ გათელილ საქართველოს?

ათეულობით მონურად ემსახურებოდნენ რესპუბლიკის ხელმძღვანელები ე.წ. დასავლეთის „ერთგულ მეგობრებს“, დაულაღვად მიიწევდნენ „ნატოს“ რიგებში გასაწევრიანებლად. შედეგი? თუ მართებულია დებულება, რომ პრაქტიკაა თეორიის საზომი, მაშინ შეაჯამონ, პრაქტიკულად რა მიიღეს „ნატოს“ ძახილით. ამერიკაა თუ „ნატოს“ წევრი ქვეყნები საკუთარ უსაფრთხო მომავალზე ზრუნავენ და პატარა, უმნიშვნელო რესპუბლიკის გულისათვის თავს არ აიტკიებენ.

საქართველო კი არა. „ნატოს“ წევრი, დიდი თურქეთი გაწირეს ამერიკელ-ევროპელმა მეგობრებმა.

თურქებს ჰყავთ ჭკვიანი ლიდერი ერდოღანის სახით. როცა ნათელი გახდა, რომ რუსეთთან დაპირისპირების საკითხში, თურქეთს ამერიკა-ევროპის იმედი არ უნდა ჰქონოდა. ერდოღანმა პრაქტიკულად ზურგი აქცია ცრუ მეგობრებს და რუსეთს დაუახლოვდა. რა არ იცის თურქეთის პრეზიდენტმა რუსეთთან საომარი ისტორიის შესახებ? რა



ვერა გრძნობს მოსალოდნელ შედეგებს? თურქეთმა დაძლია საკუთარი ამბიციები, არაერთგზის თავი დაიმცირა რუსეთის წინაშე და საბოლოოდ მოგებული დარჩა.

XX ს. ბოლოს, რუსუბლიკებში ეროვნული მოძრაობის აზვირთების პირობებში, სასომხეთში, მეცნიერებათა აკადემიისა და უნივერსიტეტის შესაბამისმა პასუხისმგებელმა „ამხანაგებმა“ ავტორს ანახეს სპიტაკის მიწისძვრის „მოსამზადებელი“ სამუშაოების და შემდეგ შედეგების ამსახველი ფოტომასალა. მათ შესანიშნავად იცოდნენ საიდან და რატომ მოდიოდა საფრთხე. ასევე, ირწმუნებოდნენ, რომ ისინი დამოუკიდებლობის მიღწევის შემთხვევაში მხოლოდ საქართველოს იმედით იქნებოდნენ და მის გზას დაადგებოდნენ. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, სომხებმა რუსეთთან მჭიდრო კავშირი შეინარჩუნეს. რა მოიგეს და რა წააგეს ამით?

საბჭოთა კავშირის რღვევის დროს აზერბაიჯანი მნიშვნელოვნად დაიჩაგრა. მხოლოდ ის არა, რომ ყოფილი შუშის სახანო, ე.წ. მთიანი ყარაბაღი, სომხეთმა რუსეთის დახმარებით წაართვა. საკმარისია ბაქოს მოვლენების გახსენება. ამის და მიუხედავად აზერბაიჯანს ნორმალური ურთიერთობანი აკავშირებს რუსეთთან. ბევრი მოვლენის გახსენება შეიძლება. დასკვნა კი ასეთია: ვინც ობიექტურად შეაფასა ძალთა განლაგება და თანაფარდობა მოგებული დარჩა. საქართველომ კი წააგო. სხვანაირად ვერც „სამხრეთ ოსეთის რუსუბლიკა“ შეიქმნებოდა და არც აფხაზეთი ჩამოცილებოდა ეგრის-საქართველოს.

ბრიყვია ვისაც ჰგონია, რომ გაბრაზება, გაბუტვა, საკუთარ ნიჟარასი (ლოკოკინასავით) ჩაკეტვა პოლიტიკაა. ეს შეიძლება ტაქტიკური ნაბიჯი იყოს დროებით.

სიბრიყვეა, როცა რუსეთის ხელმძღვანელი რამდენჯერმე გთავაზობს, წინასწარი პირობების გარეშე, შეხვედრა-მოლაპარაკებას და ასეთ შანსს ვერ იყენებ.

აღარაა საუბარი იმაზე, როგორ შევინარჩუნებდით სამეცნიერო კადრებს, სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო პოტენციალს, ზურგი რომ არ გვექცია რუსეთის ხელმძღვანელობის არაერთგზის შემოთავაზებისათვის.

კიდევ ერთხელ უნდა ითქვას: საჭიროა დაფიქრება, რას მოვიგებთ (აფხაზ-ქართველები) და რას არა, რუსეთთან უაზრო კონფრონტაციის



ნაცვლად, ნეიტრალიტეტის გზა რომ ავირჩიოთ. რუსეთს, თქმა არაა საჭირო, აწყობს საქართველო ევრაზიის კავშირში იხილოს. ასეთ დროს ბევრი პრობლემა სხვანაირად გადაწყდებოდა.

რუსეთს, ნაკლებად, მაგრამ მაინც აწყობს მტრულად განწყობილ საქართველოს ნაცვლად, ნეიტრალური მეზობლის ყოლა. (ნეიტრალიტეტი ჩვენ მოსახლეობასაც აწყობს, განსხვავებით ამბიციური ხელმძღვანელობისა).

რას იგებს რესპუბლიკა ავღანეთში და აფრიკაში საომარ მოქმედებებში მონაწილეობით? დაღუპული შვილების საიცოცხლე ღირს ამაღ? და რესპუბლიკის რომელი ხელმძღვანელის შვილი მონაწილეობდა ამ ბრძოლებში? ყოველივეს კარგი ანალიზი სჭირდება.

რაც შეეხება აფხაზეთს. რუსეთმა იგი საქართველოს ოსტატურად ჩამოაცილა. ამავე დროს, ჯერ კიდევ 1994 წ. მ. გორბაჩოვის მეშვეობით გაახმოვანა აზრი ქართველთა და აფხაზთა ფედერაციული გაერთიანების შესახებ. იქნებოდა ეს პოლიტიკური ჩიხიდან გამოსავალი თუ არა? რუსეთის ფედერაციული მოწყობის პრინციპები მისაღებია თუ არა? იმ დროს, აფხაზი მეცნიერ-პოლიტიკოსთა ნაწილი კიდევ მიემზრო ამ იდეას. ქართველები?

(ერთ დროს, გავრცელებული იყო სომხური გამოთქმა ქართველებზე: „იგი-ვრაცუა“ ქართველები ასეთებად მიაჩნდათ უსაფუძვლო სიამაფისა და მედიდურობის გამო. ხომ არ მიესადაგება ასეთი გამოთქმა ზოგ ვაი პოლიტიკოსს?)

საქართველოს ხელმძღვანელობამ, ვ. ლენინის მსგავსად, ფედერაცია მიუღებლად მიიჩნია. დაფიქრდნენ? საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკა, რეალურად, განა ფედერაციას არ წარმოადგენდა? ისეთ ქვეყანაში, როგორიც საქართველო იყო და არის (განახვერებული) მტკიცე ცენტრალიზაცია როდის არსებობდა?

ყველაზე დიდი ცენტრალიზაციის დროს იყო „მეფე აფხაზთა, ქართველთა“... და ა.შ. თანამედროვე პირობებში მეფის ნაცვლად, რომ ითქმებოდეს: აფხაზთა და ქართველთა რესპუბლიკა, რა წახდებოდა ამით რამე?

საქართველო (როგორც დღესაა მიღებული, გნებავთ აფხაზეთი (როგორც ითქმებოდა XII საუკუნემდე) ერთიანი, ნეიტრალური, ფედერაციული რესპუბლიკა, მისაღებია და განხილვის ღირსია თუ არა?

